ალეკსი ჩხეიძე

მზვერავის ჩანაწერები

„ნაკადული“
თბილისი
1987

63(3) (2) 722
356.251:355.48(47) „1941:1945"
ბ 971

კომკავშირელი ა. ჩხეიძე ომის დროს მოხალისედ წავიდა ფრონტზე და დუნაის სამხედრო ფლოტილიის ზზვერავი გახდა. ნონაწილეობდა რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთის, იუგოსლავიის განთავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში. საქართველოს კომკავშირის რიგებში აღზრდილმა თავი გამოიჩინა სამშობლოს ერთგულებით, იყო შეუპოვარი, თავგანწირული მებრძოლი საბჭოთა ხალხის დამთავრების პირველ დღეებში ბედმა უმტყუნა დაკარგა აელაჩი, ჩხედველობა, სმენა... სასწაულით გადარჩა სიკვდილს

ომის მხარეში ამოუდგენენ წრთელი კვალიფიკაციანი ექიმები, მისი მონაოხრობი ჩაიწერეს და გაჩნდა წიგნი, რომელიც ნათლად გვიჩვენებს ჩვენი ქვეყნის ღირსეულ შვილზე

ა. ჩხეიძის ამ წიგნს 1982 წელს მიენიჭა ნ. ოსტროვსკის სახელობის სრულიად საკავშირო ლიტერატურული კონკურსის ლაურეატის წოდება, როგორც საბჭოთა ახალგაზრდობის თემაზე შექმნილ საუკეთესო ნაწარმოებს.

პირველი—მეორე გამოცემა

თარგმნა
ნენე ცოცხალაშვილმა

© „ნაკადული", 1987 წ.

1—12 — 2 — 57
Ч——————— 106 — 87.
М 063 (08—87)

სამასი საფრონტო დღე, შემდეგ კი — მთელი სიცოცხლე

ცხოვრებაში ხშირად შეხვდები ადამიანს, ვინც შენი ხსოვნიდან აღარ ამოვა. ასე მოხდა ამჯერადაც. ჩვეულებრივი სარედაქციო მივლინება იყო — და ამაღე დროს არცთუ ჩვეულებრივი. განა ბევრი გვყავს დიდი სამამულო ომის მონაწილე, რომლის სახელსაც ატარებენ პიონერთა რაზმები არა მარტო საბჭოთა კავშირში, არამედ ბულგარეთში, უნგრეთში, იუგოსლავიაში?

სერპუხოვიდან დანში, სადაც ინტერნატი მდებარეობს, სარეისო ავტობუსით ჩავედი. გზა ხან არყის ხის მეჩხერ ტყეებს ჰკვეთდა, ხანაც ბორცვებიდან მიემართებოდა ხეებში განლაგებულ ნაძვის ბალებისაკენ. გარშემო ცენტრალური რუსეთის არათვალშისაცემი ბუნების სილამაზეა. მე კი ვფიქრობდი ადამიანზე, რომელიც თუმცა ოცდაათ წელზე მეტია რაც აქ ცხოვრობს, მაგრამ ყველაფერ ამას უკვე ვეღარ ხედავს.

სამკურნალო ინტერნატის პოენა არ გამჭირვებია, მისი ქვის კორპუსები შორიდან მოჩანს.

მომვლელმა ქალმა პატარა პალატაში შემიყვანა, სადაც უკვე ამდენი წელი ცხოვრობს დენაელი მზვერავი ალექსი ალექსანდრეს ძე ჩხეიძე. იგი მრგვალ მაგიდასთან იჯდა, გამხდარი, გამელოტებული, საფეთქლებთან შერჩენილი თმა გაპაღარავებოდა. ხელის მტევნები არა ჰქონდა სიფრონტო ‹ქირურგის დანას ოდესღაც არცთუ აკურატულად გაეხლიჩა მარჯვენა ხელი და სხვის ძვლებისაგან შეეკმნა რალაც ორი თითის მაგვარი, დროს ვერ წაეშალა კანზე მოწითალო ნაწიბური. მაგიდაზე ასანთის კოლოფის ზომის მავთულებიანი ხელსაწყო იდო.

მომვლელმა კარი მოიჯახუნა, მაგრამ მაგიდასთან მჯდომი არ მოტრიალებულა, მომვლელი მხარზე შეეხო:

— ალექსი ალექსანდრეს ძევ, თქვენთან სტუმარია!

ალექსი ალექსანდრეს ძემ მაგიდაზე ხელები ააფათურა, მოძებნა ლითონის

[illegible] ბ[illegible] [illegible] [illegible] [

თავის ამხანაგებთან — დუნაის ფლოტილიის მზვერავებთან ერთად ა. ჩხეიძეს ბევრ ბოძოლაში მიუღია მონაწილეობა. საჭიროა მტრის ოფიცრის ტყვედ ჩაგდება და იგი მიძვრება საკანალიზაციო მილების სულისშემხუთავ სიმყრალეში. შეამჩნია ბერმანელთა შტაბის მანქანა, რომელშიც გაქცეული მტრის ოფიცრები ისხდნენ და დაიწყო თავბრუდამხვევი დევნა მოტოციკლეტით, მზვერავებს ფლოტილიის კატარღები გაჰყავდათ ფაშისტების მიერ ჩაძირული გემების ზღუდეში, დუნაის ისეთ ადგილებში, სადაც ნტერი ყველაზე უფრო ნაკლებად მოელოდა მათ, როდესაც საჭირო შეიქნა დუნაის დანაღმული ადგილების რუკის შოვნა, ისევ მზვერავებს დაავალეს ეს საქმე და მათ ორჯერ წარმატებით შეასრულეს ასეთი დავალება.

ეს წიგნი დაწერილია არა ავტორის საგმირო საქმეების შესახებ. ეს არის წიგნი დუნაელ მზვერავთა გმირობაზე.

მაგრამ ომში ყველაფერი ხდება, მაშინაც კი, როდესაც იგი ოფიციალურად დამთავრებულია. ნაღმები, ბომბები, ჭურვები და სხვა ფეთქებადი საგნები ედარაჯებდნენ ბეზღვაურებს ყოველ ნაბიჯზე. ხოლო მათთვის, ვინც მდინარის განაღმვაზე ბეშაობდა ან წინ მიუძღოდა სომალდებს დანაღმულ დუნაიზე, აფეთქების საშიშროება ერთიორად იზრდებოდა. სწორედ ამ სახიფათო საქმეს ასრულებდნენ დუნაის ფლოტილიის მზვერავები 1945 წლის გაზაფხულის პირველ დღეებში. დიდი თუ პატარა აფეთქებების ხმები ჯერ კიდევ გაისმოდა ფაშისტებისაგან განთავისუფლებულ მიწაზე. ერთი ასეთი აფეთქება მოხდა დუნაის მზვერავების კატარღაზეც.

ა. ჩხეიძეს ზუსტად არ ახსოვს, როგორ მოხდა ეს. უცებ ჩამოწვა სიბნელე. ყველაფერი გაქრა, რამდენიმე დღის მერე ჰოსპიტალში მოვიდა გონს. მას არ ჰქონდა ხელები, ცუღად ესმოდა და ვერ ხედავდა.

სცადეთ ერთი წუთით მაინც წარმოიდგინოთ თქვენი თავი ჭაბუკის ადგილზე. უხელოდ, უკუნეთ სიბნელეში! ერთადერთი დამაკავშირებელი გარეშო სამყაროსთან — ყურთასმენია და ეს კავშირიც საცაა გაწყდება.

ადამიანს სპირდება ჩაცმა, დაბანა, ჭამა. ხოლო თუ შენ არ ძალგიძს გაიკეთო ყველაფერი ეს, თუ შენ, როგორც ჩვილ ბავშვს, ძიძა გჭირდება, დიღხანს გაძლებ ასეთ გამოცდას?

მან გაუძლო, გაუჭირდა, მაგრამ მაინც გადალახა ეს დაბრკოლებები. მოკლეყელიანი, უყაითანო ფეხსაცმელი. ჩაყოფ ღეს—და აღარ წვალობ ზონარის შეკვრაზე. შარვალი, რომელსაც ღილების ნაცვლად რეზინი აქვს გაყრილი. და ბოლოს ხელის ნარჩენით შესაძლოა მოახერხო კოვზის დაჭერა.

მაგრამ ყველაფერი ეს ხომ საქმის მხოლოდ ერთი ნაწილია, და თანაც არა მთავარი. როგორ უნდა იცხოვრო შემდგომ? როგორ შეურიგდე ამ მდგომარეობას და იპოვო შენი ახალი ადგილი ცხოვრებაში?

ადრე ალექსი ჩხეიძეს არასოდეს არ ყოფნიდა დრო. ახლა კი 24 საათი გაიწელა უსასრულო 1440 წუთად. რითი შეავსებ მათ? როგორ უნდა იპოვო საქმე, რომელიც გაგიტაცებს, ისე როგორც ომამდელ სიჭაბუკეში სკოლისგან თავისუფალ დროს იტაცებდა ფეხბურთი და მოტოციკლეტი, დრამატული წრე და ხატვა.

რამდენი უძილო ღამე გაატარა თვრამეტი წლის ბეზღვაურმა, რომ ეპოვა

ერთადერთი რამ, რაც შეიდგომ იქცეოდა მისი ცხოვრების მიზნად! ძნელი იყო, მაგრამ ა. ჩხეიძემ მაინც იპოვა ასეთი საქმე.

ჯერ კიდევ ომის დროს ა. ჩხეიძე თავის მეგობრებთან ვიტალი ზაპასელსკისა და ვანია ბოიჩაკთან ერთად აპირებდა წიგნის დაწერას დუნაელ მეზღვაურთა შესახებ. ახლა დადგა დრო ამ გადაწყვეტილების განხორციელებისა. მაგრამ როგორ უნდა გაკეთო ეს უხელებოდ და უთვალისჩინოდ? მით უმეტეს, რომ ყველა მისი ძველი ჩანაწერი გასადგურდა კატარღაზე ნაღმის აფეთქებისას.

და მაინც არ დაიხია უკან. დაიწყო საბრძოლო მეგობრების — დუნაელების, ბულგარელ, იუგოსლავიელ და უნგრელ ძმადნაფიცთა ხანგრძლივი ძიება, ძალი, ვისთანაც საბრძოლო ბედმა შეახვედრა ახალგაზრდა მეზღვაური საფრონტო გზებზე. ყველაფერი ეს კეთდებოდა იმისათვის, რომ დაწერილიყო მოგონებების წიგნი მათზე და ეს ძიება ფრონტზე საბრძოლო მოქმედებებზე არანაკლებ ძნელი იყო.

გადიოდა წლები. ა. ჩხეიძეს თანდათან ღალატობდა ჯანმრთელობა. იგი მაინც არ ტოვებდა დაწყებულ საქმეს. ეს იყო ოცდაათწლიანი შრომა, რომელიც მხოლოდ მიზანდასახული ადამიანისთვისაა შესაძლებელი.

ძიება ნელა მიიწევდა წინ. მეორმა შეიცვალა ომამდელი მისამართი. ზოგი უკვე ცოცხალი აღარ იყო. რასაკვირველია, ალექსი ჩხეიძე მარტო ვერ შეძლებდა ამ უსაზღვრო სამუშაოს შესრულებას, მას ბევრი მოხალისე თანაშემწე რომ არ აღმოჩენოდა. დანკის საშუალო სკოლის მოსწავლეები ხალისით გამოეხმაურნენ მის მოწოდებას. ყოველდღიურად რამდენიმე მოსწავლე მიდიოდა ა. ჩხეიძესთან ინტერნატში. ალექსი ჩხეიძე კარნახობდა მათ სამისამართო მაგიდებში, სამეფო კომისარიატებში, სასოფლო საბჭოებში, არქივებსა და მმაჩის ბიუროებში გასაგზავნ წერილებს.

დიახ, საკმაოდ დიდი მოცულობის ხელნაწერი, რომელსაც მე გამომცემლობაში გაეცანი და რომელიც დაბეჭდილი იყო სხვადასხვა ხარისხის ქაღალდზე სხვადასხვა საბეჭდი მანქანით, გხიბლავდათ ბავშვური მიამიტობით, რამდენადმე გულუბრყვილო თხრობით ფრონტზე ნანახის და განცდილის შესახებ. თითქოს წერდა არა უკვე გაჭაღარავებული ადამიანი, არამედ თვრამეტი წლის კომკავშირელი.

ახლა ჩემთვის ნათელი გახდა, რატომ ტოვებდა ავტორი ძლიერ ახალგაზრდა კაცის შთაბეჭდილებას,—ასეთები იყვნენ მისი ნორჩი თანაშემწეები.

ეს სამუშაო მარტო დუნაის ფლოტილიის მზვერავისათვის როდი გახლდათ საკირო. იგი აუცილებელი იყო პირველ რიგში მათთვის—ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც ომი არ ენახათ და ამ სამუშაოთი ეზიარებოდნენ უფროსების გმირობას. მოსწავლეები ამთავრებდნენ სკოლას, იფანტებოდნენ აქეთ-იქით, ხოლო მათ ადგილზე მოდიოდნენ სხვები. იზრდებოდა ოგრეთვე რიცხვი დუნაელებისა, რომლებიც ა. ჩხეიძეს ეხმარებოდნენ ძიებაში, წერდნენ წერილებს, ჩამოდიოდნენ მასთან დანკაში.

დანკის სკოლის რაზმი „ძიება“ და ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბი „წითელი მიხაკი“ თანდათან ცნობილი ხდებოდა. მათ შესახებ ალაპარაკდნენ გაზეთები. პირველად ადგილობრივი — რაიონული „კომუნისტი“ და საოლქო

„ლენინსკოე ზნამია“, შემდეგ „ცენტრალური—„მოსკოვსკი კომსომოლეც“, „სოვეტსკი სპორტ“, „კომსომოლსკაია პრავდა“.

ჟურნლებში: „სოვეტსკი ვოინ“, „სოვეტსკი მორიაკ“, „პოგრანიჩნიკ“, „სმენა“, „ოგონიოკ“ გამოქვეყნდა ნარკვევები დუნაელებზე, ნაწყვეტები ალექსი ჩხეიძის მოგონებებიდან.

ცენტრალურმა ტელევიზიამ მოაწყო დიდი გადაცემა დუნაელებზე. ამ გადაცემაში მონაწილეობას იღებდა ა. ჩხეიძე. ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში ნაყოფიერი შრომისათვის დუნაელი მზვერავი ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტის საპატიო სიგელით დაჯილდოვეს.

დანკის რაზმის „ძიება“ და ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის პოპულარობა უფრო მეტად გაიზარდა მას შემდეგ, რაც ცენტრალურმა რადიომ საშუალება მისცა ა. ჩხეიძეს მიეღო მონაწილეობა რამდენიმე გადაცემაში.

დანკში იწყო დენა უამრავმა წერილმა. იწერებოდნენ დუნაიზე ბრძოლების მონაწილეები, პიონერები და მოსწავლეები, მოდიოდა წერილები არა მარტო საბჭოთა კავშირიდან, არამედ საზღვარგარეთიდანაც.

დანკის საშუალო სკოლის რაზმი „ძიება“ მხოლოდ დუნაელების ძიებით არ იყო დაკავებული. მათ სხვა თემებიც ჰქონდათ მაგალითად, დაახლოებით ხუთი წლის განმავლობაში აგროვებდნენ მასალას—ხომალდ-ძეგლების შესახებ. ოდესღაც ეს სამხედრო ხომალდები მამაცურად ებრძოდნენ მტერს, მაგრამ გავიდა დრო და ისინი საბჭოთა მეზღვაურთა სიმამაცის პატივსაცემად დადგეს კვარცხლბეკზე ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქებში. დანკის მოსწავლეებთან ერთად მასალას ამ თემაზე აგროვებდნენ იზმაილის, მინკის, ტალინის, პერმის, ეისკის მოსწავლეები. ძიებას ხელმძღვანელობდა ისევ ალექსი ჩხეიძე. მოგროვილი მასალა დამუშავდა და გადაეგზავნა „ეაი ზღვის წითელდროშოვან ფლოტის მუზეუმს.

სამუშაო წინ მიიწევდა, მაგრამ ბედი თითქოს ახალ-ახალ გამოცდას უწყობდა დაპრილ მეზღვაურს. მხედველობის აღდგენის იმედი დაეკარგა. ირგვლივ ყველაფერი წყვდიადმა მოიცვა და არ არსებობდა მცირეოდენი იმედიც კი მისი გაფანტვისა. შემდეგ სმენაც დაკარგა და ხმაურიანი სამყარო, რომელიც მისთვის რადიოთი გადმოცემული კონცერტებით, სპორტული რეპორტაჟებით, უკანასკნელი ცნობებით ყღერდა, უცებ დადუმდა.

ა. ჩხეიძეს ბედმა იმდენი განსაცდელი არგუნა, რამდენიმე ადამიანსაც მოსჭარბდებოდა. აი, სწორედ ამის შესახებ მოგვითხრობს თავის წიგნში. და შეუძლებელია წაიკითხო მღელვარების გარეშე ამ წიგნის ბევრი ფურცელი. მკითხველს უეჭველად დაამახსოვრდება, თუ როგორ აღმოაჩინა მან ჰოსპიტალში გონს მოსვლის მერე, რომ ხეიბარია, ისიც, თუ როგორ შეხვდა ჰოსპიტალში ვანია ბოიჩაკს და უახლოესმა მეგობარმა ვერ შეძლო მისი ცნობა, დაამახსოვრდება უეცარი დაყრუების დღეც. მოსწავლეები როგორც ყოველთვის, იმ დღესაც მოვიდნენ ა. ჩხეიძესთან სამუშაოდ, მას კი არ ესმოდა.

და მაშინ ვიღაცამ მოისაზრა და თითით შუბლზე დაუწყო ასოების წერა. მეზღვაურმა წაიკითხა: „ნუ ღელავთ, ხვალ თქვენ მოსკოვის ჰოსპიტალში წაგიყვანენ, იქ სმენას აღგიდგენენ“.

სამწუხაროდ სმენის აღდგენაც ვერ მოხერხდა. (ამჟამად მასთან საუბარი სიტყვების შუბლზე დაწერის საშუალებით ხერხდება მხოლოდ).

კიდევ ერთი დეტალი დუნაელ მზვერავზე. რამდენიმე წლის წინ იცვლებოდა მათი ინტერნატის პროფილი. ა. ჩხეიძეს წინადადება მისცეს გადასულიყო ახალ, კეთილმოწყობილ კორპუსში. მაგრამ ამისთვის უნდა დაეტოვებინა დანკი. ეს კი ნიშნავდა თავისი ერთგული თანაშეწყების — წითელი კვალმაძიებლების, „ბზვერავების“ (როგორც სიუკარულით ეძახის მათ ალექსი ჩხეიძე) დატოვებას, განშორებას ინტერნატის მომსახურე პერსონალთან, რომელსაც წლების განმავლობაში მიეჩვია, დაუმეგობრდა და რომელიც მას, როგორც ღვიძლს ისე უყურებდა. ალექსი ჩხეიძემ უარი თქვა გადასვლაზე.

სწორედ აქ, დანკში, დაამთავრა ძან მუშაობა წიგნზე, რომელიც მკითხველის წინაა.

პირველი რანგის კაპიტანი ი. ჩერნოვი

თ ა ვ ი I

„ბედნიერებას გისურვებთ, შვილებო!“

გაზაფხულის დღეა. სასიამოვნო ნიავი უბერავს. ვდგავარ მწვანე მინდორზე თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებით გარშემორტყმული, ხელში მათი ნაჩუქარი ავტოგრაფებიანი ბურთი მიჭირავს.

ჩვენ წინ სპორტული რეპორტიორი დაფაცურობს, მაგრამ მე ვერ ვხედავ ვერც ხშირი მწვანე ბალახით დაფარულ ფეხბურთის მოედანს, ვერც ფეხბურთელებს, გარს რომ შემომრტყმიან, ვერც ფოტორეპორტიორს, რომელიც ჩვენი ჯგუფის გადაღებას აპირებს, მე არ მესმის არავითარი ხმა, არავითარი მიწიერი ბგერა, რადგანაც სრულიად ყრუ ვარ და აბსოლუტურად უსინათლო, პროტეზიანი მარჯვენით მაგრად მიჭირავს ბურთი. ეს საჩუქარი და ახალგაზრდა ფეხბურთელების გულთბილი შეხვედრა ნიშანია საბჭოთა სპორტსმენების დიდი პატივისცემისა სამშობლოს დამცველების მიმართ, იმათ მიმართ, ვინც დიდ სამამულო ომში დაიცვა საბჭოთა ხალხის თავისუფლება.

რეპორტიორი განაგრძობს ჩვენ გარშემო სირბილს, ცდილობს კარგი ფოტოსურათი გადაიღოს. მე კი ვდგავარ და ვგრძნობ სპორტული ბაზის მწვანე მინდვრის სუნს.

ძვირფასო მკითხველო, ძნელია სიტყვებით გადმოგცეთ ის მღელვარება, რომელიც მე დამეუფლა ფეხბურთის მოედანზე, რომელსაც დავშორდი აი უკვე 40 წელზე მეტია. ჩემს მეხსიერებაში ამოტივტივდა მრავალი წლის წინანდელი ამბები, გამახსენდა ჩემი სპორტული ახალგაზრდობა და დაზვერვაში საბრძოლო შემართება.

აი. როგორ იყო ეს:

აო ვიცი, ვის როგორ, მე კი მე-7 კლასში ჯერ არ მქონდა გადაწყვეტილი, რას გავაკეთებდი სკოლის დამთავრების შემდეგ: გავხდებოდი რკინიგზელი, როგორც მამაჩემი, ალექსანდრე ბეგლარის ძე, თუ დავიწყებდი ფელეტონების წერას რაიმე მეზღვაურული ფსევდონიმით, მაგალითად, „კიბორჩხალა“ (ჩემი მეგობარი თენგიზის მამა—ჟურნალისტი დავით გელაშვილი თავის წერილებს აწერდა ფსევდონიმს „მედუზა“) ან იქნებ სულაც ინსტიტუტში შევიდე სამშენებლო ფაკულტეტზე და ხალხს ლამაზი სახლები ავუშენო?

არჩევანი რომ გამეკეთებინა, ჯერ სკოლის დამთავრება იყო საჭირო, ამისათვის კი კიდევ სამი წელი მერხთან უნდა ვმჯდარიყავი. თოთხმეტი წლის ბიჭს ასეთი ვადა თითქმის უსასრულოდ ეჩვენება.

ერთი კი მტკიცედ მწამდა: რა პროფესიაც არ უნდა ამერჩია, ფეხბურთი და მოტოციკლეტი ღირსეულ ადგილს დაიკავებდნენ ჩემს ცხოვრებაში.

აი, დავასრულე შვიდი კლასიც. ქალაქში მხოლოდ სპორტული ვარჯიშები მაკავებდა. ამჯერად ჩემი დღე ნაწილდებოდა სტადიონსა და მოტოციკლს შორის. ის ზაფხული კავკასიაში ძალიან ცხელი იყო. განსაკუთრებით სასიამოვნო იყო სტადიონზე ადრე დილით მისვლა. ფეხბურთს ვთამაშობდით სანამ სიცხე ჩამოწვებოდა. ჩვენი მწვრთნელი იყო თბილისის „დინამოს“ ცნობილი ნახევარმცველი მიხეილ ჭელიძე.

სტადიონზე ვარჯიშის მერე მოტოდრომზე მივიჩქაროდი. ვწმენდდი და ვაპრიალებდი ძველისძველ, დანჯღრეულ მოტოციკლს, ყურს ვუგდებდი ძრავის თანაბარ გუგუნს.

მოტოკლუბში ჩემი საქმეები კარგად მიდიოდა. ჩვენ ბევრს ვვარჯიშობდით. განსაკუთრებით მიყვარდა, როდესაც მთაში, მიხვეულ-მოხვეულ გზებზე სიარულის ნებას გვაძლევდნენ.

და მაინც იმ წელიწადს ჩვენთვის, ყველასათვის მთავარი ფეხბურთი იყო. საქმე ისაა, რომ გაზაფხულზე ჩვენს ქალაქში მიმდინარეობდა შეჯიბრება ქალაქის ახალგაზრდულ გუნდებს შორის.

ზაფხულის ის მზიანი დღე კარგად დამამახსოვრდა. ქ. თბილი-

სის ახალგაზრდული გუნდების ფინალური შეხვედრა ფეხბურთში დანიშნული იყო დილის ათ საათზე. უკვე ივნისის მეორე ნახევარი იდგა, ჩვენთან ამ დროს საკმაოდ ცხელა.

ოთხი თვის განმავლობაში ჩვენი გლდანის ქუჩის გუნდი „შევარდენი“ დაჟინებით ებრძოდა თავის მეტოქეებს. ჯერჯერობით სპორტული იღბალი ჩვენს მხარეზე იყო და აი, ახლა ფინალი გვეღოდა.

ფეხბურთის მოედანი, სადაც მატჩი უნდა ჩატარებულიყო, მდებარეობდა სერგო ორჯონიკიძის სახ. კულტურის პარკის ბოლოს. ტრიბუნები უკვე გაევსოთ მოუთმენელ მაყურებლებს. მოვიდნენ ჩვენი მეგობარი-გულშემატკივრები და რასაკვირველია, ჩვენი მოწინააღმდეგე გუნდის ფოთის ქუჩის „მერცხალის“ გულშემატკივრებიც.

ძალიან გვინდოდა მოგება და საპატიო სიგელის მოპოვება. მაგრამ, სიმართლე რომ ვთქვა, მარტო სიგელი არ გვხიბლავდა. ხმები დადიოდა, რომ წარმატების შემთხვევაში, ჩვენი გუნდის საუკეთესო მოთამაშეებს ჩარიცხავდნენ მთელს კავშირში სახელგანთქმულ თბილისის „დინამოს“ გუნდის სათადარიგო შემადგენლობაში. ტყუილად ხომ არ იყო ჩვენი მწვრთნელი ამ გუნდის ცნობილი ნახევარმცველი მიხეილ ჭელიძე!

„მერცხლის“ ბიჭები მაღლები და ძლიერები იყვნენ. თუმცა, შეიძლება ლურჯი მაისურები და ყვითელი ტრუსები აძლევდა მათ ასეთ სოლიდურ შეხედულებას. ჩვენები თეთრ მაისურებსა და შავ ტრუსებში გამოვიდნენ — თბილისის დინამოელების ტრადიციულ ფორმაში.

ყველა დიდი იმედით შევყურებდით ჩვენს მეკარეს გივი ვაშაკიძეს. ჯერჯერობით ვერცერთმა მეტოქემ ამ თამაშებში ვერ შეძლო მისი კარის აღება. შესანიშნავად თამაშობდა აგრეთვე ჩვენი ცენტრალური თავდამსხმელი მიშა ზამთარაძე. მართალია, ამჯერად ჩვენ განსაკუთრებით სერიოზული მეტოქე გვყავდა. მასაც გამარჯვება სწყუროდა. მე ვხედავდი, როგორ ნერვიულობდნენ ჩვენი ბიჭები. მაგრამ ასე იყო მუდამ, თამაშის დაწყებამდე.

გაისმა მსაჯის სასტვენის ხმა. „მერცხლის“ გუნდი ბურთს დაეუფლა და მაშინვე შეტევაზე გადავიდა. ჩვენს მეტოქეებს დასაწყისიდანვე სურდათ ინიციატივის ხელში აღება. იგრძნობოდა, რომ

მოწინააღმდეგე ძლიერი გვყავდა და ბრძოლის გარეშე გამარჯვებას არ მოგვაპოვინებდა.

შეხვედრა ჩვენი გამარჯვებით დამთავრდა. ტრიბუნებზე ერთმანეთს ვეხვეოდით და ვკოცნიდით. პატარა ბიჭმა თაიგული მოართვა ჩვენს კაპიტანს მიშა ზამთარაძეს — მატჩის გმირს. ჩვენ გადმოგცეს ეზოს გუნდების საპატიო სიგელი.

საზეიმო ცერემონიალის შემდეგ ჩვენს მწვრთნელთან მივედით. იგი სიხარულს არ ფარავდა, გულთბილად გვითხრა:

— ყოჩაღ, ბიჭებო! ჩემი იმედები გაამართლეთ! თქვენი გუნდიდან ორ მოთამაშეს, ვაშაკიძეს და ზამთარაძეს შეიყვანენ „დინამოს“ ახალგაზრდულ გუნდში. ისინი ივარჯიშებენ გამოცდილ ოსტატებთან ერთად და შემდეგ ვნახოთ, იქნებ ძირითად შემადგენლობაშიც მოხვდნენ.

— ვაშა! — შესძახეს ბიჭებმა. მეც მათთან ერთად ვყვიროდი და სიხარულისაგან ვხტუნაობდი, მაგრამ ცოტათი გული მწყდებოდა, რომ მე არ ამომირჩიეს. თუმცა იმ ზაფხულს მხოლოდ თოთხმეტი წლის ვიყავი, გადავედი მე-8 კლასში, ჩემი ამხანაგები კი ჩემზე სამი წლით უფროსები იყვნენ.

გამოვედით მოედნიდან და გავეშურეთ პარკის ცენტრალური ნაწილისაკენ. აღელვებულები და ბედნიერები ვიგონებდით შეხვედრის ყოველ წვრილმანს. უცებ შევამჩნიეთ, რომ პარკში კარუსელი გაჩერებულიყო, საქანელებზე არავინ ქანაობდა, სკამებზე არ ისხდნენ დამსვენებლები. ხალხი მაღალ სვეტზე მიმაგრებულ რეპროდუქტორთან შეჯგუფებულიყო. ყველა დაძაბული უსმენდა რადიოს. ხალხს მივუახლოვდით და გავიგონეთ საშინელი სიტყვა „ომი“.

ჩუმად გამოვედით პარკიდან. პირველად სიჩუმე მიშა ზამთარაძემ დაარღვია.

— მალე დაიწყება არმიაში მობილიზაცია, უწყებას არ დავუცდი, ფრონტზე მოხალისედ წავალ.

— მეც, — თქვა გივი ვაშაკიძემ.

გლდანის ქუჩაზე ყველამ თავთავის ეზოს მიაშურა. ჩვენი წყნარი ქუჩა უჩვეულოდ გამოცოცხლებული ჩანდა. სახლების წინ ხალხი ჯგუფ-ჯგუფად იდგა. ყველა ომზე ლაპარაკობდა.

სწრაფად ავირბინე ჩვენი სახლის მოკლე კიბე და ოთახში შე-

ვედი. ოთახში სიჩუმე იყო. იმ ღღეს დედაჩემი ქარხნის სამედიცინო პუნქტში მორიგეობდა, მამაჩემი კი მორიგი რეისის შეძდეგ დაბრუნებულიყო და ეძინა. რადიოც კი გამორთული იყო ჩვენთან.

მამაჩემი, ალექსანდრე ბეგლარის ძე ჩხეიძე, პირველი მსოფლიო ომამდე კასპიის ზღვაზე მსახურობდა მეზღვაურად თევზსაჭერ ხომალდზე. იგი დაკავშირებული იყო ბაქოს იატაკქვეშა ბოლშევიკურ ორგანიზაციასთან და ასრულებდა მის საბრძოლო დავალებებს, კასპიის ფლოტის მეზღვაურთა შორის ავრცელებდა ბოლშევიკურ გაზეთებსა და ფურცლებს. პირველი იმპერიალისტური ომის დაწყებისთანავე მამა ჯარში გაიწვიეს თურქეთის ფრონტზე. იქ მოუსწრო ოქტომბრის რევოლუციამ, იქიდან დერბენდში მოხვდა და შეუერთდა მეთერთმეტე არმიას, რომელსაც სათავეში ედგნენ სერგო ორჯონიკიძე და სერგეი კიროვი. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მამა თბილისში დასახლდა და რკინიგზაზე დაიწყო მუშაობა, მალე ორთქლმავლის მემანქანე გახდა ხშირად ღამის რეისებში უწევდა სიარული. სწორედ ასეთი მორიგი რეისის შემდეგ ისვენებდა იგი. მენანებოდა გაღვიძება, მაგრამ იძულებული ვიყავი. სიტყვა „ომმა“ მაშინვე გამოაფხიზლა.

მეორე დღეს სკოლაში მეათეკლასელებს ვაცილებდით. მხოლოდ რამდენიმე დღის წინ დაამთავრეს მათ სკოლა და ახლა მოხალისეებად მიდიოდნენ ფრონტზე. ასამდე კაცი იქნებოდა. მე და ჩემი მეგობარი თენგიზ გელაშვილი მეათეკლასელებს გავყევით. რაიონის სამხედრო კომისარიატის წინ დიდხანს მოგვიხდა ლოდინი. იქ ჩვენი რაიონის ბევრ ახალგაზრდას მოეყარა თავი.

ძე და თენგიზმა მხოლოდ ყველაზე ბოლოს მოვახერხეთ კომისარიატში შესვლა. დიდ ოთახში მაგიდას სამი მეთაური უსხდა.

— აქ რამ მოგიყვანათ?—მკაცრად გვკითხა უფროსმა ლეიტენანტმა.

— გთხოვთ, მოხალისეებად გაგვაგზავნოთ ფრონტზე.

მეთაურებმა ერთმანეთს გადახედეს. უფროსმა ლეიტენანტმა დაღლილი ხმით თქვა:

— აი რა, ბიჭებო, წადით სახლში. აქ სერიოზული საქმეა, თქვენ კი...

რომ არ მოვეშვით, უფროსმა ლეიტენანტმა არცთუ ზრდილობიახად ჩაგვავლო ხელი საყელოში და ოთახიდან გამოვვისტუმრა.

— აქ აღარ ვნახო ესენი! — უბრძანა მან მორიგე სერჟანტს.

ჩვენი ფეხბურთის გუნდიდან იმ ზაფხულს ოთხნი წავიდნენ მოხალისედ ფრონტზე. 1942 წლის მაისში სევასტოპოლში დაიღუპა ჩვენი ცენტრალური თავდამსხმელი მიშა ზამთარაძე. მალე ნოვოროსიისკის ბრძოლებში დაეცა საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი საშა ყორშია, მისი თანაგუნდელი რაჩიკ იგეზარიანი ბელორუსიაში იბრძოდა და იქ დაიღუპა. ჩვენი მეკარე გივი ვაშაკიძე შავი ზღვის ფლოტის მეზღვაური გახდა. მტრის ავიაციის ერთერთი თავდასხმის დროს მძიმე კონტუზია მიიღო. ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ გივი სამხედრო სამსახურისთვის უვარგისად სცნეს.

თბილისში ბევრმა ჩაიცვა ძაძები. მარტო ჩვენი პატარა ეზოდან თორმეტი კაცი დაიღუპა ფრონტზე.

პიოველი ცნობა შვილის დაღუპვის შესახებ ჩვენს ეზოში ნიკოლოზ ავალიანმა, ძველმა რკინიგზელმა მუბამ მიიღო. მისი ვაჟიშვილი დიმიტრი ავალიანი მესაზღვრეთა საგუშაგოს მეთაურად მსახურობდა ბოესტის ციხესიმაგრესთან. მისმა საგუშაგომ მიიღო მტრის პირველი დარტყმა. ორმოცდაათი მესაზღვრე დიმიტრი ავალიანის მეთაურობით ოთხი დღის განმავლობაში გმირულად უმკლავდებოდა რიცხობრივად ბევრად მეტ მტერს. ბოლოს ყველა დაიღუპა.

ეოთხელ ივლისის ბოლოს დედასთან მივედი კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელ ქარხანაში, სადაც იგი სამედიცინო პუნქტში მუშაობდა. სამედიცინო პუნქტის მახლობლად სამხედრო საამქრო მუშაობდა. იქ ჯურვების მთელი მთა იყო აღმართული. ჯურვეებთან იდგა წუნმდებელი, ჩვენი მეზობელი ლევან თათარაშვილი, ხელში ლითონის მზომი ეჭირა და ჯურვებს ამოწმებდა. 500 ჯურვიდან მან მხოლოდ სამი დაიწუნა. შემდეგ ეს ჯურვები მუშებმა საგანგებო ხის ყუთებში ჩაალაგეს და საბარგო მანქანებზე იწყეს დატვირთვა. თუმცა დატვირთვა ლევანის საქმე არ იყო, იგი გულმოდგინედ ეხმარებოდა მუშებს.

— ლევან, მეც მოგეხმარებით ჯურვების ჩაწყობაში, — მივმართე ლევან თათარაშვილს.

მან ამხედ-დაძხედა და ძოკლედ მოძიჭრა:

— კარგი.

მუშაობა რომ დავამთავრე, მკლავებში საშინელი ტკივილი ვიგრძენი, მაგრამ ისე კმაყოფილი ვიყავი, რომ არად ჩავაგდე.

— ამ ზაფხულს მაინც არაფერს ვაკეთებ,—ვუთხარი ლევანს,— თუ შეიძლება, ყოველდღე მოვალ და მოგეხმარებით.

— უფროსების ნებართვაა საჭირო, — მომიჭრა მან.

მთავარ ინჟინერ ვლადიმერ კოლოსოვსკისთან გამგზავნა. მის კაბინეტში ქარხნის პარტკომის მდივანი ნიკოლოზ გოგელიძეც დამიხვდა.

— დედაჩემი თქვენს პოლიკლინიკაში მუშაობს, — მივმართე მათ, — ნება მომეცით ჰურვების დატვირთვაში მოგეხმაროთ.

— მათ გაიცინეს, ინიციატივა მომიწონეს და მუშაობის ნება დამრთეს.

ზაფხულის არდადეგების შემდეგ 1 სექტემბერს მე და ჩემი ამხანაგები ისევ სკოლაში შევიკრიბეთ უკვე მე-9ბ კლასში.

მრისხანე 1942 წლის შემოდგომა იდგა. ფრონტი აღმოსავლეთისკენ ინაცვლებდა. იგი კავკასიონს უახლოვდებოდა. ჩვენს ქალაქს სშირად მტრის თვითმფრინავები გადაუქროლებდნენ ხოლმე. საზენიტო ქვემეხების გრიალისგან ზანზარებდნენ სკოლის ფანჯრის მინები. ჩემი ამხანაგები უკვე მეთექვსმეტე წელიწადში იყვნენ გადასული, ზოგიერთმა პასპორტიც მიიღო. ჩემ გვერდით, როგორც ადრე, იჯდა ნინა მუქერია. ამ ზაფხულს იგი ქალაქიდან არ გასულა, მაგრამ იშვიათად ვხვდებოდით, როგორ გამოცვლილა!

სკოლაში ვახერხებდით დროის გამოძებნას, რათა შეფობა გაგვეწია ჰოსპიტალისათვის. ვუკითხავდით დაჭრილებს გაზეთებს, ვმართავდით კონცერტებს. ხატვის გაკვეთილები შევცვალე ომისათვის უფრო საჭირო მეცადინეობით ხელჩართული ბრძოლის ინსტრუქტორების კურსებზე.

1943 წლის გაზაფხულზე მე და თენგიზ გელაშვილმა კიდევ ერთხელ ვცადეთ ფრონტზე მოხვედრა. წინასწარ გავიგეთ, რომ ჩვენი რაიონის სამხედრო კომისრად იყო მიხეილ ლევანის ძე გახოკიძე, ძლიერ მკაცრი ადამიანი, ფრონტელი, საბჭოთა კავშირის გმირი. აპრილის ბოლოს ისევ მივაშურეთ რაიონის სამხედრო კომისარიატს. სამხედრო კომისარმა თავის კაბინეტში მიგვიღო.

— გისმენთ, რა საქმე გაქვთ?

თენგიზმა მუჯლუგუნი წამკრა. მთელი გზა ვკამათობდით ვის უნდა ელაპარაკა კომისარიატში და მაინც ვერ მოვრიგდით.

— ამხანაგო კაპიტანო, — დავიწყე მე, — ჩვენ ორივე სპორტსმენები გახლავართ, კომკავშირელები. უკვე მეჩვიდმეტე წელიწადში ვართ. შეგვიძლია ყოველგვარი სიძნელის გადატანა, გაგვგზავნეთ ფრონტზე.

კომისარმა ყურადღებით შეგვათვალიერა.

— სანაქებოა, სამშობლოს დაცვა რომ გადაგიწყვეტიათ, მაგრამ ბიჭებო, ცოტა ხანს მოითმინეთ.

ერთმანეთს გადავხედეთ. კომისარი მიგვიხვდა.

— ოქტომბერში ახალგაზრდობის გაწვევა იქნება ჯარში. 1926 წელს დაბადებულებს უწევთ. აი, მაშინ მომაკითხეთ. იქნებ რაიმე მოვიფიქროთ ერთად.

სამხედრო კომისარს მადლობა გადავუხადეთ და ფრთებშესხმულები ქუჩაში გამოვვარდით.

ასეთი პასუხის მერე მზე თითქოს უფრო კაშკაშებდა.

— გახსოვს, აქედან როგორ გამოგვაპანღურეს? — სიცილით მკითხა თენგიზმა.

როგორ არ მახსოვდა, მაგრამ ეს თითქმის ორი წლის წინ იყო.

გაზაფხულზე ჩვენს ბიჭებს დატვირთვა მოემატათ. თითქმის ყველა დადიოდა ხელჩართული ბრძოლის კურსებზე. ივნისში კურსებზე მეცადინეობა დავამთავრეთ. დადგა სკოლის გამოცდების დროც. უნდა აღვნიშნო, რომ ომის დროს ყველა განსაკუთრებული მონდომებით სწავლობდა. შვიდი ფრიადოსანი გვყავდა კლასში. წინასწარ ვიტყვი — ჩვენი კლასის 36 მოსწავლიდან 25-მა მიიღო უმაღლესი განათლება.

1943 წლის ზაფხულში თბილისის მე-9 და მე-10 კლასებში სპაციალურ სამხედრო მომზადებას გავდიოდით. ვსწავლობდით იარაღს, სმელეთზე ბრძოლის ტაქტიკას. ჩვენი მასწავლებლები ყოფილი ფრონტელები იყვნენ. განსაკუთრებით დამამახსოვრდა უფროსი ლეიტენანტი ვასილ თათრიშვილი. იგი ორდენით იყო დაჯილდოებული, ფრონტზე მიღებული მძიმე ჭრილობის გამო ახლა ზურგში იყო და სამხედრო საქმეს ასწავლიდა ახალგაზრდებს.

მე და თენგიზმა მტკიცედ გადავწვიტეთ, ოქტომბერში ისევ მიგვეკითხა კაპიტან გახოკიძისათვის სამხედრო კომისარიატში.

პირველ სექტემბერს კი სკოლაში საზღვაო ფლოტის ოფიცერი და საქართველოს ახალგაზრდობის ლენინური კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენლები მოვიდნენ. მათ გამოგვიცხადეს, რომ ფრონტისათვის აგროვებდნენ მოხალისე კომკავშირელებს.

ეს ამბავი ყველაზე უფრო, მგონი, მე და თენგიზს გაგვეხარდა. არა მჯეროდა, რომ ჩვენი ოცნება ასრულდა.

მეორე დღეს მე და თენგიზ გელაშვილი საქართველოს ალკკ ცენტრალურ კომიტეტში მივედით და კომკავშირული საგზურები მივიღეთ. სამი დღის შემდეგ, 5 სექტემბერს, უკვე თბილისის რკინიგზის ვაგზალში ვიყავით. მატარებელთან თავი მოვიყარეთ თბილისელმა კომკავშირელებმა, რომლებიც მოხალისედ მივდიოდით სამხედრო-საზღვაო ფლოტში და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელებმა. გამოთხოვებისას ბევრი ლაპარაკი, სამუდამოდ დასამახსოვრებელი სიტყვა ითქვა. გვაცილებდნენ მშობლები, მახლობლები, მასწავლებლები, სკოლის მეგობრები.

დილით უკვე ფოთში ვიყავით. ზღვისპირეთი, ჩვეულებისამებრ, წვიმით შეგვხვდა. ორმოცი თბილისელი კომკავშირელი ფეხით გავიარეთ გზას შავი ზღვის ეკიპაჟისაკენ. იქ კომკავშირელთა დიდი ჯგუფი გულმხურვალედ შემოგვეგება. ესენი იყვნენ მოსკოველი, ლენინგრადელი, ჩელიაბინსკელი, კალინინელი, ყაზანელი, გორკელი ბიჭუკები. ჩვენ სულ მალე დავმეგობრდით.

მეორე დღეს სამხედრო მეზღვაურის ტანსაცმელი დაგვირიგეს. როგორც იქნა, აღსრულდა ჩემი დიდი ხნის ოცნება: მეზღვაური ვარ, სამხედრო-საზღვაო მეზღვაურის ტანსაცმელში გამოწყობილი. უკარტუნო ქუდს ოქროსფერი ასოებით აწერია: „შავი ზღვის ფლოტი". მე და ჩემი მეგობარი თენგიზ გელაშვილი ვერ ვმალავდით უდიდეს სიხარულს, თვალებგაბრწყინებულნი ვიღიმებოდით მთელ დღეს.

სამედიცინო კომისია სწრაფად გავიარეთ, საზღვაო სასწავლებლებში განაწილების დროს კი ბევრი ვიღლეოდით. მისაღებში, გრძელ ოთახში, ათამდე მაგიდა იდგა. თითოეულთან მდივანი და სასწავლებლის წარმომადგენელი იჯდა. მაგიდები დანომრილი იყო. კომისიის თავმჯდომარემ, სანაპირო სამსახურის გენერალ-მაიორმა,

ჩემი საბუთები დაათვალიერა და დაუსვა ნიშანი—6. მე-6 მაგიდასთან გავიგე, რომ შავი ზღვის ფლოტის უმცროს მეთაურთა გაერთიანებულ სკოლაში გამანაწილეს. მეგონა, თენგიზიც ჩემთან ერთად იქნებოდა. აღმოჩნდა, რომ ის საზენიტო არტილერიის სასწავლებელში გაენაწილებინათ.

ამან ძლიერ დაგვაღონა. ახალგაზრდა მდივანმა ქალმა გვირჩია, დაიცადეთო და როდესაც მოხალისეთა განაწილება დამთავრდა, გენერალთან მიგვიყვანა.

გენერალმა ღიმილით მოუსმინა ჩვენს თხოვნას—ერთ სკოლაში გაგვანაწილეთო და გვითხრა:

— უცნაური ხალხი ხართ, სხვადასხვა სკოლას დაამთავრებთ და ერთ ხომალდზე მოხვდებით, ჰოდა, ისევ ერთად იქნებით.

სამხედრო სამსახურში უფროსებს არ ეკამათებიან. მე და თენგიზს განშორება მოგვიხდა. თენგიზი სხვა მეზენიტეებთან ერთად ქობულეთში გააგზავნეს, ჩვენ კი — ბათუმის საზღვაო სასწავლებელში.

ისევ წვიმდა და თუმცა თენგიზს დამაშორეს, მაინც კარგ გუნებაზე ვიყავი, წინ ფლოტის არც თუ იოლი სამსახური მელოდა.

საზღვაო სასწავლებელი ჩაის ფაბრიკის ყოფილ შენობაში იყო მოთავსებული და ზემოდან დასჩერებოდა ზღვას. სუბტროპიკულმა პეიზაჟმა აღტაცებაში მოიყვანა ჩრდილოელი კურსანტები.

მეცადინეობა პირველსავე დღიდან დაგვეწყო. ჯერ ახალგაზრდა წითელფლოტელის სწავლების კურსს გავდიოდით. დამსახურებული მეთაურები გვასწავლიდნენ. განსაკუთრებული ავტორიტეტით სარგებლობდა „ბატიარ", როგორც ზურგსუკან ვეძახდით სასწავლებლის უფროსს—ივანე თედორეს ძე კასილოვს. ეს იყო მაღალი, ჩასხმული კაცი, ბევრი ლაპარაკი არ უყვარდა. საზღვაო სამსახური ჯერ კიდევ პირველი მსოფლიო ომის დროს დაეწყო, სამოქალაქო ომის შემდეგ დაემთავრებინა სამხედრო-საზღვაოსნო სასწავლებელი. სევასტოპოლის დაცვის დროს უკვე სექტორის კომენდანტი იყო. მტრის ავიაციის ერთ-ერთი თავდასხმისას იგი მძიმედ დაიჭრა. თბილისში მკურნალობის შემდეგ დანიშნეს ბათუმის სამხედრო-საზღვაო სკოლის უფროსად.

სასწავლებლისათვის პოლკოვნიკმა ღირსეული კადრები შეარჩია. მისი მოადგილე იყო კაპიტანი ჩერვენჩუკი. სევასტოპოლთან

მტრის ჭურვის ნამსხვრევმა მას ხელის მტევანი მოაგლიჯა. საფრონტო გამოცდილება არც სხვა პედაგოგებს და მეთაურებს აკლდათ.

ჩემი ამხანაგები ყველანი ჩვიდმეტი წლისანი იყვნენ, მხოლოდ მე ვიყავი თექვსმეტის. მაგრამ არც ფიზიკური მომზადებით და არც სწავლაში მათ არ ჩამოვრჩებოდი. თბილისში სამხედრო მომზადების დროს მიღებული გამოცდილება მეხმარებოდა. სასწავლებელში 150 კურსანტი ირიცხებოდა. ჩვენ ორ ბატარეად ვიყავით დაყოფილი. ჩვენი კლასი ძლიერ მეგობრული იყო. განსაკუთრებით დავმეგობრდით მე და სევასტოპოლელი კომკავშირელი ვოვა მალი. კლასში მე და ვოვა ერო მერხზე ვისხედით, კუბრიგში ერთმანეთის გვერდით გვეძინა. ის იყო ჭეშმარიტი სევასტოპოლელი — უშიშარი, ენამახვილი, მხიარული და მეტად შრომისმოყვარე. მალიმ მიამბო როგორ ცხოვრობდნენ სევასტოპოლელები ომამდე, როგორ შეხვდნენ ომის დაწყებას, ალყაში მყოფნი როგორ იგერიებდნენ მტრის ჭარბი ძალების შემოტევას. ორივეს ძლიერ გვსურდა სევასტოპოლის განთავისუფლებაში მონაწილეობის მიღება.

მალე ჩვენი ბატარეის კომკავშირის ორგანიზაციის მდივნად ამირჩიეს. საშუალო სკოლაში კომკავშირული მუშაობის ცოტაოდენი გამოცდილება უკვე მქონდა. კომისარ ჩერვენჩუკის დავალებით რამდენიმეჯერ გამოვედი მოხსენებით ბათუმის სკოლებში. მოსწავლეებს მოვუთხრობდი ომის შესახებ, შავი ზღვის გმირი ფლოტელების შესახებ. მჭიდრო კავშირი გვქონდა ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებლის კომკავშირულ ორგანიზაციასთან და სამხედრო-საზღვაო სასწავლებლის კურსანტები ხშირად დავდიოდით სტუმრად საზღვაოსნო სასწავლებლის აღსაზრდელებთან.

ერთი თვის სწავლების შემდეგ ახალგაზრდა წითელფლოტელის სწავლების კურსი დავამთავრეთ, სამხედრო ფიცი მივიღეთ და ახლა უფრო სერიოზულად მოვეკიდეთ სამხედრო სამსახურს.

ერთხელ ნოემბრის ღამეს მომიხდა საგუშაგოზე დგომა. სამხედრო სკოლის ტერიტორიას ვიცავდი ზღვის მხრიდან. შაშხანით ხელში აუჩქარებელი ნაბიჯით ვუვლიდი გარს ტერიტორიის ჩემს მონაკვეთს. ძალიან ბნელოდა და საშინელი ამინდი იდგა. ცივი ქარი ქროდა და გადაუღებლად წვიმდა.

წვიმამ მთლად დამისველა მეზღვაურის მაზარა და იგი უსიამოდ მეკვროდა ტანზე. მივყვებოდი ვიწრო ბილიკს, რომლის ერთ მხა-

[illegible] ბიმწარავებულიყო. ყურადღებით ვაკვირდებოდი [illegible] ბუჩქნარს. ჯერჯერობით საეჭვო არაფერი იყო.

ტყუილად კი არ ვფრთხილობდი. ორი დღის წინ ჩვენი სასწავლებლის ტერიტორიაზე ღამის გუშაგს დაესხნენ თავს. ეს ასე მოხდა სასწავლებლის შესასვლელთან ჩვიდმეტი წლის კურსანტი სოროკინი იდგა გუშაგად. სოროკინი ჩუმი ბიჭი იყო, არაფრით გამოირჩეოდა. იმ ღამეს ჩვენი სამწყობრო ნაწილის უფროსმა კაპიტანმა ალექსანდრე პაველეს ძე ხიხლენკომ და პირველი თანრიგის ზემდეგმა საენკომ გადაწყვიტეს გუშაგის სიფხიზლის შემოწმება. ისინი წეუმჩნეველად მიუახლოვდნენ მას, ბუჩქებს ამოეფარნენ და იქიდან დაუწყეს თვალთალი.

გუშაგს ეჭვი არაფერზე აუღია. როდესაც მან ზურგი შეაქცია ბუჩქნარს, საენკომ მოულოდნელად თივთიკის საბანი გადააფარა, ხოლო ზორბა კაპიტანმა ხიხლენკომ შაშხანა აართვა. კაპიტანი ხიხლენკო თვლიდა, რომ მას სამსახურებრივი მოვალეობა აკისრებდა კურსანტების სიფხიზლის შემოწმებას და აკი დაამტკიცა კიდეც რომ ახალგაზრდები საგუშაგოზე საკმაო სიფხიზლეს არ იჩენენ. სხვები ამგვარ შემოწმებას გადაჭარბებულად თვლიდნენ. მეორე დღეს ჩვენი ბიჭები ცხარედ კამათობდნენ. როდესაც ჩემი აზრი იკითხეს, მე ვუპასუხე:

— პატივსა ვცემ კაპიტან ხიხლენკოს, მაგრამ, მე მგონი, ამ შემთხვევაში ის არასწორად მოიქცა. გარდა ამისა მას ბედი სწყალობდა.

ბიჭებმა გაიკვირვეს.

— იმ ღამით უფრო მარჯვე კურსანტი რომ მდგარიყო საგუშაგოზე, შეიძლება შემთხვევით მოეკლა კიდეც კაპიტანი.

მალე გავიგეთ, რომ სასწავლებლის ბევრმა პედაგოგმა არ მოუწონა აღზრდის მეთოდები კაპიტან ხიხლენკოს, ხოლო ჩვენი „ბატია“ — პოლკოვნიკი კასილოვი გაბრაზდა კიდეც.

ეს უსიამოვნო შემთხვევა კარგად დაგვამახსოვრდა, ამიტომაც ვფრთხილობდი. ბნელი ბუჩქნარის დათვალიერების შემდეგ მანძილმზომის მოედნისაკენ გავუხვიე. პირდაპირ გუბეებში მივაბიჯებდი. თან ყურს ვუგდებდი ჩემი ნაბიჯის ხმას და წყლის დგაფუნს. კიბეს რომ მივუახლოვდი, კიდევ ერთხელ მოვიხედე უკან და ავუყევი საფეხურებს.

მოედანი, რომლის შუაგულში საბჭოთა ძანძილმზომი იდგა. მოსწორებული იყო და აგურის ნაფხვენით მოფენილი. აქ უფრო მძლავრად უბერავდა ქარი. დროდადრო იგი ჩადგებოდა ხოლმე და მერე უფრო ძლიერად წამოუბერავდა. მანძილმზომის გასაკეთებ მივდიოდი. მოულოდნელად რაღაც მძიმე მომესვდა ზურგში. შეკტორტმანდი, ქუდი გადამივარდა და მიწაზე გაგორდა. „თავ და-სხმაა“ — გამიელვა თავში. სწრაფად მოვტრიალდი და შაშხანა „ბენ-მართე.

— სდექ! ხელები მაღლა!

მაგრამ ჩემ წინ არავინ იყო. ძალიან გამიკვირდა. თვალი სიბნელეს მიჩვეული მქონდა და საკმაოდ კარგად ვხედავდი. ყურადღებით მოვათვალიერე მოედანი, საეჭვო ვერაფერი შევნიშნე. რაშია საქმე?

ამ დროს ისევ წამოუბერა ქარმა, მანძილმზომ ხელსაწყოზე გადაფარებული ბრეზენტის საფარი ააფრიალა და მძლავრად მომარტყა სახეში. გავმხიარულდი, თუმცა დარტყმა საკმაოდ მტკივნეული იყო. კმაყოფილი ვიყავი, რომ ვმოქმედებდი ისე, როგორც გუნაგს შეეფერის.

ძლიერ ინტენსიურად ვმეცადინეობდით, ამიტომ ქალაქში იშვიათად დავდიოდით. გაძლიერებულად ვსწავლობდით სახომალდო ტექნიკას, ჩვენს პროგრამაში დიდი დრო ეთმობოდა საბრძოლო სწავლებას ველზე და ზღვაში. მალ-მალე ვღებულობდი წერილებს მშობლებისაგან და მეგობრებისაგან. აი, პასუხის დასაწერად კი ცოტა დრო მქონდა.

მასწავლებლებიდან განსაკუთრებით დამამახსოვრდა ჩვენი ბატარეის მეთაური უფროსი ლეიტენანტი ნიკოლოზ ანდრიას ძე გოლოტენკო. ძალიან განათლებული ადამიანი იყო. ომამდე ლენინგრადში დაემთავრებინა უმაღლესი სამხედრო-საზღვაო საინჟინრო სასწავლებელი. შავი ზღვის ფლოტში მსახურობდა. მონაწილეობდა სევასტოპოლის და ნოვოროსიისკის დაცვაში. მისი ყოველდღიური ზრუნვითა და დახმარებით კარგად შევისწავლე საქმის მართვა და სიგნალიზაცია, რაც შემდგომში ძალიან გამომადგა.

საბჭოთა არმიის დღეს, 23 თებერვალს, ჩვენი სკოლა წითელი დროშებით და ტრანსპარანტებით იყო მორთული. საზეიმოდ ჩაცმულან, ორდენებით და მედლებით მკერდდამშვენებულმა მასწავლებლებმა პირველ კორპუსთან მოიყარეს თავი. წითელი არმიის

ღელსიან დაკავშირებით უფროსობამ გადაწყვიტა კურსანტებს შორის სპორტული შეჯიბრების მოწყობა სირბილში.

შეჯიბრი თერთმეტ საათზე დაიწყო. კურსანტები საზღვაო ფორმაში ვიყავით მაზარის გარეშე. დისტანცია 800 მეტრი იყო. სტარტიდან 400 მეტრი ალმართში უნდა გვერბინა და იგივე გზით დავბრუნებულიყავით უკან.

ჩვენი ჯგუფის ჯერიც დადგა. სტარტზე მოვეწყვეთ. ჩვენი საყვარელი მასწავლებელი გოლოტენკო მზერით გვამხნევებდა.

— სირბილისათვის მოემზადეთ! — გაისმა ბრძანება.

ოცდახუთი კურსანტი შეჯიბრების მსაჯს პირველი თანრიგის ზემდეგ მიხალჩენკოს მივჩერებოდით. იგი წამმზომს უყურებდა, ხოლო ზევით აწეულ მარჯვენა ხელში წითელი ალამი ეჭირა.

აი, მსაჯმა ალამი სწრაფად დაუშვა და ჩვენც სტარტს მოვწყდით.. თავდაუზოგავად მივრბოდით, ძალიან გვინდოდა, რომ ჩვენ ჯგუფს გაემარჯვა. ასე გავირბინეთ 150 მეტრი და დავიღალეთ. მკვეთრად შევანელეთ სირბილის ტემპი. ალმართში სირბილი ძნელი იყო. მე გავუსწარი ჯგუფს. პირველი მენიშნე დისტანციის მე-200 მეტრზე იდგა. ამის შემდეგ ყოველ ორმოცდაათ მეტრში მდგარი მენიშნე ალმით გვიჩვენებდა გზის მიმართულებას.

ფინიშამდე 150 მეტრი იყო დარჩენილი. ამ დროს ჩემ წინ ოცდაათიოდე მეტრის მანძილზე ბუჩქებიდან გამოხტა კურსანტი ლეონიდე ნიკოლაევი და ფინიშისაკენ გაიქცა. გამიკვირდა, ვეცადე დავწეოდი, მაგრამ ვერ შევძელი. ლეონიდე პირველი მივიდა ფინიშთან. არაფერი მითქვამს, მაგრამ ბიჭები აღშფოთდნენ. მენიშნეებმაც დაამოწმეს, რომ ლეონიდე მთაზე არ უნახავთ. სამარცხვინო საქციელის გამოსასწორებლად მას სასწავლებლის საავარალო სამუშაოებზე ორმაგი შრომა უხდებოდა.

დადგა 1944 წლის მაისი. რადიოდან სულ უფრო და უფრო ხშირად გაისმოდა გამარჯვების სალუტი. კურსანტები დიდი მონდომებით ვემზადებოდით გამოცდებისათვის. გამოცდების წინ სარდლობამ გადაწყვიტა ხმელეთზე ჩვენი საბრძოლო ჩვევების შემოწმება. პირველი ბატარეა „ლურჯებად“ მოინათლა, ჩვენი — „წითლებად“. მშვენიერი ამინდი იდგა. „წითლებმა“ დავიკავეთ თავდაცვა მინდორში, სწრაფად გავთხარეთ სანგრები, შაშხანები დავტენეთ ცარიელი ვაზნებით, მოვამზადეთ ხელყუმბარები. ჩემ გვერდით

ვლადიმერ მალის ამოეთხარა სანგარი. ბატარეის მეთაური მოგვიახლოვდა და მიბრძანა მტრის თავდაცვის დაზვერვა.

სანგრიდან ამოვძვერი, მარჯვენა ხელში შაშხანა ავიღე და ფორთხვით გავწიე წინ. მაღალი ბალახი კარგად მფარავდა. მალე „ლურჯების“ ხმა მომესმა. მათი სანგრების მახლობლად ტყისკენ გადავუხვიე. ხეების უკან დამალული მოხერხებულად ვუთვალთვალებდი მოწინააღმდეგის პოზიციებს. შევამჩნიე, რომ „ლურჯები“ გაიყვნენ. ბატარეის მცირე ნაწილი დატოვეს, ხოლო ძირითადი ძალა ტყისკენ გაეშურა. მათი გეგმა ნათელი იყო. რასაკვირველია, გადაწყვიტეს ჩვენი ზურგიდან მოვლა და მოულოდნელი თავდასხმა. მე სწრაფად დავბრუნდი უკან და დაზვერვის შედეგი მოვახსენე ჩვენი ბატარეის მეთაურს. გოლოტენკომ მიიღო გადაწყვეტილება. მებრძოლთა მესამედი დატოვა სანგრებში, დანარჩენი კი ტყეში გაიყვანა და შენიღბა.

„მოწინააღმდეგემ“ შორიახლოს ჩაგვიარა. როდესაც ტყიდან გამოვიდა, ჩვენი ბატარეა მოულოდნელად გადავიდა იერიშზე და ზურგიდან დაესხა თავს „ლურჯებს“.

პოლკოვნიკი კასილოვი და კაპიტანი ხიხლენკო თვალყურს ადევნებდნენ ბრძოლას. მათ გამარჯვება ჩვენს ბატარეას მიანიჭეს.

შემდეგ სკოლის უფროსმა თავისთან დამიბარა. მე მის წინ გავიჭიმე.

— კურსანტო ჩხეიძე, მდლობას გიცხადებთ დაზვერვაში გამოჩენილი საზრიანობისათვის!

ეს იმდენად მოულოდნელი იყო, მგონი, დამავიწყდა, რომ უნდა მეპასუხა. პოლკოვნიკი მიმიხვდა და დაუმატა:

— გახსოვდეთ, ფრონტზე გაცილებით უფრო ძნელი იქნება. თქვენგან კარგი მზვერავი გამოვა.

დამამახსოვრდა ეს პირველი დამსახურებული მადლობა. პოლკოვნიკი თითქოს მომავალს სჭვრეტდა. ფრონტზე აკი მართლაც მზვერავი გავბდი!

გამოცდები დამთავრდა. ყველა კურსანტმა კარგი მაჩვენებლებით დაამთავრა სწავლა და უფროსი წითელფლოტელის წოდება მოგვანიჭეს.

მაშინ, მე მგონი, პირველად მივხვდი, რა დიდი მნიშვნელობა აქვს დაზვერვას სამხედრო საქმეში, რაოდენ საჭიროა წარმატების-

თვის მოწინააღმდეგის შესახებ ზუსტი მონაცემების ცოდნა. სწორედ მაშინ გადავწყვიტე გავმხდარიყავი მზვერავი. მართალია, ჩვენი სასწავლო ბრძოლა „წითლებსა“ და „ლურჯებს“ შორის საბავშვო თამაში იყო ნამდვილ ომთან შედარებით, მაგრამ მე ძლიერ მადლიერი ვარ იმ ბრძოლის, რომელმაც მიკარნახა, სად იყო ჩემი ადგილი ფრონტზე.

პირველ ივნისს საუზმის შემდეგ ზღვისპირა ფლატეზე გავედი. საცაა ჩემი ბედი უნდა გადაწყვეტილიყო. ნეტავ რომელ ზღვისპირა ქალაქში გამაგზავნიან? ვისთან ერთად მოვხვდები? შეიძლება, ბათუმში დამტოვონ. რა ცუდია, რომ გვიან დავიბადე. ეტყობა, აღარ მომიწევს დიდ სამამულო ომში მონაწილეობის მიღება. შავი ზღვა თითქმის თავისუფალია.

— ალექსი, სადა ხარ? — გაისმა ვლადიმერ მალის ხმა.

მე ვუპასუხე.

— რა დროს ზღვით ტკბობაა, პოლკოვნიკის კაბინეტთან განაწილების სია ჰკიდია.

სასწრაფოდ მეორე კორპუსთან გავიქეცით. ჩვენი ბიჭები უკვე იქ იყვნენ, მღელვარებით ათვალიერებდნენ სიას. წინ გავძვერით და კითხვა დავიწყე: „გაიგზავნოს ბათუმში“... „გაიგზავნოს ფოთში“... „სოხუმში“... ჩემი გვარი არსად ჩანდა. ბოლოს, ამოვიკითხე: „გაიგზავნოს დუნაის ფლოტილიაში“... აი, იქ ორი ამხანაგის გვართან ერთად ეწერა ჩემი გვარიც.

ვერ მოვითმინე და შევძახე:

— ვაშა! გაუმარჯოს დუნაის ფლოტილიას!

ჩემი მეგობარი ვლადიმერ მალი ქერჩში გაანაწილეს. მოვილაპარაკეთ, რომ კავშირს არ გავწყვეტდით.

მეორე დღეს ყველანი ვაგზალზე ვიყავით. მზე ანათებდა. ბაქანზე მასწავლებელთა ჯგუფი იდგა. პოლკოვნიკი საველოუმო მუნდირში გამოწყობილიყო, მკერდს ორდენები და მედლები უმშვენებდა.

ვაგონები დაიძრა, ჩვენ ყველანი ღია ფანჯრებთან ვიდექით. პოლკოვნიკმა კასილოვმა ხელი ასწია და მოკლედ გვითხრა:

— ბედნიერებას გისურვებთ, შვილებო!

„მშვიდობით, საყვარელო ბათუმო“, — გავიფიქრე. მაშინ რა ვიცოდი, რომ ოცდაოთხი წლის შემდეგ ისევ მოვხვდებოდი აქ,

დასახიჩრებული დავბრუნდებოდი ფრონტიდან, რათა ახალგაზრდობისათვის ომის გმირების ამბავი მომეთხრო.

მატარებელი თბილისს უახლოვდებოდა. კუპეში ჩემი ამხანაგები დომინოს თამაშობდნენ. მე კი ფანჯარას არ ვცილდებოდი, ხარბად ვაკვირდებოდი კარგად ნაცნობ გზატკეცილს, რომელზეც არაერთხელ მიქროლია მოტოშეჯიბრების დროს. ნეტავ, რამდენი ხნით გაჩერდება ჩვენი მატარებელი თბილისის სადგურში, ვფიქრობდი მე. მაშინ, 1944 წელს, მატარებლები საქართველოდან ჩრდილოეთისაკენ ბაქოს გავლით მიდიოდა.

— რამდენი ხნით გავჩერდებით თბილისში? — ვკითხე ვაგონის გამცილებელს.

— თბილისში? ზუსტად ორმოცი წუთი, — მიპასუხი მან.

თუ მეთაური გამიშვებს, მოვასწრებ სახლში მირბენას-მეთქი, გავიფიქრე და მივედი უფროს ლეიტენანტ გოლოტენკოსთან.

— ნიკოლოზ ანდრიას ძე, გეთაყვა, გამიშვით სახლში. შეიძლება ფრონტიდან ვერც კი დავბრუნდე, მინდა მშობლებს გამოვეთხოვო!

ჩემი თხოვნა მოულოდნელი იყო გოლოტენკოსათვის, იგი ყოყმანობდა.

— სადგურიდან ჩემს სახლამდე ტრამვაის მხოლოდ ორი გაჩერებაა, თავისუფლად მოვასწრებ, — შევეხვეწე კვლავ.

გოლოტენკომ უარი ვეღარ მითხრა, დროზე დაბრუნდი, არ დაგვაღალატოო,—მომაძახა ვაგონის კარისკენ მიმავალს. მატარებლის გაჩერებისთვის არ მომიცდია, ბაქანზე ჩამოვხტი და გავიქეცი.

შინ მამა დამიხვდა. იგი მაგიდასთან იჯდა და გაზეთს კიხულობდა. მე რომ დამინახა, შეკრთა, აღელდა, შემდეგ მაგრად გადამეხვია და დაფაცურდა:

— დედაშენი ქარხანაშია, წავალ, დავურეკავ.

მამა შევაჩერე, რამდენიმე წუთით შემოვირბინე, ფრონტზე მივემგზავრები-მეთქი, ავუხსენი.

ფეხზე ვიდექით და ისე ვსაუბრობდით. თვალში მეცა, როგორ გამოცვლილიყო მამა, დაბერებულიყო. გასამხედროებულ რკინიგზის ტრანსპორტზე მძიმე სამუშაოს, უძილო ღამეებს, დარდს, თავისი დაღი დაეჩნია მისთვის. მამასთან ლაპარაკის დროს ჩვენს

ოთახს ვათვალიერებდი. ყველაფერი ძველებურად იყო. პატარა მაგიდაზე იდო წიგნებით გატენილი ჩემი სასკოლო ჩანთა. ზუსტად ისე, როგორც დავტოვე. კედელზე იმავე ადგილას ეკიდა ჩემი საყვარელი სურათები.

წუთებმა სწრაფად გაირბინეს. წასვლის დრო იყო. მამას ჩემი გაცილება უნდოდა, მაგრამ მაგვიანდებოდა. მაინც ეზოს ჭიშკრამდე გამომაცილა, მაგრად გადამკოცნა და გავიქეცი.

დილით ბაქოში ჩავედით. აქ გავიგეთ, რომ მხოლოდ მეორე დღეს გაგვაგზავნიდნენ მატარებლით როსტოვამდე.

მატარებელი კასპიის ზღვის ნაპირს მიპყვებოდა. მზიანი დღე იყო. შორს მეთევზეთა ნავები მოჩანდა.

გავიარეთ დერბენდი და მახაჩკალა. სამოქალაქო ომის დროს მამაჩემი — რევოლუციის ჯარისკაცი, სწორედ ამ ადგილებში ებრძოდა თეთრგვარდიელებს და უცხოელ დამპყრობლებს.

ყუბანში თითქმის ყველა სადგურზე პატარა ბაზარი იყო გამართული. ტანადი, სიმპათიური ყუბანელი ქალიშვილები მხიარულად გვესალმებოდნენ, გვესროდნენ ბლით და ხენდროთი სავსე პარკებს.

მატარებელი ძალიან ნელა მიდიოდა. უკრაინაში თითქმის ყველა სადგურზე ვჩერდებოდით. ვტკბებოდით ვრცელი მინდვრების, ალუბლის ბაღების და პატარა თეთრი სახლების ყურებით.

ფრონტს ვუახლოვდებოდით. ვაგონის გამცილებელი შიშით შეხედავდა ხოლმე ცას, მაგრამ ჩვენი ავიაცია საიმედოდ გვიცავდა. ვაგონიდან ვხედავდით ფართო ველს, სადაც გერმანელთა დამსხვრეული ტანკები იყო მიმობნეული.

ვუახლოვდებოდით გმირ ქალაქ ოდესას.

თავი 2

საბრძოლო ნათლობა

1944 წლის ივლისის პირველ რიცხვებში მე ჩვენს სამხედრო-საზღვაო სკოლადამთავრებულთა ჯგუფთან ქ. ოდესაში ჩავედი. სულ რაღაც სამი თვის წინ ჩვენმა ნაწილებმა გაანთავისუფლეს ეს მშვენიერი ქალაქი. თვალში გვეცა დანგრეული რკინიგზის სად-

გური. ვიგრძენით, რომ ფრონტულ გარემოცვაში მოვხვდით. ტრამვაი იშვიათად დადიოდა, ამიტომ ფეხით გავემართეთ ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ რაიონისაკენ, სადაც იმყოფებოდა დუნაის სამხედრო ფლოტილიის ეკიპაჟი.

მზიანი დღე იყო. ჩვენ მწყობრი ნაბიჯით მივდიოდით. არ გვეჩქარებოდა. ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდით უცნობ ქალაქს, რომელიც ძლიერ მომეწონა, თუმცა ბევრი შენობა დანგრეული იყო სულ ახლახან გადატანილი ბრძოლების შედეგად.

ჩვენი ჯგუფის მეთაური, უფროსი ტექნიკოს-ლეიტენანტი გოლოტენკო, აღელვებული ჩანდა. სამი წლის წინ, 1941 წლის აგვისტოში მან თავის საზღვაო ქვეით ჯარისკაცთა ასეულთან ერთად დიდი გულისტკივილით დატოვა ოდესა, და აი, დღეს პირველად შედგა ფეხი გაანთავისუფლებულ ქალაქში. მისთვის აქ ნაცნობი და ძვირფასი იყო ყოველი ქუჩა, ყოველი სახლი. დაწვრილებით მოგვითხრობდა ოდესის გმირული თავდაცვის შესახებ, რომლის უშუალო მონაწილე თვითონ იყო.

დიდხანს მივდიოდით, მოგვწყურდა. ბოლოს, მივაღწიეთ წყნარ საბაგარაკო ადგილს, სადაც დაბინავებული იყო ფლოტილიის ეკიპაჟი. ამ ადგილს მეთერთმეტე სადგური ერქვა. სინანულით დავშორდით ჩვენს აღმზრდელ გოლოტენკოს. მასთან ხომ დაკავშირებული იყო მრავალი მოგონება ბათუმის უმცროს მეთაურთა სკოლაზე.

ბეორე დღეს მეზღვაურთა ჯგუფი, რომელში მეც მოვხვდი, წაგვიყვანეს ქალაქის დასათვალიერებლად. მშვენიერი დილა იყო. ზღვიდან სასიამოვნო ნიავი ქროდა, ფეხით მივდიოდით. ექსკურსიის ხელმძღვანელი, მაღალი, გამხდარი, ასე, ოცდაათიოდე წლის ძიაარული ოდესელი, საინტერესოდ მოგვითხრობდა ქალაქის ისტორიას, გვიჩვენა ცნობილი ოპერის თეატრი, რომლის აფეთქებაც უნდოდათ ფაშისტებს უკანდახევისას. ჩვენმა პარტიზანებმა არ მისცეს ჰიტლერელებს ამის საშუალება.

გვიან საღამოს, დაღლილები, მაგრამ კმაყოფილები დავბრუნდით ჩვენს სადგომში.

საბი დღის შემდეგ სამხედრო კომისიამ დანიშნულების ადგილას გამიშვა. საღამოთი მივედი ოდესის ნავსადგურში. სწრაფად მოვნახე ნაღმსატყორცნი კატარღა № 21, სადაც მესაჭედ უნდა მემსა-

ხარა. გემბანზე მორიგე ზეზღვაური იდგა საბუთები ვაჩვენე და ვაკითხე, საღაა გემის მეთაური-ძეთქი. მორიგემ მეთაურის კაიუტაზე მიმითითა. დავაკაკუნე და ნებართვის შემდეგ შევაღე კარი. კედელთან მაგიდას უჯდა არცთუ მაღალი ახალგაზრდა. ასე, ოცდაოხუთი წლის ოფიცერი. ეს იყო გემის მეთაური ლეიტენანტი ჩესნოკოვი. მეთაურს გამოვეშიმე და, ცოტა არ იყოს, აღელვებით ვაცანი: „უფროსი მეზღვაური ალექსი ჩხეიძე გამოვცსადღი გემზე თქვენს განკარგულებაში“. ჩესნოკოვმა გამიღიმა და დაჯექი, შემომთავაზა. საბუთი გავუწოდე.

„სპორტსმენი და თანაც სწავლაში სანიმუშო — ნიშნავს, რომ ბრძოლაშიც სანიმუშო იქნები“, — მითხრა და შემდეგ კარგა ხანს მესაუბრა.

მეთაურის გულისხმიერმა მიღებამ ძლიერ გამახარა. შესანიშნავ გუნებაზე გამოვედი კაიუტიდან. გემბანზე ავედი, მეზღვაურები ისვენებდნენ. ეწეოდნენ, ჰყვებოდნენ ნაპირზე მომხდარ საინტერესო ამბებს და იცინოდნენ. გავიცანი ამხანაგები. ყველა მომეწონა. გემის ეკიპაჟი ათი კაცისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ ცხრამეტიოცი წლის, მაგრამ ბრძოლაში გამოცდილი კომკავშირელი ბიჭები. დავათვალიერე კატარღა. ძირი ნახევრად კილისებური ჰქონდა. წინა ნაწილში მოთავსებული იყო რეაქტიული ნაღმსატყორცნი — „კატუშა“, საბრძოლო ჯიხურში კი — მძიმე ტყვიამფრქვევი. შევედი ჯიხურში, ორივე ხელი მოვკიდე საჭეს და გავიხედე ჯიხურიდან. ხედვის არე კარგი იყო. გემის კიჩოზე მჭიდროდ დახვეულ ფოლადის ტროსზე დამაგრებული იყო ნიჩბიანი ჭურვი ნაღმების ამოსატრალად. სამანქანო განყოფილებაში საშუალო სიდიდის ძრავა იდგა, მარჯვენა კუთხეში — ბენზინით სავსე, ლითონის დიდი ავზი. დათვალიერებით კმაყოფილი დავრჩი. ეს სამდინარო გემი ხომ ჩემი სახლი უნდა გამხდარიყო.

დაიწყო ჩემი სამსახური გემზე. მალე მივეჩვიე ამხანაგებს, გავიცანი დუნაის ფლოტილიის სხვა ხომალდების მეზღვაურები და ოფიცრები. ფლოტილიას მეთაურობდა საბჭოთა კავშირის გმირი ვიცე-ადმირალი სერგეი გიორგის ძე გორშკოვი. შტაბის უფროსის თანამდებობა ეკავა პირველი რანგის კაპიტანს არკადი ვლადიმერის ძე სვერდლოვს. ორივენი დიდი ავტორიტეტით სარგებლობდნენ ფლოტში.

[illegible] ...ირე-
სებდა ნაღვაცურიცი კატარღის შესაძლებლობანი ბრძოლაში.

1944 წლის ივნისიდან ოდესაში მუშაობა ისევ დაძაბული გაცლდათ. ფრონტის ხაზი ქალაქიდან მცირეოდ ორმოცი კილომეტრით იყო დაშორებული. ხანდახან ქალაქის თავზე, ცაში გამოჩნდებოდნენ მტრის თვითმფრინავები. ოდესის მიდამოებში ზღვა ძლიერ იყო დანაღმული. ნავსაღგურის მაცლობლად მტრის მაგნიტურმა ნაღმებმა ორი კატარღა ააფეთქა. ორივე კატარღა ჩაიძირა და შემადგენლობა დაიღუპა. ტრალერების ბრიგადა დღედაღღე წმენდდა ზღვას ნაღმებისაგან.

ივლისში ჩვენი კატარღა ხშირად გადიოდა ზღვაში. განსაკუთრებით ვღელავდი, როცა პირველად დავდექი საჭესთან და კატარღა ზღვაში გავიყვანე.

დუნაის ფლოტილიის სხვა გემებთან ერთად ჩვენი კატარღა ხშირად დადიოდა საბრძოლო ოპერაციებზე. ღამით ვუალლოვდებოდით დნესტრის ლიმანის ყელს, ვსარგებლობდით სიბნელით და ნაღმებს ვუშენდით მტრის გამაგრებულ სექტორს. ასე, თანდათანობით მივიღე საბრძოლო წრთობა.

ერთხელ, 1944 წლის ივლისში, საღამოს ექვს საათზე ზღვაში გავედით, კურსი დუნაისაკენ გვექირა: ჩვეულებისამებრ საჭესთან ვიდექი, მარცხნივ მედგა ჩვენი მეთაური ლეიტენანტი ჩესნოკოვი. იგი, როგორც ყოველთვის ლაშქრობისას, ფანქრით აღნიშნავდა კატარღის კურსს რუკაზე. კატარღა ათი საზღვაო მილით დაშორდა ოდესას. სწორედ ამ დროს ჰაერში გამოჩნდა სამი გერმანული ბომბდამშენი. ჰიტლერელმა მფრინავებმა შეგვამჩნიეს და მოგვიახლოვდნენ. დაიწყეს პიკირება და ბომბების ჩამოყრა. თვითმფრინავების გამოჩენა და ჰაერიდან შემოტევა მოულოდნელი იყო, მაგრამ არ დავბნეულვართ. მეთაურმა ჯიხურის კარი გამოაღო და თვალი მიადევნა მტრის თვითმფრინავებს. როცა თვითმფრინავები პიკირებას და ბომბების ჩამოყრას იწყებდნენ, ჩესნოკოვი ხმამაღლა სცემდა ბრძანებას. მეც შესაბამისად ვატრიალებდი საჭეს. საბრძოლო ჯიხურიდან ჩვენი მეტყვიამფრქვეველ მედგრად უშენდა ცეცხლს მტრის ბომბდამშენებს, მაგრამ მსუბუქი კატარღა ტალღებზე ირწეოდა და მიზანში მოხვედრა ძალიან ძნელი იყო.

მეთაურის ბრძანებით კატარღამ სიჩქარეს უმატა, განუწყვეტ-

ლივ მანევრირებდა და ასე იცდენდა ბომბებს. ზღვაში ოცკილოგრამიანი ფუგასური ბომბების აფეთქებისაგან წყლის ჭავლი მაღლა ისვეტებოდა.

ნაღმსატყორცნი კატარღა სამდინარო გემია. მისი სიჩქარე იყო თექვსმეტი კვანძი საათში, ხოლო საავარიო — ცხრამეტი. ბომბადამშენი თვითმფრინავის სიჩქარე ბევრად აღემატებოდა ამ სიჩქარეს. გარდა ამისა, მფრინავი ზემოდან კარგად ხედავდა გემის მოძრაობის მიმართულებას. მიუხედავად ამისა, სამმა ბომბდამშენმა ვერაფრით ვერ მოახვედრა ბომბი კატარღას. უთანასწორო ორთაბრძოლა გრძელდებოდა. ძნელი სათქმელია, რით დამთავრდებოდა იგი, ჩვენს ავიაციას დროზე რომ არ მოესწრო. ჯერ კიდევ ბრძოლის დასაწყისში მეთაურის ბრძანებით რადისტმა ბაზას ცნობა გადასცა მტრის ავიაციის თავდასხმის შესახებ. ოდესის აეროდრომიდან ჰაერში აიჭრა შავი ზღვის ფლოტის სამი გამანადგურებელი. დაინახეს თუ არა ჩვენი გამანადგურებლები, გერმანელმა მფრინავებმა სწრაფად ჩამოყარეს დარჩენილი ბომბები და უკან გაბრუნდნენ.

ასე დამთავრდა ჩვენი შეხვედრა საჰაერო ყაჩაღებთან. მაშინ პირველად ვიგრძენი ავიაციის უდიდესი ძალა და დავრწმუნდი, რომ არ შეიძლებოდა ხომალდების დატოვება ავიაციის დაცვის გარეშე.

მომწონდა გემზე სამსახური, მაგრამ ხშირად ვფიქრობდი, მეთხოვა სარდლობისათვის საზღვაო ქვეით ჯარში გადაყვანა. უფრო კი — დაზვერვაში. ჩვენს კატარღაზე ლეგენდებს ჰყვებოდნენ საფლაგმანო მზვერავებზე, როგორც პატივისცემით უწოდებდნენ ფლოტილიის მზვერავებს, მათი მეთაური იყო „წვერა“ — უფროსი ლეიტენანტი ვიქტორ კალგანოვი, და სწორედ იმათთან მოხვედრაზე ვოცნებობდი, მაგრამ დიდხანს ვერ ვბედავდი მეთაურისათვის ეს მეთხოვა, ბოლოს მაინც დავწერე პატაკი. თხოვნას იმით ვასაბუთებდი, სპორტსმენი ვარ, ვიცი სამბოს ილეთები, კარგად ვისვრი მიზანში, შემიძლია მოტოციკლის ტარება და გერმანული ვიცი-მეთქი.

26 ივლისს ჩვენი კატარღის მეთაურმა ლეიტენანტმა ჩესნოკოვმა გამომიძახა. ხელში გახსნილი პაკეტი ეჭირა. მივხვდი მე მეხებოდა. გული ამიძგერდა, ნუთუ, ნება დამრთეს?

მეთაურმა წყნარად მითხრა:

— ალექსი, სარდლობამ დადებითდ გადაწყვიტა შენი საკითხი. გადაჰყავხარ საზღვაო ქვეითი ჯარის წითელდროშოვან ქერჩის 369-ე ცალკე ბატალიონში, იქნები მზვერავი.

რასაკვირველია, ბატალიონის მზვერავი, ჯერ კიდევ საფლაგმანო მზვერავი არ არის და მაინც ძლიერ გამიხარდა.

ჩესნოკოვმა მყვინთავის თბილი და სქელი სვიტერი გამომიწოდა.

— ეს კი საჩუქარია ჩემგან და ჩვენი კატარღის შემადგენლობისაგან. იხმარე და გახსოვდეს, რომ გვარდიული ხომალდიდან ხარ.

იმავე დღეს გამოეცხადდი ტრავმაის მე-16 სადგურზე, სადაც დაბინავებული იყო „ქერჩის“ საზღვაო ქვეითი ჯარის წითელდროშოვანი ბატალიონი. იგი გძირულად იბრძოდა ქალაქების—ტაძანის და ყირიმის გასათავისუფლებლად, განსაკუთრებით თავი ისახელა ქერჩის დესანტში, რის გამოც მიიღო საპატიო წოდება „ქერჩის“ ბატალიონისა. ოდესაში ბატალიონი ისვენებდა და შეტევისათვის ემზადებოდა.

ბატალიონის დაზვერვაში მალე დავუმეგობრდი ორ მზვერავს: უფროს მეზღვაურს ვიტალი ზაპსელსკის და მეორე თანრიგის ზემდეგს ვანია ბოიჩაკს.

ცხრამეტი წლის კომკავშირელი ვიტალი ზაპსელსკი ქ. ვოროშილოვგრადიდან იყო. 1941 წლის შენოდგომაზე მანქანათმშენებელი ტექნიკუმის მეორე კურსის სტუდენტი კომკავშირული საგზურით მოხალისედ წასულა ფრონტზე. აქტიური მონაწილეობა მიუღია სევასტოპოლისა და ნოვოროსიისკის გმირულ დაცვაში. შავ და აზოვის ზღვებზე სადესანტო ბრძოლებში დაჭრილა.

ვიტალის სამხედრო ჟურნალისტისათვის საჭირო შესანიშნავი მონაცემები აღმოაჩნდა და შავი ზღვის ფლოტის უძველესი გაზეთის „კრასნი ჩერნომორეცის“ სამხედრო კორესპონდენტი გახდა. იგი პირდაპირ ბრძოლის დროს იღებდა ხოლმე მასალებს, ამუშავებდა და უახლოეს კორესპონდენციას აგზავნიდა ფრონტულ გაზეთებში. მეზღვაურები და ოფიცრები სიამოვნებით ეკითხულობდით ვიტალი ზაპსელსკის საფრონტო ნარკვევებს და ჩანაწერებს.

მხიარული და გულღია ვიტალისაგან განსხვავებით, ვანია ბოიჩაკი ცოტა პირქუში, დინჯი, დაფიქრებული და სიტყვაძვირი ბიჭი იყო. დაიბადა და გაიზარდა უკრაინაში, შეპეტოვკის რაიონში, ოც-

დაორი წლის კომკავშირელს უკვე დიდი საბრძოლო გამოცდილება ჰქონდა ბიღებული ხმელეთსა და ზღვაზე, გახლდათ ქერჩის სადესანტო ბრძოლების გმირი.

ბატალიონის დაზვერვაში მსახურობდა თვრამეტი წლის ლენინგრადელი კომკავშირელი გოგონა კატია მიხაილოვა. ომამდე კატიამ ბოასწრო საშუალო სკოლის ცხრა კლასისა და მედდების ექვსთვიანი კურსების დამთავრება. თხუთმეტი წლისა უკვე ებრძოდა ფაშისტ დამპყრობლებს. 1941 წელს დაიჭრა, იწვა ჰოსპიტალში. გამოჯანმრთელების მერე მედდად მუშაობდა კასპიის ფლოტში, ხოლო 1942 წლის ივლისში მოხალისედ ჩაეწერა ქვეითი ჯარის 369-ე ბატალიონში. ბრძოლებში დიდ სიმამაცეს და გაძლეობას იჩენდა.

ყურადღებით ვაკვირდებოდი ბატალიონის მებრძოლებს და ოფიცრებს. დღიურში ეაოთულად ვიწერდი შთაბეჭდილებებს, ალბომში ვაკეთებდი ჩანასატებს. თანამებრძოლთაგან განსაკუთრებით მომწონდა მეტყვიამფრქვეველთა ასეულის მეთაური, ოცდასამი წლის ლეიტენანტი პაველ კირსანოვი — ბრძოლაში მამაცი, დასვენებისას კი მეტად მხიარული და ენამახვილი.

საღამოობით მზვერავები მწვანე მინდორზე ვიკრიბებოდით დასასვენებლად. გიტარაზე ვუკრავდი, ჩემი ამხანაგები მეზღვაურულ სიმღერებს მღეროდნენ. მეგობრულად ვსაუბრობდით, უმეტესად მშვიდობიან ცხოვრებაზე, ჩვენს მომავალ გეგმებზე. ვიტალი ზაპსელსკი, ვანია ბოიჩაკი და მე ჟურნალისტობას ვაპირებდით. გადავწყვიტეთ, ომის შემდეგ სამივეს ერთად დაგვეწერა წიგნი დიდ სამამულო ომზე, შავი ზღვის ფლოტის, აზოვის და დუნაის ფლოტილიის მეზღვაურთა გმირულ საქმეებზე. ასეთი დასვენების ჟამს ეკითხულობდით საფრონტო წერილებს. გულისამაჩუყებულ ბარათებს გვიგზავნიდა თვრამეტი წლის სტუდენტი გოგონა ნინა დანილენკო კრასნოდარის მხარის ქალაქ ეისკიდან. იგი ჩვენი ბატალიონის მზვერავების შეფი იყო. ვერ წარმოიდგენთ, როგორ გვახარებდა და აღგვაფრთოვნებდა ომის დროს შეფი ქალიშვილების წერილები.

ხალხისა და ფრონტის კავშირი ურყევი იყო. ოდესელ მშრომელთა დელეგაციები ხშირად ჩამოდოდნენ ჩვენს ბატალიონში სტუმრად, ჩამოჰქონდათ საჩუქრები, მოგვითხრობდნენ თავიანთ შრომით მიღწევებზე და გვიმართავდნენ კონცერტებს. ერთ-ერთი ასეთი

სტუმრობისას ოდესელებმა „სამ მუშკეტერს“ — ვიტალი ზაპსელ-სკის, ვანია ბოიჩაკს და მე — უჟანგავი ფოლადის, ხისტარიანი დანები გვაჩუქეს. ამ დანას თან ვატარებდი მზვერავის გრძელ საბრძოლო გზაზე ოდესიდან ვენამდე, ამჟამად დანა სევასტოპოლის შავი ზღვის წითელდროშოვან ფლოტის სამხედრო მუზეუმშია გამოფენილი.

აგვისტოში ჩვენი ბატალიონი გაძლიერებით ემზადებოდა დნესტრის ლიმანის გადალახვისათვის.

ოდესიდან რამდენიმე ათეული კილომეტრის დაშორებით სამხრეთ-დასავლეთით შავ ზღვას ერთვის მდინარე დნესტრი. წყალუსვი მდინარე აქ ვრცელ ლიმანს ქმნის, რომლის სიგანე ათ კილომეტრს აღემატება.

ჩვენს ჯარებს ლიმანის მარცხენა ნაპირი ეკავათ. მარჯვენა ნაპირი ოკუპანტების ხელთ იყო. ამ დროისათვის მზადდებოდა იასკ-შინოვის შეტევითი ოპერაცია. ჩვენი შემტევი ნაწილების დახმარების მიზნით ფლოტილიას უნდა განეხორციელებინა დესანტის გადასხმა ლიმანის მარჯვენა ნაპირზე.

ჰიტლერელები დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩვენი ჯარები ვერ შეძლებდნენ გადაელახათ წყლის ძნელი ზღუდე. დუნაის სამხედრო ფლოტილია მეტად საიდუმლოდ და გულმოდგინედ ამზადებდა დესანტის გადასხმას ლიმანის მარჯვენა ნაპირზე ქალაქ აკერმანის ქვემოთ და ზემოთ შაბოტორგისა და მოლოგას რაიონებში. გეგმა ითვალისწინებდა მტრის გარნიზონისათვის ფლანგებიდან შეეტიათ და მოექციათ მარწუხებში.

ფლოტილიის სარდალი და შტაბის უფროსი დიდ ყურადღებას უთმობდნენ მედესანტეების სპეციალურ მომზადებას. საზღვაო ქვეითი ჯარის მებრძოლები ორი კვირის განმავლობაში გადიოდნენ რეგულარულ წვრთნას ოდესის ჩრდილო-დასავლეთ გარეუბანში. ამუშავებდნენ ნავებში ჩასხდომას და გადასხმას, ვარჯიშობდნენ ნიჩბის მოსმაში. ხშირად წვრთნის დროს ნაპირზე ვხედავდით ფლოტილიის სარდალს და შტაბის უფროსს.

12 აგვისტოს ჩვენი მზვერავები დნესტრის ლიმანის მარცხენა ნაპირზე გადაიყვანეს. ოვიდეოპოლში გადავიდა ფლოტილიის შტაბი. ამ ქალაქის სამხრეთით გაჭიმულია დიდი სოფელი როკსოლანი.

მზვერავებმა სოფლის ბოლოს, კოლმეურნეობის ხეხილის ბაღში გავშალეთ კარავი.

მე და ჩემი მეგობრები — ვიტალი და ივანე პირველად ვიყავით ამ ადგილებში. ბუნება აქ მდიდარია. ბევრი ხეხილის ხე და მშვენიერი მინდვრებია.

ზაფხულის მზე აცხუნებდა, მაგრამ სიცხეს ვერა ვგრძნობდით. ლიმანიდან გრილი ნიავი ქროდა. დნესტრის ლიმანი ძალიან ჰგავს ზღვას. წყალი ლურჯია, ნაპირები მაღალი და ციცაბო, ალაგ-ალაგ ლაქაშებით დაფარული. ჩვენს სათვალთვალო პუნქტთან, როკსოლანის რაიონში ლიმანი ხუთ კილომეტრამდე ვიწროვდებოდა. ბინოკლში კარგად მოჩანდა მარჯვენა ნაპირი. იქ მომაღლო ადგილზე განლაგებულიყო ქ. აკერმანი (ამჟამად ბელგოროდ-დნესტროვსკი). დღე და ღამე ვუთვალთვალებდით მტრის სანაპიროს.

გადიოდა დღეები. მალე მივეჩვიეთ როკსოლანს. სოფელში მამაკაცები არ ჩანდნენ, ყველა ფრონტზე იყო წასული. ბოსტანში და მინდორში ქალები შრომობდნენ, იშვიათად თუ შეხვდებოდით ღრმად მოხუცებულ მამაკაცს. დავუმეგობრდით ოთხმოცი წლის ბაბუა მიკოლას, საკოლმეურნეო ბაღის დარაჯს. მიკოლა საკმაოდ მკვირცხლი და მოლაპარაკე მოხუცი გახლდათ. იგი კარგად იცნობდა დნესტრის ლიმანის ორივე ნაპირზე განლაგებულ სოფლებს. თავისი ხუთი თითივით იცოდა თვით ლიმანი, მისი სიღრმე სხვადასხვა უბანზე, თვისებები წელიწადის სხვადასხვა დროს თუ დღის განმავლობაში. ბაბუა მიკოლასაგან მიღებული ცნობები ძლიერ გამოგვადგა დაზვერვისას.

ყოველ ღამეს მივდიოდით დასაზვერად. სამივე ვჯდებოდით ნავში და მივემართებოდით მოწინააღმდეგის ნაპირისაკენ. სწრაფად გავდიოდით ლიმანის ხუთკილომეტრიან უბანს. მტრის ნაპირთან, შაბოტორგის და მოლოგას რაიონში ლაქაშებში ვმალავდით ნავს. უხმაუროდ მივხოხავდით ზევით. შემაღლებულ ადგილზე ვინიღბებოდით და იქიდან ვუთვალთვალებდით მოწინააღმდეგეს. ვსწავლობდით მტრის დაცვას, ვაზუსტებდით საცეცხლე წერტეების და მედესანტეების საწინააღმდეგო სანაღმო ველების განლაგებას, თვალყურს ვადევნებდით, როგორ დარაჯობდნენ ფაშისტები ლიმანს. იყო შემთხვევები, ჩვენგან სულ ახლოს ჩაუვლია რუმინელ და გერმანელ გუშაგს. სიბნელეში ბალახს ვერთხმოდით და ბუჩ-

ქებში ჩამალულები არ ვინძრეოდით. უკიდურეს შემთხვევაში, თუ მტრის ჯარისკაცები აღმოგვაჩენდნენ ჩვენ მზად ვიყავით საბრძოლ-ველად. მზვერავი უხმაუროდ და უკვალოდ უნდა ტოვებდეს მტრის ჯარების განლაგებას.

დაზვერვიდან გათენებამდე ვბრუნდებოდით. ნავს ნაპირზე გა-მოვათრევდით ხოლმე და ფეხით მივდიოდით ოვიდეოპოლში. და-ზვერვის შედეგებს მოვახსენებდით დუნაის ფლოტილიის შტაბის უფროსს, პირველი რანგის კაპიტანს ა. ვ. სვერდლოვს. შეტევის წინ სარდლობისათვის დიდად საინტერესო იყო მზვერავთა ცნობები.

მოხსენებით სვერდლოვი ყოველთვის კმაყოფილი რჩებოდა და გვაქებდა. დაღლილები ვბრუნდებოდით როკსოლანში და მაშინვე ვიძინებდით. გვეძინა არაუმეტეს ოთხი საათისა. დღისით ისევ ვუთვალთვალებდით მტერს, ღამით კი კვლავ მივდიოდით დასა-ზვერად და ასე ყოველდღე—დესანტის გადასხმამდე. ვიღლებო-დით, მაგრამ შესანიშნავ გუნებაზე ვიყავით. ხანმოკლე დასვენე-ბის დროს ვიტალი ზაპსელსკი კორესპონდენციას ამზადებდა საფ-რონტო გაზეთისათვის, მე ალბომში ვაკეთებდი ლიმანის ჩანახა-ტებს, ჩვენი მეთაური ვანია ბოიჩაკი კი ყურადღებით ათვალიე-რებდა მტრის მარჯვენა ნაპირის რუკას და აღნიშნავდა ახალ უბ-ნებს ღამის დაზვერვისათვის.

დესანტის გადასხმის წინ საჭირო გახდა მარჯვენა ნაპირზე მტრის თავდაცვის კიდევ ერთი უკანასკნელი დაზვერვის მოწყობა. 20 აგ-ვისტოს, დილით შტაბში გამომიძახეს და ამ საბრძოლო ოპერაციის შესრულება დამავალეს. ღამით ნავით უნდა გადამეცურა დნესტ-რის ლიმანი. მიმეღწია მტრის ჯარებით დაკავებულ მარჯვენა ნაპი-რისათვის, დამეზვერა მისი თავდაცვის ხაზი და განთიადამდე უკან დავბრუნებულიყავი.

დაღამებისთანავე მაღალი სანაპიროდან ლიმანისაკენ დავეშვი, იქ ნავი მელოდებოდა და გადასაცურად მოვემზადე. ფეხებთან გატენილი ავტომატი მედო, გვერდით გრძელი ბამბუკის ჯოხი. ასე აღჭურვილმა გავცურე მეორე ნაპირისაკენ. პატარა ნავი სწრაფად მიიწევდა წინ. მალე ნაპირი თვალს მოეფარა.

მანამდე ბევრჯერ გადამიცურავს ნავით ლიმანი. ამიტომ გულ-დამშვიდებული განვაგრძობდი გზას. ვიცოდი როგორ გამომეზოგა ძალ-ღონე, რათა დავალება დროულად შემესრულებინა. ყოველმა

მზვერავმა იცის, რომ სისწრაფე და სიზუსტე გამარჯვების საწინდაოია. ნიჩბებს ენერგიულად ვუსვამდი, ვცდილობდი დათქმულ ადგილამდე სწრაფად მივსულიყავი. გარშემო სიწყნარე სუფევდა. ხშირად შევცქეროდი ვარსკვლავებიან ცას. აგვისტო იყო, მაგრამ ლიმანზე ცივი ნიავი ქროდა. თვალები სიბნელეს თანდათან შეეჩვია და ახლა უკვე შორს ვიხედებოდი. რაც უფრო ვუახლოვდებოდი მტრის მიერ დაკავებულ სანაპიროს, მით უფრო ფხიზლად ვმოქმედებდი.

ნაპირამდე ოთხასიოდე მეტრი რომ დარჩა, გერმანელთა სასიგნალო საგუშაგოდან ჰაერში მაშხალა აიჭრა. ნავი შევაჩერე და გავინაბე. მაშხალამ რამდენიმე წამით გაანათა ზეცა და ჩაქრა.

„გერმანელებმა ნავი თუ შეამჩნიეს, მეორე მაშხალასაც გაუშვებენ", — გავიფიქრე, მაგრამ ღამის სიჩუმე ერთ ჩქამსაც ალარ დაურღვევია. მიუხედავად ამისა, მტრის მზაკვრობისა მეშინოდა და ორ წუთზე მეტი ნავის გვერდს გაკრული ვიყავი. შემდეგ წელში გავიმართე, ნიჩბებს ჩავავლე ხელები და უფრო სწრაფად რომ გადამელახა ყველაზე სახიფათო ზონა, გაორკეცებული ენერგიით განვაგრძე ცურვა.

ლაქაშებთან უხმაუროდ დავამუხრუჭე ნავი. დავმშვიდდი და თავისუფლად ამოვისუნთქე. მანათობელ ციფერბლატთან საათს დავხედე. ღამის თორმეტის ნახევარი იყო. სამი საათი დრო მქონდა.

ლაქაშებიდან ყურადღებით ვადევნებდი თვალს, სად იყვნენ განლაგებული გერმანელთა სასიგნალო საგუშაგოები. დავადგინე, რომ გერმანელები ყოველ ათ წუთში ერთხელ უშვებდნენ ჰაერში ჩვეულებრივ მაშხალას. ხან ერთი, ხან მეორე საგუშაგოდან, ხოლო საათში ერთხელ — ყველაზე დიდ, მედესანტისათვის საშიშ მაშხალას. ეს ჩვენთვის საძულველი მაშხალა ზეციდან ნელ-ნელა ეშვებოდა. ენთო ერთ წუთს და საკმაოდ დიდ ტერიტორიას დღესავით ანათებდა.

მტრისაგან დაკავებული ნაპირის თვალთვალის დროს დავრწმუნდი, რომ ფაშისტები ღამით ნაკლებ სიფხიზლეს იჩენდნენ ლიმანის დასაცავად. ეტყობა, ძლიერ გამაგრებული თავდაცვითი სისტემის იმედით ზედმეტად თვითდამშვიდებული იყვნენ.

მტრის ზურგში მოწყობილი არაერთი ოპერაციის შედეგად

მზვერავებმა ვიცოდით, სადა და როგორი წესითაა განლაგებული ფაშისტების საცეცხლე წერტები. სად როგორ ადგილებშია მედესანტეების წინააღმდეგ ჩამარსული ნაღმები. ცნობილი იყო აგრეთვე, რომ აკერმანის სანაპიროზე ჰიტლერელებმა წყალში დააყენეს დესანტის საწინააღმდეგო დაბრკოლებები და მავთულხლართები. საჭირო იყო ლიმანის ნაპირთან გულმოდგინედ შემესწავლა ის უბანი, რომელიც დასაბლებულ პუნქტ მოლოგას ეკვროდა — იქ იყო განზრახული დესანტის გადასხმა.

ტანთ გავიხადე, ნავი ლაქაშებში დავმალე. ყელამდე წყალში ნელა მივიწევდი წინ, ბამბუკის ჯოხით ფრთხილად ვსინჯავდი ლიმანის ფსკერს. ზოგან მიხდებოდა გაცურვა ან ჩაყვინთვა. საათ-ნახევრის განმავლობაში ნახევარი კილომეტრის მანძილზე შევამოწმე ლიმანის სანაპიროს ფსკერი. დესანტის საწინააღმდეგო დაბრკოლებები არ აღმოჩნდა.

ცივ წყალში გავითოშე, მაგრამ ნავთან კმაყოფილი დავბრუნდი. სწრაფად ჩავიცვი და ლაქაშებიდან ფრთხილად დავძარი ნავი. დიდი მაშხალა გერმანელებმა უკვე გაუშვეს, ხოლო პატარებისა არ მეშინოდა.

ლიმანის ნახევარი რომ გადმოვცურე, დაღლილობა ვიგრძენი, მაგრამ ნავის მოძრაობის ტემპი არ შემინელებია. წინასწარ გავლილი სპეციალური წვრთნისა და შესანიშნავი სპორტული მომზადების წყალობით დიდ ფიზიკურ დატვირთვას ვუძლებდი.

აი, გამოჩნდა კიდეც ჩვენი ჯარების განლაგება. ნაპირზე გადავედი, ავტომატი კისერზე ჩამოვიკიდე და მიხვეულ-მოხვეული ბილიკით ზემოთ ავედი, სადაც გულთბილად შემომხვდნენ ამხანაგები. რაც ვნახე, იმის მოსახსენებლად სწრაფად გავემართე შტაბისაკენ.

უშუალოდ დესანტის წინ ჩვენთან კომკავშირის კრება ჩატარდა. ფლოტილიის შტაბის პოლიტმუშაკმა აგვიხსნა შიტევაში დუნაის ფლოტილიის როლი, მოიგონა ბალკანეთის ქვეყნების მრავალსაუკუნოვანი ბრძოლა რუს ხალხთან ერთად უცხოელ დამპყრობლების წინააღმდეგ, ფაშისტების ბოროტმოქმედებანი.

და ბოლოს 21 აგვისტოც დადგა. შებინდდა თუ არა, ჩვენი ქვეითი ჯარის 369 ცალკე ბატალიონის მოიერიშეთა რაზმი მიუახლოვდა ნაპირს ოვიდეოპოლის ჩრდილოეთით კალაგლეის რაიონში.

აქ ნავმისადგომებთან თავმოყრილი იყო 240 ნავი. ფლოტილიის ოფიცრები ანაწილებდნენ მებრძოლებს ნავებში.

23 საათსა და 40 წუთზე ჩვენი მედესანტეების რაზმი ნაპირს გასცილდა. თითოეულ ნავში 12 შეიარაღებული მებრძოლი იჯდა. ხავები, რომლებშიც მზვერავები ისხდნენ, წინ მიდიოდნენ.

ადვილი საქმე არ არის — რამდენიმე საათის განმავლობაში შეუსვენებლად ნიჩბის მოსმა. ეს მხოლოდ კარგად ნავარჯიშევ ადამიანს და სპორტსმენს შეუძლია.

ჩვენს ნავში სამნი ვისხედით: მე და ვიტალი — ნიჩბებზე, კიჩოზე — ვანია ბოიჩაკი. ნავის ცხვირთან იდგა ყუთი სასიგნალო მაშხალებით. ჩვენ არა მარტო გზა უნდა გვეჩვენებინა მედესანტეებისათვის და მიგვეყვანა ისინი გადასხმისათვის დანიშნულ ადგილზე, არამედ ბრძოლის დროს ნიშანი მიგვეცა ჩვენი საზღვაო ბატარეებისათვის.

მზვერავებმა კარგად ვიცოდით, რომ მოწინააღმდეგეს მოპირდაპირე ნაპირზე ძლიერი საარტილერიო ბატარეა ჰქონდა. თუ ფაშისტები დროულად შეგვნიშნავდნენ, თავს დაგვატეხდნენ მთელი თავისი არტილერიის ცეცხლს.

ჩვენი ნავები უხმაუროდ მიიწევდნენ წინ. სამაგიეროდ ისევე, როგორც წინა ღამით, ჩვენმა ავიაციამ დაიწყო ლიმანის დასავლეთი ნაწილის დაბომბვა. თავისი საცეცხლე წერტილების გამეღავნების შიშით ფაშისტებმა შეწყვიტეს მაშხალების გაშვება.

მტრის სანაპირო მთლად ჩაბნელებული იყო. მზვერავთა ნავების წინ ორი კატარღა მიდიოდა. გემბანზე გამზადებული ჰქონდათ დიდი საკვამლე შაშები. თუ მტერი სადესანტო ნავებს აღმოაჩენდა, კატარღებიდან მაშინვე კვამლის საფარს შექმნიდნენ.

მეთაურ კატარღაზე იმყოფებოდა გადასასხმელი ჯგუფის მეთაური მე-3 რანგის კაპიტანი ა. ნ. შალნოვი. იგი ძლიერ. გამოცდილი მეთაური იყო, არაერთხელ მიეღო მონაწილეობა დესანტში.

ღამის სამი საათი იქნებოდა, რომ ქვემეხების გრუხუნი გავიგონეთ, — ლიმანიდან მტრის ყურადღების გასაფანტავად ჩვენმა ავიაციამ, სანაპირო არტილერიამ და საბრძოლო ხომალდებმა, რომლებიც მტრის სანაპიროს შავი ზღვის მხრიდან მიუახლოვდნენ, მტრის თავდაცვის სამხრეთ უბანზე ცრუ იერიში მიიტანეს. მოწინააღმდეგის სარდლობამ იფიქრა, რომ სწორედ აქ გადასხამდნენ

საბჭოთა დესანტს, და მთავარი ძალები სამხრეთ უბანზე გადაისროლა.

ნაპირამდე ხუთასი მეტრი რომ დარჩა, ბრძოლისათვის გავემზადეთ, მაგრამ ჩვენდა გასაოცრად, მოწინააღმდეგე დუმდა. ეტყობა, ვერ აღმოაჩინა ჩვენი დესანტი. მტრის მერ დაკავებული სანაპიროდან ყოველ წამში ველოდით ცეცხლის გახსნას, ნავები ფრთხილად უახლოვდებოდნენ ნაპირს. გავცურეთ ასი მეტრი, კიდევ ასი... და ნაპირამდე ორასიოდე მეტრი რომ დარჩა, მხოლოდ მაშინ აღმოაჩინეს დესანტი ჰიტლერელებმა და ძლიერი ცეცხლი დაგვიშინეს, მაგრამ უკვე გვიან იყო.

რამდენმე ნავი წინ გაიჭრა და ნაპირთან მიდგომა მოასწრო. ჩვენ პირველები გადავხტით ნაპირზე და სამი წითელი მაშხალა გავუშვით. ეს ნიშნავდა, რომ დესანტი ნაპირს მიუახლოვდა და შეიძლებოდა ცეცხლის დაშენა. ჩვენი ნიშანი საზღვაო ბატარეების არტილერისტებმა მიიღეს. მალე მტრის თავდაცვის სიღრმეში დაიწყო აფეთქება ჭურვებმა.

უკან მივიხედე. მედესანტეები ნავებიდან წყალში ხტებოდნენ და ნაპირისაკენ მიცურავდნენ. ჰიტლერელები სანგრებიდან ცეცხლს უშენდნენ. მედესანტეები სროლით უახლოვდებოდნენ ნაპირს.

ჩვენს მარცხნივ ფაშისტი ტყვიამფრქვევიდან ცეცხლს უშენდა წყალში მყოფ მედესანტეებს. ვანია ბოიჩაკი სწრაფად მიხოხდა მტრის ტყვიამფრქვევთან და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა ესროლა. ტყვიამფრქვევი დადუმდა.

მედესანტეები მტრის სანგრებს მიუახლოვდნენ, ხელყუმბარები დაუშინეს. დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. მალე მტრის პირველი სანგარი ხელთ ვიგდეთ.

ამის შემდეგ სამი თეთრი მაშხალა გავუშვით, რაც ნიშნავდა, რომ მედესანტეებმა ფეხი მოიკიდეს. მარცხენა ნაპირიდან ჩვენკენ მედესანტეთა მეორე რაზმი დაიძრა.

იერიში გრძელდებოდა. სამი ათასამდე საზღვაო ქვეითი ჯარის მებრძოლი ორგანიზებულად უტევდა მოლოგას. წინ კიდევ მტრის თავდაცვის მეორე გამაგრებული ხაზი იყო — მავთულხლართების მთელი რიგი, ძელმიწურები და ხანგრძლივი მოქმედების საცეცხლე წერტები. მაკორექტირებელმა ჩვენს არტილერიას რადიოთი გადა-

სცა სამიზნე კოორდინატები. მალე ჩვენმა ქვემეხებმა მოწინააღმ-
დეგეს ჭურვები დაუშინეს.

მტერი გააფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდა, ხანდახან
კონტრშეტევაზეც გადმოდიოდა. ამ პირობებში უცებ დავინახე,
რომ ვიტალი ისევ რაღაცას წერს. აი, რას ნიშნავს ნამდვილი კო-
რესპონდენტი.

ჩვენი შეტევა წარმატებით ვითარდებოდა. დილის 9 საათზე
მოლოგა თავისუფალი იყო.

შეუპოვარი ბრძოლები მიმდინარეობდა აკერმანის სამხრეთით
და შემდეგ თვით აკერმანის გასათავისუფლებლად. ხოლო მომდევ-
ნო დღის თვრამეტი საათისათვის ქალაქი მთლიანად თავისუფალი
იყო.

სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1944 წლის აგვისტოს
დადგენილებით ქალაქ აკერმანს დაუბრუნდა მისი ძველი რუსული
სახელი და დაერქვა ბელგოროდ-დნესტროვსკი.

აკერმანის განთავისუფლების მეორე დღეს, ჩვენი 369-ე ბატა-
ლიონი კატარღებით და ბორნებით გადავიდა დნესტრის ლიმანის
მარჯვენა ნაპირიდან ისევ მარცხენა ნაპირზე. სასიამოვნო, მზიანი
დღე იყო. კატარღა სწრაფად მიდიოდა. მე კიჩოზე ვიჯექი ყვავი-
ლების უზარმაზარი თაიგულით ხელში. ეს ყვავილები აკერმანში
დავკრიფე კატია მიხაილოვასათვის, მაგრამ ვერ მოვასწარი გადა-
ცემა. ჩვენი კატარღა მის მოსალამდე ნავმისადგომს გასცილდა.
გვერდით ვიტალი ზაპსელსკი მეჯდა. მას რვეული დაედო მუხლებ-
ზე და გულმოდგინედ წერდა ნარკვევს დნესტრის ოპერაციაზე. ვა-
ნია ბოიჩაკი ჩუმად ათვალიერებდა ლიმანს. მე და ჩემს მეგობრებს
არაერთხელ გადაგვიცურავს ლიმანი საბრძოლო ვითარებაში. ახლა
კი ტურისტებივით უზრუნველად ვათვალიერებდით ლიმანის წარ-
მტაც ნაპირებს.

ვიტალის მივუბრუნდი და მეგობრულად ვუთხარი:

— სულ წერ და წერ, ცოტა დაისვენე. გაიხედ-გამოიხედე, რა
სილამაზეა.

ვიტალიმ თავი ასწია და მიპასუხა:

— ნარკვევს ვამზადებ ცენტრალური გაზეთისათვის. ბიჭებო,
ხომ გესმით, ისტორიული დესანტის მონაწილეები ვართ! ამ ომის
დროს საბჭოთა ჯარებს ჯერ არსად არ გადაულახავს ასე სწრაფად

ამხელა წყლის, თოთხმეტკილომეტრიანი ზღუდე. აი, ნახეთ, ომის შემდეგ ისტორიკოსები დაწვრილებით შეისწავლიან დნესტრის ლიმანის დესანტს.

— ჰო, დესანტი საინტერესო საქმეა! — დაეთანხმე ვიტალის.

ვანია ბოიჩაკმა ყურადღებით შემომხედა. არაფერი თქვა, მხოლოდ ნაღვლიანად გაიღიმა. მაშინ მე ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ დესანტის გადასხმისას ხშირად დიდია მსხვერპლი. მებრძოლები იბრძვიან უკანასკნელ ვაზნამდე, უკანასკნელ მედესანტემდე — ცოტანი რჩებიან ცოცხალნი. ვანია ბოიჩაკს უკვე არაერთხელ მიეღო მონაწილეობა ასეთ დესანტში და მძიმედ განეცადა ამხანაგების დაღუპვა.

კატარღა მიუახლოვდა მარცხენა სანაპიროს. აი, ჩვენი როკსოლანიც. გადავხტი ნაპირზე და თაიგულით ხელში დავიწყე ბოლთის ცემა. კატიას ველოდებოდი. ნავმისადგომს ზედიზედ უახლოვდებოდნენ კატარღები და ბორნები. ბოლოს კატიას კატარღაც გამოჩნდა. კატია ნაპირზე გადმოვიდა. მივუახლოვდი, თაიგული გავუწოდე და ცოტათი შეცბუნებულმა ვუთხარი:

— კატია, ეს თაიგული ჩვენგან — მზვერავებისაგან — დიდი პატივისცემის ნიშნად დნესტრის დესანტში გამოჩენილი სიმამაცისათვის.

კატიამ ბედნიერი ღიმილით გამომართვა ყვავილები, როდესაც მოვიხედე, დავინახე, ვიტალი ზაპსელსკი გვიყურებდა და რაღაცას გამალებით იწერდა რვეულში. ვერ მოვითმინე და ირონიით შევეკითხე:

— ამასაც ცენტრალური გაზეთებისათვის ხომ არ წერ?

— მაშ როგორ, კატია ჩვენი ბატალიონის და დუნაის ფლოტილიის სიამაყეა, — წარბშეუხრელად მიპასუხა ვიტალიმ, მერე კი დამცინავად დაუმატა: — რაო, კატიას ეკურკურები?

გავწითლდი და აღარაფერი ვუპასუხე.

იმავე დღეს, გვიან საღამოს ჩვენი ბატალიონი საბარგო მანქანებით გადავიდა ქალაქ ოდესაში.

ვახშმობისას სასადილოში ლაპარაკობდნენ, რომ სარდლობა აპირებს ბატალიონის რეორგანიზაციას, არტილერიის გაძლიერებას და ახალი ამოცანის დასმას. დილით ჩვენს ეზოში 40 ახალი დიდი

და მძლავრი საბარგო მანქანა იდგა. მანქანებთან უცნობი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები ტრიალებდნენ.

1944 წლის 24 აგვისტოს დუნაის ფლოტილიის სარდლობის ინიციატივით დუნაის ფლოტილიის ხომალდების სანაპირო თანხლების რაზმი ჩამოყალიბდა. ამ რაზმში შევიდა ჩვენი 367-ე საზღვაო ქვეითი ჯარის წითელდროშოვანი ბატალიონის ძირითადი ძალები, ახალი მოიერიშეთა რაზმი საზღვაო ქვეითი ჯარის უფროს ლეიტენანტის ი. ტ. კოჩკინის მეთაურობით, ორი ბატარეა ას ოცდაორმილიმეტრიანი ქვემეხით სანაპირო თავდაცვის სექტორიდან, ოთხი მძიმე ნაღმსატყორცნი ბატარეა, საზენიტო ტყვიამფრქვევების ერთი ბატარეა და ერთი ჯავშნოსანი მანქანა. სანაპირო თანხლების რაზმი მთლიანად მექანიზირებული იყო. შეეძლო გადაადგილება უზარმაზარი სიჩქარით — ტანკებზე უფრო სწრაფად.

დღის 12 საათზე სანაპირო თანხლების რაზმის მებრძოლებმა და მეთაურებმა მინდორზე მოვიყარეთ თავი. მინდვრის შუაგულში დადგეს წითელსუფრაგადაფარებული მაგიდა. მაგიდას მიუსხდნენ ოფიცრები, დუნაის ფლოტილიის ხომალდების სანაპირო თანხლების რაზმის მეთაური პოდპოლკოვნიკი იოსებ ბორისის ძე იაბლონსკი, ოდესის დაცვის და ქერჩის დესანტის გმირი, საბჭოთა ფლოტის არტილერიის ერთ-ერთი საუკეთესო მეთაური. მალალ-მალალი, სრული, ცისფერთვალება, ორმოცი წლის იაბლონსკი ერთი შეხედვით გულუბრყვილო კაცის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მაგრამ საჭიროებისას დიდ ენერგიას, სიმტკიცეს და გამჭრიახობას ამჟღავნებდა. იაბლონსკის გვერდით იჯდა მხარბეჭიანი, ხანშიშესული ოფიცერი. ეს იყო სანაპრო თანხლების რაზმის შტაბის უფროსი, მაიორი კლიმენტი ტიმოთეს ძე ზიდრა—სამოქალაქო ომის გმირი, რევოლუციური ჯავშნოსანი მატარებლის ყოფილი რიგითი არტილერისტი.

მინდორს მოუახლოვდა მსუბუქი ავტომანქანა. მანქანიდან გადმოვიდა დუნაის ფლოტილიის შტაბის უფროსი, პირველი რანგის კაპიტანი არკადი ვლადიმერის ძე სვერდლოვი.

— სმენა! — ბრძანა პოდპოლკოვნიკმა იაბლონსკიმ.

ყველანი გავიქმეთ. სვერდლოვი გულთბილად მოგვესალმა და ხელით გვაჩვენა, დასხედითო. იგი მიუახლოვდა მაგიდას და დაიწყო ლაპარაკი. მეზღვაურები და ოფიცრები დაძაბული ყურადღე-

ბით ვუსმენდით ფლოტის სახელოვან მეთაურს. სვერდლოვი ლაპარაკობდა დუნაიზე მომავალი განმათავისუფლებელი ლაშქრობის შესახებ, საბჭოთა არმიის ჰუმანურ მისიაზე. შემდეგ აგვიხსნა სანაპირო თანახლების რაზმის ამოცანები და მნიშვნელობა.

წინასწარ ვიტყვი: სანაპირო თანხლების რაზმმა სარდლობის იმედები გაამართლა. თავი ისახელა დუნაიზე გაჩაღებულ ბრძოლებში და თერთმეტჯერ იყო აღნიშნული უმაღლესი მთავარსარდლის ბრძანებებში.

დღის სამ საათზე საბარგო მანქანებთან მოვგროვდით.

— მანქანებში! — ბრძანა ჯავშნოსანი ავტომანქანიდან მაიორმა ზიდრამ.

ჯარისკაცებმა სასწრაფოდ დაიკავეს ადგილები მანქანების ძარაზე.

— მოტორები! — გაისმა მეორე ბრძანება.

მძღოლებმა ჩართეს მანქანის ძრავები. ავტოკოლონა ნელა წავიდა ქუჩაში და დატოვა ქალაქი ოდესა.

გადავიარეთ მდინარე დნესტრი და გეზი ავიღეთ დუნაისაკენ. ავტოკოლონა 80 კმ/სთ სიჩქარით მოძრაობდა გზატკეცილზე. მე მეწინავე მანქანაში ვიყავი. გვერდით კატია მიხაილოვა მეჯდა. სამხედრო ფორმა — საზღვაო ქვეითი ჯარისკაცის ემბლემიანი გიმნასტურა და ხაკისფერი ქვედატანი, მოხდენილად ადგა მოქნილ ტანზე, მხრებს უმშვენებდა მთავარი ზემდეგის სამხრეულები, გიმნასტურას — ორი ორდენი: სამამულო ომის პირველი ხარისხის და საბრძოლო წითელი დროშისა.

ჩემი განუყრელი მეგობრები ვიტალი ზაპსელსკი და ვანია ბოიჩაკიც, რასაკვირველია, აქვე ისხდნენ. ვიტალი თავის საქმეს არ ივიწყებდა, ყურადღებით უსმენდა მზვერავების გამოცოცხლებულ ლაპარაკს, თვალყურს ადევნებდა ავტოკოლონის მოძრაობას, გავლილ ადგილებს და შთაბეჭდილებებს ბლოკნოტში იწერდა. ვანია ბოიჩაკი დაფიქრებული გაჰყურებდა ხეხილის ბაღებს. ეტყობა, ამ წუთას მშობლიური შეპეტოვკის რაიონი აგონდებოდა.

მანქანის ძარაში ჩვენთან ერთად იმყოფებოდა საზღვაო ქვეითი ჯარის ახალი, ცალკე მოიერიშე რაზმის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ივანე ტიმოთეს ძე კოჩკინი. იგი სანაპირო თანხლების რაზმის დაზვერვის უფროსიც იყო. მაღალი, ტანადი, ინტელიგენ-

ტური გარეგნობის ოცდაექვსი წლის კომუნისტი ივანე კოჩკინი უოალიდან იყო, ქალაქ ჩელიაბინსკიდან. ომის დაწყებამდე არმიის ქვეითი ჯარის ასეულს მეთაურობდა ბელორუსიის დასავლეთ საზღვრებთან და იგემა მტრის ჯარების პირველი დარტყმაც და ჩვენი ჯარების დროებითი უკანდახევის მთელი სიმწარეც. ხოლო შემდეგ საბჭოთა ჯარების შეტევისას მრავალი გამარჯვების სიხარული განიცადა. კოჩკინმა მოიარა თითქმის ყველა ფრონტი. 1944 წლის გაზაფხულზე სარდლობამ კოჩკინი საკუთარი თხოვნით ფლოტში გადაიყვანა. იგი გახდა შავი ზღვის ფლოტილიის საზღვაო ქვეითი ჯარის ოფიცერი. ოთხჯერ იყო დაჭრილი.

საღამოზე ავტოკოლონა პატარა სოფელთან გაჩერდა. ღამე მინდორში, ღია ცის ქვეშ, ბალახებზე გვეძინა. 25 აგვისტოს დილით მსუბუქად ვისაუზმეთ და დავიძარით. დღე ისევ მზიანი და თბილი იყო. ჩვენი, დუნაის ფლოტილიის სანაპირო თანხლების რაზმის ავტოკოლონა შტაბის უფროსის სვერდლოვის ბრძანებით მიემართებოდა ნავსადგურ ნოვაია კილიასაკენ, რათა ზურგიდან დაერტყა ფაშისტებისათვის.

მეწინავე მანქანაში, რომელშიც მზვერავები ვისხედით, საუბარი სულ ცისფერ დუნაის უტრიალებდა. ბევრი წაგვეკითხა და გაგვეგონა მასზე, მოუთმენლად ველოდით ამ საოცარი მდინარის გამოჩენას. გზატკეცილის იქით სწრაფად სცვლიდნენ ერთმანეთს ბაღები, ვენახები, სიმინდის ყანები. სოფლების დასაწყისში მოლდაველი ქალიშვილები ხვდებოდნენ მანქანებს და ყვავილებს გვესროდნენ.

გავჩერდით. დასახლებული პუნქტის მცხოვრებლებმა გვაცნობეს, რომ მომდევნო სოფელში გერმანელები იყვნენ. რაზმის მეთაურმა პოდპოლკოვნიკმა იაბლონსკიმ მზვერავებს გვიბრძანა შეგვემოწმებინა ეს ცნობა და დაგვეზვერა გზა 20 კილომეტრზე. მზვერავების მანქანა წინ გაიჭრა. მოშორებით მოგვდევდა ჯავშნოსანი. ჩვენ ავტომატმომარჯვებულები ფხიზლად ვათვალიერებდით გარემოს.

აი, მიხვეულ-მოხვეულ მდინარესთან გამოჩნდა ვრცელი სოფლის ტარაბუნარის სახლები. ქუჩაში ადამიანის ჭაჭანება არ არის. საეჭვო სიჩუმეა. მანქანამ სვლა შეანელა და გაჩერდა. ჩვენი მეთაური კოჩკინი ჭოგრიტით ათვალიერებს სოფელს, ჩვენ კი ერთმანეთის მიყოლებით ვხტებით მანქანიდან. გაიარა რამდენიმე წამმა.

უცებ, სახლებს იქიდან ატკაცუნდნენ ავტომატები, აკაკანდნენ ტყვიამფრქვევები, მანქანის ძარა სასწრაფოდ დაიცალა. მხოლოდ მძღოლს შეაგვიანდა კაბინაში და თავში დაიჭრა.

ჩავწექით გზის გასწვრივ, ნახევარრკალად გარს შემოვერტყით სოფელს. ჯავშნოსანი შემაღლებაზე ავიდა და იქიდან დაუშინა ცეცხლი ფაშისტებს. მეთაური რაციით დაუკავშირდა რაზმს და ნახევარი საათის შემდეგ მოგვეშველა მეავტომატეთა ასეული. აი, ჩვენი არტილერიის პირველი ზალპიც. ყუმბარები ზუსტად ხვდებოდა გერმანელების სანგრებს. გაჩაღდა ბრძოლა. ამ დროს, მტრის ზურგში გაისმა სროლის ხმა. ისროდა მაშველად მოსული ჩვენი შენაერთის ერთ-ერთი ნაწილი. კიდევ რამდენიმე არტილერიის ზალპიც და ჩვენი მეზღვაურები სოფელში შეიჭრნენ. მეზღვაურებთან ერთად შეტევაზე გადავიდნენ ქვეითებიც...

სოფლის მთავარ ქუჩაზე ტყვე ფაშისტები მოჰყავდათ. განაპირას ჯერ კიდევ გაისმოდა სროლის ხმა.

ფაშისტების მიერ დატოვებული მანქანის შორიახლო შევამჩნიე ფოლადისფერი ეტლიანი მოტოციკლეტი. გული ამიძგერდა, მოტორბოლა ხომ ჩემი ერთ-ერთი სპორტული გატაცება იყო. მივირბინე მოტოციკლეტთან და ავამუშავე. ჩვეულებისამებრ, შევამოწმე ბენზინის ავზი, — სავსე იყო. გავსინჯე საბურავები, მოტოციკლეტი სრულიად ვარგისი ჩანდა. შემოვჯექი რბილ დასაჯდომზე და საჭეს ჩავავლე ხელები. ამ დროს მოირბინა ვიტალი ზაპსელსკიმ და ჩახტა ეტლში. მან შეამოწმა ეტლზე დაყენებული ტყვიამფრქვევი და მოტოციკლეტი გაქანდა ოღროჩოღრო გზაზე. წამში გავიარეთ სოფელი და უკვე სოფლის გარეთ შევამჩნიეთ ღია, მსუბუქი ავტომანქანა. იგი მაშინვე სახლს იქით თვალს მიეფარა. ყურადღება დავძაბე, სიჩქარეს მოვუმატე და მანქანას გამოვედევნე. გაისმა სროლის ხმა. ვიტალიმ ტყვიამფრქვევის ხანგრძლივი ჯერით უპასუხა.

„აპა“ — გავიფიქრე, — გერმანელები იცავენ მანქანას, მაშასადამე, ოფიცრები გარბიან“.

ტყვიები რომ ამეცდინა, მოტოციკლეტი ზიგზაგურად მიმყავდა. ჩემი მეგობარი დაიჭრა, მაგრამ სიჩქარე არ შემინელებია, გეომანელების მანქანას კვალდაკვალ მივდევდი.

აი, ძოტოციკლეტი ღია ადგილზე გავარდა. ეს მდინარის ნაპირი

იყო. მდინარის მეორე ნაპირზე დავინახეთ მსუბუქი ავტომანქანა, რომელშიც გერმანელი ოფიცრები ისხდნენ. დაახლოებით ორასი მეტრი გვაშორებდა მათგან. მანქანა სველ თიხნარზე სრიალებდა. ჩვენ შემაღლებულ ნაპირზე ვიდექით და ადვილად შეგვეძლო მანქანაში მყოფთათვის ტყვია არ აგვეცდინა, მაგრამ მზვერავის მიზანი ხომ „მოენეების“ ცოცხლად შეპყრობაა.

— ვერ წაგვიხვალთ, მეძეხვეებო! — დავიძახე და დავძარი მოტოციკლეტი. ციცაბო ნაპირიდან გვერდზე გადაწოლილი მოტოციკლი უახლოვდებოდა ავტომანქანას. თითქოს დასასრული ნათელი იყო, მაგრამ უეცრად მახქახამ ტალახს თავი დააღწია და გზაზე გავაოდა.

ეტყობოდა, საჭეს გამოცდილი მძღოლი უჯდა.

მანქანა სწრაფად გეშორდებოდა. ზაპსელსკიმ ველარ მოითმინა და დაიყვირა:

— ალიოშა, ჩქარა! თორემ ხელიდან წაგვივლენ...

რბოლის აზარტმა შემიპყრო. მოტოციკლეტმა წყლის ჭავლი დააყენა; სწრაფად გადალახა მდინარე და ნაპირზე ავარდა.

ზურგს უკან ძრავის გუგუნი მოგვესმა. გაკვირვებულმა მოვიხედე, ჩვენი ჯავშნოსანი გვეწეოდა. ეტყობა, სოფლიდან დასახმარებლად გამოგვიგზავნეს. ჩვენ ისე სწრაფად მივფრინავდით, ჯავშნოსანი მალე ჩამოგვრჩა და თვალს მიეფარა.

ამასობაში კი მანძილი ჩვენსა და ფაშისტებს შორის მნიშვნელოვნად შემცირდა. სპიდომეტრს დავხედე:—100 კმ/სთ-ში! მიბვეულ-მოხვეული გზისათვის ეს ერთობ დიდი სიჩქარე იყო.

სპორტული ჩვეულებისამებრ თვალს არ ვაშორებდი მოწინააღმდეგეს, ვცდილობდი განმესაზღვრა ავტომობილის ტექნიკური თვისებები და მძღოლის ტაქტიკური შეცდომები. შევამჩნიე, რომ მოსახვევებში მე ვჯობნიდი, სწორზე კი ისინი. გავიდა კიდევ რამდენიმე წუთი ამ სულისშემხუთველი რბოლისა. მანძილი ჩვენ შორის ისევ შემცირდა.

დროდადრო ვიტალი ტყვიამფრქვევს ისროდა გერმანელების თავს ზემოთ. ფაშისტები პისტოლეტებით იყენენ შეიარაღებულები და ცეცხლით ვერ შეგვაჩერებდნენ, გადარჩენის იმედი მხოლოდ სიჩქარეზე ჰქონდათ დამყარებული, მით უმეტეს, სულ ახლოს, წინ უკვე ფაშისტების სამხედრო ნაწილები იდგნენ.

ყარგად ვხედავდით მანქანაში მსხდომთ. ორი ოფიცერი უკანა სკამიდან თვალს არ აშორებდა მოტოციკლეტს, მძღოლის გვერდით მჯდომმა კი თითქოს არაფერი იცოდა მდევრის შესახებ, ერთხელაც არ მოუხედავს უკან.

უძვირფასესი რამდენიმე მეტრის გამოგლეჯა შევიძელი. სასოწარკვეთილმა მძღოლმა კიდევ ერთხელ სცადა გაგვქცეოდა, მაგრამ არც მე ვრჩებოდი უკან. შუბლზე მჭიდროდ ჩამოფხატული მეზღვაურის უკარტოზო ქუდი გამიფრინდა, ყურებში ქარი მიზუზუნებდა, სუნთქვა მიჭირდა, მოტოციკლეტის სპიდომეტრი 140 კმ/სთ აჩვენებდა. სულ მცირე უზუსტობა და კატასტროფას ვერ აკცდებოდით. მაგრამ რბოლა სპორტულ ტრასაზე კი არ მიმდინარეობდა, არამედ საფრონტო გზაზე, სადაც ფინიშად შეიძლება სიკვდილი ყოფილიყო.

ფაშისტები დარწმუნებულები იყვნენ, რომ დიდხანს ვერ გავუძლებდი ასეთ რბოლას და კისერს მოვიტეხდი. რა იცოდნენ, რომ მათი მდევარი სპორტსმენი — მოტოციკლეტისტი იყო.

წინ დანგრეული ხიდი გამოჩნდა. „ჩაგვივარდნენ ხელში“. — მომეცა იმედი, მაგრამ მანქანას სიჩქარე არ შეუნელებია, ისე მოსწყდა ხიდის დანგრეულ ნაწილს, ჰაერში გაიელვა და მეორე მხარეზე დაეშვა.

წინააღმდეგობამ ვერც ჩვენ შეგვაჩერა. მოტოციკლეტმა დიდი სიჩქარით გადაუფრინა ოთხმეტრიან უფსკრულს. რბოლა გრძელდებოდა. მანძილი ჩვენ შორის სულ უფრო მცირდებოდა, ცოტაც და დავეწეოდით ავტომანქანას. თან იმასაც ვფიქრობდი, დევნის აზარტით შეპყრობილნი არ შევჭრილიყავით ფაშისტური ჯარის განლაგებაში, რომელიც უკვე ძალიან ახლოს იყო. ვიტალიც ანთებული თვალებით მიყურებდა: მოდი, დავცხრილავ მათ ტყვიამფრქვევით, თორემ წაგვივლენო, — მეუბნებოდა, მაგრამ მე იმედს არ ვკარგავდი და ვაჩერებდი.

გამოჩნდა ქალაქი ნოვაია კილია. ამ ქალაქში ფაშისტები იყვნენ. ერთი-ორი წუთიც და ტყვიებს დაგვიშენდნენ. ვერავინ გვიშველიდა, ჯავშნოსანი ძლიერ ჩამოგვრჩა. ზაპსელსკი აღარ მეკითხება, ისე უმიზნებს ავტომობილში მსხდომთ.

„აფსუს! ტყუილად მოვდევდით!“ — გამიელვა, მაგრამ ცუდი ფიქრები უმალვე გამეფანტა: გერმანელების მანქანის წინ გამო-

ჩნდა მოსახვევი, ვზა მარჯვნივ იხრებოდა. ელვისებური სისწრაფით ბიკიელ გადაწყვეტილება.

— აბა ყოჩაღად, ვიტალი! — დავიძახე რაც ძალი და ღონე მქონდა. მკვეთრად გადავუხვიე გზიდან და მოტოციკლეტი გაშლილ მინდორზე წავიყვანე.

მოკლეზე გადავჭერი და ვზაზე გავჩერდი, ზუსტად გერმანელების მანქანის წინ. მანქანა საშინელი სისწრაფით გვიახლოვდებოდა. ვიტალი ტყვიამფრქვევს დაეკრა.

ნებისყოფის უსაარმაზარი დაძაბვით თავი ვაიძულე ადგილზე დავრჩენილიყავი. სახე ოფლის მსხვილი წვეთებით დამეფარა, თავში მიტრიალებდა: „თუ არ გააჩერეს... ზაპსელსკიმ ფაშისტები რომ დახოცოს კიდეც, მანქანა ისერციით გაგვეყლიტავს“.

ჩვენ შორის რამდენიმე მეტრიღა დარჩა. სასიკვდილო წამები! თითი ავტომატის ჩახმახს დავადე. მაგრამ სროლა არ დამწყვიტა. მანქანამ მკვეთრად დაამუხრუჭა, გასრიალდა, ოდნავ დაეჯახა მოტოციკლეტს და გაჩერდა. ფაშისტებს ნერვებმა უმტყუნეს.

ჩამოვხტი მოტოციკლეტიდან და მანქანასთან მივირბინე, გაფითრებული მძღოლი ნერვიულად ილოკავდა გამხმარ, უფერულ ტუჩებს და უცნაურად მიყურებდა. მაგრამ მე უფრო ოფიცერი მაინტერესებდა, რომელიც ისევ ისე აუღელვებლად იჯდა მძღოლის გვერდით. ძალიან გამიკვირდა, როცა ოფიცრის ნაცვლად გენერალი დავინახე.

გენერალმა აუჩქარებლად ამოიღო ჯიბიდან ოქროს პორტსიგარი, გახსნა და სიგარეტი მშვიდად გააბოლა. შემდეგ მე შემომთავაზა. ვანიშნე, არ მინდა-მეთქი. გენერალმა გაიღიმა და რუსულად, საკმაოდ გამართულად მითხრა:

— თქვენ შესანიშნავად ატარებთ მოტოციკლეტს. პატივისცემის ნიშნად მიიღეთ ჩემგან ეს პორტსიგარი.

დავიბენი, არ ვიცოდი როგორ მოვქცეულიყავი. ზაპსელსკიმ, რომელსაც ამ ხნის განმავლობაში ტყვიამფრქვევისათვის ხელი არ მოუშორებია, ჩაილაპარაკა:

— აიღე, ალიოშა, ასეთ საჩუქრებს ტყუილუბრალოდ არ იძლევიან! ის იყო, დავაპირე საჩუქრის აღება, რომ უცებ ჩემი მეგობრის დასისხლიანებული მაისურა შევამჩნიე და ხელი უკან წა

ვიღე. გენერალმა გაკვირვებით გადაატრიალა პორტსიგარი ხელში და მშვიდად ჩაიდო ჯიბეში.

ასე დამთავრდა ეს არაჩვეულებრივი შეჯიბრი საფრონტი გზაზე.

გზატკეცილზე, ტარაბუნარის მიმართულებით მიემართებოდა ჩვენი მოტოციკლეტი. რამოდენიმე მეტრის დაშორებით მოგვდევდა ბსუბუქი ავტომანქანა. მას ტყვე გერმანელი მძღოლი მართავდა. მის გვერდით გენერალ-მაიორი იჯდა, გერმანელთა ქვეითი დივიზიის მეთაური. მის უკან პოლკოვნიკი — შტაბის უფროსი და მაიორი ოპერატიული განყოფილებიდან; ავტომანქანას ზურგიდან იცავდა ჩვენი ჯავშნოსანი.

ვუახლოვდებოდით სოფელ ტარაბუნარის. გამოჩნდა სოფლის ბოლო და საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები, რომლებიც დაჟინებით გამოსცქეროდნენ გზას. სანაპირო თანხლების რაზმში ყველას გაეგო, რომ მოტოციკლეტი და ჯავშნოსანი მანქანა გამოედევნენ გერმანელ ოფიცრებს და მოუთმენლად გველოდნენ.

დანგრეულ ხიდთან სვლა შევანელეთ, ფრთხილად გადავლახეთ პატარა მდინარე, შეეედით სოფელში და გავჩერდით. როდესაც მეზღვაურებმა მანქანაში ტყვე გენერალი დაინახეს, წარმოუდგენელი ხმაური ატყდა. გაისმოდა აღფრთოვანებული შეძახილები, ამხანაგები გვილოცავდნენ წარმატებას. მოტოციკლეტიდან ჩამოვხტი და იაბლონსკისთან გავიქეცი. მეთაურის წინ გავიჭიმე და მოვახსენე:

— ამხანაგო პოდპოლკოვნიკო! მე და მზვერავმა ვიტალი ზაპსელსკიმ ქალაქ ნოვაია კილიას მახლობლად ტყვედ ჩავიგდეთ გერმანელი გენერალი, მისი თანმხლები ორი ოფიცერი და მძღოლი!

მგონი, იაბლონსკიმ ბოლომდე არ დაიჯერა ჩემი მოხსენება, სანამ თვითონ არ დაინახა ტყვეები.

— ყოჩაღ, მზვერავებო! — შეგვაქო მან.

ჩვენი მეთაური უზარმაზარი ნაბიჯებით ეაემართა მანქანისაკენ. მეზღვაურებმა, რომლებიც მანქანას გარს ერტყნენ, პატივისცემით გზა დაუთმეს.

იაბლონსკი მანქანასთან მივიდა და რამდენიმე შეკითხვა მისცა გენერალს გერმანულად. ფაშისტ გენერალს თავი წნანდებურად მშვიდად და ღირსებით ეჭირა და თავისი თანამგზავრებისაგან განსხვავებით, მგონი, სულ არ ღელავდა. ისინი კი გაოცებულნი ათვა-

ლერებდნენ ჩვენ გოლიათს, საბჭოთა საზღვაო ოფიცერს იაბლონ-სკის.

პოდპოლკოვნიკ იაბლონსკის ბრძანებით ტყვე გენერალი და ოფიცრები სამი მეზღვაურის თანხლებით გააგზავნეს ოდესაში.

ტარაბუნარი ხელთ ვიგდეთ მცირე დანაკარგით. არმიელებს მხოლოდ ათი მებრძოლი ჰყავდათ მოკლული. ჩვენს რაზმში არავინ არ დაღუპულა, მხოლოდ თერთმეტი მეზღვაური დაიჭრა. ისინი მანქანით გაგზავნეს ოდესის ჰოსპიტალში. მხოლოდ ჩვენმა ვიტალი ზაპსელსკიმ უარი თქვა ჰოსპიტალში დაწოლაზე. ჭრილობა მსუბუქი აღმოჩნდა, ტყვია ძვალს არ შეხებოდა. კატია მიხაილოვამ სათუთად შეუხვია ხელი და ვიტალი ჩვენთან დარჩა, ოაც ყველას ძალიან გვიხაოოდა.

მალე ფლოტილიის შტაბიდან მივიღეთ ბრძანება, დაუყოვნებლივ ნოვაია კილიასაკენ დავძრულიყავით. ჩვენი მოტოციკლეტი და ჯავშნოსანი მანქანა წინ მიუძღოდა კოლონას. მე საჭესთან ვიჯექი. ეტლში ისხდნენ ვიტალი ზაპსელსკი და ეანია ბოიჩაკი.

აგვისტოს ამ დღეებში დუნაიზე ამბები ქარიშხლისებური სისწრაფით ვითარდებოდა. დნესტრის ლიმანის მარჯვენა სანაპიროს გათავისუფლების შემდეგ უკრაინის მე-3 ფრონტის და დუნაის სამხედრო ფლოტილიის ჯარებმა დაიწყეს ძლევამოსილი ლაშქრობა ბალკანეთზე. დუნაის ფლოტილია სწრაფად ძიიწევდა წინ, მდინარის ზემო დინებისაკენ და საკუთარი ძალებით ათავისუფლებდა დუნაისპირა ქალაქებს.

24 აგვისტოს დილის 10 საათზე ქვეითი ჯარის 384-ე ცალკე ბატალიონის მედესანტეებმა ხომალდების არტილერიის ბრიგადის მხარდაჭერით აიღეს ეებრიანები, სწრაფად წაიწიეს ნაპირის გასწვრივ და მიუახლოვდნენ ქ. ვილკოვოს. 24 აგვისტოსვე საღამოთი წარძატებული ბრძოლის შემდეგ საზღვაო ქვეითი ჯარის 384-ე ცალკე ბატალიონმა საბჭოთა კავშირის გმირის მაიორ ფ. ე. კატანოვის მეთაურობით გაათავისუფლა ვილკოვო. დუნაის ფლოტილიის სარღლობა საშუალებას არ აძლევდა მტერს გონს მოსულიყო. მეორე დღეს, 25 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე ჯავშნოსანი კატარღების რაზმმა საბჭოთა კავშირის გმირის მე-2 რანგის კაპიტნის პ. ი. დერეავინის მეთაურობით გადასვა დესანტი დუნაის მარცხენა ნაპირზე, ქალაქ ნოვაია კილიასთან. საზღვაო ქვეითი ჯარის

613-ე ცალკე ასეულის მებრძოლი მედესანტეები მედგრად შეებნენ რიცხობრივად ბევრად ჭარბ მტრის გარნიზონს. ახლა სწორედ მედესანტეების საშველად მიისწრაფოდა ჩვენი მექანიზებული სანაპირო თანხლების რაზმი ქალაქ ნოვაია კილიასაკენ.

ქალაქიდან დაახლოებით 400 მეტრის დაშორებით პოდპოლკოვნიკი იაბლონსკის ბრძანებით ავტოკოლონა შეჩერდა. ჩვენმა საარტილერიო და ნაღმსატყორცნმა ბატარეებმა საცეცხლე პოზიციები დაიკავეს, ხოლო საზღვაო ქვეითი ჯარი სწრაფად, მწყობრი ნაბიჯით გაემართა ქალაქისაკენ. წინ ჯავშნოსანი ავტომანქანა მიგვიძღოდა. ჯავშნოსანს უკან მივდევდით მზვერავები, ჩვენ უკან კი მოდიოდა კოჩკინის მოიერიშე რაზმი და ჩვენი სამხედრო ნაწილის სხვა ქვეგანაყოფები.

ქალაქში აღმოსავლეთიდან შევიჭერით. ჩემს გვერდით გამორბოდნენ ლეიტენანტი ივანე კოჩკინი. კატია მიხაილოვა, ვიტალი ზაპსელსკი, ვანია ბოიჩაკი. მაგრამ ბრძოლა ქალაქში უკვე დამთავრებულიყო. ქუჩებში მტრის ტყვე ჯარისკაცები და ოფიცრები მოკყავდათ.

ბრძოლის შემდეგ ქალაქში სიჩუმე გამეფდა. დღის 12 საათი იქნებოდა. მზე მაგრად აცხუნებდა. ნაპირთან მივედით, ვუყურებდით წყალუხვ, სწრაფ დუნაის. იგი მართლა ცისფერი და ძალზე ლამაზი იყო. ჩემ გვერდით იდგა კატია მიხაილოვა. თვალები უბრწყინავდა, ტუჩებზე ნაზი ღიმილი დასთამაშებდა. შეეკითხე:

— კატია, როგორ მოგწონს დუნაი?

— შესანიშნავია! არასოდეს მიფიქრია, რომ მდინარე შეიძლებოდა ასეთი ლამაზი სანახავი ყოფილიყო! — აღფრთოვანებით მიპასუხა კატიამ.

ნაპირიდან მოშორებით ჩანდა მთლად ლაქაშებით დაფარული კუნძული, მასთან ახლოს—ჩაძირული მონიტორი. წყლის ზედაპირზე მხოლოდ გემბანი და ხომალდის დამსხვრეული ქვემეხები ამოშვერილიყო. დესანტის წინ აქ საზღვაო ბრძოლა გაჩაღებულიყო. ორი ჯავშნოსანი კატარღა საბჭოთა კავშირის გმირის უფროსი ლეიტენანტის კონსტანტინე ვორობიოვის მეთაურობით გაბედულად შებმოდა მტრის მონიტორს და სასტიკი ბრძოლის შემდეგ ჩაეძირა.

ვიტალი ზეპლისკიმ, ჩვეულებისამებრ, ფოტოაპარატი ამოიღო და თუმცა მხარი სტკიოდა, ჯერ მტრის მონიტორი გადაიღო, შემ-

დეგ კი ნაპირზე მდგომი ჯგუფიც: ივანე კოჩკინი, კატია მიხაილოვა, მე და ვანია ბოიჩაკი.

ამასობაში, ქალაქის ქუჩებში ხალხმა დაიწყო გამოსვლა. ძირითადად რუსები, უკრაინელები და მოლდაველები იყვნენ. ისინი გვიძღვნიდნენ თაიგულებს და ყურძნით გვიმასპინძლდებოდნენ.

ჩვენს ჯგუფს შემოუერთდნენ პარტიზანები, ჩვიდმეტი კაცი. ისინი ცნობისმოყვარეობით ათვალიერებდნენ ჩვენს კატია მიხაილოვას, რომლის სამხედრო გიმნასტურას საბრძოლო ორდენი და მედალი ამშვენებდა. ადგილობრივი მკვიდრი, მკერავი გორდეენკო, გვიამბობდა თავისი თანამემამულეების—პარტიზანების საბრძოლო საქმეებზე.

— დღეს დილით, როდესაც თქვენ, მეზღვაურებმა მტრის გარნიზონი გაანადგურეთ, ფაშისტების ჯგუფი ქალაქიდან გაიქცა, მაგრამ შორს ვერ წავიდა. იზმაილ-კილიას გზაზე პარტიზანები თავს დაესხნენ, ბრძოლის დროს ნაწილი მოსპეს და ნაწილი ტყვედ წამოიყვანეს, — გვითხრა გარდეენკომ. მან განსაკუთრებული პატივისცემით აღნიშნა პარტიზანი ალექსანდრე ვოლკოვის სიმამაცე. ღამით ქალაქში ჩვენების შემოსვლამდე ვოლკოვს წითელი დროშა აღემართა ეკლესიის სამრეკლოს თავზე. ქალაქში შემოსვლისას ყველამ შევამჩნიეთ სამრეკლოზე აფრიალებული წითელი დროშა, მაგრამ არ ვიცოდით, ვინ იყო ამ ამბის გმირი. პატივისცემით შევხედეთ მამაც პარტიზანს. ორმოცდაოთხი წლის ალექსანდრე ვოლკოვმა მორცხვად თქვა:

— მე მარტო არ ვყოფილვარ, კომკავშირელი ბორის ანდრეევი მეხმარებოდა.

გორდეენკო დაჟინებით გვეპატიჟებოდა თავისთან სახლში. ჩვენ არ ვიცოდით, დავბრუნდებოდით ღამით ნოვაია კილიაში თუ განვაგრძობდით სვლას. ჩვენ ყველანი იზმაილისკენ მივისწრაფოდით. მაგრამ სარდლობას თავისი გეგმები ჰქონდა.

პოდპოლკოვნიკმა იაბლონსკიმ მზვერავებს ნება დაგვრთო რამდენიმე საათით დაგვესვენა. ჩვენს მეთაურ კოჩკინთან ერთად წავედით სტუმრად გორდეენკოსთან. იგი ნავსადგურთან ახლოს, პატარა ხის ოროთახიან სახლში ცხოვრობდა. მკერავი და მისი ცოლი დიდი სიხარულით შეგვხვდნენ. სასტუმრო ოთახში სასწრაფოდ სუფრა გაგვიშალეს.

პირველი სადღეგრძელო საბჭოთა არმიის გამარჯვებისა შევსვით. ჩვენ ვსვამდით მუსკატს, შევეჭეოდით ხილს და ყურადღებით ვუსმენდით მასპინძელს. იგი ოკუპაციის ძნელბედობაზე მოგვითხრობდა, სიამაყით გვაცნობა, რომ მარშალი სემიონ კონსტანტინეს ძე ტიმოშენკო კილიის რაიონიდან იყო.

საუბარი შტაბის შიკრიკმა შეგვაწყვეტინა. მივხვდით, რომ ახალი საბრძოლო დავალება გველოდა და მასპინძლებს გამოვეთხოვეთ.

იაბლონსკის კაბინეტში, სადაც მალე გამოგვიძახეს, კოჩკინის გარდა ჩვენი ახალი ნაცნობი პარტიზანი ვოლკოვი იმყოფებოდა. იაბლონსკიმ გვითხრა:

— დღესვე უნდა დაზვერვოთ დუნაის მარჯვენა ნაპირი, გაარკვიოთ რა მდგომარეობაა სტარაია კილიაში, ეცადეთ ხელში ჩაიგდოთ „მოენე", გაგყვებათ პარტიზანი ვოლკოვი, — შემდეგ იაბლონსკიმ გულთბილად დაუმატა: — გისურვებთ წარმატებას და მძვიდობით დაბრუნებას.

შტაბიდან ნავსადგურამდე ორასიოდე მეტრი იყო.

მივუახლოვდით ნავსადგურს. კარჭაპის გვერდით ათადგილიანი ნავი იდგა. ნავში პირველი ვოლკოვი ჩასტა, წინ ცხვირთან დაიკავა ადგილი და ნიჩბები ხელში აიღო. მეორე სკამზე მე მივუჯექი ნიჩბებს. ვიტალი ზაპსელსკი და ვანია ბოიჩაკი კიჩოზე მოთავსდნენ.

ნავი ბომორდა ნავმისადგომს. ღამის 12 საათი იქნებოდა. უმთვარო, ბნელი ღამე იყო. ნავი სწრაფად მიიწევდა წინ, მდინარის დინების საწინააღმდეგოდ მარცხენა ნაპირის გასწვრივ. ვოლკოვი ენერგიულად უსვამდა ნიჩბებს. იგი მეთევზე გახლდათ და კარგად იცნობდა დუნაის. მალე ნავსადგური თვალს მიეფარა. უკან მოვიტოვეთ სიბნელეში ჩაფლული ნოვაია კილია. უცებ ვოლკოვმა ნავი მკვეთრად მოაბრუნა და მარჯვენა ნაპირისაკენ წაიყვანა. ორივენი სწრაფად ვუსვამდით ნიჩბებს. ნავი უხმაუროდ მიაპობდა წყალს.

მივუახლოვდით მტრის ნაპირს. იგი მთლიანად დაფარული იყო მაღალი ბუჩქნარით. ზოგ ადგილას ბუჩქის ტოტები პირდაპირ წყალში ეშვებოდა. ვოლკოვს ტემპი არ შეუნელებია. მივხვდი, მას უნდოდა ნავი ზუსტად დანიშნულ ადგილას მიეყენებინა. დიდი სიჩქარით მივადექით ნაპირს წყალზე გადმოხრილ მაღალ ბუჩქთან. ვოლკოვმა მოხერხებულად ჩაავლო მარცხენა ხელი ტოტს და ნავი

თოკით მიაბა. აქ, მარჯვენა ნაპირთან, მდინარის დინება ძლიერ სწრაფია, მაგრამ ნავი საიმედოდ იყო მიმაგრებული ბუჩქზე.

სამიოდე წუთი გაყუჩებული ვიყავით. ვოლკოვი წამოდგა, ორივე ხელი ტოტებს ჩაავლო, ბუჩქზე გადაძვრა და ნაპირზე გადავიდა. ყურადღებით მოათვალიერა გარემო, საეჭვო არაფერი შეუმჩნევია და ხელით გვანიშნა, გადმოდითო. ერთმანეთის მიყოლებით გადავძვერით ნაპირზე. კიდევ ერთხელ მივათვალ-მოვათვალიერეთ იქაურობა. ნაპირიდან ნავი არ ჩანდა, ბუჩქები ეფარებოდა.

სტარაია კილიას მიმართულებით გადავწყვიტეთ წასვლა. ავტომატმომარჯვებულები, ნახევრად მოხრილები, ფრთხილად მივიკვლევდით გზას ბუჩქებში. წინ ვოლკოვი მიგვიძღოდა, შემდეგ მივდიოდი მე, ვიტალი ზაპსელსკი და ვანია ბოიჩაკი.

უცებ წინ ადამიანების სილუეტები შევამჩნიეთ. მაშინვე მიწას გავეკარით.

უცნობები გვიახლოვდებოდნენ. უკვე მკაფიოდ გვესმოდა მათი ფეხის ხმა. არ ვინძრეოდით. მტრის პატრული იყო. ხუთნი იყვნენ. ბილიკს სწრაფი ნაბიჯით მიჰყვებოდნენ. ჩუმად ჩაგვიარეს. ჩურჩულით შევთავაზე მზვერავთა ჯგუფის მეთაურს:

— მოდი, უკნიდან დავესხათ თავს.

— არა, ასე არ შეიძლება, — მტკიცედ მიპასუხა ბოიჩაკმა, — ბევრნი არიან, რომელიმე მათგანი მოასწრებს გასროლას და განგაშს ატეხენ.

ბოიჩაკი მართალი იყო, აღარაფერი ვთქვი. გერმანელთა გუშაგები თვალს მიეფარნენ. თხუთმეტი წუთის შემდეგ ისევ გამოჩნდნენ, წყნარად ჩაუარეს ბნელ ბუჩქნარს, ეჭვიც არ შეჰპარვიათ, რომ აქ ხიფათი ელოდათ. სინანულით გავაყოლე თვალი მტრის ჯარისკაცებს.

ცოტა ხნის შემდეგ საფარიდან გამოვედით და გზა განვაგრძეთ. ისევ დუნაის ნაპირს მივყვებოდით. სამასიოდე მეტრის გავლის შემდეგ ჩვენი ყურადღება მიიპყრო ხეივანმა. ხეივანში ვიღაც მიმოდიოდა: მოაღწევდა ხეივნის ბოლომდე და ისევ უკან ბრუნდებოდა. მივხვდით, რომ ეს გერმანელი გუშაგი იყო. მაშასადამე, ხეივანში გერმანელთა სამხედრო ქვეგანაყოფი იქნებოდა. გადავწყვიტეთ, უკან დაბრუნებისას დაგვეზუსტებინა, ვინ იყო ხეივანში. ხანმოკლე შეყოვნების შემდეგ განვაგრძეთ გზა. სწრაფად მივიწევ-

დით. მივუახლოვდით სტარაია კილიას. აქ, ქალაქის მისადგომებთან, ბევრი გერმანელი იყო. ჩვენ უფრო ახლოს მივედით და თვალთვალი დავუწყეთ. აღმოვაჩინეთ მტრის გამაგრებული უბანი: დუნაის ნაპირის გასწვრივ ორმწკრივად აეგოთ სანგრები. სანგრებში გერმანელი ჯარისკაცები ისხდნენ და იქვე მძიმე ტყვამფრქვევებიც დაედგათ. სანგრებს უკან განლაგებული იყო სამოცდათხუთმეტმილიმეტრიანი ქვემეხების ორი ბატარეა. ნაპირის შორიახლოს, სანგრებთან, ჯგუფჯგუფად იდგნენ გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები. ნათელი იყო, რომ მარცხენა ნაპირზე საბჭოთა ჯარების სწრაფი შეტევით შეშინებული ჰიტლერელები შეშფოთებულნი ელოდნენ დესანტის გადმოსხმას მარჯვენა ნაპირზე და ფხიზლად ადევნებდნენ თვალყურს დუნაის.

სტარაია კილიასთან შემდგომი მიახლოვება სახიფათო იყო ჩვენთვის. მოვითათბირეთ და გადავწყვიტეთ, „მოენე“ აგვეყვანა ხეების ბნელ ხეივანთან. დავბრუნდით უკან. მიწაზე ხოხვით მივუახლოვდით ხეივანს. მაღალი ბალახი გვფარავდა.

დაახლოებით ექვსმეტრიანი ხეივანი დუნაიდან ორმოცი მეტრის დაშორებით იწყებოდა და ას მეტრზე ტერიტორიის სიღრმეში მიდიოდა. შევამჩნიეთ მტრის შენიღბული ასოცდათორმეტმილიმეტრიანი ქვემეხების ბატარეა. ყოველი ოცი მეტრის მერე ქვემეხი იდგა. ოთხივე ქვემეხის ლულა მიმართული იყო მარცხენა ნაპირისაკენ, ნოვაია კილიას მიმართულებით. ყოველ ქვემეხთან გუშაგი დადიოდა. ქვემეხებიდან დაახლოებით ოთხი მეტრის მანძილზე გაშლილი იყო სამხედრო ლაბადა-კარავი, სადაც გერმანელი არტილერისტები ისვენებდნენ. კარავის გვერდით საველე ტელეფონი იდგა, იქვე ტელეფონისტი მორიგეობდა. ხეივნის ბოლოს, მეოთხე ქვემეხთან მდგარ საველე ტელეფონთან ტელეფონისტის გარდა მორიგე ოფიცერიც იჯდა. დროდადრო ოფიცერი ხმადაბლა ლაპარაკობდა ტელეფონით. ეტყობა, შტაბიდან ურეკავდნენ, ჩვენ საკმაოდ მოშორებით ვიყავით და რას ლაპარაკობდა ოფიცერი, არ გვესმოდა.

მდგომარეობა შევაფასეთ. ძლიერ მაცდუნებელი იყო მორიგე ოფიცრის დატყვევება, მაგრამ შეუძლებელი, რადგანაც იგი თავის აღგილს არ შორდებოდა. ბატარეის მცველი ოთხი გუშაგი კი ძლიერ ახლოს იდგა ერთმანეთთან და რომელიმეზე თავდასხმა შეუმ-

ჩნეველი არ დარჩებოდა. გადავწყვიტეთ, რისკი არ გაგვეწია. დავიწყეთ ლოდინი. იმედი გვქონდა, ბატარეიდან ვინმე წავიდოდა საქმეზე სტარაია კილიაში და გზად თავს დავესხმოდით.

დრო გადიოდა, მაგრამ ბატარეიდან წასვლას არავინ აპირებდა. საათს დავხედე. ღამის სამი საათი იყო. მორიგე ოფიცერმა გუშაგი გამოცვალა. ახალი ჯარისკაცები დადგნენ დარაჯად. ისევ დავხედე საათს — ოთხის თხუთმეტი წუთი იყო. მალე გათენდებოდა. რაიმე უნდა გვეღონა. ჩურჩულით დავიწყეთ თათბირი. უცებ, აზრად მომივიდა, ბატარეის ცოტა მოშორებით ტელეფონის მავთული გადაგვეკრა. ბატარეიდან მაშინვე გააგზავნიდნენ მორიგე ტელეფონისტს ხაზის აღსადგენად და იქ შევიპყრობდით მოენეს.

ჩემი წინადადება ამხანაგებს ძლიერ მოეწონათ. გამოვხოხდით უკან, ვიპოვეთ ტელეფონის მავთული, რომელიც მიწაზე ბილიკს მიუყვებოდა ქალაქის მიმართულებით. ბატარეას ასიოდე მეტრით დავცილდით. ავირჩიეთ ადგილი და გადავწყვიტეთ ჩასაფრება. ვოლკოვმა დანა ამოიღო, უნდოდა მავთულის გადაკვრა, მაგრამ ბოიჩაკმა შეაჩერა:

— ასე არ შეიძლება, დანით გადაკრილი მავთული დააეკვებს მტერს.

ბოიჩაკმა მავთული გაწყვიტა. ბოლოები ისე გადააგდო აქეთ-იქით, თითქოს რაღაცამ გაიარა და დააზიანა ხაზი.

ბუჩქებში შევიმალეთ და დავიწყეთ ლოდინი. ჩვენი ანგარიში სწორი გამოდგა, თხუთმეტი წუთის შემდეგ გამოჩნდა გერმანელი ტელეფონისტი. მას ტელეფონის მავთული ეჭირა ხელში და დაზიანების ადგილს ეძებდა. მოგვიახლოვდა, შეამჩნია გაწყვეტილი ბოლო და გაჩერდა. ჩვენგან ექვსი მეტრის მანძილზე იდგა, — ახალგაზრდა, საშუალო ტანის ეფრეიტორი.

ტელეფონისტი დაიხარა და მავთულის მეორე ბოლოს დაუწყო ძებნა. თავდასხმისათვის ხელსაყრელ მომენტს ველოდით. ტელეფონისტმა იპოვა მავთული, გასწორდა და დაიწყო გაწყვეტილი ბოლოების შეერთება. გერმანელი ჩვენგან ზურგით იდგა, ორივე ხელი დაკავებული ჰქონდა და ყურადღებაც მოდუნებული. ამ მომენტის გაშვება არ შეიძლებოდა. ბუჩქნარიდან გამოვვარდით. პირველმა მე მივირბინე, ავტომატის კონდახი თავში ჩავცხე და გონე-

ბადაკარგულ, მიწაზე გაშოტილ გერმანელს პირში სწრაფად ჩავტენე ჩვარი. ვანია ბოიჩაკმა ასევე სწრაფად შეუკრა ხელ-ფეხი.

ტყვე ბუჩქნარისკენ გავათრიეთ. ვიტალი ზაპსელსკიმ მიწიდან ეფრეიტორის ქუდი აიღო. ორიოდე წუთს დაძაბულნი ვუგდებდით ყურს, მაგრამ ღამის სიჩუმეს ჩქამი არ არღვევდა. სწრაფად გავეშურეთ ნავისაკენ, წინ პარტიზანი ვოლკოვი მიგვიძღოდა, მე მას მივყვებოდი და ზურგით მივათრევდი შეკრულ ეფრეიტორს. უკანიდან ვიტალი ზაპსელსკი და ვანია ბოიჩაკი გვიცავდნენ.

ბოლოს მივედით წყალზე გადაკიდებულ დიდ ბუჩქთან, რომლის ქვეშაც ნავი იყო დამალული. ვოლკოვი მოხერხებულად გადაევლო ბუჩქს და პირდაპირ ნავში ჩახტა. მე ძვირფასი ტვირთი გადავეცი. შემდეგ ჩვენ გადავედით ნავში. ვოლკოვი ძლიერ ჩქარობდა და ვერაფრით ვერ მოხსნა თოკი ბუჩქის ტოტიდან.

მდინარის შუაგულში რომ გავედით, ცოტათი დავმშვიდდით. როცა მარცხენა ნაპირს მივადექით, თავისუფლად ამოვისუნთქეთ. სამხედრო დავალება შევასრულეთ.

ნავი დინების მიმართულებით მოძრაობდა. გამოჩნდა ნოვაია კილია. დილის ხუთი საათი იყო. აი, ნავსადგურიც, ნაცნობი კარჭაპი. მივედით ნავსადგურთან. იქ კატია მიხაილოვა და უფროსი ლეიტენანტი კოჩკინი დაგვხვდნენ. თურმე მთელ ღამეს გველოდნენ აქ. მეგობრებმა ძლიერ გაიხარეს, როდესაც ცოცხლები და უვნებლები დაგვინახეს.

გერმანელ ტყვეს ხელ-ფეხი გავუხსენით, ფეხზე დავაყენეთ, პირიდან ჩვარი ამოვუღეთ. ვოლკოვი დაიხარა, პეშვით წყალი ამოიღო დუნაიდან და გერმანელი მოასულიერა. ტყვეს მხარზე ხელი მოვუთათუნე და გერმანულად ვუთხარი:

— ნუ გეშინია, არაფერს დაგიშავებთ.

ეფრეიტორი შტაბში წავიყვანეთ.

ჩვენი ღამის დახვერვა და ტყვე გერმანელისაგან მიღებული ცნობები ძლიერ გამოადგა დუნაის ფლოტილიის სარდლობას სტარაია კილიას განთავისუფლებისათვის გამართულ ბრძოლებში.

თავი 3

ბულგარეთის მიწაზე

7 სექტემბერს დილით დუნაის ფლოტილიის ხომალდების სანაპირო თანხლების ჩვენი რაზმი რუმინულ ქალაქ ჯურჯუში ჩავიდა. დუნაი აქ ძალიან განიერია. მარცხენა ნაპირიდან ძლივს მოჩანს მარჯვენა ბულგარული სანაპირო. მდინარე ამ ადგილებში არა მარტო განიერია, ღრმაცაა და თავისუფლად დაცურავენ საზღვაო გემები. ჯურჯუს ნავსადგომის გასწვრივ ღუზაზე ბევრი კარჭაპი და სხვადასხვა დამხმარე ხომალდი იდგა. გემები მოჩანდა მარჯვენა ბულგარულ ნაპირთანაც.

უფროს ლეიტენანტ კოჩკინის მეთაურობით ჩვენი მზვერავები ნავმისადგომის დასაწყისისაკენ გაემართნენ. აქედან დიდებული ხედი იშლებოდა, ჩანდა წყალუხვი, ცისფერი დუნაი, ხომალდები, თხელ ბურუსში მოპირდაპირე სანაპირო ილანდებოდა. მაგრამ ჩვენ უფრო ბულგარული ქალაქი რუშჩუკი გვაინტერესებდა და არა ბუნების სილამაზე. ეს ქალაქი ჯერ კიდევ წინა საუკუნეში რუსეთის ჯარებმა გაათავისუფლეს თურქეთის უღლისაგან. მაშინ ბულგარელი ხალხი დიდი სიყვარულით შეხვდა რუსეთის განმათავისუფლებელ არმიას. როგორ შეგვხვდება ამჟამად იგი ჩვენ? — ბულგარეთში ხომ სახელმწიფოს სათავეში ფაშისტები არიან და ყველაფერს აკეთებენ, რათა შუღლი ჩამოაგდონ ჩვენს ხალხებს შორის.

საღამოთი მე და ზაპსელსკიმ დავალება მივიღეთ — გამოგვერკვია მდგომარეობა ბულგარულ ნაპირზე. მე ნიჩბებს მივუჯექი, ვიტალი კიჩოზე მოთავსდა.

რუშჩუკი სიბნელეს მოეცვა. ორიენტირება ადვილი არ იყო. ბოლოს, სიბნელეში ნავმისადგომთან მდგარი სავაჭრო გემების მოხაზულობა გავარჩიეთ. არც გემებზე და არც სანაპიროზე სინათლეები არ ენთო. ამან, ცოტა არ იყოს, დაგვაფიქრა.

— იქნება ბულგარელები დესანტს ელოდებიან და ცეცხლით შეგვხვნენ? — თქვა ვიტალიმ.

რუშჩუკს სამხრეთიდან მივუახლოვდით. ნავმისადგომის ბოლოს კარჭაპთან გავჩერდით. ღამის სიჩუმეს მივუგდეთ ყური. სიწყნარე იყო. ნავის ცხვირზე შევდექი, კარჭაპის ფერდს ხელები ჩავავლე

და ზედ გადავედი. გემბანზე არავინ ჩანდა, რამდენიმე წუთი დაკვირვებით ვათვალიერებდი ნაპირს ნავმისადგომის გასწვრივ. იქ იდგნენ კარჭაპები, საბუქსირო ხომალდები და სამგზავრო გემები. არც გერმანული და არც ბულგარული სამხედრო გემები არ ჩანდა. სანაპიროზეც ვერსად შევამჩნიე რაიმე თავდაცვითი ნაგებობანი და ჯარისკაცები.

ტრაპით ჩავედი ძირს, სიბნელეში მოვძებნე კაიუტის კარები და დავაკაკუნე. ავტომატი შემართული მეჭირა, ვინ იცის, როგორ შემხვდებოდნენ კაიუტაში მყოფნი. გავიგონე, რომ ვიღაც წამოდგა და კარს მოუახლოვდა. კარი ფართოდ გაიღო. კაიუტაში შუქი ენთო. ზღურბლზე იდგა ბულგარეთის საავჭრო ფლოტის შავ ფორმაში გამოწყობილი ოცდაათიოდე წლის მაღალი, მხარბეჭიანი კაცი. ჩემს დანახვაზე შეკრთა, შემდეგ გაარჩია საბჭოთა მეზღვაურის სამხედრო ფორმა და ძლიერ გაიხარა. ორივე ხელი მეგობრულად გამომიწოდა და გულიანად მითხრა:

— გამარჯობა!

ხელი მაგრად ჩამოვართვი. კაიუტაში შემიყვანა და კარი მიხურა. დავსხედით.

— ზემდეგი კოლევი, — გამეცნო მეზღვაური.

— ალიოშა, — ვუპასუხე უბრალოდ და მაშინვე ვკითხე. არიან თუ არა რუშჩუკში და ნავსადგურის მიდამოებში გერმანელები. კოლევმა მშვიდად მიპასუხა:

— რუშჩუკის ნავმისადგომებთან გერმანელთა ხომალდები არაა. ამ ორი დღის წინ დუნაის ქვემო აუზიდან რუშჩუკზე გაიარა ასმა გერმანულმა სამხედრო ხომალდმა და ტრალერმა. ისინი ერთი დღით გაჩერდნენ რუშჩუკში და აღმა, ბელგრადის მიმართულებით წავიდნენ. ამბობენ, ბევრი მათგანი რუმინეთის არტილერიამ მოსპოო. ასე რომ, ხომალდების დიდმა ნაწილმა დანიშნულ ადგილამდე ვერ მიაღწია. ამჟამად რუშჩუკში, ნავმისადგომის მეორე ბოლოს, მდინარის დიდ უბეში იარაღით, ტყვია-წამლით და მედიკამენტებით დატვირთული გერმანელთა სამოცამდე სამხედრო ტრანსპორტი დგას.

ეს ცნობები მეტად საინტერესო იყო და შეიძლებოდა უკან დაბრუნება. მე ყოველ შემთხვევისათვის ვიკითხე:

— რატომაა ნავსადგურში შუქშენიღბვა?

— ბულგარეთის მთავრობას რუმინეთის სამხედრო მოქმედებისა ეშინია.

— არის თუ არა ნავსადგურის რაიონში ბულგარული ნაწილები და როგორ არიან განწყობილნი ბულგარელი ჯარისკაცები?

კოლევმა სასწრაფოდ დამამშვიდა:

— აქ ჩვენი სამხედრო ნაწილები არ დგას. მხოლოდ სანაპიროზე რკინიგზასთან არის ბულგარეთის მესაზღვრეთა საგუშაგო. სულ თ უტმეტი კაცია. მაგრამ ნუ სწუხართ, ისინი ცეცხლს არ დაუშვენენ რუსებს. ბულგარელი ხალხი კეთილი გულით, პურ-მარილით შეგხვდებათ.

ამ სიტყვებმა გამახარა. ერთად გამოვედით კაიუტიდან. კოლევმა კარჭაპის ცხვირამდე მიმაცილა. გულთბილად გადავუხადე მადლობა ახლად შეძენილ ბულგარელ მეგობარს. გამომშვიდობებისას მაგრად გადავეხვიეთ ერთმანეთს. კოლევი იყო ჩვენი პირველი მეგობარი ბულგარეთის მიწაზე.

ლოდინით დაღლილი ვიტალი ნიჩბებს დააწვა. გზაში დაწვრილებით გამომკითხა კოლევთან საუბრის შესახებ.

9 სექტემბერს ბრძანება მივიღეთ — სადესანტო ხომალდებზე ავსულიყავით. უფროს ლეიტენანტ კოჩკინის მეავტომატეთა გაძლიერებული ასეული ორ სწრაფმავალ სადესანტო გემზე განლაგდა. მზე კაშკაშებდა. სწრაფად ვუახლოვდებოდით მოპირდაპირე სანაპიროს, საბჭოთა ხომალდებს ცეცხლს არავინ უშენდა.

მზვერავები მოწინავე სადესანტო გემზე ვიმყოფებოდით. ჩემს გვერდით იდგა ვიტალი ზაპსელსკი. მას ფოტოაპარატი მოემარჯვებინა, რათა ფირზე აღებეჭდა მნიშვნელოვანი ისტორიული ეპიზოდი, საბჭოთა მებრძოლ-გამათავისუფლებლების გადასვლა ბულგარეთის მიწაზე.

მე, როგორც უკვე რუშჩუკში ნამყოფი, პირველი გადავხტი გემიდან და ნავსადგომის ხის ძელებზე გავირბინე, მივუახლოვდი იმ ადგილს, სადაც სანაპიროსთან რკინიგზის ლიანდაგი გადიოდა. ბულგარელმა მესაზღვრეებმა შეამჩნიეს საბჭოთა მებრძოლთა დესანტის გადმოსხმა და ახლა ჩემკენ მოიჩქაროდა ხუთი ჯარისკაცი და ოფიცერი, ისინი რაღაცას გაჰყვიროდნენ.

— გამარჯობა! — მითხრა ბულგარელმა პორუჩიკმა, როდესაც მომიახლოვდა. შემდეგ გადამეხვია და გადამკოცნა.

— რა გქვია?

— ალიოშა.

ჩემ უკან მოიჩქაროდნენ ჩვენი მზვერავები და უფროსი ლეიტენანტი კოჩკინი. ისინი გულთბილად მიესალმნენ ბულგარელ მესაზღვრეებს. ზაპსელსკი განზე გადგა და მთელი ჯგუფი აღბეჭდა ფოტოფირზე.

უფროს ლეიტენანტ კოჩკინის ბრძანებით მეავტომატეთა ასეულმა საბრძოლო წესრიგით დაიკავა ნავსადგური. კოჩკინმა სარაკეტო პისტოლეტიდან ჰაერში გაუშვა მწვანე მაშხალა, რაც იმას ნიშნავდა, რომ შეხვედრამ მეგობრულად ჩაიარა. ამ ნიშანზე ჯურჯუდან ახალი ბუქსირები დაიძრა.

ბუქსირებმა ნავმისადგომს მოაყენეს კარჭაპები. მედესანტეები სწრაფად ტვირთავდნენ არტილერიას და საბარგო მანქანებს. მეთაური სადესანტო ხომალდიდან ნაპირზე გადმოვიდა პოდპოლკოვნიკი იაბლონსკი. ოფიცრების თანხლებით იგი ქალაქისაკენ გაემართა. იაბლონსკის სწრაფი ნაბიჯით მიუახლოვდა მესაზღვრეთა საგუშაგოს უფროსი და საზეიმოდ უპატაკა:

— ბულგარელი მესაზღვრეები მიესალმებიან საბჭოთა არმიას ბულგარეთის მიწაზე. ქალაქ რუშჩუკში გერმანელთა ჯარები არ დგას, მხოლოდ ქალაქგარეთ არის დაბინავებული ფაშისტების მოტორიზებული პოლკი.

იაბლონსკიმ ყურადღებით მოუსმინა ბულგარელ ოფიცერს და მერე მაგრად ჩამოართვა ხელი. ეს ისეთი ეპიზოდიც ფოტოფირზე აღბეჭდა ვიტალი ზაპსელსკიმ.

სანაპირო რაზმი უკვე ბულგარულ ნაპირზე გადმოსულ სატანკო პოლკთან ერთად რუშჩუკის გარეუბნისაკენ გაემართა, მაგრამ გერმანელებმა უბრძოლველად დაიხიეს უკან.

საღამოზე რუშჩუკის ნაპირს მოადგა ჯავშნოსანი კატარღების რაზმი საბჭოთა კავშირის გმირის მეორე რანგის კაპიტნის დერუჟინის მეთაურობით. მოწინავე ხომალდზე იმყოფებოდა დუნაის საშხედრო ფლოტილიის სარდალი, საბჭოთა კავშირის გმირი, ვიცე-ადმირალი სერგეი გიორგის ძე გორშკოვი და ფლოტილიის შტაბის უფროსი პირველი რანგის კაპიტანი არკადი ვლადიმერის ძე სვერდლოვი. ძალე სანაპიროზე ქალაქის თითქმის მთელმა მოსახ-

ლეობამ მოიყარა თავი. ბულგარელებმა გულთბილი შეხვედრა მოგვიწყვეს საბჭოთა ჯარისკაცებს.

გვიან ღამემდე არ დაშლილა ხალხი რუშჩუკის სანაპიროზე, ჩვენ ინტერესით ვუგდებდით ყურს ბულგარელი მეგობრების მონათხრობს მათი ცხოვრების, ბრძოლის შესახებ. ბულგარელმა კომუნისტმა ბორის ვოინოვმა გვიამბო, როგორ იხსნა ტყვეობიდან და გადამალა ოთხი საბჭოთა სამხედრო ტყვე. უხაროდა, რომ შეძლო თუნდაც მცირე რაღაც გაეკეთებინა საბჭოთა ხალხისათვის.

ვიტალი ზაპსელსკი აღარ მოსცილებია ბულგარელ კომუნისტს. შეკითხვები დააყარა. ბორის ვოინოვი დიდი ხალისით პასუხობდა, მაგრამ ვიტალის ყველაფერი არ ესმოდა და ჩაწერასაც ვერ ასწრებდა, ამიტომ ეხვეწებოდა ვოინოვს, ნელა ილაპარაკეო.

ღამის პირველ საათზე გამოვემშვიდობეთ ბულგარელ კომუნისტს, ზემდეგ კოლევს და მესაზღვრეებს. დავბრუნდით სამდინარო სადგურის შენობაში, სადაც იმყოფებოდა საზღვაო ქვეითი ჯარის მეავტომატეთა საიერიშო ასეული. არავის გვეძინებოდა. კიდევ დიდხანს ვლაპარაკობდით. უფროსმა ლეიტენანტმა კოჩკინმა გვითხრა:

— ბორის ვოინოვი მამაცი და პატიოსანი ადამიანია, ის გამონაკლისი არ არის. ჩვენს საბრძოლო გზაზე კიდევ არაერთხელ შეეხვდებით პატრიოტებს, რომლებიც საკუთარი სიცოცხლის საფრთხეში ჩაგდებას არ მოერიდებიან და დაგვეხმარებიან ფაშიზმისაგან ევროპის განთავისუფლების საქმეში.

შემდეგ ბევრჯერ გამხსენებია ჩვენი მეთაურის ეს სიტყვები.

ღამით მზვერავები აგვაყენეს. ჩვენთან ჩამოვიდნენ კაპიტან-ლეიტენანტი იგორ ზოლოტოვი და ლეიტენანტი ლეონიდე კიმელფელი. გამოგვიძახეს ბოიჩაკი, ზაპსელსკი, გრიგოროვიჩი და მე. კიმელფელი ჩიბუხს აბოლებდა და თან ყურადღებით გვათვალიერებდა, ცისფერთვალა ზოლოტოვი კი გულღიად იღიმებოდა.

— მზვერავები? — ძალიან კარგი, მე სწორედ მამაცი მზვერავები მჭირდება.

აი, ამგვარად სანაპირო თანხლების რაზმიდან ჩვენ კაპიტან-ლეიტენანტის ზოლოტოვის განკარგულებაში მოვხვდით.

ერთად გამოვედით სამდინარო ვაგზლიდან. ჯერ კიდევ საკმაოდ ბნელოდა. ნავსადგომთან იდგა რუმინული იახტა „დომინიკა

ფლორიდა“. ორი დღის წინ იგი დუნაის მარცხენა ნაპირთან. ჯურჯუს ნავსადგურში შევამჩნიე, მაგრამ რას მოვიფიქრებდი, თუ მით მომიწევდა დუნაის ზემო წელის დაზვერვა.

იახტას ხანშიშესული რუმინელი კაპიტანი მეთაურობდა. ეკიპაჟი თხუტმეტი კაცისაგან შედგებოდა. ესენი იყვნენ ახალგაზრდა, მაგრამ გამოცდილი მეხლვაურები.

გემბანის წინა ნაწილში იყო სალონი, იმის იქით მოჩანდა კაპიტანის ბოგურა. იახტის კიჩოზე დაშენებულ ნაწილში ცხოვრობდნენ ხომალდის ეკიპაჟის წევრები. იახტა საკმაოდ დიდი სიჩქარით მოძრაობდა. ჩვენ რკინის ჭიშკარისკენ მივემართებოდით. მალე ზოლოტოვმა მიგვიპატიჟა სალონში. თვალში გვეცა სალონის მდიდრული მოწყობილობა. მისი ხის კედლები სარკისებრ პრიალებდა, იატაკზე რიილი, წითელი ხალიჩა ეფინა, ხოლო მარცხენა კუთხეში ბეკერის როიალი იდგა. კაპიტან-ლეიტენანტი ზოლოტოვი რბილ სავარძელში იჯდა უზარმაზარ კაკლის ხის მაგიდასთან და დუნაის რუკას დაკვირვებით ათვალიერებდა. ჩვენ რომ დაგვინახა, პორტსიგარი ამოიღო და გამოგვიწოდა. მაგრამ არც ერთი არ ვეწეოდით. ზოლოტოვმა გაიცინა, სიგარეტს მოუკიდა, თავის პირდაპირ დაგვსხა და დაგვიწყო გამოკითხვა, სად ვცხოვრობდით, რას ვაკეთებდით, რა სამხედრო ოპერაციებში მიგვეღო მონაწილეობა.

აღმოჩდა, რომ ვიტალის ზოლოტოვი ადრე უკვე შეხვედროდა. მათ ერთმანეთი გაიცნეს 1943 წლის შემოდგომაზე ნოვოროსიისკში, დესანტის წარმატებით გადასხმის შემდეგ. მაშინ ვიტალის ინტერვიუ აეღო დესანტის მონაწილე ზოლოტოვისაგან.

ზოლოტოვმა ჩვენი ლაშქრობის მიზანი აგვიხსნა, საჭირო იყო გაგვერკვია დუნაიზე გერმანელების მიერ დანაღმული ადგილების მდებარეობა, გაგვესაზღვრა მდგომარეობა მდინარის სანაპირო ზოლში.

მალე გათენდა. იახტა დიდი სიფრთხილით მიიწევდა წინ. ფიქრობდნენ, რომ ეს ადგილები დანაღმული იყო. ჩვენ ბინოკლით ვათვალიერებდით ნაპირებს. როდესაც იახტა დასახლებულ პუნქტებთან ჩერდებოდა, რუმინელ მეზღვაურებთან ერთად ნაპირზე ჩავდიოდით და მეთევზეებს დუნაიზე დაყენებული წინააღმდეგობების შესახებ ვეკითხებოდით. ზოლოტოვს რუკაზე გადაჰქონდა ნავარაუდევი დანაღმული ველები.

10 სექტემბერს დილით იახტა მიადგა მარჯვენა ნაპირზე მდებარე ბულგარული ქალაქის სვიშჩევის პატარა ნავსადგურს. ნავმისადგომთან მხოლოდ ერთი ბულგარული კარუპაი იდგა. არსად, არც კარუპაზე, არც ნაპირზე კაცის ჭაჭანება არ იყო. გამაგზავნეს მდგომარეობის გასარკვევად.

სვიშჩევი მაღლობზეა განლაგებული. გორაკიდან ძირს, დუნაისაკენ გრძელი კიბე ეშვება. სწრაფად ავირბინე კიბე და სამი ბულგარელი მეზღვაური დავინახე. იმათაც შემამჩნიეს, გაუკვირდათ და გაუხარდათ.

— განა სვიშჩევის ნავმისადგომთან უკვე საბჭოთა ხომალდები გამოჩნდნენ? — მკითხეს მათ.

მე არ მინდოდა ამ კითხვაზე პასუხის გაცემა, თუმცა კეთილგანწყობილნი ჩანდნენ, ამიტომ თვითონ შევეკითხე:

— არიან გერმანელები სვიშჩევში?

მეზღვაურებმა მითხრეს, გერმანელი ჯარისკაცები გუშინ დილას ვნახეთ ქალაქში, მაგრამ არ ვიცით, ახლა სად არიან. ქალაქში კი ფაშისტური ხელისუფლებაა. მე იახტაზე დავბრუნდი.

ცოტა ხნის შემდეგ ქალაქის მხრიდან სროლის ხმა მოგვესმა. ავტომატები და ხელყუმბარები მოვიმარჯვეთ, ოფიცრებმა პისტოლეტები ამოიღეს. სროლის ხმა თანდათან ახლოვდებოდა. ჩვენთვის გაუგებარი იყო, რა ხდებოდა გორაკზე, ვინ იბრძოდა. მალე გორაკის თავზე, კიბის ბოლოს პისტოლეტიანი ბულგარელი ოფიცერი და შაშხანამომარჯვებული ახალგაზრდა სერჟანტი გამოჩდნენ. ოფიცერი მობრუნდა და რამდენჯერმე ესროლა მდევარს, შემდეგ სერჟანტთან ერთად სწრაფად ჩამოირბინა კიბე და ჩვენს იახტას მოაშურა.

— სადმე დაგვმალეთ, ფაშისტები მოგვდევენ!—მიმართა თხოვნით ბულგარელმა ოფიცერმა ზოლოტოვს. თან დაუმატა, ბულგარელი რევოლუციონერები ვართ და ფაშისტური პოლიცია მოგვდევსო.

ზოლოტოვმა უყოყმანოდ მისცა მათ იახტაზე ამოსვლის ნება და სალონის ქვეშ, კაიუტაში ჩაიყვანა. მალე ნავმისადგომთან პოლიციელები გამოჩნდნენ. მათ მოითხოვეს სამხედრო მეამბოხეების გადაცემა, ზოლოტოვმა უარი უთხრა და იახტის კაპიტანს უბრძანა, ნაპირს მოშორებულიყო.

პოლიციელებს ეს არ ესიამოვნათ, მაგრამ ვერ გაბედეს ჩვენთან შებრძოლება. იახტა რუმინული ნაპირისაკენ გაემართა.

ჩვენ ძალიან გვინდოდა ბულგარელ რევოლუციონერთა გაცნობა. ზოლოტოვმა ნება დაგვრთო ჩავსულიყავით მათთან. ბულგარელებს ვრცელი კაიუტა ეჭირათ. ისინი ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყვნენ.

ოფიცერი ოცდაათიოდე წლის, საშუალო ტანის კაცი იყო. შავგვრემანი სახე და ვაუკაცური გამოხედვა ჰქონდა. სერჟანტი უფრო ახალგაზრდა ჩანდა. ზოლოტოვმა მეგობრულად გაუწოდა ხელი ბულგარელ ოფიცერს.

— კაპიტან-ლეიტენანტი ზოლოტოვი.

ბულგარელმა ოფიცერმა მაგრად ჩამოართვა ხელი, მადლობა გადაუხადა ხსნისათვის და მიუგო:

— პორუჩიკი ივან დენევი.

მანვე გაგვაცნო სერჟანტიც, სამწუხაროდ, ბულგარელი სერჟანტის გვარი აღარ მახსოვს.

საუბრის დროს გამოირკვა, რომ პორუჩიკი ივან დენევი სვიშჩევის სამხედრო გარნიზონის ქვეითი ასეულის მეთაური იყო, ხოლო სერჟანტი — ოცეულისა. წინა დღით, 9 სექტემბერს პორუჩიკმა გაიგო, რომ სოფიაში დამყარდა სამამულო ფრონტის ხელისუფლება, ხოლო დუნაისპირა ქალაქ რუშჩუკში საბჭოთა ჯარები გადმოსხდნენ. პორუჩიკმა განიზრახა ფაშისტების დაპატიმრება და სვიშჩევში სამამულო ფრონტის ხელისუფლების დამყარება, მაგრამ პოლიციამ დაასწრო და შეიპყრო თავის თანაშემწესთან ერთად. რევოლუციონერებმა გაქცევა მოახერხეს, გაიგეს, რომ ნავსადგომთან საბჭოთა ხომალდი იდგა და ჩვენ მოგვაშურეს.

— თქვენს ქალაქში თუ არიან გერმანელი ფაშისტები? — იკითხა ზოლოტოვმა.

— ამჟამად სვიშჩევში არ იმყოფებიან გერმანელები, მაგრამ დუნაის სანაპიროზე რამდენიმე დასახლებულ პუნქტში არიან განლაგებულნი, —გვითხრა ბულგარელმა პორუჩიკმა და ფანქრით რუკაზე აღნიშნა გერმანელთა სამხედრო ნაწილების განლაგების ადგილები, სვიშჩევიდან ქალაქ ლომამდე.

ბულგარელი პორუჩიკისაგან მიღებული ცნობები მეტად

ძირფასი და სასარგებლო აღმოჩნდა საბჭოთა ჯარების სარდლობისათვის.

— შეგიძლიათ დარჩეთ ჩვენს გემზე, სანამ დუნაისპირა ბულგარულ ქალაქში დამყარდება სამამულო ფრონტის ხელისუფლება. — შესთავაზა ზოლოტოვმა ბულგარელ ოფიცერს.

გამოვედით კაიუტიდან. ზემოთ ავედით და თავი მოვიყარეთ სალონში, სადაც ზოლოტოვმა ხანმოკლე თათბირი გამართა: გაგვაფრთხილა, მომავალში მეტი სიფრთხილე გვმართებს, რადგანაც, როგორც დავრწმუნდით, ბულგარეთშიც კი ფაშისტებს ძალა ჯერ კიდევ აქვთო.

საღამოზე დიდ კუნძულს მივუახლოვდით. იქ სანაოსნო მხოლოდ მდინარის მარცხენა მხარე იყო. ჩვენი იახტა რუმინული ნაპირის გასწვრივ მიდიოდა.

გამოჩნდა რუმინული ნავსადგურის ტურნუ-მეგურელეს უზარმაზარი ელევატორი. იახტამ მას გვერდი აუარა და ნავმისადგომს მიადგა.

დიდ ნავმისადგომთან ორმოციოდე ხომალდი იდგა. კაპიტან-ლეიტენანტმა გადაწყვიტა, გაეგო რითი იყო დატვირთული ეს ხომალდები. იგი ოთხი მზვერავის თანხლებით ნაპირზე გადავიდა.

ოთხ დიდ საზღვაო ტანკერზე საავიაციო ბენზინი აღმოჩნდა დატვირთული. დანარჩენ ხომალდებზე საბრძოლო მასალით სავსე ყუთები იყო, კარჭაპებზე კი — სურსათის დიდი მარაგი. ყველაფერი ამის წაღება დუნაის აღმა მიმართულებით ჰიტლერელებმა ვერ მოასწრეს.

სანამ ზოლოტოვი და კიმელფელი თათბირობდნენ, თუ როგორ დაეცვათ ნადავლი ხომალდები, ჩვენ სალონის ილუმინატორიდან ვათვალიერებდით მოპირდაპირე ნაპირს. ამ ადგილას დუნაის სიგანე დიდი არ იყო, ამიტომ კარგად მოჩანდა ძველებური ბულგარული ქალაქის ნიკოპოლის სანაპირო და იქ ხალხის არაჩვეულებრივი მოძრაობა შევნიშნეთ. ქალაქში რაღაც ხდებოდა. ამან დაგვაინტერესა და ზოლოტოვმა გადაწყვიტა ნიკოპოლთან მიეყენებინა იახტა. ნიკოპოლის პატარა ნავმისადგომთან მხოლოდ ერთი ბორანი და ბულგარული კატარღა იდგა. ჩვენთან მაშინვე ამოვიდა კატარღის მეთაური სერჟანტი ვასილ ნიკოლოვი. ზოლოტოვმა იგი სალონში მიიწვია. სერჟანტმა გვიამბო, რაც ნიკოპოლში მომხდარიყო.

-"8 სექტემბერს ნიკოპოლის გარნიზონის სამხედრო პოლკს ამბოხება მოეწყო ფაშისტების წინააღმდეგ. ამბოხებას კომუნისტი ბერსიაკოვი ხელმძღვანელობდა. ის ჯარისკაცებმა და ოფიცრებმა რევოლუციური პოლკის კომისრად აირჩიეს. კომისრის ბრძანებით ნიკოპოლში დააპატიმრეს ფაშისტები და პოლიციელები. რევოლუციონერებისაგან ჩამოყალიბდა სახალხო მილიცია, რომლის უფროსად მამაცი კომუნისტი ნიკოლოზ კაცაროვი დანიშნეს. ქალაქში დამყარდა სამამულო ფრონტის ხელისუფლება.

გემბანზე გამოვედით. ნიკოპოლის ქუჩებში ისევ ირეოდა ხალხი. დემონსტრანტები — „ინტერნაციონალს" და სხვა რევოლუციურ სიმღერებს მღეროდნენ. ხელში ეჭირათ პლაკატები წარწერებით: „გაუმარჯოს ჩვენს გამანთავისუფლებელ საბჭოთა არმიას!" „გაუმარჯოს სამამულო ფრონტის მთავრობას ბულგარეთში!", „გაუმარჯოს გიორგი დიმიტროვს!", „სიკვდილი ფაშისტებს!" სანაპიროზე რევოლუციური პოლკის სასულე ორკესტრი „მარსელიეზას" უკრავდა.

მე და ჩემმა მეგობარმა მზვერავებმა მხოლოდ ისტორიიდან ვიცოდით ოქტომბრის რევოლუციის შესახებ. აქ კი, მომსწრე ვიყავით ბულგარეთში რევოლუციის დაბადებისა. ჩვენ დიდის მღელვარებით ვადევნებდით თვალს მასების რევოლუციურ ენთუზიაზმს და გვიხაროდა ბულგარელი ხალხის განთავისუფლება.

საბჭოთა მეზღვაურების ჩამოსვლის ამბავი ელვისებურად მოედო ქალაქს. ჩვენთან მოდიოდნენ დელეგაციები. პირველად გემზე გვესტუმრა ნიკოპოლის კომუნისტების დელეგაცია, რომელსაც მგზნებარე რევოლუციონერი, სახალხო მილიციის უფროსი ნიკოლოზ კაცაროვი მეთაურობდა. დელეგატებს მარცხენა ხელზე ფართო წითელი სამკლაური ეკეთათ.

ზოლოტოვმა სტუმრები სალონში შეიყვანა და მზვერავებიც იქ მიგვიპატიჟა. დამამახსოვრდა ნიკოლოზ კაცაროვი — მაღალი, ლამაზი, შავთვალება. ლაბადა ეცვა, თავზე ფართოფარფლიანი ქუდი ეხურა. ლაპარაკობდა ჩქარ-ჩქარა, თან ხელებს იშველიებდა. ბულგარული ენა რუსულს წააგავს, ჩვენ თარჯიმნის გარეშე გვესმოდა ერთმანეთის. გულთბილად ვსაუბრობდით. ჩემ გვერდით იჯდა ოცდაორი წლის ბულგარელი რევოლუციონერი ქალიშვილი რასიცა ხრისტოვა, სიმპათიური გოგონა იყო, ლამაზად ეცვა,

მაგრამ ქამარზე დამაგრებული ჰქონდა ტყავის ბუდიანი რევოლვერი. რასიცა მეკითხებოდა საბჭოთა კავშირის, მშობლიური თბილისის შესახებ. მას ძლიერ აინტერესებდა ჩვენი კომკავშირის მუშაობა. ვიტალი ზაპსელსკი რაღაცას წერდა და ხანდახან ჩვენ შემოგვხედავდა ხოლმე. რასიცამ ეს შენიშნა და მკითხა.

— რას იწერს თქვენი ამხანაგი ვიტალი?

ავუხსენი ჩემი მეგობარი კორესპონდენტია-მეთქი.

შემდეგ იახტაზე გვესტუმრა რევოლუციური პოლკის დელეგაცია კომისარ დემიან ბერნიაკოვის მეთაურობით. სალონი ისევ ახმაურდა.

ყველანი ინტერესით ვუყურებდით დემიან ბერნიაკოვს. ბეერი რამ გაგვეგო ამ მგზნებარე რევოლუციონერზე. იგი ოცდაათ წელზე მეტის იქნებოდა, მაღალი, მხარბეჭიანი იყო, ბულგარელი ოფიცრის მუნდირი მჭიდროდ შემოკვროდა ჩაფსკვნილ ტანზე.

ბერნიაკოვი მეგობრულად ესაუბრებოდა ზოლოტოვს. იგი მოუთხრობდა ჩვენს მეთაურს, რომ სამამულო ფრონტის ხელისუფლება მტკიცედ დგას ნიკოპოლში და მის ახლო მდებარე სოფლებში. ნიკოპოლის კომუნისტური ორგანიზაცია მჭიდრო კავშირშია სოფიასთან, ბულგარელი კომპარტიის ხელმძღვანელობასთან. ზოლოტოვმა იკითხა, რა იცის ბერნიაკოვმა მარჯვენა ნაპირზე გერმანელი ჯარების განლაგების შესახებ. ბერნიაკოვის მონაცემების მიხედვით გერმანელთა ცალკეული ნაწილები სწრაფად უკან იხევდნენ მარჯვენა ნაპირის გასწვრივ, იუგოსლავიისაკენ. მხოლოდ ლომის მიდამოებში იყო თავმოყრილი გერმანელების მნიშვნელოვანი ძალები.

თავის მხრივ, ზოლოტოვმა უამბო ბულგარელ მეგობრებს ქ. რუშჩუკში და სვიშჩევში სამხედრო-პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ, დაწვრილებით მოუთხრო, თუ როგორ უნდოდა პოლიციას დაეპატიმრებინა ორი ბულგარელი სამხედრო მეამბოხე სვიშჩევში. ამ ამბავმა ძლიერ დააინტერესა ბერნიაკოვი და მისი ამხანაგები.

— სად არიან ისინი ახლა? — იკითხა ბერნიაკოვმა.

ზოლოტოვმა სალონში მოიწვია პორუჩიკი ივანოვი და მისი სერჟანტი, რომელსაც გულთბილად შეხვდნენ ნიკოპოლელი რევოლუციონერები. კომისარმა ბერნიაკოვმა წინადადება მისცა მათ

დარჩენილიყვნენ ნიკოპოლის რევოლუციურ პოლკში. ეს წინადადება მათ სიხარულით მიიღეს.

ჩვენი კაპიტან-ლეიტენანტი საქმეს არ ივიწყებდა. მან სთხოვა კომისარს დაგვხმარებოდნენ დუნაის დანაღმული ადგილების რუკის შედგენაში.

— გემსარემონტო ქარხანაში მუშაობს სამხედრო ნაოსნობის ინჟინერი, ოფიცერი გიორგი ტარაკანოვი, იგი ხშირად არემონტებს ხომალდებს, კარგად იცის ნავიგაცია დუნაიზე და დანაღმული ველების სახიფათო ადგილები, — გვითხრა ბერნიაკოვმა.

სამხედრო ნაოსნობის ინჟინერი იახტაზე მოიყვანეს. სალონში შემოვიდა, ასე, სამოცი წლის მაღალი, გამხდარი, სამხედრო ტანსაცმელში გამოწყობილი შავგვრემანი მამაკაცი. იგი მეტად გულითადი ადამიანი აღმოჩნდა. ზოლოტოვმა მრგვალ მაგიდაზე დუნაის რუკა დააფინა და ინჟინერს სთხოვა, აღენიშნა მდინარის საშიში ადგილები.

— რუშჩუკიდან ქალაქ ლომამდე დუნაი ძლიერ დანაღმულია და ახლა ამ მონაკვეთში ნაოსნობა შეჩერებულია, — განაცხადა ინჟინერმა, — მიკვირს, თქვენმა ხომალდმა როგორ გამოაღწია ამ მეტად სახიფათო ადგილებს. ნაღმები გერმანელებმა დააყენეს, მაგრამ ორი კვირის წინათ ამერიკელთა ავიაციამაც დუნაის ამ რაიონში ბევრი ნაღმი ჩამოყარა.

ინჟინერმა დაწვრილებით გვიჩვენა რუკის კვადრატებზე ნაღმების ადგილმდებარეობა. ამასთან დაწვრილებით განგვიმარტა, როგორ გვეპოვა და უვნებელგვეყო ისინი. მისი მონაცემები ემთხვეოდა ბულგარელ და რუმინელ მეთევზეთა ცნობებს.

უფროსი ლეიტენანტი ყურადღებით უსმენდა ბულგარელ სამხედრო ინჟინერის ახსნა-განმარტებას და სწრაფად იწერდა რვეულში მის სასარგებლო რჩევა-დარიგებებს.

ღამით გვიან დავემშვიდობეთ ბულგარელ სამხედრო რევოლუციონერებს.

იახტა „დომინიკა ფლორიდა“ მოსცილდა ნიკოპოლის ნავმისადგომს და გაემართა აღმა, მდინარის ზემო დინებისაკენ.

ნიკოპოლის ზემოთ, რუმინული ნაპირის გასწვრივ გაჭიმულია ხშირი ტყე, ხოლო მარჯვენა ნაპირის გასწვრივ კი — ტანწერწეტა ლერწმის მაღალი რიგები. აქ ბევრი გარეული იხვი ბუდობს. ღამის

სიმყუდროვეს არღვევდა იხვების ყიყინი. მთვარე ანათებდა. მთვარის შუქზე დუნაი ზღაპრულ სანახაობას წარმოადგენდა. მოხიბლულმა ვთქვი:

— ომი რომ არა, რა სასიამოვნო იქნებოდა იახტით გასეირნება ამ ადგილებში და დუნაის სილამაზით ტკბობა.

ვიტალი ზაპსელსკიმ ირონიით შენიშნა:

— აი, თუ ჩვენი ხომალდი ნალმზე აფეთქდება და ჩაიძირება, მაშინ დატკბები ცივი დუნაის სილამაზით.

— თუ დაღუპვა არ გვიწერია, არ ავფეთქდებით, — გამოგვეპასუხა ვანია ბოიჩაკი.

რა დასამალია ჩვენ ბედისწერის გვჯეროდა და იმედი გვქონდა, რომ სიკვდილს გადავურჩებოდით.

იახტა უხმაუროდ მიიწევდა წინ. მალე მარცხენა მხარეს გამოჩნდა დასახლებული პუნქტი. ეს იყო სომოვი — დიდი ბულგარული სოფელი.

ნავმისადგომთან ნახშირით დატვირთული ექვსი გერმანული კარჭაპი იდგა, გერმანელებმა ვერ მოასწრეს კარჭაპების წაღება ზემოთკენ. რამდენიმე წუთის შემდეგ მარჯვნივ გამოჩნდა რუმინული პორტი კარაბია. აქ ხომალდები არ იდგა.

რაც უფრო ზემოთ ავდიოდით დუნაიზე, იგი ვიწროვდებოდა და დინება სწრაფი ხდებოდა. დუნაის გასწვრივ მანძილის აღმნიშვნელი ბოძები იდგა. მთვარის შუქზე კარგად მოჩანდა მათზე აღნიშნული კილომეტრები. ზოლოტოვმა გვიბრძანა იახტის ცხვირზე დავმდგარიყავით და ყურადღებით გვეცქირა წინ. ამ ადგილებში რუმინული არტილერიის მიერ ჩაძირული იყო ბევრი მტრის ხომალდი, ზოლოტოვი შიშობდა, ჩაძირულ ხომალდს არ შევჯახებოდით.

იახტა დიდი სიჩქარით მიდიოდა. კაპიტან-ლეიტენანტს უნდოდა დილამდე ჩავსულიყავით რუმინულ ნავსადგურ კალაფატიში.

ღამით ოთხჯერ შევნიშნეთ ჩაძირული ხომალდები. ყოველთვის ვანელებდით სიჩქარეს და ფრთხილად ვუვლიდით გვერდს საშიშ ადგილებს.

კალაფატი პატარა, წყნარი ქალაქია. ჩვენ ვისვენებდით ღამის ერცთუ იოლი სვლის შემდეგ. ილუმინატორიდან კარგად მოჩანდა მოპირდაპირე ნაპირზე ქალაქი ლომი. ნავმისადგომთან რამდენიმე ხომალდი იდგა, მათ შორის დიდი ბულგარული ტრალერი „კირილე

პოპოვი“, რომელმაც ჩვენი განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია. ტრალერზე უნდა ჰქონოდათ დუნაის დანაღმული ველების რუკა. ჩვენ ტრალერის ბულგარელი მეზღვაურების დახმარების იმედი გვქონდა.

კაპიტან-ლეიტენანტმა გადაწყვიტა, ღამით დაგვეზვერა მარჯვენა სანაპირო. მთელი დღის განმავლობაში ილუმინატორიდან ვუთვალთვალებდით მარჯვენა ნაპირს. ჩვენი მონაცემების მიხედვით ლომში გერმანელები უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ არც ნავმისადგომთან, არც სანაპიროზე ვერც ერთი გერმანელი ჯარისკაცი ან ოფიცერი ვერ შევნიშნეთ. ზოლოტოვმა ხომალდის გემბანზე გამოჩენა მაინც აგვიკრძალა მზვერავებს.

ამინდი გაფუჭდა. ცა მოიქუფრა, წვიმა წამოვიდა და მდინარეზე ცივმა ქარმა დაუბერა. ჩვენ დაზვერვისათვის ვემზადებოდით. კაპიტან-ლეიტენანტმა იგორ ზოლოტოვმა და ლეიტენანტმა კიმელფელმა ერთად შეიმუშავეს ღამის დაზვერვის გეგმა. დაზვერვა ორ ჯგუფად უნდა გვეწარმოებინა ტრალერზე და ქალაქში. პირველ ჯგუფში მე და გრიგოროვიჩი ვიყავით, მეორეში — ვანია ბოიჩაკი და ვიტალი ზაპსელსკი.

ბოიჩაკი და ზაპსელსკი გამოეწყვნენ სამოქალაქო ტანსაცმელში, რომელიც მათ რუმინელმა მეზღვაურებმა ათხოვეს. ისინი უჩვეულოდ გამოიყურებოდნენ ამ ტანსაცმელში. შავგვრემანი, შავთვალა ზაპსელსკი ძლიერ ჩამოჰგავდა ბულგარელს.

დაზვერვის წინ იარაღი შევამოწმეთ. როდესაც სრულიად ჩამობნელდა, ავედით გემბანზე, წვიმამ უმატა. დუნაიზე ტალღები აღიმართა. რუმინელმა მეზღვაურებმა ამწეთი ჩაუშვეს წყალში ორი პატარა ნავი. პირველ ნავში მე და გრიგოროვიჩი მოვთავსდით, ხოლო მეორეში — ვანია ბოიჩაკი და ვიტალი ზაპსელსკი.

მე ნიჩბებს მივუჯექი, გრიგოროვიჩი — საჭეს. ნავი ხომალდს მოსცილდა. ძლიერი ქარი უბერავდა, წვიმა პირდაპირ თვალებში და სახეში გვცემდა, ტალღები მძლავრად არწევდნენ ნავს.

ნავმისადგომს „კირილე პოპოვის“ ცოტა ქვევით მივადექით, მოვბრუნდით და ნაპირ-ნაპირ მივაშურეთ ტრალერს. ავტომატები მომარჯვებული გვქონდა და ყოველგვარი მოულოდნელობისათვის მზად ვიყავით. თუმცა ბნელოდა და კოკისპირულად წვიმდა, მაინც

ვფრთხილობდით. ხუთიოდე წუთი შევიცადეთ, საეჭვო ვერაფერი შევნიშნეთ და დავიწყეთ მოქმედება.

გრიგოროვიჩი ნავში დარჩა, მე კი ტრალერის გემბანზე ავძვერი. ხომალდზე არავინ ჩანდა, მხოლოდ ცხვირთან იდგა ოფიცრის შავმაზარიანი კაცი. ეს მორიგე ოფიცერი უნდა ყოფილიყო. დიდი სიფრთხილით ვუახლოვდებოდი ბულგარელ ოფიცერს. მან შემამჩნია და მობრუნდა. ჯერ ვერ გაიგო, ვინ ვიყავი და საიდან გავჩნდი გემზე. შემდეგ ტრალერთან ჩვენი ნავი შეამჩნია და სიჩნელეში საბჭოთა ბეზღვაურის ფორმა რომ გაარჩია გაკვირვებულმა მკითხა:

— განა საბჭოთა სამხედრო გემები უკვე ლომში ჩამოვიდნენ?

ხალოკი თითი ტუჩზე მივიდე. ბულგარელმა ოფიცერმა ჩუმად მომკიდა ხელი და თავის კაიუტაში შემიყვანა. კარგად დავათვალიერე ჩემი ახალი ნაცნობი. მაღალი, ახოვანი კაცი იყო, ასე ოცდაათი წლისა. ხელი მეგობრულად გავუწოდე და თავი წარვუდგინე. მანაც მაგრად ჩამომართვა ხელი და მიპასუხა:

— „მიჩმანი მიკოლა დავიდოვი“. მხოლოდ აქ, კაიუტაში ვუპასუხე მის შეკითხვას:

საბჭოთა მეომრები ლომში ჯერ არ შემოსულან, ჩვენ დუნაის წითელდროშოვანი ფლოტილიის პირველი მერცხლები ვართ.

აი რა შევიტყვე მიჩმან დავიდოვისაგან: ქალაქ ლომში გერმანელები არ იდგნენ და არც თავდაცვით ნაგებობებს აგებდნენ მის მახლობლად, რადგანაც მალე აპირებდნენ ამ ადგილებიდან წასვლას. მოწინააღმდეგე თავის მთავარ ძალებს თავს უყრიდა იუგოსლავიის საზღვართან და იქ აგებდა დიდ თავდაცვით სიმაგრეებს. იუგოსლავურ ქალაქ პრახოვოს რაიონში გერმანელებს უამრავი ხომალდი ჩაეძირათ და დუნაი მარჯვენა იუგოსლავური ნაპირიდან მარცხენა რუმინულ ნაპირამდე გადაეღობათ, ისე, რომ პრახოვოსთან ამ ზღუდის გადალახვა გემებს არ შეეძლოთ.

ეს ცნობა მეტად მოულოდნელი იყო ჩემთვის და ძლიერ შემაშფოთა.

— თქვენ, რასაკვირველია, გესმით, — განვაგრძე ოფიცერთან საუბარი, — საბჭოთა მეზღვაურებს გვაინტერესებს დანაღმული ველების განლაგება დუნაიზე. შეგიძლიათ ამ ველების რუკა მომცეთ?

მიჩმანმა მაგიდის უჯრა გამოაღო, ამოიღო დუნაის დიდი ატლასი, გადაშალა და ამიხსნა:

— აქ ზუსტად არის ნაჩვენები დუნაიზე დანაღმული ველების მდებარეობა რუშჩუკიდან ქალაქ ლომამდე. ნაღმები გერმანელებმა და ამერიკელებმა დააყენეს.

აღელვებული ვათვალიერებდი რუკას, სადაც აღნიშნული იყო დანაღმული ველები. მიჩმანმა ატლასი გამომიწოდა. ფრთხილად შევინახე ძვირფასი საჩუქარი მაისურის ქვეშ, მიჩმანს მადლობა გადავუხადე ამ ფასდაუდებელი სამსახურისათვის და კაიუტიდან გამოვედი. სასწრაფოდ ჩავხტი ნავში, დავავლე ნიჩბებს ხელი და სწრაფად მოვუსვი. ნავი მარცხენა ნაპირისაკენ წავიყვანე. გრიგოროვიჩმა ვერ მოითმინა და მკითხა: — როგორაა საქმე?

— კარგად! — მოკლედ მოვუპერი. — გემზე მოგიყვები.

ისევ კოკისპირულად წვიმდა. ნავი ნახევრამდე წყლით აივსო, მოძრაობა ძლიერ გაძნელდა. მდინარის შუაგულში უზარმაზარი ტალღები ისევ აქეთ-იქით ისროდნენ პატარა ნავს, უკიდურესად ვიძაბებოდით, რომ ნავი მარცხენა ნაპირისათვის მიგვეყენებინა. როგორც იქნა, მივუახლოვდით რუმინულ ნაპირს, მდინარის დინებამ იახტას ასი მეტრით აგვაცდინა, უკან შემოვბრუნდით და იახტისკენ წავედით.

იგორ ზოლოტოვი და ლეონიდე კიმელფელი იახტის მარცხენა ფერდთან ღია ადგილზე იდგნენ და გველოდებოდნენ. ორივემ ძლიერ გაიხარა ჩვენი მალე დაბრუნებით.

სალონში შევედით. ზოლოტოვი და კამელფელი მოუთმენლად ელოდნენ ცნობებს. მე მოვახსენე დაზვერვის შედეგები, ამოვიღე ატლასი და გადავშალე, ზოლოტოვი და კიმელფელი დაძაბულები ათვალიერებდნენ და სწავლობდნენ დანაღმულ ველებს ატლასხე. ზოლოტოვმა აღფრთოვანებით თქვა:

— აქ ყველაფერი ნათლად არის აღნიშნული!

მე და გრიგოროვიჩი გემბანზე გავედით. მალე ოფიცრებიც შემოგვიერთდნენ. წვიმდა და ქარი ქროდა, მაგრამ ჩვენ მოთმინებით ველოდით მეგობრების დაბრუნებას. თორმეტს გადასცილდა, ისინი კი არ ჩანდნენ. არაფერს ვამბობდით, მაგრამ თვითოეული ჩვენგანი ღელავდა და ფიქრობდა ზაპელსკიზე და ბოიჩაკზე. წუთები უსასრულოდ გაგრძელდა. ღამის პირველი საათისათვის სიბნელეში გავარჩიე მდინარეზე ჩვენსკენ მომავალი ნავი და სიხარულით დავიყვირე:

— მგონი, ჩვენები ბრუნდებიან!

ყველამ იმ მხარეს გაიხედა და მათაც შენიშნეს ნავი, რომელიც იახტას უახლოვდებოდა. ეკვი არ იყო, ჩვენი ბიჭები იყვნენ.

ბოლოს ნავი იახტას მოადგა. ბიჭებს გემბანზე ამოსვლა აღარ ვაცალეთ, მხრებში ჩავავლეთ ხელები და ზევით ამოვათრიეთ. ნავი წყლით იყო სავსე. საოცარია, როგორ მოაღწიეს ასეთი ნავით მარცხენა ნაპირამდე.

შევედით სალონში. წყალი წურწურით ჩამოგვდიოდა. მაგიდას შემოვუსხედით და ჯგუფის უფროსს, ვანია ბოიჩაკს მივაჩერდით. ბოიჩაკმა დაწვრილებით მოახსენა ზოლოტოვს დაზვერვის შედეგები.

ვიტალი ზაპსელსკის და ვანია ბოიჩაკს ისე გაევლოთ ქალაქის მთავარი ქუჩა, გერმანელები არსად შეხვედროდათ. ერთ-ერთ ქუჩაზე გაეჩერებინათ ბულგარელი მოქალაქე და მისგან გაეგოთ, რომ ქალაქის ჩრდილო-დასავლეთით დაბანაკებული იყო გერმანელთა სამხედრო ნაწილი. ბულგარელმა ქალაქის ბოლომდე მიაცილა საბჭოთა მზვერავები. ზაპსელსკი და ბოიჩაკი გავიდნენ დუნაის ნაპირზე და იქ აღმოაჩინეს გერმანელთა ბატარეები და ქვეითი ჯარი. ჯარის განლაგების სიღრმეში შესვლა ვერ მოახერხეს, რადგანაც გერმანელი გუშაგები ფხიზლად იცავდნენ თავიანთ ქვეგანაყოფების მისასვლელებს სიბნელესა და უამინდობის მიუხედავად. ზოლოტოვი მაინც კმაყოფილი დარჩა დაზვერვის შედეგით, შეაქო ზაპსელსკი და ბოიჩაკი.

კაპიტან-ლეიტენანტი იგორ ზოლოტოვი გამჭრიახი კაცი იყო, მან სწრაფად შეაფასა მდგომარეობა და გადაწყვიტა, დაზვერვა დაუყოვნებლივ გაგრძელებულიყო დუნაის ზემო წელზე, ქალაქ პრახოვომდე.

გემი კალაფატის ნავსადგომს გასცილდა. ყველანი ისევ გემბანზე გავედით და განვაგრძეთ მდინარეზე დაკვირვება.

წვიმა არ წყდებოდა: ძლიერი ქარი ქროდა. იახტას აქეთ-იქით აქანავებდა, ხანდახან დიდი ტალღა გადაევლებოდა გემბანს. უამინდობის მიუხედავად, იახტა სწრაფად მიიწევდა წინ.

მივუახლოვდით იუგოსლავიის ტერიტორიის ფრონტის ხაზს. ზოლოტოვის ბრძანებით მეზღვაურებმა სინათლე ჩააქრეს სალონში და კაიუტაში. გემი შუქნიშნების გარეშე მოძრაობდა. მარჯვენა

ნაპირზე გერმანელთა ჯარები იყო განლაგებული, გემი მარცხინა ნაპირის გაყოლებით ზემოთკენ მიიწევდა. ჩვენ დაძაბულები ვიყურებოდით წინ და მარჯვნივ, იუგოსლავური ნაპირისაკენ. დროზე შევამჩნიეთ ჩაძირული გემები. მარჯვნივ პრახოვო მდებარეობდა სიბნელით მოცულმა ჩვენმა ხომალდმა სვლას უკლო და ნელა მიუახლოვდა ბარიერს დუნაიზე.

გარკვეეთ გავარჩიეთ ჩაძირული ხომალდები. კარჭაპები და სამხედრო ტრანსპორტი ძლიერ ახლო-ახლო იყო ჩამწკრივებული მდინარის ფსკერზე. რამდენიმე მეტრის მოშორებით იწყებოდა მეორე მწკრივი ჩაძირული გემებისა. აქ, პრახოვოსთან გერმანელებს ოომაგი ზღუდე გაეკეთებინათ, რათა საბჭოთა გემებს დუნაის ზემო ნაწილში არ შეეღწიათ.

ჩვენი ხომალდი მარჯვენა ნაპირისაკენ მიტრიალდა და ჩაძირული გემების გასწვრივ წავიდა. ვერსად ვერ შევამჩნიეთ თავისუფალი- ადგილი ჩაძირულ ხომალდებს შორის. მივედით ზღუდის შუაგულამდე და გამოვტრიალდით. ჩვენმა ხომალდმა რუმინული ნაპირის გაყოლებით უკან, ისევ რუშჩუკისაკენ გასწია.

დაზვერვა დავიწყეთ რუშჩუკის ნავსადგურიდან და დავასრულეთ ქალაქ პრახოვოსთან.

13 სექტემბერს დილის 7 საათზე რამდენიმე წუთით გავჩერდით ნიკოპოლის ნავმისადგომთან. გემბანზე გამოვედით, ვათვალიერებდით ნაცნობ სანაპიროს. ამ დროს ლეიტენანტი კიმელფელი მოგვიახლოვდა და მე და გრიგოროვიჩი ზოლოტოვთან გვიხმო.

სალონში შევედით. მეთაურს მკაცრი და დაფიქრებული სახე ჰქონდა.

— ორივენი ნიკოპოლში დარჩებით, მიიღებთ გერმანულ გლისერს, რომელიც აქვე, ნავმისადგომთან დგას. მთავარ ზემდეგს გოიგოროვიჩს გლისერის უფროსად ვნიშნავ, უფროსი მეზღვაური ჩხეიძე კი მესაკე იქნება. ამ სწრაფმავალი გლისერით ჩვენს გემებს მდინარის აღმა მიმართულებით, დანაღმულ სივრცეზე გაატარეთ, — გამოგვიცხადა ზოლოტოვმა.

ბრძანება მოულოდნელი და არასასიამოვნო იყო. ამხანაგებთან დაშორება გვიმძიმდა, მაგრამ ბრძანება ბრძანებაა, უსიტყვოდ გამოვედით სალონიდან. გემბანზე ვიტალი ზაპსელსკი და ვანია ბოიჩაკი იდგნენ.

— ბიჭებო, უნდა დავშორდეთ ერთმანეთს, — ვუთხარი დაღონებულმა, — ჩვენ ნიკოპოლში გვტოვებენ.

ამ ცნობამ გააკვირვა და ძლიერ დააღონა ამხანაგები. ვიტალი ზაპსელსკი ისე დაიბნა, არ იცოდა, რა ეთქვა. ისევ ვანია ბოიჩაკმა დაგვამშვიდა მცირეოდენი სიჩუმის შემდეგ:

— ალბათ კიდევ დაბრუნდებით ჩვენს რაზმში.

გემბანზე იგორ ზოლოტოვი გამოვიდა და ხელით ანიშნა იახტის კაპიტანს ღუზა ამოეღო. მე და გრიგოროვიჩი ნაპირზე გადავედით. იახტა ნავმისადგომს მოშორდა.

ნავმისადგომთან ვიდექით. ათიოდე წუთს არაფერი გვითქვამს, განვიცდიდით მეგობრებთან დაშორებას, მაგრამ მალე შევურიგდით ბედს და საქმეს შევუდექით. დავიწყეთ გერმანული გლისერის დათვალიერება.

გლისერი ექვსი მეტრის სიგრძისა იყო. წინა ნაწილში ჰქონდა 200 ცხენის ძალის სიმძლავრის ძრავა და საათში 18 კვანძს ავითარებდა. დათვალიერებით კმაყოფილები დავრჩით. ჩვენ გვერდით იდგა ჩვენი ნაცნობი სერჟანტის ვასილი ნიკოლოვის კატარღა. მან გვიცნო და წინადადება მოგვცა. როგორც კი გავთავისუფლდებოდით, სანაპიროზე გაგვესეირნა. ჩვენც დავთანხმდით.

ნიკოპოლი ძველებური პატარა მყუდრო ბულგარული ქალაქი იყო. სანაპიროდან მთავარ ქუჩაზე გავედით. იგი წითელი დროშებით იყო მორთული. თვალსაჩინო ადგილზე ლოზუნგები და ბულგარეთის რევოლუციის ბელადების სურათები ეკიდა.

ჩვენმა ბულგარელმა მეგობარმა მაღლობზე აგვიყვანა, სადაც აღმართული იყო დიდებული ძეგლი. აღმოჩნდა, რომ ეს იყო ძეგლი რუს მეომართა, რომლებმაც ბულგარეთი გაათავისუფლეს თურქეთის უღლისაგან 1875 წელს.

14 სექტემბერს, ჩვენთვის სავსებით მოულოდნელად, კაპიტან-ლეიტენანტი იგორ ზოლოტოვი დაბრუნდა, იგი დიდი რუმინული ტურნუ-მეგურელის უფროსად დაენიშნათ. მას ემორჩილებოდა ნიკოპოლის ნავმისადგომიც, რომელიც ტურნუ-მეგურელის მოპირდაპირე მხარეს მდებარეობდა.

14 სექტემბერს ზოლოტოვთან ერთად ტურნუ-მეგურელში ჩამოვიდა ტრალერების ბრიგადა მეორე რანგის კაპიტანის მირონოვის მეთაურობით. მირონოვი გამოცდილი და ნიჭიერი მენალმე იყო.

საბჭოთა მეტრალეები რუმინულ ტრალერ „მაიკანთან“ და ბულგარულ ტრალერ „კირილე პოპოვთან“ ერთად დაუყოვნებლივ შეუდგნენ დუნაის ნაღმებისაგან გაწმენდას. დუნაის გაწმენდაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა აგრეთვე დიდი ელექტროკარჭაკი, რომლის ეკიპაჟი ბულგარელი და საბჭოთა მეზღვაურებისაგან შედგებოდა.

1944 წლის 17 სექტემბერს დანაღმულ სივრცის ვიწრო ფარვატერით დუნაიზე აღმა გაიარეს პირველმა საბჭოთა ხომალდებმა. ჩვენს გლისერს უკან მოჰყვებოდა ხუთი ჯავშნოსანი კატარღა. ამ საბრძოლო ხომალდზე საფლაგმანო რგოლს მეთაურობდა საბჭოთა კავშირის გმირი, უფროსი ლეიტენანტი კონსტანტინე ვოროსიოვი. მე და გრიგოროვიჩი ვღელავდით და ხშირ-ხშირად უკან ვიყურებოდით. მაგრამ ჯავშნოსნები ზუსტად მოგვყვებოდნენ. აოც ერთი მეტრით არ იხრებოდნენ ვიწრო ფარვატერიდან.

მშვიდობიანად ვიარეთ სომოვიმდე და მის იქით რუმინელ ნავსადგურ კარაბიამდე. კარაბია ტურნუ-მეგურელიდან თხუტმეტი კილომეტრით ზევით მდებარეობს, მაშინ, 1944 წლის შემოდგომაზე, ეს თხუთმეტკილომეტრიანი უბანი ყველაზე სახიფათო იყო.

იმავ დღეს, საღამოს 7 საათზე ტურნუ-მეგურელის ნავსადგურში ჩამოვიდა ლეგენდარული მონიტორი „ჟელეზნიაკოვი“. მონიტორმა შავ და აზოვის ზღვებზე გამართულ ბრძოლებში ისახელა თავი, გერმანელი მფრინავები საგანგებოდ ნადირობდნენ ამ ხომალდზე, მაგრამ ვერაფერი დააკლეს. დუნაიზე განმათავისუფლებელი ლაშქრობის დროსაც მონიტორმა არაერთხელ ისახელა თავი.

მონიტორი დიდხანს არ დაყოვნებულა ტურნუ-მეგურელში, დილით 18 სექტემბერს მდინარის აღმა გაუშვეს. წინ რუმინული ტრალერი „მაიკანი“ მიდიოდა. ტრალერს ფართოდ გაეშალა ტრალი და საიმედოდ უსუფთავებდა გზას უკან მომავალ მონიტორს. ტრალერს კი ჩვენი გლისერი მიუძღოდა. ასეთი ესკორტით მონიტორმა „ჟელეზნიაკოვმა“ მდინარის ყველაზე სახიფათო რაიონი გაიარა და ღუზა კარაბიას ნავმისადგომთან ჩაუშვა. ჩვენ ისევ ტურნუ-მეგურელში დავბრუნდით.

ორ ათეულზე მეტი ტრალეული დღისით და ღამით ნაღმებისაგან წმენდდა დუნაის.

19 სექტემბერს მდინარის აღმა სატრანსპორტო ხომალდების პირველი ქარავანი გაუშვეს.

19 სექტემბერს, დილის 9 საათზე გლისერით ვიდექით ტურნუ-მეგურელის ნავმისადგომთან. მზიანი დღე იყო. მოგვიახლოვდა საზეიმო მუნდირში გამოწყობილი კაპიტან-ლეიტენანტი იგორ ზოლოტოვი. მკერდს ორდენები და მედლები უმშვენებდა. იგორ ნიკოლოზის ძე გულთბილად მოგვესალმა და გლისერზე ამოვიდა, საჭესთან, ჩემ გვერდით დაჯდა და გვიბრძანა ბულგარულ ნაპირზე გადაგვეყვანა. ძრავა ჩავრთე და გლისერი მარჯვენა ნაპირისაკენ წავიყვანე. გზაში ზოლოტოვი ხმას არ იღებდა, მე და გრიგოროვიჩი ვფიქრობდით, რომ ზოლოტოვი მაშინვე ნაპირზე გადავიდოდა, მაგრამ იგი აყოვნებდა. მერე სამხედრო დავალება ბოგცა და განგვიმარტა:

— დღეს, დილის 5 საათზე ჯურჯუდან ტანკებით დატვირთული ხომალდების ქარავანი გამოვიდა. თქვენ სვიშჩევში უნდა შეხვდეთ ქარავანს და ზემოთკენ დანაღმული უბნის ფარვატერით წამოიყვანოთ. სარდლობის ბრძანებით სატანკო პოლკი ნიკოპოლში უნდა გადმოვიდეს, მაგრამ აქ ნავმისადგომი პატარაა და ხომალდების დიდ ქარავანს ვერ მიიღებს. ამიტომ ქარავანი გააჩერეთ მარცხენა ნაპირთან ტურნუ-მეგურელის ნავსადგურში. იქიდან კარჭაპები სათითაოდ გამოვლენ ბულგარულ ნაპირთან და გადმოტვირთავენ ტანკებს. ხის ხიდი, რომელიც ნავმისადგომს ნაპირთან აერთებს, აოცთუ ისე საინედოა ტანკებისათვის, ბულგარელ მეგობრებს უიდა ვთხოვოთ, რომ ხიდი გაამაგრონ.

დავალება ნათელი იყო. ზოლოტოვი ნაპირზე გადავიდა, ჩვენი გლისერი კი სწრაფად გაემართა ქალაქ სვიშჩევისაკენ.

ძილავრი ბუქსირები ეწეოდიენ ორ-ორ დიდ კარჭაპს. თითოეული კარჭაპის გემბანზე იდგა ოთხი ტანკი. გლისერი მიუახლოვდა ქარავნის მოწიოავე გემს. გრიგოროვიჩმა ხელში სანიშნე წითელი ალმები აიღო და გადასცა ნიშანი — ქარავანი ზუსტად კვალში მოაყვეს გლისერსო.

მშვიდობით გავიარეთ დანაღმული უბანი. ვუახლოვდებოდით ტუოიუ-ყეგურელს. საღამოს ექვსი საათი იყო. „შეჩერდით მარცხენა ნაპირთან!" — გადასცა გრიგოროვიჩმა მოწინავე ხომალდს.

ქარავანბა ღუზა რუმინულ ნაპირთან ჩაუშვა. ტურნუ-მეგურელის დიდა ნავსადგუოა თავისუფლად დაიტია მთელი ქარავანი.

სატანკო პოლკის მეთაურთან, ორმოციოდე წლის პოლკოვნიკთან ერთად გადავედით ბულგარულ ნაპირზე.

ნიკოპოლის ნავმისადგომთან გველოდნენ ზოლოტოვი და ბულგარელი ოფიცრები: დემიან ბერნიაკოვი, ივანე ივანოვი და გიორგი ტარაკანოვი. ხიდთან ბულგარელი ჯარისკაცების ოცეული იდგა. მათ უკვე მოესწროთ ხიდის გამაგრება.

რამდენიმე წუთის შემდეგ რუმინულ ნაპირს მოსცილდა ბუქსირი, რომელიც ერთ კარჭაპს ეწეოდა. ბუქსირმა ზუსტად მოაყენა კარჭაპი ნაპირს. კარჭაპიდან ღუზა ჩაუშვეს და მაგრად მიაბეს იგი ნავმისადგომს.

აგრუხუნდა პირველი ტანკი, დაიძრა და კარჭაპიდან ნავმისადგომზე გადავიდა, ნელა მიუახლოვდა ხის ხიდს. ხიდის ორივე მხარეს, მკერდამდე წყალში იდგნენ ახალგაზრდა ბულგარელი ჯარისკაცები და მაგრად ეჭირათ ხიდის კიდეები და სამაგრი ფოლადის ტროსები. ტანკი შედგა ხიდზე. სულგანაბულები თვალყურს ვადევნებდით, ხიდი აკრიალდა, მაგრამ გაუძლო. პირველი ტანკი გადმოვიდა ნაპირზე. ყველამ შვებით ამოვისუნთქეთ. კარჭაპიდან მეორე ტანკი დაიძრა, ხიდს მოუახლოვდა. ამ დროს კაპიტან-ლეიტენანტი იგორ ზოლოტოვი წყალში შევიდა და ბულგარელ ჯარისკაცებთან ერთად ხიდის ნაპირს ჩაეჭიდა, მის გვერდით აღმოვჩნდით გრიგოროვიჩი და მე. განზე არ დარჩნენ ბულგარელი ოფიცრებიც. რევოლუციური პოლკის კომისარი ბერნიაკოვი, მისი თანაშემწე ივანე და ხანში შესული ტექნიკური ოფიცერი გიორგი ტარაკანოვი უყოყმანოდ შემოვიდნენ დუნაის ცივ ტალღებში და ხიდის მეორე მხარეს გაჩერდნენ. ნაპირზე მხოლოდ სატანკო პოლკის მეთაური დარჩა, იგი პირადად ხელმძღვანელობდა ტანკების გადმოტვირთვას.

კარგა ხანს ვიდექით დუნაის ცივ წყალში, ხიდთან, წყალი მხოლოდ მაშინ დავტოვეთ, როცა უკანასკნელი ტანკი გადმოვიდა ხმელეთზე. დუნაიზე მოძრაობა ძლიერ გამოცოცხლებული იყო. გადაჰყავდათ ჯარები და გადაჰქონდათ სამხედრო ტვირთი. ჩვენ ბევრჯერ გვიხდებოდა ქარავნების შესახვედრად წასვლა და მათი გატარება დანაღმულ ველებზე. ერთადერთი ასეთი რეისის დროს შევხვდით ჩვენს მეგობრებს სანაპირო თანხლების რაზმიდან. მათ

გვირჩიეს — ზოლოტოვს სთხოვეთ, რაზმის დაზვერვაში დაგვაბრუნეთო.

ბორიგი დავალებიდან დაბრუნებისას ჩვენ გავბედეთ და ამ თხოვნით მივმართეთ ზოლოტოვს.

ზოლოტოვი დიდხანს ჩუმად ეწეოდა სიგარეტს, ბოლოს გადაწყვიტა: — თქვენ ორივე კარგად იცნობთ ფარვატერს და შესანიშნავად გაგყავთ ხომალდები დანაღმულ ველებზე, ამიტომ ორივეს ვერ გაგიშვებთ. რადგანაც ალიოშა ჩხეიძე ასე დაჟინებით მთხოვს, ის მარტო წავიდეს, ხოლო შენ, გრიგოროვიჩ, ახალ მესაჭეს მოგცემ, ხანში შესულ მეზღვაურს.

უფროსებს არ ეკამათებიან. თუმცა მე ჩემსას მივაღწიე, დამეწანა გრიგოროვიჩთან განშორება. ის კიდევ უფრო დაღონებული იყო, ალბათ ნანობდა, რომ ეს ლაპარაკი წამოვიწყეთ.

განშორებისას ზოლოტოვმა წითელფლოტელის წიგნაკი მომთხოვა. ყურადღებით დაათვალიერა და რაღაც ჩაწერა. როგორც შემდეგ გავიგე, ეს იყო მადლობა საბრძოლო დავალებების კარგად შესრულებისათვის.

ზოლოტოვმა მაცნობა, რომ სანაპირო რაზმი სადღაც იუგოსლავიის საზღვართან უნდა იმყოფებოდესო ქ. ლომის მიდამოებში. სჯობს გზად მიმავალ მანქანას გაჰყვე ნიკოპოლიდანო.

22 სექტემბერს გვიან საღამოს ჩავედი ქალაქ ლომში, რომელიც იუგოსლავიის საზღვართან ახლოს მდებარეობს. საბარგო მანქანა მოედანზე გაჩერდა. მანქანიდან ჩამოვხტი და ფეხით წავედი ნავმისადგომისაკენ, მაგრამ ნაპირთან დუნაის ფლოტილიის ხომალდების სანაპირო თანხლების რაზმის ქარავანი არ აღმოჩნდა. ამან ძალიან გული დამწყვიტა. გავიფიქრე: ან გემების ქარავანს ჯერ არ მოუღწევია ლომამდე, ან არადა გამასწრო და წავიდა ზევით, ფრონტისაკენ, იუგოსლავიის საზღვართან.

დავიწყე გამოკითხვა. ხანშიშესულმა ბულგარელმა მეზღვაურმა მითხრა, რომ საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები არ უნახავს, მაგრამ წინა საღამოს ნავმისადგომთან იდგა საბჭოთა მზვერავების კატარღა. კატარღა იუგოსლავიის მიმართულებით წავიდა და დაბრუნდებოდა თუ არა, მეზღვაურმა არ იცოდა.

— ვინ არის მზვერავთა მეთაური? — შევეკითხე.

მეზღვაურმა არ იცოდა მეთაურის გვარი, მაგრამ ამიხსნა, ახალგაზრდა საზღვაო ოფიცერია, წვერიანია.

ეგონა, რომ ეს უფროსი ლეიტენანტი ვიქტორ კალგანოვი იქნებოდა, დუნაის ფლოტილიის საფლაგმანო მზვერავთა რაზმის მეთაური. ბევრი რამ გამეგო სახელგანთქმულ მზვერავ — „წვერაზე“.

რა უნდა მექნა? გადავწყვიტე, ბულგარულ კარჭაპზე გამეთია ღამე, სტუმართმოყვარე ბულგარელი მეზღვაურის კაიუტაში, ხოლო დილით გზადმიმავალ მანქანას გავყოლოდი ფრონტისაკენ და იქ დავლოდებოდი ჩემს რაზმს.

ბედმოხვევამ შეცვალა ჩემი გეგმა. სანამ ბულგარელ მეზღვაურს ვესაუბრებოდი, ნავმისადგომს დიდი თეთრი კატარღა მოადგა. ჯიხურზე ხელის ტყვიამფრქვევი იყო დაყენებული.

— აი, მზვერავთა კატარღა, — მითხრა მეზღვაურმა.

გადავწყვიტე ჩვენი მზვერავებისაგან გამეგო, სად იმყოფებოდა სანაპირო რაზმი.

კატარღის გემბანზე რამდენიმე მზვერავი იდგა. მათ სწრაფად მიაბეს კატარღა ნავმისადგომს. საბრძოლო ჯიხურიდან გამოვიდა მაღალი საზღვაო ოფიცერი. მან რაღაც უთხრა მზვერავებს და თავის კაიუტაში შევიდა. მალე გემბანზე მხოლოდ ერთი მორიგე მზვერავი დარჩა, საშუალო ტანის, ჩაფსკვნილი ახალგაზრდა, გაბდაოი შავგვრემანი სახით და ცოცხალი შავი თვალებით. უკარტუნო ქუდის ქვემოდან შუბლზე ჩამოშლოდა შავი, გრუზა ქოჩორი. ეს იყო მეორე თანრიგის ზემდეგი ვასილ გლობა. მე კარჭაპიდან ჩამოვედი და კატარღასთან მივედი. მორიგე ზემდეგი გაკვირვებული მომაჩერდა.

— ვინა ხარ და აქ საიდან გაჩნდი?

მე ავუხსენი და შევეკითხე:

— იუგოსლავიაში ხომ არ შეგხვედრიათ სანაპირო თანხლების რაზმის მებრძოლები?

— არა, არ შეგვხვედრია, მაგრამ ჩვენმა უფროსმა უნდა იცოდეს, სად იმყოფება ამჟამად სანაპირო თანხლების რაზმი. აქ მოიცადე, მე ახლავე გაგიგებ.

ზემდეგი მალე დაბრუნდა, ამიშვა კატარღაზე, მეთაურის კაიუტასთან მიმიყვანა და მითხრა, შეგიძლია შესვიდეო.

დაკაკუნების შემდეგ კარები გავაღე და შევედი. მყუდრო კაიუტას ელექტროხათურა ახათებდა, კაიუტაში მხოლოდ კალგანოვი იყო. — ახალგაზრდა, მაღალი, ტანადი, მხარბეჭიანი, მაღალი შუბლით და დიდი შავი გამჭრიახი თვალებით. გრძელი წვერი ამშვენებდა მის ვაჟკაცურ პირისახეს. მკერდზე ორი ორდენი ეკეთა — საბრძოლო წითელი დროშისა და ალექსანდრე ნევსკელის გარეგნობით კალგანოვი ძლიერ ჩამოჰგავდა ცნობილ ლენინგრადელ მსახიობს ჩერკასოვს.

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო, ნება მომეცით, მოგმართოთ.

ნებას გაძლევთ.

— მე სანაპირო თანხლების რაზმის მზვერავი გახლავართ. მინდა დავეწიო ჩემს რაზმს, მაგრამ არ ვიცი, სად იმყოფება.

კალგანოვმა წარბი შეკრა.

— რატომ ჩამორჩით თქვენს სამხედრო ნაწილს?

მე ავუხსენი, რომ ჩვენი რაზმის რუშჩუკში გადასვლის შემდეგ სამ მზვერავთან ერთად დროებით გადავედი კაპიტან-ლეიტენანტ იგორ ზოლოტოვის განკარგულებაში, რომ დაზვერვის მიზნით იახტა „დომინიკა ფლორიდათი“ ავედით იუგოსლავიის ქალაქ პრახოვომდე, გერმანელების მიერ ჩაძირულ გემების ზღუდემდე. შემდეგ მე დამტოვეს ტურნუ-მეგურელის პორტში და ათი დღის განმავლობაში გამყავდა ხომალდების ქარავნები მდინარის აღმა მიმართულებით.

კალგანოვს სახე გაუნათდა. შევამჩნიე, რომ ჩემს ამბავს დიდი ინტერესით უსმენდა. მთხოვა, უფრო დაწვრილებით მომეთხრო პრახოვომდე ჩვენი დაზვერვის შესახებ.

— მაჩვენე შენი კომკავშირის ბილეთი და წითელფლოტელის წიგნაკი, — მითხრა ბოლოს კალგანოვმა.

მე ფრთხილად ამოვიღე საბუთები ჯიბიდან და კალგანოვს გავუწოდე. მან ყურადღებით დაათვალიერა ისინი, ხმამაღლა წაიკითხა ზოლოტოვის მიერ ჩაწერილი მადლობა და საბუთები დამიბრუნა.

— მაშ, მზვერავი ხარ? სწორედ მზვერავები მაკლია, გინდა კატარღაზე დარჩენა და ჩემს რაზმში სამსახური?

წინადადება მეტად მოულოდნელი იყო. „წვერასთან“ მზვერავად

ყოფნაზე მხოლოდ ოცნება შემეძლო. მეორეს მხრივ, მენანებოდა დატოვება საბრძოლო მეგობრებისა, რომლებთანაც ერთად ყოფნის საშუალება ისევ მომეცა. ისიც მესმოდა, რომ „წვერას“ რაზმში ყველას არ ეპატიჟებოდნენ. ალბათ, ჩემი მეგობრები სულელად ჩაძთვლიან, ამაზე რომ უარი ვთქვა.

სანამ ვფიქრობდი, კალგანოვი დაკვირვებით მათვალიერებდა.

— მზად ვარ ვიმსახურო თქვენს რაზმში.

— ძალიან კარგი, — თქვა კალგანოვმა და დაუძახა თავის თანაშემწეს, უფროს ზემდეგ ვენედიქტე ანდრეევს. კაიუტაში მაღალი, ცისფერთვალა მეზღვაური შემოვიდა.

— ეს ჩვენი ახალი მეზღვაურია, ალექსი ჩხეიძე, — უთხრა მას კალგანოვმა. — აჭამე და დასაძინებლად ადგილი მიუჩინე:

ჩემი ბედის ასეთმა სწრაფმა ცვლილებამ ისე ამაღელვა, რომ არც ჭამა მინდოდა და არც მეძინებოდა. გემბანზე ავედი.

გოილოდა. ბნელი, უმთვარო ღამე იყო. მზვერავი გლობა ავტომატით ხელში კატარღის გემბანზე მიმოდიოდა. იგი მომიახლოვდა და მითხრა:

— გაიგე სად იმყოფება შენი რაზმი?

— არა, კალგანოვმა წინადადება მომცა თქვენთან, კატარღაზე დავრჩე.

გლობას უცებ დავუმეგობრდი. მთელი ღამე, სანამ გლობა საგუშაგოზე იდგა, მასთან ერთად გემბანზე დავაბიჯებდი. იგი მომითხრობდა თავის რაზმის ამხანაგებზე, თავის სახელგანთქმულ მეთაურზე.

გლობა უკრაინელი იყო, ქ. დნეპროპეტროვსკიდან. როგორც კი თვრამეტი წელი შეუსრულდა, კომკავშირული საგზურით, მოხალისედ წავიდა ფრონტზე. ომის პირველივე დღეებიდან იგი მზვერავად იყო შავი ზღვის ფლოტში. ნამყოფი იყო შავიზღვისპირა ყველა ქალაქში. კალგანოვი ნოვოროსიისკთან გაიცნო.

აი, რა მიამბო იმ ღამეს ვასილი გლობამ:

ვიქტორ კალგანოვი დაიბადა და გაიზარდა მოსკოვში. მისი მამა ანდრეი კალგანოვი, ბალტიის ფლოტის უბრალო მეზღვაური იყო. მან უანდერძა შვილს ზღვის სიყვარული. ვიქტორი ოცნებობდა გემთმშენებელი გამხდარიყო, ომმა შეუშალა ხელი. იგი 21 წლის წავიდა

ომში მებრძოლავი გახდა. 1942 წლის გაზაფხულზე ოთხი ეიქტიორ ჯალგახოვი შეთაურობდა ზეზღვაურ მზვერავთა რაზმს, რომელმაც თავი ისახელა ლენინგრადისათვის ბრძოლებში. 1943 წლის სექტემბერში კალგანოვის რაზმი, რომელიც მთლიანად ბალტიის ზღვის მეზღვაურებისაგან შედგებოდა, თვითფრინავით გადაისროლეს შავ ზღვაზე ტუაფსეს მიდამოებში და შეუერთეს შავი ზღვის ფლოტის მზვერავთა ჯგუფს. გაერთიანებული მზვერავთა რაზმის უფროსობა კალგანოვს ბიანდეს. ახალგაზრდა მეთაური გრძელ წვერს ატარებდა. ამიტომ რაზმს „წვერას“ რაზმი შეარქვეს. რაზმში 40 ახალგაზრდა მეზღვაური ირიცხებოდა. უმრავლესობა კომკავშირელი იყო. რამდენიმე კი კომუნისტი. თავისი შემადგენლობით რაზმი ინტერნაციონალური იყო. მზვერავთა რიგებში იყვნენ რუსები, უკრაინელები, ბელორუსები, თათრები, ქართველები — ფიზიკურად ძლიერი, ერთიმეორეზე უკეთესი აღნაგობის ბიჭები. თვით კალგანოვი კარგი სპორტსმენი იყო და დიდ ყურადღებას აქცევდა მებრძოლთა ფიზიკურ მომზადებას. მზვერავები განუწყვეტლივ გადიოდნენ სპორტულ წვრთნას ცურვაში, სირბილში, სროლაში, თვითმფრინავიდან პარაშუტით ხტომაში; ამუშავებდნენ სამბოს ილეთებს ხელჩართულ ბრძოლებისათვის. საგანგებო სპორტული მომზადება ძლიერ გამოადგათ მზვერავებს ბრძოლებში და დაზვერვის დროს.

1943 წლის აგვისტოსა და სექტემბრის დასაწყისში კალგანოვის რაზმის მზვერავებმა ნოვოროსიისკთან მოიპოვეს მეტად ძვირფასი ცნობები მოწინააღმდეგის ჯარების განლაგებისა და თავდაცვითი ნაგებობების შესახებ, რომლებიც მაქსიმალურად გამოიყენა საბჭოთა კავშირის გმირმა გენერალ-პოლკოვნიკმა კონსტანტინე ლესელიძემ, რომელიც ნოვოროსიისკის განთავისუფლების ოპერაციას ხელმძღვანელობდა, კალგანოვს პირადად გადასცა ალექსანდრე ნეველის ორდენი.

ნოვოროსიისკის განთავისუფლების შემდეგ, „წვერას“ რაზმი გაბედულად მოქმედებდა გერმანელების მიერ ყირიმის დროებით ოკუპირებულ ტერიტორიაზე. რაზმი ზედმიწევნით ზუსტად ასრულებდა შავი ზღვის შტაბის ყველა ბრძანებას. ყირიმის და ნოვოროსიისკის განთავისუფლების დროს რაზმმა დიდი დანაკარგები განიცადა.

1944 წლის აგვისტოში „წვერას“ რაზმი შევიდა დუნაის ფლოტილიის შემადგენლობაში.

— ბრძოლები დუნაიზე ახლა იწყება. წინ გველის მტერთან სასტიკი, ცხარე შეტაკებები. შენც არაერთხელ მოგიწევს ჩვენთან ერთად დაზვერვაში სიარული, — დაასრულა თავისი თხრობა გლობამ.

დილის ოთხ საათზე ვასილი საგუშაგოზე შეცვალეს. მზვერავებს ჯერ კიდევ ეძინათ, მაგრამ ნახევარი საათის შემდეგ კალგანოვმა ყველანი ფეხზე დაგვაყენა, — სალაშქროდ წასვლას აპირებდა.

დიდ კაიუტაში მზვერავები საუზმობდნენ. კალგანოვის, მისი თანაშემწის ანდრეევის და გლობას გარდა აქ კიდევ ოთხი მზვერავი იმყოფებოდა: რაზმის კომორგი უფროსი მეზღვაური ალექსი გურა, კრივოიროგელი მეშახტე უფროსი მეზღვაური გრიგორი კოცარი, მეორე თანრიგის ზემდეგი გენადი ჩეჩილოვი — ტრაქტორისტი კრასნოდარის მხარიდან და ოცდაათი წლის კომუნისტი პირველი თანრიგის ზემდეგი ალექსანდრე მოროზოვი. მზვერავებთან ერთად საუზმობდნენ აგრეთვე რუმინელი სამხედრო მეზღვაურები, რომლებიც კატარღაზე მოტორისტის მოვალეობას ასრულებდნენ. მზვერავთა კატარღა ადრე გერმანელ ადმირალს ეკუთვნოდა, რომელმაც გაქცევა მოასწრო. კომფორტაბელური ხომალდი საბჭოთა მზვერავების განკარგულებაში გადავიდა.

ახალმა ამხანაგებმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვეს. თითოეულ მათგანს მკერდს უმშვენებდა საბრძოლო ორდენები და მედლები, მაგრამ თავმდაბლად ეჭირათ თავი. საუზმის შემდეგ კალგანოვმა მითხრა, საჭესთან დადგებიო.

დილის ხუთ საათზე მზვერავთა კატარღა მოსცილდა ქ. ლომის ნავმისადგომს და კურსი ფრონტისაკენ აიღო. ჯერ კიდევ ბნელოდა. საჭესთან ვიდექი და ფხიზლად ვიყურებოდი წინ. დუნაის ამ ნაწილს კარგად ვიცნობდი, ამიტომ კატარღა მტკიცედ მიმყავდა წინ, იუგოსლავიისაკენ.

თავი 4

ჩვენ გველოდება იუგოსლავიის მიწა

1944 წლის სექტემბრის ბოლოს საბჭოთა ჯარებს ეკავათ დუნაის მთელი მარცხენა რუმინული ნაპირი, ხოლო მარჯვენა ნაპირზე ფრონტის ხაზი ბულგარეთ-იუგოსლავიის საზღვრის გასწვრივ გადიოდა. საბჭოთა ჯარების შესაფერხებლად ჰიტლერელებმა მძლავრად გაამაგრეს დუნაისპირა პატარა იუგოსლავიური ქალაქები რადუევაცი, პრახოვი, ნეგოტინი. 28 სექტემბრის დილას შეტევაზე გადავიდა 57-ე არმია გენერალ-ლეიტენანტ ნ. ა. გაგენის სარდლობით. დუნაის ფლოტილიის წინაშე დაისვა ამოცანა — რადუევაცესა და პრახოვოში დესანტის გადასხმისა და არტილერიის მხარდაჭერის საშუალებით დახმარება გაეწია შეტევაზე გადასულ ჩვენი მსროლელი კორპუსებისათვის.

იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადის მისასვლელებთან გერმანელებმა შექმნეს მძლავრი თავდაცვითი კვანძი, რომელიც იცავდა აღმოსავლეთ სერბიის მთებზე გამავალ ერთადერთ გასასვლელს დედაქალაქისაკენ.

ჩვენ, მზვერავებმა მივიღეთ დავალება, გაგვეგო მტრის საცეცხლე წერტილების განლაგება რადუევაცეში. დროით ძლიერ შეზღუდული ვიყავით, ამიტომ ჩვენმა მეთაურმა კალგანოვმა გადაწყვიტა დაზვერვის ჩატარება ბრძოლის საშუალებით. შებინდებისას ჩვენი კატარღა მოსცილდა რუმინეთის ნაპირს და გაემართა ფრონტის ხაზისაკენ. შემოდგომის ცივი ამინდი იყო. მე საჭესთან ვიდექი. კალგანოვი მომიახლოვდა და მითხრა:

— ჩვენი ამოცანაა მივიქციოთ მოწინააღმდეგის ყურადღება, ვაიძულოთ გერმანელები გასცენ თავიანთი საცეცხლე წერტილები, ოდესაც გერმანელები ცეცხლს დაუშენენ კატარღას, მანევრირებით აიცდინე მტრის ნაღმები.

— ვეცდები, — ვუპასუხე მეთაურს.

რადუევაცეს სამხრეთიდან ვუახლოვდებოდით. გერმანელებს არ შეეძლოთ, არ შევემჩნიეთ, — და მაინც არ გვესროდნენ. უკვე კარგად ვხედავდით ნაპირზე მტრის ჯარისკაცებს. იქნებ, მათ თავისიანები ვგონიეართ? ეს ჩვენს გეგმაში არ შედიოდა. ვასილი გლობამ

ტყვიამფრქვევის გრძელი ჯერი მისცა სანაპიროს გასწვრივ. გერმანელებმა მძიმე ტყვიამფრქვევიდან ცეცხლით გვიპასუხეს, შემდეგ ცეცხლი გახსნა ორმა სანაღმო ბატარეამ. ჩვენ გამოვბრუნდით, მაშინ მტრის სანაპიროს შემაღლებული ადგილიდან აკაკანდა შენიღბული საარტილერიო ბატარეა.

ვასილი გლობა შეუჩერებლად ისროდა ტყვიამფრქვევიდან, მე საჭესთან ვიდექი, ხოლო ჩვენი მზვერავები ალექსი გურა, გრიგორი კოცარი, გენადი ჩეჩილოვი, ალექსი მოროზოვი და მეთაურის მოადგილე უფროსი ზემდეგი ბენედიქტე ანდრეევი გამალებით ინიშნავდნენ მტრის საცეცხლე წერტილების განლაგებას რადუევაცეში. ჩვენს ყველა მოქმედებას კალგანოვი ხელმძღვანელობდა. იგი თითქოს ყველაფრის შემჩნევას ასწრებდა და სათანადოდ რეაგირებდა, ამავე დროს თავის ხელქვეითებს დამოუკიდებლად მოქმედების საშუალებასაც აძლევდა.

მახლობლად აფეთქებულმა ყუმბარებმა ჩვენი კატარღა რამდენიმეჯერ მაგრად შეანჯღრია, მაგრამ ძრავა განაგრძობდა მუშაობას, ყველა თავ-თავის ადგილზე ვიყავით და ამიტომ ისევ მტრის ნაპირთან ვტრიალებდით.

ბოლოს მეთაურმა გვიბრძანა მოვბრუნებულიყავით და ჩვენებისაკენ დაგვეხია.

ბრძანება ძლიერ დროული აღმოჩნდა, რადგან ძრავა ნაღმის ნამსხვრევს დაეზიანებინა, ხოლო რუმინელი მოტორისტი, რომელიც მოხალისედ დარჩა ჩვენს კატარღაზე, დაჭრილიყო. (სამწუხაროდ, მისი გვარი არ მახსოვს). მოტორისტმა ძრავა შეაკეთა და ბრძოლის დამთავრებამდე არ მოშორებია.

გემბანზე ბენედიქტე ანდრეევი მსუბუქად დაიჭრა ფეხში. დაბრუნება არც ისე ადვილი აღმოჩნდა. ძრავა დროდადრო წყობილებიდან გამოდიოდა. ნათელი იყო, რომ იგი სერიოზულ შეკეთებას საჭიროებდა. მაგრამ დავალება შესრულებული იყო.

უშუალოდ რადუევაცეში დესანტის გადასხმისათვის სარდლობამ სამი ჯავშნოსანი კატარღა გამოჰყო, ხოლო კიდევ სამი ჯავშნოსანი კატარღა შევიდა არტილერიული მხარდაჭერის რაზმში. პირველ სამ კატარღაზე მოთავსდა 113-ე მსროლელთა დივიზიის გაძლიერებული ასეული-120 მებრძოლი. მეწინავე კატარღაზე დე-

სანტთან ერთად თვითონ კალგანოვი იმყოფებოდა. მან ჩვენც თან წაგვიყვანა.

წინასწარ მტრის სანაპიროსთან საარტილერიო მხარდაჭერის რაზმი გავიდა. 3 საათსა და 30 წუთზე ჯავშნოსანმა კატარღებმა ცეცხლი დაუშინეს მტრის საცეცხლე წერტებს. მოგვიანებით ისინი უშუალოდ რადუევაცისკენ გაიჭრნენ და სროლა აუტეხეს ფაშისტებს დესანტის გადასხმის რაიონში.

4 საათზე ჯავშნოსანი კატარღები მედესანტეებით მიუახლოვდნენ ნაპირს და ათ წუთში მსროლელთა ასეული ნაპირზე გადასხეს. ასეულმა ორი მიმართულებით განავითარა შეტევა — რადუევაცისაკენ ჩვენი ჯავშნოსანი კატარღების მხარდაჭერით და სამხრეთით შეტევაზე გადმოსული ჩვენი ნაწილების შესახვედრად.

რამდენიმე საათის შემდეგ რადუევაცი მთლიანად გაწმინდეს მტრისაგან.

29 სექტემბრის საღამოს ჩვენი ნაწილები სამხრეთიდან მიუახლოვდნენ პრახოვოს და ნეგოტინს. იმავე დროს 75-ე მსროლელთა კორპუსი მიადგა ნეგოტინს ჩრდილო დასავლეთის მხრიდან. შეიქმნა მტრის ნეგოტინის მთელი დაჯგუფების ალყაში მომწყვდევის საშუალება. მაგრამ ამისათვის ჯერ საჭირო იყო მოწინააღმდეგის განადგურება პრახოვოში.

აქაც ფლოტილიის ხომალდების დახმარება იყო საჭირო. ფაშისტები ემზადებოდნენ ჩვენი შეტევის უკუსაგდებად და სანაპიროზე შექმნეს მძლავრი დესანტის საწინააღმდეგო დაცვა. პრახოვოსთან მისვლა გაძნელებული იყო აგრეთვე ნავიგაციის გზითაც. პრახოვოს წინ დუნაიზე გერმანელებმა ჩაძირეს ათეული ხომალდი. საჭირო იყო ფარვატერის პოვნა ამ უბანში.

ჩვენმა სარდლობამ ადრევე იფიქრა ამის შესახებ. ამიტომ ჯერ კიდევ 27 სექტემბერს მე და კიდევ რამდენიმე მზეერავს დაგვავალეს კატარღით ავსულიყავით დუნაის აღმა მიმართულებით და შეგვემოწმებინა ფაშისტების მიერ ჩაძირული ხომალდები.

უმეტესად აქ იყო ჩაძირული რუმინული, ბულგარული, იუგოსლავური კარჭაპები, გერმანული სამხედრო ტრანსპორტი და რამდენიმე დაზიანებული სამხედრო გემი, კარჭაპები ქვებით იყო დატვირთული.

ჩვენი კატარღიდან ძალიან ვცდილობდით გვეპოვა გასასვლელი,

მაგრამ ამაოდ. ფაშისტებმა შეგვნიშნეს, მაშხალა გაუშვეს და ტყვიამფრქვევებიდან ცეცხლი დაგვიშინეს. მაგრამ, ეტყობა, ალალბედზე ისროდნენ. ზუსტად არ იცოდნენ, სად იმყოფებოდა ჩვენი კატარღა.

რამდენიმეჯერ დავბრუნდით ჩაძირულ ხომალდებთან, გერმანელები კვლავ მაშხალებს უშვებდნენ და ცეცხლს გვიშენდნენ. ბოლოს, ორი ყუმბარაც გვესროლეს, რომლებიც კატარღიდან ორმოცდაათიოდე მეტრზე წყალში აფეთქდა, სიჩქარეს ვუმატეთ და რუმინეთის ნაპირზე დავბრუნდით. ჩვენთვის ნათელი იყო, რომ მჭერი ფხიზლად ადევნებდა თვალყურს მდინარის ამ უბანს, რის შესახებაც მოვახსენეთ შტაბის უფროსს.

რადუევაცეს განთავისუფლების შემდეგ, 29 სექტემბერს გვიან ღამით მივიღეთ ბრძანება, რადაც არ უნდა დაგვჯდომოდა, გვეპოვა გასასვლელი ჩაძირული გემების ზღუდეში.

ღამის 12 საათზე ორი ნავით მივუახლოვდით ზღუდეს. დიდ ნავში ვისხედით: კალგანოვი, ანდრეევი, გურა, კოცარი, გლობა და მე, ხოლო მეორე, პატარა ნავში მოთავსდნენ მეზღვაურები: მოროზოვი და ჩეჩილოვი. ძიება რუმინული ნაპირიდან დავიწყეთ.

ცუდი ამინდი იყო. კოკისპირულად წვიმდა. ციოდა. შეეუდექით მუშაობას. გლობამ და მე ტანთ გავიხადეთ და ყვინთვა დავიწყეთ ცივ წყალში, ვზომავდით სიღრმეს ჩაძირული ხომალდების გემბანიდან წყლის ზედაპირამდე. მალე გურა და კოცარიც შემოგვიერთდნენ. ჩვენი ნავი თანდათან მიიწევდა შუაგულისაკენ. ტანთ გაიხადა ჩვენმა მეთაურმა კალგანოვმაც და მაინც დაიწყო ყვინთვა. ანდრეევიც ვერ შეაჩერა დაჭრილმა ფეხმა, ისიც უყოყმანოდ შემოვიდა ცივ წყალში. მდინარის შუაგულში ნავი ჩაძირული გერმანული ტრანსპორტის ცხვირს მივაბით.

მდინარის შუაგულში დინება გაცილებით უფრო სწრაფია, ვიდრე ნაპირთან. ყველანი კარგი მოცურავეები ვიყავით, მაგრამ ასეთ დინებაში წყალში ერთ ადგილზე გაჩერება ძნელია. განსაკუთრებით მძიმეა წყალქვეშ მუშაობა. სწრაფი დინება საშუალებას არ გვაძლევდა ნელა და გამოზომილად ჩაგვეყვინთა. ჩაყვინთვისას ჩაძირული ხომალდების ნაწილებს ვეჯახებოდით. გრიგორი კოცარმა ფერდი გაიჭრა, მაგრამ მთლად სისხლში ამოსვრილი მაინც განაგრძობდა ძიებას.

უხმაუროდ ვმუშაობდით და მტრის ყურადღება არ მიგვიქცევია, მაგრამ ფაშისტები დროდადრო ორი ტყვიამფრქვევიდან ისროდნენ ჩაძირული ხომალდების ზღუდისაკენ. ირგვლივ ტყვიები ზუზუნებდნენ. ჩვენ კი ჩვენს საქმეს ვაკეთებდით.

ოთხი საათი დავყავით ცივ წყალში, წვიმასა და მტრის ტყვიების ქვეშ, გასასვლელი კი ვერ გვეპოვნა. რაც უფრო ვუახლოვდებოდით იუგოსლავიურ ნაპირს, მოუსვენრობა გვიპყრობდა. თითოეული ჩვენგანი ამას ფიქრობდა: „ნუთუ გასასვლელს ვერ ვიპოვით და სადესანტო ოპერაცია ჩაიშლება?“

ბოლოს, იუგოსლავიური ნაპირიდან 130 მეტრის დაშორებით, ვიპოვეთ გასასვლელი. ეტყობა, აქ მდინარის ფსკერი არათანაბარი იყო. კარჭაპის ცხვირი, რომელიც მეზობელ კარჭაპს ეხებოდა. შესამჩნევად იყო დაშვებული წყალქვეშ, რის შედეგადაც იქმნებოდა ექვსი მეტრის სიგანის და ერთ-ნახევარი მეტრი სიღრმის გასასვლელი. აქ თავისუფლად გაძვრებოდა ჯავშნოსანი კატარღა.

ჩაძირული ხომალდების მეორე მწკრივი არ იყო ისეთი მჭიდრო, როგორც პირველი. იქ მხოლოდ ალაგ-ალაგ ჩანდა ჩაძირული გემის ნაწილები. კალგანოვმა მაინც გადაწყვიტა გასასვლელის ზემოთ წყლის სივრცის შემოწმება. გასასვლელიდან ასი მეტრის ზემოთ საგულდაგულოდ შევამოწმეთ მდინარის ეს უბანი. წყალქვეშა წინააღმდეგობა არსად იყო.

მოწინააღმდეგის მიერ შეუმჩნეველები, წყლით სავსე ორი ნავით დავბრუნდით რუმინულ ნაპირზე. დავალება შევასრულეთ. დაზვერვის შედეგები კალგანოვმა მაშინვე ფლოტილიის შტაბის უფროსს მოახსენა.

ღამისთ მოწინააღმდეგის ცხარე ცეცხლის ქვეშ მზვერავების კატარღა ისევ გაიჭრა მტრის მიერ საგულდაგულოდ დაცულ უბნისაკენ, რათა დაეზუსტებინა ჩვენი სადესანტო კატარღების გასასვლელი ადგილი ჩაძირული გემების ზღუდეში.

დუნაის ფლოტილიის სარდლობამ გადაწყვიტა ბრახოვოში დესანტის გადასხმა 30 სექტემბერს საღამოს ხუთ საათისათვის. დესანტისათვის გამოყვეს კატარღები კაპიტან-ლეიტენანტ ბარბოტკოს დივიზიონიდან, ხოლო დუნაის ფლოტილიის სარდალმა საბჭოთა კავშირის გმირმა ვიცე-ადმირალმა ს. გ. გორშკოვმა ეს საპასუხისმგებლო დესანტი მიანდო საზღვაო ქვეითი ჯარის მოიერიშეთა

ასეულს, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი კოჩკინი მეთაურობდა. მამაცი კოჩკინელები დესანტისათვის საგულდაგულოდ ემზადებოდნენ.

ადრე კალგანოვისაგან შევიტყვე, რომ სანაპირო თანხლების რაზმი იმყოფებოდა რუმინულ ნაპირზე, კალაფატის ზემოთ. ძალიან მინდოდა ძველ მეგობრებთან შეხვედრა, მაგრამ თავისუფალი დრო ვერ გამოვნახე. ბოლოს, სწორედ დესანტის წინ კალგანოვმა გამანთავისუფლა ერთი საათით.

თითქმის სირბილით გავეშურე მეგობრების სანახავად. უკვე ნაპირის შორიახლოს შევნიშნე რაზმის სანაპირო თანხლების ჩემთვის კარგად ნაცნობი შენიღბული დიდი ქვემეხები, ხოლო ცოტათი მოშორებით, მინდორში კოჩკინის ასეულის მებრძოლები განლაგებულიყვნენ. მედესანტეები ბრძოლისათვის ემზადებოდნენ, წმენდდნენ ავტომატის ლულებს, ალაგებდნენ ჩანთებში ხელყუმბარებს და ვაზნებს. პირველმა ვიტალი ზაპსელსკიმ შემამჩნია.

— ალიოშა დაბრუნდა!

ერთმანეთს გადავეხვიეთ და გადავკოცნეთ. ჩვენთან მოვიდნენ ვანია ბოიჩაკი, კატია მიხაილოვა. ისინი იღიმებოდნენ, ეტყობოდათ, ძლიერ უხაროდათ მოულოდნელი შეხვედრა.

— აი, ისევ ერთად ვართ, — თქვა ვიტალი ზაპსელსკიმ და მხარზე ხელი მომითათუნა.

არ მინდოდა მათთვის მეწყენინებინა, მაგრამ მაინც ვუთხარი:

— ბიჭებო, თქვენთვის მხოლოდ ნახევარი საათით ვარ მოსული.

ვუამბე, როგორ შევხვდი ქ. ლომში კალგანოვის მზვერავებს და რომ მეთაურმა თავის რაზმში დამტოვა.

მეგობრებთან განშორება ძალიან მიმძიმდა, მაგრამ ასე მოეწყო ჩვენი საბრძოლო ბედ-იღბალი.

საღამოს 5 საათისათვის მედესანტეების მისაღებად გამზადებული ოთხი ჯავშნოსანი კატარღა ნაპირთან იდგა. მოწინავე კატარღის გემბანზე იმყოფებოდა ხომალდების რაზმის მეთაური კაპიტან-ლეიტენანტი ბარბოტკო. კალგანოვი და ბარბოტკო ძველი ნაცნობები იყვნენ და დიდ პატივს სცემდნენ ერთმანეთს.

მოწინავე ჯავშნოსნის გვერდით იდგა მზვერავების კატარღა, რომელსაც „ჟუჩკა“ შევარქვეთ დიდი სისწრაფისა და მანევრირების უნარის გამო. ჩვენი დიდი კატარღა მწყობრიდან გამოვიდა რა-

ლეიბაცის დაზვერვის დროს. „ჟუჩკაზე“ რვა მზვერავი ვიყავით კალგანოვის მეთაურობით. მე საპესთან ვიდექი, გვერდით—კალგანოვი. იგი რბილ წვერზე ხელს ისვამდა და ნაპირისაკენ იყურებოდა. ნაპირზე ჯავშნოსანი კატარღების ბრიგადის მეთაური საბჭოთა კავშირის გმირი მე-2 რანგის კაპიტანი პ. ი. დერჟავინი მიდი-მოდიოდა — იგი მედესანტეებს ელოდა. მალე ისინიც გამოჩნდნენ. უფროსი ლეიტენანტი კოჩკინის მეთაურობით კატარღებს მოუახლოვდნენ. ბრიგადის მეთაურმა რამდენიმე გულთბილი სიტყვა უთხრა მათ. მეზღვაურები ჩვეული სისწრაფით ავიდნენ ჯავშნოსან კატარღებზე. მეწინავეზე ჩემი მეგობრები დავინახე და ხელი დავუქნიე.

ექვსი იყო დაწყებული სადესანტო კატარღები ნაპირს რომ მოშორდნენ და კურსი იუგოსლავიურ ქალაქ პრახოვოსკენ აიღეს. მათ წინ მეგზურად „ჟუჩკა“ მიუძღოდა.

ფრონტის ხაზს მივუახლოვდით. ამ დროს, თერთმეტმა ჯავშნოსანმა კატარღამ და სანაპირო თანხლების რაზმის არტილერიამ მტრის სანაპიროს ცეცხლი დაუშინა. ფაშისტებს შეუმჩნეველი არ დარჩენიათ ჩვენი რაზმი, მაგრამ ისინი დარწმუნებულები იყვნენ, რომ ჩაძირული კარჭაპები საიმედო დაბრკოლებას გვიქმნიდნენ.

გასასვლელი სწრაფად ვიპოვეთ. „ჟუჩკა“ იოლად გაძვრა ვიწრო გასასვლელში. კალგანოვი აღელვებული იყურებოდა უკან. მეწინავე ჯავშნოსანი ჩვენს კვალს მოჰყვებოდა. ჯავშნოსნებზე გამოცდილი მესაპეები იდგნენ და შესანიშნავად გაართვეს კიდეც თავი რთულ დავალებას.

როდესაც დარწმუნდნენ რომ საბჭოთა ხომალდებისათვის დაბრკოლება აღარ იყო, ფაშისტებმა ძლიერი საარტილერიო ცეცხლი დაგვიშინეს. უფრო წინ მიმავალ ხომალდებს უმიზნებდნენ, ამიტომ ჩვენი პატარა ხის კატარღა საფრთხეში აღმოჩნდა. მის ჩასაძირად ეოთი ყუმბარაც საკმარისი იყო.

საპესთან ვიდექი. ხანდახან ჩვენს მეთაურს გადავხედავდი. კალგანოვი ჩუმად იდგა. მღელვარებას არ იმჩნევდა. რკინის გამძლეობა ჰქონდა ჩვენს მამაც მეთაურს.

დესანტის გადასხმის ადგილი მტრის ჩაძირული კარჭაპების მახლობლად მდებარეობდა. მე ვხედავდი, მეწინავე კატარღის გემბანზე როგორ გამოვარდნენ ავტომატებიანი მეზღვაურები. კატარ-

ღიდან ტრაპი გადაუშვეს და წინ მდგომი საველო ეკიპაჟი ჯარისკაცები ნაპირზე გადაეშვნენ. უმრავლესობა კი პირდაპირ წყალში ხტებოდა და ცდილობდა, რაც შეიძლება, სწრაფად გადასულიყო ხმელეთზე. მალე უფროსი ლეიტენანტი კოჩკინი გაუძღვა თავის მებრძოლებს ქ. პრახოვოსკენ შეტევაზე. მათთან ერთად ნაპირზე გადავიდა არტილერიის მაკორექტირებელი პოსტი.

მტრის საცეცხლე წერტები ძირითადად განადგურებული იყო. ამიტომ მედესანტეები თითქმის დანაკარგის გარეშე მიუახლოვდნენ ქალაქს და ქალაქის ქუჩებში ხელჩართულ ბრძოლებში ჩაებნენ.

პრახოვოში პირველები შეიჭრნენ კატია მიხაილოვა, ვიტალი ზაპსელსკი, ვანია ბოიჩაკი, ანტონ კუროპატკინი, ალექსი კარპოვი, ივანე მაზურა, ლეონიდე ბორზიკი და ივანე ლისენკო. მედესანტე — მეზღვაურები ბრძოლით მიიწევდნენ ქალაქის ქუჩებში.

კოჩკინის მედესანტეთა რაზმმა მოსპო 60 ფაშისტი, ტყვედ ჩაიგდო 300-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, ხელში ჩაიგდო 20 ქვემეხი, რამდენიმე თვითმფრინავი და ბევრი სხვა სამხედრო ტექნიკა.

1944 წლის 30 სექტემბერს საღამოს 9 საათზე ქ. პრახოვო განთავისუფლებული იყო. იმავე დღეს ჩვენმა სახმელეთო ჯარებმა დუნაის ფლოტილიის აქტიური დახმარებით აიღეს ქ. ნეგოტინი და სრულიად გაანადგურეს გერმანელების ნეგოტინის დაჯგუფება.

იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადისაკენ გზა ხსნილი იყო.

ჩვენს მეზღვაურებთან ხშირად მოდიოდნენ იუგოსლავიელი ახალგაზრდები და გვთხოვდნენ რაზმში ჩარიცხვას. ასე მოხდა ამჯერადაც. ჩვენი სარდლობის ნებართვით 1 ოქტომბერს კალგანოვმა იუგოსლაველ მოხალისეთაგან ჩამოაყალიბა ცხენოსან მზვერავთა რაზმი. იუგოსლაველ ახალგაზრდებს, რომლებიც კარგად იცნობდნენ აქაურ ადგილმდებარეობას და საშინლად სძულდათ გერმანელები, საგრძნობი დახმარების გაწევა შეეძლოთ ჩვენთვის.

რაზმი 27 კაცისაგან შედგებოდა. მეთაურად აირჩიეს ახალგაზრდა სერბი მეთევზე მილანო. კალგანოვმა იარაღით მოამარაგა მზვერავები და დაავალა დაეზვერათ მტრის ძალები ბელგრადის მისასვლელებთან; დუნაის მარჯვენა ნაპირის გასწვრივ.

დავალება ადვილი არ იყო, მაგრამ იუგოსლავიელმა ახალგაზრდებმა შესანიშნავად შეასრულეს იგი და მალე ჩვენს სარდლობას ძვირფასი ცნობები მოუტანეს.

ფლოტილია ემზადებოდა ბელგრადის გასათავისუფლებელ ბრძოლებში აქტიური მონაწილეობისათვის. საბრძოლო ხომალდებმა თავი მოიყარეს რუმინული ნავსადგურის ტურნუ-სევერინის პიდამოებში.

დივიზიის პოლიტგანყოფილება აქტიურად მუშაობდა, პოლიტმუშაკები განუმარტავდნენ მებრძოლებს მათ წინაშე დასმულ ამოცანებს. მზვერავები დაწვრილებით ვსწავლობდით დუნაის რუკას და ბელგრადის გარეუბნების და თვით ქალაქის გეგმას. ფლოტილიის შტაბის უფროსის ინიციატივით ჩვენი რაზმი ახალი გამოცდილი მებრძოლებით შეივსო. ჩვენ შემოგვიერთდნენ მე-2 თანრიგის ზემდეგი ნიკოლოზ მაქსიმენკო, შემდეგში რაზმის პარტორგი, უფროსი მეზღვაურები პავლე ნეეროვი და შოთა მეავანაძე. ჩვენს განკარგულებაში გადმოვიდა ცხრა ახალი ნახევარგლისერი.

ბელგრადისკენ გზაზე საბჭოთა ხომალდებს უნდა გადაელახათ დუნაიზე ყველაზე ძნელი გასასვლელი — რკინის ჭიშკარი. საჭირო იყვნენ გამოცდილი ლოცმანები. ჩვენი თხოვნით იუგოსლავიის სახალხო არმიის სარდლობამ გამოგვიგზავნა საუკეთესო იუგოსლაველ ლოცმანთა ჯგუფი. მათ შორის იყვნენ ძმები ლიუბიშ და ვლადიმერ ჟორჟევიჩები, ბუდემირ პეტროვიჩი (მახვილი პირველ მარცვალზეა), ალექსანდროვიჩი და სხვა. ზოგიერთი მათგანი მოხალისედ დარჩა ფლოტილიაში. კალგანოვმა მაშინვე გამოარჩია ოცდაათი წლის ლიუბიშ ჟორჟიევიჩი და მზვერავად აიყვანა ჩვენს რაზმში.

იუგოსლავიელი კომუნისტი ლიუბიშ ჟორჟიევიჩი ომამდე გემის კაპიტნად მსახურობდა დუნაიზე. კარგი სპორტსმენი იყო და რამდენიმე წლის მანძილზე ბელგრადის ჩემპიონადაც ითვლებოდა კრივში თავის წონით კატეგორიაში. როდესაც ფაშისტები თავს დაესხნენ იუგოსლავიას, ლიუბიში შეუერთდა სერბ პარტიზანებს. რამდენიმეჯერ დაიჭრა გერმანელებთან შეტაკებებში. იგი იყო საშუალო ტანის, გამხდარი, შავგვრემანი, ვაჟკაცური სახე და ცოცხალი თვალები ჰქონდა. იგი თავის ხუთი თითივით იცნობდა დუნაის და თავისუფლად ლაპარაკობდა ბალკანეთის ქვეყნების რამდენიმე

ენაზე. ასეთი კაცი, რასაკვირველია, ზედგამოჭრილი იყო ჩვენი რაზ-მისთვის.

3 ოქტომბერს ტურნუ-სევერინის ნავსადგურიდან გავიდნენ ჯავ-შნოსანი კატარღები. წინ მიდიოდა ჯავშნოსნების რაზმი კაპიტან-ლეიტენანტ კ. ნ. ბუტვინის მეთაურობით. მას უკან მეორე რაზმი მიჰყვებოდა საბჭოთა კავშირის გმირის უფროსი ლეიტენანტი მ ა. სოკოლოვის მეთაურობით. თითოეულ ჯავშნოსან კატარღაზე იმყოფებოდა იუგოსლავიელი ლოცმანი და კალგანოვის ერთი მზვე-რავი. მოწინავე გემზე ლოცმანად ლიუბიშ ჟორჟევიჩი იყო. მე მის გვერდით ვიდექი და გამოცდილი მეზღვაურისაგან ვსწავლობდი ხომალდის ტარებას მდინარის ძნელად სავალ ადგილებში.

ჩვენი ხომალდი რკინის ჭიშკარს მიუახლოვდა. ბევრი რამ მსმე-ნოდა რკინის ჭიშკრის შესახებ და აი, საკუთარი თვალით ვიხილე ეს განთქმული ადგილი. აქ იუგოსლავური ნაპირიდან მდინარეს ებჯინება ბალკანეთის ქედი, ხოლო რუმინულიდან — კარპატები. ეს ორი დიდი ქედი ქმნის ვიწრო, 150 მეტრის სიგანის და 20 კილო-მეტრის სიგრძის გასასვლელს. სალ კლდეებს შორის მორბის გაცო-ფებული დუნაი. აქაურმა ბუნებამ საქართველო გამახსენა, დარი-ალის ხეობა და მძლავრი თერგი.

ყოველი მხრიდან სალი კლდეებით შებოჭილი დუნაი რკინის ჭიშკართან თავბრუდამხვევი სისწრაფით მოედინება ვიწრო, მეჩე-ჩებიან კალაპოტში და ეს ადგილი ნაოსნობისთვის უვარგისია. მო-შორებით, იუგოსლავურ ნაპირზე გაყვანილია არხი, რომელშიც დინება ნაკლებად სწრაფია, არხის გასწვრივ გადის რკინისგზა და ორთქლმავალი საბუქსირო საბელით მიათრევს ხომალდებს მდინა-რის ალმა მიმართულებით, დინების საწინააღმდეგოდ.

ჩვენს კატარღებს ბუქსირი არ დასჭირებიათ, ისინი საკუთარი სვლით მიიწევდნენ წინ, მიაპობდნენ დუნაის ტალღებს.

— რა შესანიშნავი ხომალდია! — აღფრთოვანებით თქვა ლიუ-ბიშ ჟორჟევიჩმა.

და ყველამ, ვინც გემბანზე ვიყავით და ეს გავიგეთ, მადლიერე-ბის გრძნობით გავიხსენეთ კამას გემთმშენებლები, რომლებმაც ეს პატარა და გამძლე ხომალდები ააგეს.

ლიუბიში ყურადღებით ადევნებდა თვალს მესაჭის მოქმედებას,

მიუთითებდა სახიფათო ადგილებზე და მალე რკინის ჭიშკარი უკან მოვიტოვეთ.

კატარღებმა თავი მოიყარეს რუმინულ ნავსადგურ სომოვში. 6 ოქტომბერს აქ მოვიდა სანაპირო თანხლების რაზმიც პოდპოლკოვნიკ ი. ბ. იაბლონსკის მეთაურობით.

ბრძოლები ბელგრადისათვის სულ უფრო შეუპოვარი ხდებოდა. ჩვენ გვაგზავნიდნენ ბელგრადის გზაზე დუნაის ხიდების დასაზვერად, სანაპიროზე მტრის საცეცხლე წერტების დასაზუსტებლად, რამდენიმეჯერ მტრის ზურგში შევიპყარით „მოენეები", ვაზუსტებდით დანაღმულ ველების განლაგებას დუნაიზე. სწორედ დუნაელმა მზვერავებმა შეატყობინეს ჩვენს სარდლობას, რომ დაზვერვის მონაცემების მიხედვით ჰიტლერელთა ჯარების დაჯგუფება ქ. სმედეროვის რაიონიდან ბელგრადისკენ აპირებდა უკანდახევას.

ამ პირობებში შეტევაზე გადასული საბჭოთა ჯარების წინ სარდლობამ დააყენა ამოცანა — გასულიყვნენ ბელგრადისაკენ, შეერღებოდნენ იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელ არმიას, ალყაში მოექციათ მოწინააღმდეგის დაჯგუფება, არ დაეშვათ შეერთება ბელგრადის გარნიზონთან და ამით ამ უკანასკნელის გაძლიერება.

15 ოქტომბერს მე-15 მექანიზებული ბრიგადა გაიჭრა დუნაის მარჯვენა ნაპირთან და გადაჭრა სმედროვი-ბელგრადის გზა. ფაშისტური სარდლობა მძაფრი კონტრშეტევების საშუალებით ცდილობდა ალყიდან გამოსვლას. ფლოტილიის სარდლობამ გადაწყვიტა დესანტის გადასხმით და არტილერიის ცეცხლით დახმარებოდა ჩვენს შემტევ ნაწილებს.

სმედეროვის დასავლეთით მედესანტეებმა გადაკეტეს სმედეროვო-გროცკის გზა და ამით გაუვეს მოწინააღმდეგის ჯარები მდინარისპირა ფლანგზე, რამაც იერიში გააადვილა. წინა დღით ჯავშნოსანმა კატარღებმა ჩაახშეს მოწინააღმდეგის თხუთმეტამდე საცეცხლე წერტი ამ უბანში.

16 ოქტომბერს ღამით 75-ე მსროლელი კორპუსის შეტევაზე გადასულმა ნაწილებმა განაახლეს სმედეროვის იერიში. შუაღამისას კი ქალაქის ზემოთ ჯავშნოსანმა კატარღებმა გადასვეს დესანტი. დესანტის წარმატებას დიდად შეუწყო ხელი ჩვენმა ახალმა მზვე-

რავმა ლიუბიშ ჟორჟევიჩმა. მან ზუსტად გაიყვანა კატარღები გადასხმის ადგილზე.

მედესანტეებს ცეცხლით მხარს უჭერდნენ ჯავშნოსანი კატარღები.

მედესანტეებმა გზა დაიკავეს და გამაგრდნენ. ფაშისტების არაერთი ცდა — დესანტი დუნაიში გადაეგდოთ, მარცხით დამთავრდა.

17 ოქტომბერს ფაშისტების გარნიზონი სმედეროვოში განადგურდა.

ჩვენი ჯავშნოსანი კატარღები ბელგრადის განთავისუფლებისათვის გაჩაღებულ ბრძოლებში ჩაებნენ.

გვიან საღამოს კალგანოვმა გამოგვიძახა სამი მზვერავი: პაღლე ნეველოვი, შოთა მჟავანაძე და მე. კალგანოვის სახეზე დაღლის ნიშანწყალი არ შემიმჩნევია. თუმცა ამ ბოლო დღეებში იგი ჩვენთან ერთად დადიოდა საბრძოლო ოპერაციებზე. ხალისიანად გამოიყურებოდა. კალგანოვმა მშვიდად აგვიხსნა დავალება.

— ბრძოლები უკვე ბელგრადის ქუჩებში მიმდინარეობს, თქვენი მოვალეობაა მარჯვენა ნაპირის თვალყურის დევნება და რეგულარულად ცნობების მოწოდება იუგოსლავიის დედაქალაქში სამხედრო ვითარების შესახებ. ნახევარგლისერით გაემართებით ბელგრადში, დაბანაკდებით ნაპირთან, მოწინავე პოზიციის ახლოს, კატარღაზე დარჩებიან ნეველოვი და მჟავანაძე, ნაპირზე ჩხეიძე გადავა: — კალგანოვი უკვე პირადად მე მომმართავდა, — უნდა დაზვერო არა მარტო დუნაის სანაპიროს რაიონი, არამედ უფრო ღრმად, სამი-ოთხი კილომეტრის მანძილზე ფრონტის უბანი. რასაც შეამჩნევ, ყველაფერი ჩაიწერე, მოხსენება უნდა მომაწოდო ორჯერ დღეში: დილის 8 საათზე და საღამოს 6 საათზე. თუ აუცილებელი არ იქნა. ბრძოლებში არ ჩაებათ, თქვენი მოვალეობაა დაზვერვა. შეასრულეთ ბრძანება.

მეთაურის კაიუტიდან გამოვედით და გავეშურეთ მზვერავ-კატარღების სადგომისაკენ. თორმეტი ნახევარგლისერიდან მხოლოდ სამი იყო ადგილზე, დანარჩენი ცხრა დაზვერვაში იყო, კალგანოვმა ყველა დაგვასაქმა. გემსაბელი მოვხსენი და კატარღაში ჩავხტი. ნახევარგლისერი მოშორდა ნაპრს და გაქანდა ბელგრადისაკენ.

ბნელი ღამე იყო. ჩვენ ვიცოდით, რომ დუნაი ამ უბანში ძლიერ

დანაღმულია. მაგრამ ხის ნახევარგლისერისათვის, რომელიც ღრმად ათ ხის წყალში, საშიში არ არის.

ნაპიროს მივუახლოვდით. ქალაქში ცხარე ბრძოლები მიმდინარეობდა. ქუჩებში სკდებოდა ყუმბარები და ზუზუნებდნენ ტყვიები. ჩვენამდე აღწევდა მძიმე საბჭოთა ტანკების გრუხუნი. ოციოდ წუთი ვიტრიალეთ ნაპირთან, სანამ გავარკვევდით, სად გადიოდა ფრონტის ხაზი, შემდეგ კატარღა ნაპირს მივაყენეთ. სანაპიროზე, ჩვენს ახლოს ნაღმები სკდებოდა.

ნაპირზე გადავედი. ღამის პირველი საათი იყო. „დილით დავბრუნდები," — დავუბარე ამხანაგებს და სწრაფი ნაბიჯით მივაშურე ცეცხლის ხაზს. თანდათან უფრო გარკვევით მესმოდა უგოსლაველი მებრძოლების ვაჟკაცური შეძახილები და გერმანული ტყვიამფრქვევის კაკანი. გარშემო ყველგან გადატანილი ბრძოლის ცხელ კვალს ეხვდებოდი — დანგრეულ გერმანულ ხანგრძლივ მოქმედების საცეცხლე წერტებს, დახოცილ იუგოსლავიელ მებრძოლებს.

ორასიოდე მეტრის შემდეგ დუნაის პარალელურ ქუჩაზე, ორსართულიანი სახლის უკან დავინახე იუგოსლაველი მებრძოლების ოთი ასეული. ისინი შეტევისათვის ემზადებოდნენ, ელოდნენ საბჭოთა ტანკების გამოჩენას. უმეტესობა ახალგაზრდები იყვნენ, ოცდაშვიერთე სერბიული დივიზიის მებრძოლები. ეს დივიზია შედიოდა მესამე სერბიულ კორპუსში.

მალე საბჭოთა მძიმე ტანკები მოვიდნენ მეოთხე გვარდიული მექანიზებული კორპუსიდან. იუგოსლავიელი ჯარისკაცების პირველი ასეული სწრაფად განაწილდა ცხრა ტანკზე. ტანკები შეძოტრიალდნენ და საბრძოლო მწყობრით დაიძრნენ ვიწრო ქუჩით. ტანკებს უკან მისდევდა მებრძოლთა მეორე ასეული. მებრძოლებს გაეყვევი, რათა საკუთარი თვალით მენახა შეტევის მსვლელობა.

ქუჩის ბოლოს, სახლის კუთხეში ტანკებს გზას უღობავდა გერმანელების ბეტონის ხანგრძლივი მოქმედების საცეცხლე წერტი. ქუჩის გარდიგარდმო აღმართული იყო ერთი მეტრი სიმაღლის აგურის ბარიკადა. რომლის უკანაც გერმანელი მსროლელები ისხდნენ და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი იდგა. ბარიკადიდან ორმოცდაათი მეტრის მოშორებით მოჩანდა გერმანელთა ნაღმსატყორცნი ბატალიონი.

ქუჩაში საბჭოთა ტანკებისა და იუგოსლავიელ მებრძოლთა გამოჩენისთანავე გერმანელებმა მთელი ცეცხლი მოწინავე ტანკს დაუყარეს და გამოიყვანეს მწყობრიდან. რამდენიმე მოკლული და დაჭრილი ჯარისკაცი ჩამოცვივდა ტანკიდან ქვაფენილზე. სამაგიეროდ ჩვენმა ტანკებმა მძლავრი ქარ-ცეცხლი დაატეხეს გერმანელებს, სასწრაფოდ გაანადგურეს გარშემო ყველაფერი. ბეტონის ხანგრძლივი მოქმედების საცეცხლე წერტილიდან მხოლოდ ნამსხვრევები დარჩა, აგურის ბარიკადა კი აქეთ-იქით მიმოიფანტა. ქვაფენილზე ეყარა გერმანელი ჯარისკაცების გვამები. საბჭოთა ტანკებმა იუგოსლავიელი მებრძოლებით განაგრძეს გზა, მეორე ასეულმა კი ალყა შემოარტყა გერმანელების მიერ დაკავებულ შენობას.

ყველგან თითქმის ერთსა და იგივე სურათს ვხედავდი: გენერალ-ლეიტენანტ ვ. ი. ჟდანოვის გვარდიული მექანიზებული კორპუსის შენაერთები, აგრეთვე იუგოსლავიის სახალხო განმათავისუფლებელი არმიის ნაწილები, ზედიზედ ათავისუფლებდნენ ბელგრადის კვარტალებს. ჩვენი მძიმე ტანკები შიშის ზარსა სცემდნენ ჰიტლერელებს. ტანკისტები ზედიზედ სპობდნენ მათ გზაზე აღმართულ მტრის წინააღმდეგობის ზღუდეებს, გზას უწმენდნენ იერიშზე მიმავალ ქვეითებს.

გავერკვიე ვითარებაში და დილის რვის ნახევარზე დავბრუნდი ჩვენს გლისერთან, დავწერე დაზვერვის შესახებ პატაკი და ნეველროვს ჩავაბარე.

ქალაქის ცენტრისკენ წავედი. აქ გერმანელები განსაკუთრებით მძაფრ წინააღმდეგობას უწევდნენ ჩვენს მებრძოლებს. ეტყობა, ნანგრევებად ქცევას უპირებდნენ იუგოსლავიის დედაქალაქს.

იუგოსლავიელ მებრძოლთა შორის ქალები შევამჩნიე. სამხედრო ფორმა ეცვათ. ისინი მარტო დაჭრილებს კი არ ეხმარებოდნენ, არამედ იარაღით ხელში მამაცად ებრძოდნენ ჰიტლერელებს.

ჰაერში მთლიანად საბჭოთა აviაცია ბატონობდა. კარგად დამამახსოვრდა შემდეგი ეპიზოდი: ქალაქის ცენტრში, მოედანთან, სამსართულიანი სახლის სახურავზე გერმანელებმა ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი დააყენეს. სახურავიდან ხელისგულივით მოჩანდა ქუჩა, რომელზედაც საბჭოთა ტანკები და იუგოსლავიელი მებრძოლები მოიწევდნენ წინ. გერმანელებმა მოახერხეს ორი საბჭოთა ტანკის დაზიანება. შეტევა ფრონტის ამ უბანზე დროებით შეფერხდა. და-

სახმარებლად ჩვენი ავიაცია მოვიდა. ჰაერში გამოჩნდა მსუბუქი ბომბდამშენი. მფრინავის წინ იდგა რთული ამოცანა, გაენადგურებინა მტრის ქვემეხი ისე, რომ შენობა არ დაზიანებულიყო. თვითმფრინავმა ქვემეხს სამკილოგრამიანი ბომბი მოახვედრა და ჩააჩუმა.

თვალყურს ვადევნებდი აგრეთვე, თუ რა ხდებოდა დუნაიზე. ვნახე, როგორ გაიქრნენ ჩვენი კატარღები მდინარის აღმა მიმართულებით კუნძულ რატნოსკენ, რომელიც ქალაქის ცენტრალური ნაწილის პირდაპირ მდებარეობს. კატარღები კუნძულს ამოეფარნენ და ცეცხლი დაუშინეს მოწინააღმდეგეს.

საღამოს დათქმულ ადგილზე მივედი. ჩვენი ნახევარგლისერი ადგილზე არ დამიხვდა. შევწუხდი. — იქნებ ფაშისტებმა დაინახეს და ჩაძირეს-მეთქი. გადავწყვიტე დავლოდებოდი. წუთები ულაჩარულოდ გაგრძელდა. მალე, მდინარეზე ნახევარგლისერი გამოჩნდა. ჩემი ამხანაგების გარდა მასზე სხვებიც შევამჩნიე. მათ შორის სახღვაო ფორმაში გამოწყობილი ქალიშვილი. როდესაც მომიახლოვდნენ, კატია მიხაილოვა ვიცანი. ნახევარგლისერი ნაპირს მოადგა. კატიას ხელი გავუწოდე და ნაპირზე გადმოსვლა ვუშველე. გადმოვიდნენ ჩემი საბრძოლო მეგობრებიც ვიტალი ზაპსელსკი, ვანია ბოიჩაკი, ლეონიდე ბორზიკი, რადისტი და ახალგაზრდა ლეიტენანტი — საზღვაო არტილერიის ბატარეის მეთაური. ეს ჯგუფი გამოგზავნა სანაპირო თანხლების რაზმის მეთაურმა ბელგრადში ჩვენი ბატარეების ცეცხლის კორექტირებისათვის.

ვიტალის მკერდზე ავტომატი ეკიდა, მხარზე კი ფოტოაპარატი ჰქონდა გადაკიდებული. როგორც ყოველთვის, ბრძოლის წინ ძალიან აღელვებული ჩანდა.

პავლე ნეველროვმა გადმომცა ჩემი მეთაურის ბრძანება: მეჩვენებინა მზვერავებისათვის მოხერხებული ადგილები მოწინააღმდეგის სათვალთვალოდ. მზვერავები ორ ჯგუფად გაიყვნენ. ივანე ბოიჩაკი და ლეონიდე ბორზიკი სანაპიროზე დარჩნენ, კატია მიხაილოვა და ვიტალი ზაპსელსკი კი ქალაქის ცენტრში მოეწყვნენ. სანაპიროს მახლობლად, ოთხსართულიანი სახლის სახურავის თავზე განლაგდნენ რადისტი თავისი რაციით და ოფიცერი — არტილერისტი. მათთან ხშირად მოდიოდნენ ჩვენი მზვერავები და ატყობინებდნენ გამოძღვანებული სამიზნეების შესახებ. ოფიცერი რაციით ატყობინებდა დუნაის მარცხენა ნაპირზე განლაგებულ საზღვაო ბატარეებს

სამიზნეს და აკორექტირებდა ბატარეების საარტილერიო ცეცხლს.

ჩვენმა მზვერავებმა აღმოაჩინეს მტრის უამრავი სამიზნე და ამით სიცოცხლე შეუნარჩუნეს არა ერთ მებრძოლს. ბელგრადში მზვერავები გამუდმებით ბრძოლათა შუაგულში იმყოფებოდნენ. 19 ოქტომბერს ცეცხლის ხაზზე მოკლეს მზვერავი ლეონიდე ბორზიკი. ტყვია პირდაპირ გულში მოხვდა. ჩვენ მძიმედ განვიცადეთ ამხანაგის დაღუპვა. მეზღვაურმა ბორზიკმა ჩვენთან ერთად გამოიარა მთელი ფრონტის გზა დნესტრის ლიმანიდან, კარგი ბიჭი იყო და კარგი მზვერავიც.

ცხრამეტი წლის კომკავშირელი ლეონიდე ბორზიკი ბელგრადის მიწას მივაბარეთ.

მალე ცნობილი გახდა, რომ მოწინააღმდეგემ რაკი დაინახა, შემდგომი წინააღმდეგობის გაწევა უაზრობა იყო, გადაწყვიტა თავისი ჯარები გაეყვანა მდინარე სავანზე გადებული ხიდის საშუალებით.

ბელგრადისათვის ბრძოლები გრძელდებოდა. დამამახსოვრდა ასეთი სურათი: საბჭოთა ტანკებზე განლაგდნენ ავტომატმომარჯვებული იუგოსლაველი მედესანტეები. შეტევისათვის ყველაფერი მზად იყო. ამ დროს მეთაურ ტანკთან მიირბინა ვიტალი ზაპსელსკიმ და ფირზე აღბეჭდა იგი. გაისმა ბრძანება. ტანკებზე ძრავები ამოქუშავდა. ვიტალიმ ახლა გვერდიდან შემოურბინა ტანკს და იქიდანაც გადაიღო.

მტრის ბარიკადა სულ ახლოს იყო იმ ადგილიდან. ფაშისტები კარგად ხედავდნენ სამხედრო კორესპონდენტს. გაისმა რამდენიმე გასროლის ხმა. ტყვიებმა ქვაფენილი მოთხარეს ვიტალის ფეხებთან, თავთან გაუზუზუნეს. და მხოლოდ ბედნიერმა შემთხვევამ გადაარჩინა მამაცი კორესპონდენტი.

ჰიტლერელებმა თავის ჯარებს თავი მოუყარეს ქალაქის ჩრდილო-დასავლეთ ნაწილში. მათ კვლავ ხელთ ეპყრათ ზემუნის ხიდი მდინარე სავანზე. ამ ხიდის საშუალებით გადმოდიოდა გერმანელთა მაშველი ძალები ზემუნიდან, ხოლო შემდეგ ამ ხიდით დაიწყეს მათ თავიანთი ნაწილების ბელგრადიდან გაყვანა. ფლოტილიამ მიიღო დავალება შეეჩერებინა მტრის ტექნიკის მოძრაობა. ხიდის მისადგომებთან ჩვენმა ჯაჭშნოსანმა კატარღებმა გაანადგურეს ბევრი ცოცხალი ძალა და მოწინააღმდეგის ტექნიკა.

20 ოქტომბერს იუგოსლავიის დედაქალაქი განთავისუფლებულ იქნა ფაშისტ დამპყრობლებისაგან.

ბელგრადის მცხოვრებნი ძლიერ გულთბილად ეგებებოდნენ საბჭოთა მებრძოლებს. უმასპინძლდებოდნენ ღვინით და ყურძნით, შინ ეპატიჟებოდნენ.

ჩვენი იუგოსლაველი მეგობრები ძმები ლიუბიშ და ვლადიმერ ჟორჟევიჩები და აგრეთვე ბუდემირ პეტროვიჩი ბელგრადის მკვიდრნი იყვნენ. ლიუბიშ ჟორჟევიჩმა ვასილი გლობა, შოთა მჟავანაძე და მე შინ მიგვიწვია. ლიუბიშთან ერთად მივადექით მის სახლს მანვანის ქუჩაზე. კარი ლიუბიშას დამ ლიუბინკამ გაგვიღო. ხვევნას, კოცნას, სიხარულის ცრემლებს, აღტაცებულ შეძახილებს დასასრული არ უჩანდა.

შერე სტუმართმოყვარე დიასახლისი დატრიალდა და მალე თეთრ, ქათქათა სუფრაგადაფარებულ მაგიდასთან მიგვიწვია. მაგიდაზე იდგა ლანგარი იუგოსლავური ყურძნით, ნაირ-ნაირი სერბიული საჭმელები და აქაური წითელი ღვინო. მალე ჩვენს საზეიმო სუფრას შემოუერთდნენ იუგოსლავიის სახალხო არმიის მებრძოლი პარტიზანი ქალიშვილი ელიცა და ჩვენი ფლოტილიის ლოცმანი ბუდემირ პეტროვიჩი თავისი პატარა გოგონათი და ცოლით. პატარა გოგონა ძალიან მომეწონა, ვეთამაშებოდი. ვინ იტყოდა მაშინ, რომ ეს ლამაზი გოგონა ცნობილი კინომსახიობი ოლივერა ვუჩო გახდებოდა.

სუფრასთან გულითადად ვსაუბრობდით. გვაინტერესებდა ბელგრადში ოკუპაციის დროს მომხდარი ამბები. ლიუბინკა ნაღვლიანად იგონებდა თავისი საყვარელი ქალაქის შაგბნელ დღეებს:

— ძნელი იყო თავისუფლების დაკარგვა. მაგრამ. თავისუფლების მოყვარე იუგოსლაველი ხალხი არ მოიდრიკა ფაშისტურ უღელქვეშ. ბევრი მთებში წავიდა პარტიზანებთან, ხოლო ქალაქში დარჩენილნი მამაცად ებრძოდნენ ოკუპანტებს. გერმანელებმა დააპატიმრეს ჩემი ბიძაშვილი დუშაკი და დახვრიტეს. იგი აქტიური იატაკქვეშელი იყო.

დიდი ინტერესით ვუგდებდით ყურს ლიუბინკას.

— ფაშისტებმა იუგოსლავიაში უამრავი საკონცენტრაციო ბანაკი შექმნეს. იქ იყვნენ საბჭოთა სამხედრო ტყვეებიც. იუგოსლავიელ პატრიოტებს ბევრი საბჭოთა სამხედრო ტყვე გადაურჩენიათ,

სახლებში დაუმალავთ. ფაშისტებმა თავიანთ ქარხნებში სამუშაოდ საბჭოთა ქალიშვილები ჩამოიყვანეს. ისინი ძლიერ მძიმე პირობებში ცხოვრობდნენ, შიმშილობდნენ. ხშირი იყო მათ შორის სიკვდილიანობა. იუგოსლავიელმა პატრიოტმა ქალმა ანგელინა დობნიკარმა ოთხი საბჭოთა ქალიშვილი შეიფარა. გერმანელებმა შეიტყვეს ეს, საშინლად სცემეს ანგელინას და შემდეგ საკონცენტრაციო ბანაკში გააგზავნეს. სამი წელი ბრძანებლობდნენ ჩვენთან ფაშისტები. აი, რატომ ვთვლით ბელგრადის განთავისუფლების დღეს ყველაზე დიდ დღესასწაულად, ხოლო საბჭოთა მებრძოლებს — ჩვენს ძმებად.

იუგოსლავიის დედაქალაქი თავისუფალი იყო. მაგრამ უფრო ჩრდილოეთით ფაშისტებს ჯერ კიდევ ეკავათ მთელი რიგი იუგოსლავიური ქალაქებისა, ოკუპირებული მიწა ელოდა თავის განმათავისუფლებლებს. წინ ცხარე ბრძოლები გველოდა.

დეკემბრის დასაწყისში ჩვენ დავბანაკდით პატარა იუგოსლავიურ ქალაქ ბაჩკო-პალანკაში დუნაის მარცხენა ნაპირზე. აქვე იყო სანაპირო თანხლების რაზმიც. 2 დეკემბერს საღამოს თავისუფალი დრო გვქონდა, მე და ლიუბიშა სტუმრად გავეშურეთ ჩვენს მეგობრებთან — სანაპირო თანხლების რაზმის მზვერავებთან.

უფროსი ლეიტენანტი კოჩკინის ასეული განლაგებული იყო დუნაის მახლობლად მდებარე ერთსართულიან სახლში.

მზვერავების ოთახში ავეჯი არ იდგა; ჩვენი მეგობრები პირდაპირ იატაკზე დაფენილ ლეიბებზე ისხდნენ. დარაბები ყრუდ იყო დახურული. ოთახს ნავთის ნათურა ანათებდა. იქვე ვიტალი საფრონტო გაზეთისთვის რაღაცას წერდა. ამხანაგები ძლიერ გულთბილად შეგვხვდნენ.

— რა კარგია, რომ მოხვედით, — თქვა ვიტალიმ, — სწორედ დღეს დილით მივიღეთ ჩვენი შეფი ქალიშვილების წერილი. ახლავე წაგიკითხავთ.

წერილთან ერთად ქალიშვილებს თავიანთი ფოტოსურათი და კონსტანტინე სიმონოვის ახალი ლექსი გამოეგზავნათ. ლექსიც და წერილიც სიამოვნებით მოვისმინეთ.

ეიღაცამ ჩემი გიტარა გამომიწოდა. დნესტრის ლიმანზე დესანტის შემდეგ არ დამეკრა. გიტარა ავაწყვე და რამდენიმე ქართული

სიმღერა ვიმღერე. ჩემს ამხანაგებს განსაკუთრებით „ციცინათელა“ მოეწონათ, ორჯერ გამამეორებინეს:

შენმა შორით ნათებამ
დამწვა და დამანელა...

მერე ლიუბიშ ჟორჟევიჩი მღეროდა იუგოსლაველ მეზღვაურთა მხიარულ სიმღერებს. როგორც შემეძლო ვცდილობდი გიტარა ამეყოლებინა. ეს თვითმოქმედი კონცერტი გააგრძელეს უკრაინელებმა: ზაპსელსკიმ. ბოიჩაკმა და ლისენკომ. ძლიერ ტკბილად და შეწყობილად მღეროდნენ უკრაინულ ხალხურ სიმღერებს. დაფიქრებულნი და ნაღვლიანები ჩანდნენ.

მზვერავები ჩუმად ისმენდნენ სევდიან სიმღერას. ღრმად ჩაფიქრებული იჯდა ანტონ კუროპატკინი... კატია მიხაილოვას ფიქრებიც, ეტყობა. აქედან ძლიერს შორს ტრიალებდა. კატიას და ლენინგრადში დაბომბვისას დაეღუპა, უფროსი ძმა — მფრინავი კი ფაშისტებთან ბრძოლის დროს. მზვერავებს ბევრი უბედურება ენახათ თავიანთ გრძელ საფრონტო გზაზე: დანგრეული ქალაქები, დაობლებული ბავშვები, გზააბნეული ლტოლვილები, რომლებსაც თავისი ნათესავები და ახლობლები დაეკარგათ.

გარეთ დეკემბრის სუსხიანი ქარი ქროდა, ოთახში კი თბილოდა და სიმყუდროვე იყო. რა იშვიათი და ხანმოკლეა მებრძოლისათვის ფრონტზე ასეთი საღამო!

მე და ჟორჟევიჩი მალე გამოვეთხოვეთ ამხანაგებს. თოვდა. დუნაიზე ტალღები აზვირთებულიყვნენ. მარჯვენა ნაპირს გადავხედავდით ხოლმე და თუმცა სიბნელეში არაფერი ჩანდა, ვიცოდით: სადღაც ახლოს მდებარეობს ძველებური ციხესიმაგრე ილოკი. იქ მტერი იყო დაბუდებული და მისი განდევნა ფლოტილიის ხომალდების დახმარების გარეშე შეუძლებელი იყო.

3 დეკემბერს კალგანოვმა მე და ლიუბიშ ჟორჟევიჩი ფლოტილიის შტაბის უფროსთან გაგვაგზავნა. ჩვეულებრივ, მზვერავებს დავალებას თვითონ რაზმის მეთაური გვაძლევდა. მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში ვხვდებოდით პირველი რანგის კაპიტან სვერდლოვს.

— ილოკის ციხესიმაგრე აფერხებს ჩვენი ჯარების წინსვლას. საჭიროა დავეხმაროთ არმიას და სიმაგრესთან დესანტი გადავსხათ. ამისათვის თქვენ უნდა დაზვეროთ სიმაგრის მიდამოები.

ასეთი დავალება მივიღეთ შტაბის უფროსისაგან. ამოცანა ნათელი იყო.

ღამით პატარა ნავით გავედით მდინარეზე. დუნაის ტალღები მას ხან ზევით იტაცებდნენ და ხანაც ქვემოთ, უფსკრულისაკენ მიაქანებდნენ. გვეჩვენება, თითქოს ნავი სადაცაა წყლით აივსება და გადაყირავდება. ნიჩბებს ვუსვამ და მთელი ყურადღებით ვადევნებ თვალს მდინარის მუხანათ ტალღებს.

ნავში, ჩემ წინ, მშვიდად მოკალათებულა ლიუბიშ ჟორჟევიჩი. მან კარგად იცის ეს ადგილები. ჟორჟევიჩმა ხელით მანიშნა, საით წამეყვანა ნავი და. როგორც იქნა მივადექით მტრისაგან დაკავებულ ტერიტორიას. რამდენიმე წუთი გაჩუმებულნი მივჩერდებოდით ნაპირს. ბოლოს დავრწმუნდით, რომ ლაქაშების ახლომახლო მტერი არ იყო.

გამოცდილებით ვიცოდით, რომ გერმანელები მდინარის სანაპიროებს ნაღმავდნენ. ამიტომ გადავწყვიტეთ მდინარეს ნაპირ-ნაპირ ავყოლოდით. ჟორჟევიჩი პირველი ჩაეშვა გაყინულ წყალში. მერე მე მივყევი. ნავი ლერწმებში დავმალეთ. სიბნელეში ვხედავ ჩემი უშიშარი მეგობრის ზურგს. წელამდე წყალში ოდნავ მოხრილი ჟორჟევიჩი ჩუმად მიიწევს წინ. დაძაბული ვათვალიერებთ მტრის მიერ დაკავებულ ნაპირს. სიბნელეში აქა-იქ თვალი მოვკარით გერმანელი ჯარისკაცების ლანდებს. ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ გერმანელი გუშაგები გულმოდგინედ უთვალთვალებდნენ ნაპირს.

ჟორჟევიჩი შეჩერდა. მასთან ახლოს მივედი. აქ წყალი მკერდამდე გვწვდებოდა, სამაგიეროდ, მოხერხებული ადგილი იყო სათვალთვალოდ. გაყინულმა წყალმა სხეული დაგვისუსხა, მაგრამ მოთმინებით ვიტანდით ამას და მტერზე თვალთვალს განვაგრძობდით. ყურადღება მივაქციეთ იმას, რომ გერმანელები უშუალოდ მდინარის ნაპირს არ უახლოვდებოდნენ. ისინი ნაპირიდან ასე. ოცდაათი მეტრის დაცილებით მიდი-მოდიოდნენ. ამის მიხედვით დავასკვენით. რომ სანაპირო ხაზი დანაღმული იყო და ნაღმების ველის იქით გერმანელთა სანგრები იწყებოდა.

წყალში ნახევარსაათს ვიდექით, იქაურობას ვუთვალთვალებდით და ბოლოს დავრწმუნდით. რომ გერმანელებს ჩვენი დესანტის ეშინიათ და ფხიზლად ადევნებენ თვალყურს სანაპიროს. უკან

გამოვბრუნდით. გათოშილ ფეხებს ძლივს ვამოძრავებთ. აი, ლერწ-ბეითან მივედით. ჩემს ამხანაგს ჩუმად ვუთხარი:

— მოდი, ლერწმები შევამოწმოთ.

ჟორჟევიჩი დამეთანხმა.

თავიდან ბოლომდე გავსინჯეთ ლერწმები, გავზომეთ წყლის სიღრმე მდინარის ნაპირას ნიადაგიც კი მოვსინჯეთ. შემდეგ ნაბიჯ აღვიერით. გაყინული ხელ-ფეხი არ გვემორჩილებოდა. ნიჩბებს დავაღლე ხელი.

ჟორჟევიჩმა მანიშნა, მდინარის მახლობლად მდებარე პატარა კუნძულისაკენ გამეცურა. იქით მივმართე ნავი და მივადექით კუნძულს. იგი სანახევროდ წყლით დაფარული აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ზედ დესანტის გადასმა შეიძლებოდა. კუნძული გულმოდგინედ დავათვალიერეთ. ნავით მდინარის მარცხენა ნაპირისაკენ გავცურეთ. როგორც იქნა ნაპირს მივადექით და მაშინვე შტაბისაკენ გაკეთურეთ.

ახლა, როდესაც ვიგონებ ომის განმავლობაში რამდენჯერ გვიხდებოდა მზვერავებს ყინულოვანი აბაზანის მიღება, მიკვირს, რომ აო ვცივდებოდით, არავინ ჩაწვა ფილტვების ანთებით. ალბათ გვიველოდა ის მუდმივი ნერვიული დაძაბულობა, რომელიც არ სტოვებს მებრძოლს ფრონტზე, სადაც არ უნდა მსახურობდეს ის — დაბერვაში, არტილერიაში თუ ქვეით ჯარში.

ილოკის დესანტს ჩვენი სახმელეთო ნაწილებისათვის შეტევა უნდა გაეადვილებინა. სარდლობამ გადაწყვიტა, იგი ორ ჯგუფად გადაესხა. ძირითადი — ორმოცი კაცის შემადგენლობით უნდა გადასულიყო კუნძულზე, ხოლო მეორე ჯგუფი — თორმეტი მედესანტე — ლერწმებთან.

ჟოოჟევიჩს და მე დაგვავალეს მედესანტეების გაყვანა დესანტის გადასხმის ადგილას. 4 დეკემბერს ბაჩკო-პალანკას ნავსადგურთან ფლოტილიის სამი კატარღა იდგა, გამზადებული მედესანტეების მისაღებად. დესანტის გადასხმას მეთაურობდა კაპიტან-ლეიტენანტი ნიკოლოზ სავიცკი. დესანტისათვის გამოყვეს უფროსი ლეიტენანტის ივანე კოჩკინის მოიერიშეთა ასეული. უფრო ზუსტად — ასეულიდან საგანგებოდ აირჩიეს 52 მედესანტე.

პირველ ორ კატარღაზე ოც-ოცი მებრძოლი ავიდა, მესამეზე — თორმეტი, მათ შორის ზაპსელსკი, კურაპატკინი, ლისენკო, პეტ-

როი, რუსიაევი. ამ ჯგუფს I თანრიგის ზემდეგი ივანე ბოიჩაკი მეთაურობდა.

მედესანტეებს შორის იყო ერთი ქალიშვილი — კატია მიხაილოვა. მას დიდ პატივს სცემდნენ რაზმში, მაგრამ დღეს არავის უნდოდა მისი დესანტში წამოყვანა, ძლიერ სახიფათო იყო. კატიამ მაინც თავისი გაიტანა. უფროსი ლეიტენანტი კოჩკინი იძულებული იყო დათმო მისი დაჟინებული თხოვნისათვის.

ნისლიანი ამინდი იყო. კატარღებმა კურსი მოპირდაპირე ნაპირისკენ აიღეს. მიუხედავად იმისა, რომ მანძილი ხომალდებს შორის მცირე იყო, როდესაც საბრძოლო ჯიხურიდან გავიხედე მეორე ხომალდი ძლივს გავარჩიე ნისლში, მესამე კი საერთოდ არ ჩანდა.

უნდა აღვნიშნო, რომ ლიუბიშ ჟორჟევიჩმა, როგორც ლოცმანმა და სადესანტო გემების მეთაურმა ნიკოლოზ სავიცკიმ შესანიშნავად გაართვეს თავი ძნელ ამოცანას.

ხომალდები კუნძულს უახლოვდებოდნენ. მე და ლიუბიშ საბრძოლო ჯიხურიდან გემბანზე გავედით. კოჩკინის ბრძანებით მედესანტეებიც გემბანზე ამოვიდნენ და გასასვლელად მოემზადნენ. კატარღის ცხვირთან კატია მიხაილოვა დავინახე, სანიტრის ჩანთა მხარზე ჰქონდა გადაკიდებული, ხელში ავტომატი ეჭირა.

წინა კატარღებიდან გადასხმა დაიწყო. პირველი გაყინულ წყალში კატია მიხაილოვა გადაეშვა. მას მიჰყვნენ ალექსი კარპოვი, ივანე მაზურა, მიხეილ კნიაზევი, ვანია სოლოვიოვი და სხვა. ისინი უბმაუროდ ხტებოდნენ წყალში, ცდილობდნენ, არ მიექციათ მოწინააღმდეგის ყურადღება, ეფარებოდნენ წყლით დაფარულ ხეებსა და ბუჩქებს. ნისლის გამო გერმანელებმა ვერ შენიშნეს კუნძულთან ხომალდები და მედესანტეები.

კატარღები გაემართნენ ლერწმებისაკენ. აქაც ბევრი სწყალობდათ საზღვაო ჯარისკაცებს. ვიტალი ზაპსელსკიმ ნაპირზე გამართა სადაზგო ტყვიამფრქვევი. მეორე ნომრად მას მეზღვაური ივანე ლიუენკო ჰყავდა. მედესანტეთა რაზმის უფროსმა ვანია ბოიჩაკმა ბრძანა სანგრები გაეთხარათ: მედესანტეები სწრაფად მუშაობდნენ მოკლე ნიჩბებით. მაგრამ გაყინული მიწა ძნელად ითხრებოდა.

ჩვენი კატარღები ნელა სცილდებოდნენ მტრის ნაპირს. დავალება შევასრულეთ. მაგრამ როგორ გვიმძიმდა მეგობრების დატოვება მტრის სანაპიროზე.

– მალე ნისლმა დაფარა კუნძული, იგი ახშობდა ყოველგვარ ბგერას. ცოტა ხანში მარჯვენა ნაპირზე სროლა ატყდა.

ნიკოლოზ სავიცკიმ საათს დახედა და გულმოსულმა თქვა:

— აღმოაჩინეს, ვერ მოასწრეს ჩასანგრება. მარჯვენა ნაპირზე დაიწყო ბრძოლა.

მოგვიანებით გადარჩენილი ამხანაგების ნაამბობის საშუალებით შევძელი აღმედგინა მედესანტეთა ბრძოლის სურათი.

როდესაც ფაშისტებმა თავიანთ ცხვირწინ მედესანტეები აღმოაჩინეს და სროლა აუტეხეს, პირველად ვიტალი ზაპსელსკიმ უპასუხა მათ ტყვიამფრქვევიდან. ლერწმებში ჩასაფრებული მედესანტეები ბრძოლაში ჩაებნენ. ნისლის გამო ჩვენმა საბრძოლო ხომალდებმა და სანაპირო თანხლების რაზმის არტილერიამ მათ ძხარი ვერ დაუჭირა.

ვხედავდი, როგორ ნერვიულობდა ლიუბიშა. ჩვენი ამხანაგები მტერთან პირისპირ აღმოჩნდნენ, ძალები კი არათანაბარი იყო. ღელავდა კაპიტან-ლეიტენანტი სავიცკიც.

შეიძლება ჩემი აღწერა დეტალებში მთლად ზუსტი არ არის, მაგრამ რამდენადაც ვიცი, ამის შესახებ ჯერ არსად დაწერილა. ვფიქრობ, სჯობს იმ ამბებზე ითქვას თუნდაც არა ზედმიწევნით ზუსტად, ვიდრე არაფერი არ ითქვას.

გერმანელებმა გადაწყვიტეს გაენადგურებინათ საბჭოთა დესანტი. აღმოჩნდა, რომ ლაქაშების მახლობლად ნაპირის ეიწრო ზოლი გერმანელთა სანგრებიდან მდინარემდე დანაღმული არ იყო. ფაშისტთა მეავტომატეები ამ ადგილიდან ეძგერნენ ჩვენს მეზღვაურებს. სადაზგო ტყვიამფრქვევი ახლო მანძილიდან აუცდენლად სცელავდა ფაშისტებს. შეუჩერებლივ ისროდნენ ავტომატიდან ლაქაშებში ჩასანგრებული სხვა დუნაელებიც. პირველი შეტევისას ფაშისტებმა ორი ოცეული დაკარგეს. ამის შემდეგ ბრძოლაში ახალი ძალები ჩართეს, ხოლო ფლანგებიდან ნაღმსატყორცნის ცეცხლი დაუშინეს ჩვენს მედესანტეებს. ჩვენი მებრძოლები მძიმე მდგომარეობაში აღმოჩდნენ. სწორედ ამ დროს, კოჩკინის ბრძანებით კუნძულზე ჩასაფრებულმა მეზღვაურებმა ძლიერი, ერთდროული ცეცხლით მხარი დაუჭირეს თავიანთ ამხანაგებს. ეს სროლა სრულიად მოულოდნელი იყო ილოკის გარნიზონისათვის.

სიბნელისა და ნისლის გამო ფაშისტებმა უცბად ვერ განსაზღვრეს მეზღვაურთა რაოდენობა კუნძულზე. მათ ეგონათ, რომ იქ მნიშვნელოვანი ძალები იყო ჩასაფრებული და რამოდენიმე დიდი კანჯო ჩაუშვეს წყალში. კანჯოები გერმანელი მეავტომატეებით სწრაფად უახლოვდებოდნენ კუნძულს.

მედესანტეებმა კუნძულზე წრიული თავდაცვა შექმნეს და არ აძლევდნენ მტერს ახლოს მისვლის საშუალებას. მხოლოდ ერთი ნავიდან მოახერხეს გერმანელთა ჯარისკაცებმა კუნძულზე გადასვლა, მაგრამ ისინი ნაპირზევე ამოჟლიტეს.

მამაცად ებრძოდა ფაშისტებს მედესანტე ივანე მაზურა. ტყვიებს არ აცდენდა კანჯოთი მოახლოვებულ ჰიტლერელებს. როდესაც ყველა ჯარისკაცი გაჟლიტა, ცარიელი ნავი დუნაის ტალღებმა წარიტაცეს დინების მიმართულებით. მეზღვაურმა ალექსი კარპოვმა კი თავი გამოიჩინა ხელყუმბარების ზუსტი სროლით. მან ოთხი ფაშისტური ნავი ააფეთქა. ბრძოლის დროს კორჩიკის ბრძანებით ალექსი კარპოვმა ორჯერ გადასცურა დუნაი, რათა ლერწმიანში მყოფ ბოიჩაკის მედესანტეთა ჯგუფთან კავშირი დაემყარებინა.

ბოიჩაკის მებრძოლებს განსაკუთრებით გაუჭირდათ. ზაპსელსკის ტყვიამფრქვევმა ფაშისტებს საგრძნობი ზარალი მიაყენა, ამიტომ მათ ძლიერი ცეცხლი მიმართეს მისკენ. ტყვიამფრქვევთან პირველი ლისენკო დაიღუპა. იგი შესცვალა მეზღვაურმა პეტროვმა, მაგრამ მახლობლად აფეთქებულმა ნაღმმა მწყობრიდან გამოიყვანა ისიც და ზაპსელსკიც. ორივე მძიმედ დაიჭრა. დაჭრილი მეტყვიამფრქვევეები განაგრძობდნენ მოძალებული მტრის მოგერიებას. მედესანტეთა რიგები ლერწმიანში თანდათან თხელდებოდა. ბოლოს, ცოცხალი დარჩა მხოლოდ ოთხი მებრძოლი: ვიტალი ზაპსელსკი, ანტონ კუროპატკინი, პეტროვი და ჯგუფის მეთაური, I თანრიგის ზემდეგი ივანე ბოიჩაკი.

დაჭრილი ანტონ კუროპატკინი ქამარზე დამაგრებული ტანსაწინააღმდეგო ყუმბარებით მტრის სანგრებისკენ გახოხდა. ფაშისტებმა დაინახეს რომ მათკენ თოვლზე მოხოხავს მთლად სისხლში ამოსვრილი, უიარაღო მედესანტე და იფიქრეს, ტყვედ გვბარდებაო რამოდენიმე ჯარისკაცი გამოიქცა მისკენ. როდესაც ისინი კუროპატკინს მიუახლოვდნენ, მან ყუმბარებს რგოლი ამოაძრო და ააფეთქა.

ანტონ კუროპატკინის გმირობის მოწმე სამი ჩვენი მედესანტე იყო. ალფლეთებად ქცეულ კუროპატკინთან ერთად მტრის რამოდენიმე ჯარისკაცი დაეცა მიწაზე.

დრამატული სიტუაცია შეიქმნა კუნძულზე. იქაც ერთი მუჭა მებრძოლებიღა დარჩნენ ცოცხალი. დაჭრილებს კატია მიხაილოვა უვლიდა ჭრილობებს. როდესაც ძალიან გაუჭირდათ, მანაც ავტომატი მოიმარჯვა და ცეცხლით იგერიებდა მოძალებული მტრის შეტევას.

დაჭრილი პარტორგი, ლეიტენანტი ნიკოლოზ სოკოლოვი სიმამაცის და გამბედაობის მაგალითს აძლევდა მედესანტეებს. იგი მარცხენა ფლანგზე ხელმძღვანელობდა ბრძოლას. ფაშისტებმა შეამჩნიეს საბჭოთა ოფიცერი. თავში მოხვედრილმა ტყვიამ წააქცია მებრძოლი. ამხანაგებმა ნაპირზე გამოიყვანეს იგი, მაგრამ პარტორგი უკვე მკვდარი იყო.

დაიღუპა უმცროსი ლეიტენანტი პავლე ელისეევიც. უფროს ლეიტენანტ კოჩკინს მხოლოდ თორმეტი მებრძოლიღა დარჩა ცოცხალი.

ბოლოს, ილოკის მხრიდან გაისმა ჩვენი ჯარისკაცების მძლავრი „ურა“. ეს ციხესიმაგრის იერიშზე გადავიდნენ საბჭოთა და იუგოსლავიური ქვეითი ჯარები. 4 დეკემბერს ილოკის ციხესიმაგრე განთავისუფლდა გერმანელი ოკუპანტებისაგან.

კუნძულზე გაგზავნილმა უფროს ლეიტენანტ დავით მიქაბერიძის ჯავშნოსანმა კატარღამ გემბანზე მიიღო ცოცხლად გადარჩენილები. ორმოცდათორმეტი მებრძოლიდან მხოლოდ შვიდი დარჩა მწყობრში. ისინი ეხმარებოდნენ დაჭრილების მოკრეფაში კუნძულზე. მათ აიყვანეს კატარღაზე ლერწმებში გადარჩენილი სამი დაჭრილი მეზღვაურიც. მედესანტეები მძიმე მდგომარეობაში მიიყვანეს ბაჩკო პალანკას ლაზარეთში...

ლიუბიშ ჟორჟევიჩმა და მე ლაზარეთში მივირბინეთ. არ გვიშვებდნენ, მაგრამ ისეთი ხმაური ავტეხეთ, რომ როგორც იქნა, მარტო მე გამიშვეს.

ჩვენი მედესანტეები ლაზარეთის პატარა პალატებში მოეთავსებინათ. დიდი გაჭირვებით ვცნობდი მეგობრებს, ზოგიერთები ისე იყვნენ დასახიჩრებულნი რომ მათი ცნობა საერთოდ შეუძლებელი გახლდათ.

მორიგე ექთანს ვკითხე, რომელ პალატაში წვანან-მეთქი ჩემი ახლო მეგობრები — კატია მიხაილოვა და ვიტალი ზაპსელსკი... მან ვიწრო დერეფანში გამატარა და პალატაში შემიყვანა. კართან ჭრილობებით დაფარული კაცი იწვა. ვერ ვიცანი და ექთანს ვკითხე:

— ვინ არის?

— თქვენი მეგობარი ვიტალი ზაპსელსკი, — მიპასუხა მან.

ზაპსელსკი უმოძრაოდ იწვა, სიცოცხლის ნიშანწყალი არ ეტყობოდა.

— მგონი, გარდაიცვალა, — შევძახე გამწარებულმა.

ექთანმა დასტურის ნიშნად თავი დამიქნია.

თვალთაგან ცრემლი წამსკდა, ზაპსელსკის ხელი ავიღე. ვაკოცე. შემდეგ გულზე დავუკრიფე ხელები.

ფანჯარასთან ერთი ქალიშვილი იწვა, ხელი ჰქონდა შეხვეული, ნახევრად გონდაკარგული იყო. ჩვენი კატია მიხაილოვა აღმოჩნდა. მივედი, გამოველაპარაკე. კატიამ თვალები გაახილა, შემომხედა, მიცნო და თვალები სიხარულით გაუბრწყინდა. შეეცადა გამომლაპარაკებოდა, მაგრამ ხველა აუტყდა. გაყინულ დუნაიში ხანგრძლივი ყოფნის შედეგად მიხაილოვას ფილტვების ანთება დამართოდა, ვიდექი და ვუცდიდი, როდის დამელაპარაკებოდა, მაგრამ კატია განუწყვეტლივ ახველებდა.

პალატის მეორე კუთხეში ფანჯარასთან კიდევ მედესანტე იწვა. მას მუხლზევით ჰქონდა ფეხი მოწყვეტილი. ჭრილობიდან სისხლს გამოეყონა. დაჭრილს თავი ბანდით ჰქონდა შეხვეული, მხოლოდ ერთი თვალი მოუჩანდა, ისიც დაეხუჭა.

— ვინ არის ეს? ესეც მკვდარია? — ვკითხე ექთანს.

დაჭრილმა მოულოდნელად თვალი გაახილა, დამაკვირდა და წყნარად მითხრა:

— ჩხეიძე! ეს მე ვარ, ვანია ბოიჩაკი. ჯერ ცოცხალი ვარ. მაგრამ ალბათ მალე მოვკვდები.

ექთანმა მას ლაპარაკი აუკრძალა, მე კი მითხრა, პალატიდან გავსულიყავი.

გაბრაზებულმა ბოიჩაკმა ექთანს შეუტია:

— ცოტა მოიცადეთ. მინდა სიმართლე იცოდეს ილოკის დესანტის შესახებ.

ბოიჩაკს დიდი რაოდენობით დაეკარგა სისხლი და ძლიერ იყო დასუსტებული, ძლივს სუნთქავდა. ეტყობოდა, მთელი ძალ-ღონე მოიკრიბა, რომ დესანტის მძიმე ბრძოლების შესახებ ეამბნა.

ბოიჩაკიც გაციებული იყო, ჩახლეჩილი ხმით მიამბო დესანტის ამბავი. თხრობა რომ დაამთავრა, ხველა აუტყდა და სული შეუგუბდა. ექთანი მოვარდა ჩემთან, ჩამავლო ხელი და პალატიდან გამიყვანა.

ლაზარეთის შესასვლელთან ლიუბიშ ჟორჟევიჩი მელოდა. მოუთმენლად მკითხა:

— როგორ არიან ჩვენი ბიჭები?

ხელი ჩავიქნიე. აბა, რა მეთქვა?

ლაზარეთს მსუბუქი ავტომანქანა მოუახლოვდა.

მანქანიდან ფლოტილიის სარდალი, კონტრ-ადმირალი ს. გ. გორშკოვი გადმოვიდა. მას თან შტაბის უფროსი და ვიღაც ოფიცრები ახლდნენ. ლაზარეთის მისაღებში შევიდნენ.

საბჭოთა და იუგოსლავიელი ექიმების დიდი გულმოდგინებისა და მონდომების მიუხედავად, თექვსმეტი მედესანტისაგან მხოლოდ ხუთი გადაურჩა სიკვდილს. მათ შორის, კატია მიხაილოვა და სადესანტო რაზმის მეთაური, უფროსი ლეიტენანტი ივანე კოჩკინი.

დეკემბრის მოღრუბლული დილა იყო. იუგოსლავიურ ქალაქ ნოვი სადში დუნაის მარცხენა ნაპირზე, საბჭოთა მებრძოლთა სასაფლაოზე ვმარხავდით ილოკის დესანტის გმირებს. აქ იყვნენ: მეზღვაურთა ჯგუფი, დაღუპულთა მეგობრები და ამხანაგები, დუნაის ფლოტილიის ორი ოფიცერი, აგრეთვე საბჭოთა მებრძოლებისა და იუგოსლავიის სახალხო არმიის ჯარისკაცების ასეული, ნოვი სადის საზოგადოების წარმომადგენელნი.

დაკრძალვის შემდეგ ხალხი ნელა დაიშალა... მე კი დიდხანს ვიდექი მეგობრების საფლავთან, ცრემლი ღვარად ჩამომდიოდა. ჩემი ნეგობრები გმირულად დაიღუპნენ. მაგრამ ძნელი იყო დაჯერება, რომ ვეღარასოდეს ვნახავდი მათ.

თავი 5

ბრძოლები ბუდაპეშტისათვის

ახალ 1945 წელს დუნაის წითელდროშოვანი ფლოტილიის მეზღვაურები ვხვდებოდით ბუდაფოკში — ბუდაპეშტის სამხრეთ ნაწილში. მოწინააღმდეგის ბუდაპეშტის დაჯგუფება უკვე ალყაში იყო მომწყვდეული, საბჭოთა ჯარების მოწინავე ნაწილებმა უკვე იერიშით აიღეს უნგრეთის დედაქალაქის გარეუბანი — კელეფელდი.

ამ ადგილებისათვის უჩვეულოდ სუსხიანი ზამთარი იდგა. ძლიერმა ქარიშხალმა დუნაიზე გადასასვლელი პონტონის ხიდი მოიტაცა და დაამსხვრია. დუნაის მარჯვენა ნაპირზე განლაგებული ჩვენი ჯარები მოწყვეტილნი აღმოჩნდნენ მარცხენა ნაპირიდან. ამიტომ ჩვენს საბრძოლო ხომალდებს მოუხდათ მარცხენა ნაპირიდან მარჯვენაზე ტანკების და ჯარების გადაყვანა.

საბრძოლო ვითარების გასაცნობად ერთად მოვიდნენ ბუდაფოკში დუნაის სამხედრო ფლოტილიის ახალი სარდალი საბჭოთა კავშირის გმირი, ვიცე-ადმირალი გიორგი ნიკიტას ძე ხოლოსტიაკოვი და ფლოტილიის შტაბის უფროსი, პირველი რანგის კაპიტანი არკადი ვლადიმერის ძე სვერდლოვი. ფლოტილიის შტაბის უფროსს თუ საშუალება ჰქონდა ყოველთვის შემოდიოდა ხოლმე მზვერავების სანახავად. აქ პირველად ვნახეთ ფლოტილიის ახალი სარდალი.

მიწურში ღარიბულად შემკული საახალწლო ნაძვის ხე გვედგა. ნაძვის ხე მშვიდობიან ცხოვრებას გვაგონებდა, გვჯეროდა, რომ გაბარჯვება ახლოს იყო.

ღღედაღამ ქუხდნენ ქვემეხები, ქუჩებში ფეთქდებოდნენ ჭურვები და ნაღმები. წუილი გაჰქონდათ ტყვიებს. შორიდან ბუდაპეშტი ცეცხლოვან მიწას მოგაგონებდათ.

კანონადის გრუხუნში შეხვდა ბუდაპეშტი ახალ, 1945 წელს. დილით კალგანოვმა გამომიძახა და დამავალა დუნაის მარჯვენა ნაპირის დაზვერვა ბუდაფოკის რაიონში. მოწინავე ხაზი სულ ახლო იყო. გავიარე პოზიციები, რომელიც ჩვენს საზღვაო ქვეითჯარისკაცებს ეჭირათ. ბიჭებს ახალი წლის შეხვედრის შემდეგ მსიარული განწყობილება ჰქონდათ. ფაშისტები ჯერჯერობით წყნარად

იყვნენ და არ გვაწუხებდნენ. მე ჩვენი მოწინავე ხაზიდან უნდა მეთვალთვალა მოწინააღმდეგისათვის. ეტყობა, ფაშისტებს ეშინოდათ ჩვენი აქტიური მოქმედებისა და ფხიზლად ადევნებდნენ თვალს ჩვენს მოწინავე ხაზს. მართალია, ვცდილობდი კარგად შევნიღბულიყავი, მაგრამ მტერმა მაინც შემამჩნია და სროლა ამიტეხა.

მოწინავე ხაზთან ახლოს ჩვენს მხარეზე ბევრი უნგრელი ჯარისკაცი იყო. მათი ასეული მთელი შეიარაღებით და ოფიცრის მეთაურობით ახალი წლის წინაღამით გადმოვიდა ჩვენს მხარეზე. მუქ ყვითელ მაზარებსა და მუნდირებში გამოწყობილ, დაღვრემილ უნგრელ ჯარისკაცებს თავი ღირსეულად ეჭირათ, მოუთმენლად ელოდნენ, როდის ეკვეთებოდნენ გერმანელ-ფაშისტ დამპყრობლებს, რომლებმაც ბევრი უბედურება დაატეხეს თავს მათ ქვეყანასა და მშობლიურ ქალაქს.

მალე ბუდაპეშტის ფრონტის სხვადასხვა უბანზე ჩვენს მხარეს გადმოვიდნენ უნგრელი მეომრების ცალკეული ქვეგანაყოფები. სხვადასხვა ნაწილებიდან მოგროვილი ქვეგანაყოფები პოლკოვნიკმა ოსკარ ვარიჰაზიმ გააერთიანა და შექმნა ბუდას მოხალისეთა პოლკი, რომელიც თავის რიგებში 2500 ჯარისკაცსა და ოფიცერს ითვლიდა. აქ იყვნენ სულ სხვადასხვა პროფესიის ადამიანები: ახალგაზრდა მუშები და სტუდენტები, ინჟინრები, მასწავლებლები და კადრის ოფიცრები.საბჭოთა სარდლობა თავიდანვე ნდობით მოეკიდა ბუდას პოლკს. პირველსავე ბრძოლაში ამ პოლკმა დაამტკიცა, რომ ნდობის ღირსია და შეუძლია მეტად რთული საბრძოლო დავალებების შესრულება.

უნგრელი მებრძოლები განლაგებულნი იყვნენ ჩვენი დუნაელების მახლობლად და მალე მეზღვაურებსა და უნგრელ მოხალისეთა შორის გულთბილი, ძმური ურთიერთობა დამყარდა.

პირადად მე განსაკუთრებით დაეუახლოვდი უნგრელ მოიერიშეთა რაზმის მებრძოლებს, რომლებსაც მეთაურობდა ახალგაზრდა, მეტად ენერგიული პრაპორშჩიკი ალბერტ კოსეგი. მოიერიშეთა რაზმი უნგრელ სპორტსმენებისაგან შედგებოდა. დავუმეგობრდი სერჟანტ იანოშ სეკერეშს და რიგით ჯარისკაც დიურკა ტოტს. ორივე ბუდაპეშტის ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები იყვნენ. იანოშს ომმა მეოთხე კურსზე მოუსწრო, ცხრამეტი წლის დიურკა კი ის იყო ინსტიტუტში შესულიყო. ისინი ძლიერ განსხვავდებოდ-

ნენ ერთმანეთისაგან — ვაჟკაცური შესახედაობის, დინჯი იანოში და მუდამ მხიარული, უდარდელი დიურკა. იანოში და დიურკა გერმანელთა ზურგიდან იყვნენ მოსულნი, კარგად იცოდნენ გერმანელთა ჯარების განლაგება ბუდაში. ეს კი ძლიერ ეხმარებოდა ჩვენს მზვერავებს, როდესაც ისინი ფრონტის ხაზს იქით გადადიოდნენ.

უნგრელი ჯარისკაცები და მშვიდობიანი მოსახლეობა ფაშისტების წინააღმდეგ იყო განწყობილი. ბუდაპეშტში ფაშისტებმა მოისურვეს მშვიდობიანი მოსახლეობის ჯარში მობილიზაცია, მაგრამ უნგრელ მუშათა რაზმები ორგანიზებულად ეწინააღმდეგებოდნენ ფაშისტების ამ წამოწყებას და ჩაშალეს მობილიზაცია. ბევრი იყო შემთხვევა, როცა უნგრელი პატრიოტები საფრთხეში აგდებდნენ თავიანთ სიცოცხლეს და დიდ დახმარებას უწევდნენ საბჭოთა მეომრებს. ისინი მხარში გვედგნენ მზვერავებსაც, განსაკუთრებით ოცი წლის სტუდენტი ქალიშვილი მარი კოჩიში და უნგრელი მუშა, ორმოცდაორი წლის იოჟეფ კეკეში. სწორედ უნგრელთა დახმარებით ჩავატარეთ დუნაის ფლოტილიის მზვერავებმა მსხვილი ოპერაცია ალყაშემორტყმულ ბუდაპეშტში. ეს ასე მოხდა:

საბჭოთა სამხედრო ხომალდების საბრძოლო მოქმედებების შესაფერხებლად უნგრეთის ტერიტორიაზე გერმანელებმა ძლიერ დახალძეს დუნაი. 1945 წლის იანვრის დასაწყისში ჩვენმა რაზმმა დუნაის ფლოტილიის შტაბიდან მიიღო ბრძანება: უმოკლეს დროში გვეშოვა დუნაის დანაღმული უბნების რუკა.

ფაშისტების შტაბიდან რუკების შოვნა ძლიერ რთული საქმე იყო. ჩვენ სხვა გამოსავალი ვნახეთ. რადგანაც გერმანელები, ისევე როგორც ჩვენ, სარგებლობდნენ მდინარით ტვირთის და ხომალდების გადასაზიდად, ნაღმები მათთვისაც სახიფათო იყო. ამიტომ დანაღმული ველების კოორდინატები მათ უნგრეთის ნაოსნობისთვისაც უნდა გადაეცათ. რასაკვირველია, იქაც ისინი საიდუმლოდ ინახებოდა. მაგრამ ერთია ფაშისტების შტაბი და სულ სხვაა — ნახევრადსამოქალაქო ნაოსნობა, სადაც აუცილებლად იქნებიან საბჭოთა არმიის თანამგრძნობები.

ეს ასეც აღმოჩნდა. უნგრელების დახმარებით დავადგინეთ, რომ ეს რუკები ინახებოდა უნგრეთის ნაოსნობის შენობაში, მეორე სართულზე, საიდუმლო განყოფილების სეიფში.

1945 წლის იანვრის ღამეს სამი მზვერავი — უფროსი ლეიტენანტი ვიქტორ კალგანოვი, ვასილი გლობა, და მე ფრონტის ხაზზე გადავედით ალყაშემორტყმულ ბუდაპეშტში. ჩვენმა უნგრელმა მეგობარმა იოჟეფ კეკეშმა გულთბილად მიგვიღო თავის ბინაში. ღამე მასთან გავათიეთ. დღისით სახლიდან არ გამოვსულვართ, თუმცა სამივე სამოქალაქო ტანსაცმელში ვიყავით გამოწყობილნი და ეჭვს აო გამოვიწვევდით.

საღამოს 7 საათზე მარი კოჩიშმა მოგვაკითხა. იგი საშუალო ტანის გამხდარი და შავთვალა, ლამაზი გოგონა იყო, ძლიერ თამამი და მხიარული. მარიმ წაგვიყვანა უნგრეთის ნაოსნობის შენობისაკენ.

მიუხედავად იმისა, რომ საღამო იყო და ძლიერ ციოდა, ბუდაპეშტის ქუჩებში ხალხმრავლობა იყო, ყველა სადღაც მიიჩქაროდა. მე და მარი ხელიხელჩაკიდებულები ჩუმად მივდიოდით, ვითომ ზეუვარებულები ვიყავით: უკან კალგანოვი და გლობა მოგვყვებოდნენ.

დანიშნულ ადგილზე მივედით. მარიმ უსიტყვოდ გვანიშნა უნგრეთის სანაოსნოს შენობაზე. შენობის კარი დაკეტილი იყო. სახლის გასწვრივ გერმანელი გუშაგი დააბიჯებდა. შენობის ნაწილი ნახევრად დანგრეული და ფიცრებით შემოსაზღვრული იყო.

შორიდან ყოველმხრივ დავათვალიერეთ შენობა. გადაწყვეტილება მომწიფდა. კალგანოვმა მარი სახლში გაუშვა.

ღამის პირველ საათზე კალგანოვი, გლობა და მე ნაოსნობის შენობაში შევიპარეთ. ნახაზის მიხედვით საიდუმლო განყოფილება მეორე სართულზე იყო. კალგანოვი ჯიბის ნათურით გვინათებდა გზას. უნგრელი მეგობრებისგან ვიცოდი, რომ ღამით ნაოსნობის შენობაში მორიგე არ იმყოფებოდა. ფრთხილად ავედით მეორე სართულზე. მარჯვნიდან მესამე კარებზე რკინა იყო აკრული, ხოლო ხევით ფანჯარაზე რკინის გისოსი იყო. მე ყოველთვის მაკვირვებდა, რა კარგად შეეძლო ჩვენს მეთაურს მომზადების გარეშე ბიზანში სროლა და ნებისმიერ კლიტისთვის გასაღების შერჩევა. ამჯერადაც არ გასჭირვებია მას კარის გაღება.

სეიფის გახსნა უფრო რთული საქმე იყო. კალგანოვმა დაიცადა, სანამ მახლობლად ყუმბარა გასკდებოდა და ამ დროს სეიფის კარი ააფეთქა. ყური მივუვდეთ, გუშაგი ისევ ისე დააბიჯებდა, ეტყობა,

აფეთქებას ყურადღება არ მიაქცია. კალგანოვმა სეიფიდან რაღაც ქაღალდები გადმოყარა, შემდეგ რუკების დასტა გამოგვიწოდა.

— მომინათე, — უბრძანა გლობას. მეთაურმა რუკა გაშალა. რუკაზე ქვევიდან ზეღით მიიკლაკნებოდა დუნაი, მასზე წითელი ტუშით ნაღმების დაყენების ადგილები იყო აღნიშნული. სწორედ ეს რუკები გვჭირდებოდა.

ძვირფასი ნადავლი ქურთუკების ქვეშ შევინახეთ. შენობიდან მშვიდობიანად გამოვედით, მაგრამ ფრონტის ხაზზე გადასვლის დროს დიდი სიძნელეების დაძლევა მოგვიხდა.

რუკები დროზე მივიტანეთ ფლოტილიის შტაბში და პირადად შტაბის უფროსს ა. ვ. სვერდლოვს ჩავაბარეთ.

1945 წლის იანვრის დასაწყისში ფაშისტთა სარდლობამ ბუდაპეშტის ალყაშემორტყმული დაჯგუფებების დასახმარებლად დიდძალი ქვეითი ჯარი და ტანკები გადაისროლა. გერმანელთა დიდი სატანკო დაჯგუფებები სამი მხრიდან მიუახლოვდნენ ბუდაპეშტს. მდგომარეობა ბუდაპეშტის ფრონტზე გართულდა. საბჭოთა ჯარებმა ძალთა დიდი დაძაბვის ფასად წარმატებით უკუაგდეს გერმანელთა სამი მძლავრი სატანკო შეტევა.

ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ალყაშემორტყმული გერმანული დაჯგუფებების განადგურებას. დუნაის მარცხენა ნაპირზე ჰიტლერელთა რჩეული ნაწილები, რომლებიც ბუდაპეშტს იცავდნენ, გაფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. ქალაქში ბრძოლა მიმდინარეობდა ყოველი კვარტლისათვის, ყოველი სახლისათვის, სართულისათვის.

მზვერავები ჩვენს ჯარებთან ერთად ბრძოლით მივიწევდით წინ პეშტის ქუჩებში და ვუახლოვდებოდით დუნაის მარცხენა სანაპიროს. გზად ვხვდებოდით მტრის დაზიანებულ უამრავ ტანკსა და ქვემეხს, ქეაფენილზე მჭიდრო მწკრივებად ეწყო ჰიტლერელთა გვამები. პეშტისათვის გამართულ ბრძოლებში გერმანელებმა 35000 ადამიანი დაკარგეს. პეშტისათვის ბრძოლებში დაიჭრა ჩვენი მეთაური კალგანოვი. მტრის ტყვიამ ხელში გაუარა, მაგრამ ჰოსპიტალში წასვლაზე მან უარი თქვა.

1945 წლის 20 იანვარს, დილის 6 საათზე, უნგრეთის დედაქალაქის დუნაის მარცხენა ნაპირზე მდებარე ნაწილი, პეშტი, მთლიანად განთავისუფლდა ფაშისტი დამპყრობლებისაგან. ფაშისტებს

ეშინოდათ, რომ საბჭოთა ტანკები ბუდაში არ შეეჩრილიყვნენ. ამიტომ წინასწარ დანაღმეს ქალაქის ექვსივე ხიდი დუნაიზე და ააფეთქეს ისინი. ფაშისტები დუნაის მარჯვენა ნაპირზე გამაგრდნენ და ჰელერტის მთიდან მძიმე ნაღმსატყორცნების ცეცხლს უშენდნენ პეშტის მშვიდობიან კვარტალებს.

20 იანვრის დილას დუნაის ფლოტილიის მზვერავთა ჩვენი რაზმი პეშტში, მარია ლუიზას ქუჩაზე დაბინავდა. ეს ქუჩა დუნაის პარალელურია და სამხრეთიდან ესაზღვრება პარლამენტის შენობას.

პეშტის სანაპიროს გასწვრივ გადიოდა ფრონტის ხაზი. ეს უბანი იმყოფებოდა განუწყვეტელი ცეცხლის ქვეშ და სანაპიროს მიმსახლეობა გასახლებული იყო, ოთხსართულიან სახლში, სადაც ჩვენ დავბინავდით, დარჩა მხოლოდ ერთი ოჯახი: ორმოცი წლის ყოუმუნჯი უნგრელი და მისი ოცდაათი წლის დისწული იუცა. იუცა ჩვენი რაზმის მზარეული გახდა. გარეგნობით იგი არ გამოირჩეოდა, მაგრამ კეთილი და მზრუნველი გოგო იყო. საჭმელს გემრიელად ამზადებდა და ზრუნავდა ჩვენს დროულად დანაყრებაზე.

მე და ჩემი ამხანაგები მალე მივეჩვიეთ პეშტის სახაპირო უბანს, შევისწავლეთ ყველა ქუჩა და ჩასახვევი. ყოველდღე გვიხდებოდა პარლამენტის მოედანზე გავლა. ერთხელ პარლამენტის მოედანზე საინტერესო ამბის მომსწრე გავხდი.

პარლამენტის მაღალ, ლამაზ შენობას მოედნის მხრიდან მოუახლოვდა უნგრელ მუშათა ჯგუფი. პარლამენტის თავზე წითელი დროშა ფრიალებდა, რომელიც საბჭოთა მეომრებმა აღმართეს. შენობის წინ იდგა უნგრეთის დიქტატორის, ფაშისტი ხორდის სამმეტრიანი ქანდაკება. მუშები გარს შემოერტყნენ ფაშისტი დიქტატორის ქანდაკებას და კისერზე თოკის მარყუჟი ჩამოაცვეს, თოკის თავისუფალ ბოლოს ხელები ჩააფლეს და ერთდროულად დაქაჩეს, ქანდაკებას თავი მოტყდა და თოვლში გაგორდა. ამის შემდეგ უნგრელმა მუშებმა ძალაყინით დაამსხვრიეს საძულველი დიქტატორის ქანდაკება.

იანვრის პირველ ნახევარში დუნაი გაიყინა. ყინულის სისქე ყველგან ერთნაირი არ იყო. ქალაქის ცენტრში ყინული საკმაოდ სქელი და მყარი იყო, თავისუფლად შეიძლებოდა ზედ სიარული.

მზვერავები ყოველდღე გადავდიოდით გაყინულ დუნაიზე და ვზვერავდით მტრის მარჯვენა ნაპირს. ვიგებდით მისი საცეცხლე

წერტების და თავდაცვითი ნაგებობების განლაგებას ბუდას სანა-პიროს რაიონში. ჩვენთან ერთად დაზვერვაში ხშირად კალგახო-ვიც მოდიოდა. ჭრილობა ჯერ შეხორცებული არ ჰქონდა, მაგრამ ჩვენმა მეთაურმა იცოდა, რომ სარდლობას ესაჭიროებოდა სულ ახალ-ახალი სადაზვერვო მონაცემები და ბევრ რამეს პირადად თვი-თონ აკეთებდა ჩვენთან ერთად.

ფრონტის ჩვენს უბანზე გერმანელებს სნაიპერი აღმოაჩნდათ. მან ძალიან შეგვაწუხა. მისი ტყვიით დაიღუპა რამოდენიმე მებრ-ძოლი, შემდეგ საარტილერიო ბატარეის მეთაურიც.

მზვერავები აღშფოთებულები ვიყავით გერმანელი სნაიპერის ნამოქმედარით.

— ხვალ დილით გავაჩუმებ მაგ ფაშისტს, — თქვა ჩვენმა სნა-იპერმა ივანე ავდეევმა.

ივანე ავდეევი მონადირე იყო სტავროპოლის მხრიდან. მთელი ფლოტილია იცნობდა მას. მის საბრძოლო ანგარიშზე არა ერთი ათეული მოკლული ფაშისტი იყო. ჩვენც ვამაყობდით, რომ რაზმ-ში ასეთი სნაიპერი გვყავდა. ივანე ავდეევი ხშირად საათობით უც-დიდა ხოლმე ჩვენი მზვერავების დაბრუნებას დაზვერვიდან და ცეცხლით იცავდა მათ გადასვლას ფრონტის ხაზზე.

მთელი დღის განმავლობაში უთვალთვალებდა ივანე მტრის სნაიპერს. ღამით კი ჩვენ ერთად წავედით ფრანც იოსების დანგრე-ული ხიდისკენ, სადაც გერმანელი სნაიპერი ინიღბებოდა ხოლმე. სანაპიროზე გავედით. ავდეევი ძირს ჩავიდა, ყინულზე მცირე მან-ძილი გაიარა და ხიდის ფოლადის ფერმის ქვეშ დაიმალა, თოვლმა მალე დაფარა მისი ნაფეხურები. მე ჩემს ამხანაგებთან დავბრუნდი, ავდეევი კი დილამდე ხიდის ქვეშ დარჩა.

გათენებისას მტრის სნაიპერი გერმანული სიზუსტით გამოცხად-და ხიდთან დილის 8 საათზე და თავისი ადგილი დაიკავა. ივანე ავ-დეევმა ფერმის ქვეშიდან გამოიხედა და შაშხანის პირველსავე ვა-ზროლით ჩამოაგდო გერმანელი სნაიპერი, ტყვია პირდაპირ კეფაში მოხვედროდა. ივანე გამარჯვებული დაგვიბრუნდა. ჩვენს უბანზე გერმანელებს სნაიპერი არ გამოუგზავნიათ.

ბუდაპეშტის ბრძოლები დიდ ყურადღებას იქცევდა: ჩვენთან ხშირად მოდიოდნენ სამხედრო კორესპონდენტები. განსაკუთრებით ხშირად ვხვდებოდით კორესპონდენტებს სერგეი სმირნოვს და გრი-

გორი ტარასენკოვს. სმირნოვის ნარკვევი ჩვენი რაზმის შესახებ გაიოქვეუნდა გაზეთ „სუვოროვსკი ნატისკში". ტარასენკოვი გაზეთ „დუნაელის" კორესპონდენტი იყო. იგი რაღაცით ჩემს დაღუპულ მეგობარ ვიტალი ზაპსელსკის მაგონებდა. პირადად იცნობდა ყველა მზვერავს ჩვენი რაზმიდან. რამდენიმეჯერ იყო ჩვენთან ერთად დაზვერვაში. თან ფოტოაპარატი წამოიღო და იღებდა ბუდაპეშტის დანგრეულ ხიდებს. მოწინავე ხაზს, მებრძოლებს. მისი ორი ნარკვევი კალგანოვის მზვერავთა საბრძოლო საქმეებზე გამოქვეუნდა გაზეთ „დუნაელის" იანვრის ნომრებში.

როგორღაც საუზმის შემდეგ, როდესაც იუცა მაგიდიდან ჭიქაჭელს ალაგებდა. ოთახში შემოვარდა მზვერავთა რაზმის მეთაურის მოადგილე, უფროსი ზემდეგი ბენედიქტე ანდრეევი.

— ფლოტილიის სარდალი მოვიდა. გარეთ გამოდით და მოეწყვეთ!

სარდლის მოულოდნელმა გამოჩენამ ჩვენც აგვაღელვა. რა მოხდა? რაზმი პატარა ეზოში ორ მწკრივად მოეწყო. გამოვიდა კალგანოვიც. ხელი შეხვეული ჰქონდა. ქუჩაში, დაბალ ჭიშკართან მსუბუქი ავტომანქანა იდგა. მანქანიდან დუნაის ფლოტილიის სარდალი ვიცე-ადმირალი გ. ნ. ხოლოსტიაკოვი და ქალაქ ბუდაპეშტის საზღვაო უფროსი II რანგის კაპიტანი ა. ნ. შალნოვი გადმოვიდნენ. ჭიშკართან გუშაგად ჩვენი სნაიპერი ავდეევი იდგა, იგი სამხედრო წესით მიესალმა უფროსებს და კარი ფართოდ გააღო.

— სმენა! — გაისმა ჩვენი მეთაურის ბრძანება.

— ამხანაგო ადმირალო, დუნაის ფლოტილიის მზვერავთა რაზმი სრულ საბრძოლო მზადყოფნაშია. სახეზეა 29 მზვერავი. ოთხი იმყოფება დაზვერვაში, ხოლო ცხრა დაჭრილი წევს ჰოსპიტალში.

სარდალი მოგვიახლოვდა. გულთბილად გვიღიმოდა, მეგობრულად მოგვესალმა და დაგვიწყო გამოკითხვა საფრონტო ცხოვრების სიძნელეების შესახებ. დაძაბულობა, რომელიც მისმა მოსვლამ გამოიწვია, გაიფანტა. ჩვენ მივხვდით, რომ ჩვენ წინაშეა მზრუნველი უფროსი მეთაური, რომელსაც კარგად ესმის დაზვეოვის როლი.

სარდალი ჩვენი რაზმის მეთაურის ოთახში აეიდა მეორე სართულზე. ერთი საათი მაინც საუბრობდნენ. შემდეგ ადმირალმა გადაწყვიტა პირადად დაეთვალიერებინა მოწინავე ხახი. კალგანო-

ვის ბრძანებით მე და ვასილი გლობა გავყევით მის დუნაის სანაპიროსკენ. ადმირალთან ერთად იყო შალნოვიც.

ჩვენი სახლიდან სანაპირომდე ასიოდე მეტრი იყო. მე და გლობა ავტომატებით ხელში წინ მივდიოდით. უკან სარდალი და საზღვაო უფროსი მოგვყვებოდნენ. გავიარეთ პარლამენტის მოედანი და მივადექით ფრანც იოსების ხიდს. სარდალმა შემსწავლელი მზერით მოათვალიერა დანგრეული ხიდი, თვალი შეავლო პარლამენტის შენობას და შემდეგ ყურადღება გადაიტანა მარგიტის დანგრეულ ხიდზე, რომელიც კუნძულ მარგიტის სამხრეთ ბოლოზე გადის. დიდხანს ათვალიერებდა მტრის მარჯვენა ნაპირს. მე და გლობას ძლიერ გვეშინოდა, გერმანული ნაპირიდან მტრის სნაიპერს არ შეემჩნიათ ჩვენი ჯგუფი და არ ესროლათ, მაგრამ ყველაფერმა მშვიდობიანად ჩაიარა. ორმოციოდე წუთის შემდეგ დავბრუნდით.

წასვლისას სარდალმა უთხრა ჩვენს მეთაურს:

— კმაყოფილი ვარ ჩვენი მზვერავებით. წარმოადგინეთ ჯილდოს ფურცლები მათზე, ვინც თავი გამოიჩინა.

შტაბს ესაჭიროებოდა ახალი სადაზვერვო მონაცემები, მდგომარეობა ყოველ ღღე იცვლებოდა. ამიტომ მეორე ღღეს კალგანოვმა ჩვენი რაზმი სამ ნაწილად დაჰყო და მოწინავეზე გაგვგზავნა. მე მოვხვდი ჯგუფში, რომელსაც ალექსი გურა მეთაურობდა. ჩემ გაოდა ამ ჯგუფში იყო ალექსი ნეველროვი და ლიუბიშ ჟორჟევიჩი. მოგვიანებით ჩვენს ჯგუფს ვასილი გლობა შემოუერთდა. ჩვენ ჩრდილოეთ ბუდაში გაგვგზავნეს. ღღისით მოწინააღმდეგის თავდაცვას ვუთვალთვალებდით, ღამით კი ფრონტის ხაზზე გადავდიოდით და სადაზვერვო მონაცემებს ვაგროვებდით მტრის თავდაცვის სიღრმეში. ღღე-ღამეში ორჯერ ეს ცნობები კალგანოვთან მიგვქონდა. ჩვეულებრივ პაკეტი მე მიმქონდა ხოლმე. ჩემი უფროსი აძხანაგები ოცდაათი წლისანი იყვნენ, მე კი მათზე თორმეტი წლით უფროსი, ამიტომ პეშტიდან ბუდაში და უკან სირბილი ჩემთვის უფრო იოლი იყო.

ჩვენი ჯარები თრგუნავდნენ მტრის გააფთრებულ წინააღმდეგობას და მიიწევდნენ წინ. 30 იანვარს განთავისუფლდა ვეზპრიმოროშის უბანი. ბოლოს ჩვენმა ნაწილებმა გაათავისუფლეს კუნძული მარგიტიც.

საბჭოთა არმიის სარდლობა ბუდაში გამაგრებული მტრის დაჯ-

გუფების საბოლოო განადგურებისათვის მძლავრ შეტევით ოპერაციას ამზადებდა. საჭირო იყო გერმანელთა ჯარებისა და არტილერიის რიცხობრივი რაოდენობისა და მათი განლაგების ზუსტი მონაცემები. ფრონტის სარდლობამ ამ მეტად საპასუხისმგებლო ამოცანის შესრულება დაავალა დუნაის ფლოტილიის მზვერავთა რაზმს.

გერმანელების მიერ დაკავებულ ტერიტორიაზე მზვერავთა შეღწევის პირველ ცდებს წარმატება არ მოჰყოლია.

ფაშისტებმა ბუდა მიუვალ ციხესიმაგრედ აქციეს. გერმანელთა თავდაცვის ხაზის გადალახვა არ შეიძლებოდა: თითოეული სახლის სახურავზე ტყვიამფრქვევი იდგა, იქვე ჩასაფრებული იყო კარგად შენიღბული სნაიპერი, გარდა ამისა, სახლების ყველა სართულზე გაბაგრებული იყვნენ ფაშისტები. ქუჩები მათ გადაღობეს აგურის და ქვის ბარიკადებით, ბარიკადების უკან კი მეავტომატეები ჩაასაფრეს და ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხები დადგეს. მტრის ჯარისკაცები ცეცხლს უშენდნენ ყოველგვარ მოძრავ საგანს თუ ადამიანს. ღამით მიდამოს მაშხალებით აშუქებდნენ.

მიუხედავად ამისა, მაინც ვახერხებდით ფაშისტთა თავდაცვის ხაზის ორი სამი ღობურის იქით შესვლას, მაგრამ სამეფო სასახლემდე ვერასგზით ვერ მივაღწიეთ. იქ კი, მტრის ჯარების დაჯგუფების სარდლის ესესელთა ჯარების გენერალ-პოლკოვნიკ ვილდენბრუხის შტაბი იყო განლაგებული. არც მეტად საჭირო „მოენის“ ხელში ჩაგდება ხერხდებოდა:

ერთხელ, მორიგი ოპერაციის დროს, კალგანოვს ფეხი ჩაუცდა კანალიზაციის საძვრენში. ამ შემთხვევამ მზვერავებს შთააგონა, რომ კანალიზაციის მილებით შეიძლებოდა მტრის ღრმა ზუოგში შეღწევა.

მაგრამ ამისათვის საჭირო იყო ბუდაპეშტის მთელი საკანალიზაციო სისტემის სქემა.

უნგრელი ქალიშვილის მარის დახმარებით მოვნახეთ მუნიციპალიტეტის ყოფილი მუშაკი, კანალიზაციის ქსელის ექსპლოატაციის ინჟინერი.

კალგანოვთან მოწვეულმა ინჟინერმა იკითხა:

— რით შემიძლია გემსახუროთ?

კალგანოვმა აუხსნა, რაც გვჭირდებოდა. ხანშიშესულ ინჟინერს

ესმოდა, რისთვის ჭირდებოდა საბჭოთა ოფიცერს მიწისქვეშა კანალიზაციის სქემა და ხალისით შეუდგა მუშაობას.

ოდნავადაც არ დავეჭვებულვართ პატიოსანი უნგრელის გულწრფელობაში, მაგრამ ყველას ერთი ფიქრი გვაწუხებდა: შეძლებს თუ არა ინჟინერი მეხსიერებით სქემის აღდგენას? საკმარისია მან, სულ მცირე ტექნიკური შეცდომა დაუშვას, რომ ჩვენი ბრწყინვალედ ჩაფიქრებული ოპერაცია ჩაიფუშოს.

ინჟინერი გრძნობდა ამ დიდ პასუხისმგებლობას, მუშაობდა დიდი ყურადღებით, ფანქრით აღნიშნავდა გამოსასვლელ საძრომებს, უჩვენებდა მილების დიამეტრს.

პოლოს სამუშაო დამთავრებული იყო. სქემის მიხედვით შედგა ორი ჯგუფის გასვლის გეგმა მტრის ზურგში.

ფლოტილიის სარდლობამ ეს გეგმა დაამტკიცა. გადაწყდა, რომ თუ დაზვერვა წარმატებით ჩატარდებოდა, მეორე დღეს სამეფო სასახლისკენ ამ გზით გააგზავნიდნენ საზღვაო ქვეით ჯარისკაცთა ნაწილს. ოთხი მათგანი (მომავალი მეგზურები) გამოაგზავნეს ჩვენთან დაზვერვაში მონაწილეობის მისაღებად. გასავარჯიშებლად მიწის ქვეშ, საკანალიზაციო მილით გავიარეთ ორასიოდე მეტრი. გზის გაგრძელება შეუძლებელი აღმოჩნდა ვიხრჩობოდით. ჭიდან საშინლად დაქანცულები ამოვძვერით. ამან ნათლად გვაჩვენა, რომ სამეფო სასახლესთან გასვლა და უკან დაბრუნება ძლიერ ძნელი იქნებოდა. ამიტომაც კალგანოვი დიდხანს არჩევდა ყველაზე საიმედო და გამძლე მზვერავებს.

... ეზოში ორი ღია მანქანა გველოდებოდა. ოდნავ ყინავდა, თოვდა. ჩვენ გერმანელთა სამხედრო ლაბადებში გამოვეწყვეთ. თითოეულს გვქონდა ავტომატი და ვაზნებით სავსე სათადარიგო დისკო, პისტოლეტი, რამდენიმე ხელყუმბარა, მზვერავის ბებუთი და აირწინაღი.

ქალაქი სწრაფად გადავლახეთ.

არმიის შტაბში მისვლისთანავე შტაბის შენობაში შევედით. კალგანოვი გენერალს გამოეცხადა. მალე კარი გაიღო და ჩვენც მიგვიწვიეს გენერალთან, იგი გულითადად მოგვესალმა, სათითაოდ დაგვათვალიერა და თქვა:

— აბა, ბიჭებო, ყოჩაღად იყავით! სარდლობა თქვენზე დიდ იმედებს ამყარებს.

ვასილი გლობამ ჩვენი სახელით უპასუხა:

— თქვენს იმედებს გავამართლებთ ამხანაგო გენერალო! დავალებას აუცილებლად შევასრულებთ!

გენერალმა გაიღიმა და გულთბილად გამოგვემშვიდობა.

ქუჩას კვლავ თოვლის ფანტელები ეფინებოდა. მზვერავები დამსხვრეულ ტანკს მიუახლოვდნენ. მის უკან კანალიზაციის საძრომი იყო. ტანკი მოწინავე პოზიციის მახლობლად ნეიტრალურ ზონაში იდგა. უხმაუროდ ავხადეთ საძრომს ხუფი. კალგანოვი პირველი ჩავიდა ქვით მოპირკეთებულ ღრმა ჭაში. მას უკან მიჰყვნენ არკადი მალახოვი, გრიგოლ ჯორბენაძე, ლიუბიშ ჟორჟევიჩი, ვასილ გლობა, გრიგოლ კოცარი, მე და საზღვაო ქვეითი ჯარის კიდევ ოთხი ჯარისკაცი. ზევით საძრომის მცველებად ჩვენი სამი მზვერავი დავტოვეთ.

გაბედულად გავწიეთ წინ. მილი ერთი მეტრი დიამეტრისა იყო და ნახევრადწახრილებს სიარული გვიძნელდებოდა. ფსკერზე მყარალი წუმპე იდგა. წინ უხმაუროდ, დაბრკოლების გარეშე მივიწევდით. ზოგან მილი ვიწროვდებოდა და იძულებული ვიყავით გვეხოხა ცივ წუმპეში. ავტომატი და აირწინაღის ჩანთა რომ არ დაგვესველებინა, ზურგზე მოვიკიდეთ.

გავიარეთ ნაცნობი ორასი მეტრი და მტრის ზურგში აღმოვჩნდით. კალგანოვი დროდადრო ჯიბის ელექტროფარანს ანათებდა. რაზმის ბოლოში მეკავშირე მოდიოდა. მას ტელეფონის აპარატი და მავთულის გრაგნილი მოჰქონდა. მავთული სამეთაურო პუნქტთან გვაკავშირებდა. გენერალი პირადად ადევნებდა თვალყურს ჩვენს მოძრაობას.

ორი საათია მივდივართ. მიწისქვეშ ძალიან ბნელა. სიჩუმისა და სიბნელის გამო არასასიამოვნო გრძნობა გვეუფლება. მაინც გაბედულად მივიწევთ წინ. მეკავშირე ჩურჩულით მოახსენებს გენერალს ჩვენი ჯგუფის გადაადგილებაზე.

შუა გზაზე მავთული დაზიანდა, ტელეფონი მწყობრიდან გამოვიდა, კავშირი სამეთაურო პუნქტთან შეწყდა.

ჩვენთან ერთად მეკავშირის წამოსვლას აზრი აღარ ჰქონდა და იგი უკან დაეაბრუნეთ. მალე ჩამოგვრჩა მზვერავი, რომელსაც „მოენეებისათვის“ განკუთვნილი აირწინაღები მოჰქონდა. მას სუნთქვა გაუძნელდა, ჰაერის უკმარისობა იგრძნო და ჯგუფს ჩამორჩა.

თერთმეტნი დავრჩით. გზაზე გვეღობებოდა მილების განშტოებანი და გადაკვეთები. კალგანოვი ჩერდებოდა, ჩართავდა ფაოანს და ყურადღებით სინჯავდა სქემას. როცა დარწმუნდებოდა, სწორი გზით მივდიოდით, გზას განაგრძობდა.

უკვე რამდენიმე კილომეტრი გავიარეთ მიწისქვეშ. სახეზე ოფლი ღვარად ჩამოგვდიოდა, მაგრამ შეუფერხებლად მიედიოდით.

ბოლოს, სამი საათის სვლის შემდეგ, მივუახლოვდით მილების განშტოების იმ ადგილს, სადაც, გეგმის თანახმად, ორ ჯგუფად უნდა გავყოფილიყავით და სამეფო სასახლის სხვადასხვა კუთხეში ამოგვეყო თავი. კალგანოვმა ჩურჩულით გასცა განკარგულება: „ანდრეევის ჯგუფი მარცხნივ! თვითონ კი თავისი ჯგუფით მარჯვნივ წავიდა.

ანდრეევის ჯგუფში ექვსი კაცი ვიყავით. ჩვენ ვიცოდით, რომ განშტოებიდან საჭირო ჭამდე მცირე მანძილი გვქონდა გასავლელი, ამიტომ ყველანი გამოვცოცხლდით. გესურდა სწრაფად გვევლო, მაგრამ აუჩქარებელი, დინჯი ციმბირელი ანდრეევი გვაკავებდა.

უცებ წინ მიმავალი ანდრეევი შეჩერდა და წამოიმართა. „ეაა.“ — გახარებულმა გავივლე გუნებაში. გადავდგი ნაბიჯი და სიამოვნებით გავიმართე წელში.

ანდრეევმა საათს დახედა. ორის ათი წუთი იყო. მაშასადამე, მილებში სამი საათი და ორმოცი წუთი მივძვრებოდით.

საძვრენი, რომლის სახურავის ქვეშაც ჩვენ ვიდექით, სამეფო სასახლის ოდნავ ჩრდილოეთით მაგდალინას ეკლესიის მახლობლად მდებარეობდა, დამაგრებული რკინის საფეხურებით ზევით ავედი და საძვრენის ხუფს მივადე ყური. ზემოთ სრული სიწყნარე იყო. ხუფის ახდას შევეცადე, მაგრამ ამაოდ. თოვლით დაფარული ხუფი გაყინულიყო და არ იძვროდა. ამან შეგვაშფოთა. გაჭირვებით ვიდექი დაჟანგულ, გადაღუნულ რკინის საფეხურზე. მაღალი ტანის საზღვაო ქვეითი ჯარის მებრძოლმა განიერი ზურგი მომაშველა. ერთი ფეხით მხარზე შევადექი, მტკიცე საყრდენი ვიგრძენი. კიდევ ვცადე სარქველის ახდა. მაგრამ ისევ ამაოდ. მცირე ფიქრის შემდეგ მოვიხსენი სქელი ყელსახვევი, ავტომატის კონდახს შემოვახვიე და ქვემოდან ავარტყი. გაისმა ყინულის მსხვრევის ხმა. მეორე დარტყმის შემდეგ სარქველს ყინული მოსცილდა. ხუფი ოდნავ ავწიე და გავიხედე.

მილის სიბნელეს შეჩვეულს ღამე ნათელი და კაშკაშა მეჩვენა. ჩვენ იმ შესახვევის ბოლოში ვიმყოფებოდით, რომელიც მოედანს უეოთდებოდა. ვიწრო შესახვევი ცარიელი იყო. ხუფი დავხურე და ყველაფერი ანდრეევს მოვახსენე.

— ავიდეთ! — გვიბრძანა ანდრეევმა.

მე პირველი ამოვძვერი, რამდენიმე ნაბიჯი გადავდგი და მივიხედ-მოვხედე. ახლომახლო არავინ ჩანდა. ანდრეევს ვანიშნე, გზა თავისუფალია-მეთქი.

ანდრეევი და გლობა ჩუმად ამოძვრნენ ჭიდან და ხუფი დაახურეს. იმ შემთხვევაში თუ ჩავვარდებოდით, ჭაში მარქაფად რჩებოდნენ კოცარი, გურა და საზღვაო ქვეითი ჯარის მებრძოლი. ჩვენ ფოთხილად ვუახლოვდებოდით მოედანს და სიამოვნებით ვისუნთქავდით გაყინულ ჰაერს.

მაგდალინას ეკლესიის მარჯვნივ პატარა, ბნელი ქუჩა გავლიეთ. სწორედ მოედნის ამ მხრიდან შეიძლებოდა შეპყრობილი „მოენით“ შეუმჩნევლად მიგვეღწია ჭამდე. მომავალ მსხვერპლს ცარიელი სახლის ბნელ შესასვლელში ჩავუსაფრდით და იქ დავუწყეთ ლოდინი.

რამდენიმე ხნის შემდეგ მოედნის მხრიდან ადამიანის სილუეტი გამოჩნდა. გერმანელი ჯარისკაცი აღმოჩნდა. ასეთი „მოენე“ არ გვჭირდებოდა.

ჯარისკაცი მრავალსართულიან სახლამდე მივიდა და შესასვლელში გაუჩინარდა. ქუჩაზე მოძრაობის შესწავლის შედეგად დავადგინეთ, რომ იმ სახლის სადარბაზოში ხშირად შედიოდა ორ-ორი ან სამ-სამი გერმანელი. ეტყობა, იქ სამხედრო ნაწილი ან შტაბი იყო განლაგებული.

თოვლი სქელ ფანტელებად ეფინებოდა დედამიწას. ჩვენ ქუჩის გულმოდგინე თვალთვალს განვაგრძობდით. დრო გადიოდა, ქუჩა კი კვლავ ცარიელი იყო. ბოლოს შტაბის შენობიდან ორი გერმანელი ოფიცერი გამოვიდა, ისინი ჩვენკენ გამოემართნენ. ოფიცრები არხეინად მოდიოდნენ და საუბარში გართულნი ნელ-ნელა გვიახლოვდებოდნენ. ერთი საშუალო ტანის სქელი ჰიტლერელი ტყავის შავ პალტოში იყო გამოწყობილი, მეორე კი — მაღალი, მოკრიალესავით ჩასხმული იყო.

ჰიტლერელებმა წინ ჩაგვიარეს. საფარიდან გამოვცვივდით და მათ ზურგიდან დაეესხით თავს. მე სქელ ფაშისტს კონდახი ჩავარტყი თავში და მიწაზე დავანარცხე. ანდრეევი კი გაბრუებულ გერმანელს ეცა, პირში ალიკაპი ჩასჩარა და ხელების შეკვრას შეუდგა. ელვისებურად მოქმედებდა გლობაც. მან მაღალ გერმანელს თავში მძლავრად დასცხო ავტომატის კონდახი. უზარმაზარი ჰიტლერელი მუხლებზე დაეცა, მაგრამ თავი შეიკავა, გრძნობა წუთითაც არ დაუკარგავს, გლობამ კონდახი კვლავ აღმართა. მოხერხებულმა გერმანელმა თავი აარიდა დარტყმას და თავისი ღონიერი, გრძელი ხელებით გლობას სწვდა. მე ამხანაგის საშველად გადავხტი და გერმანელს კვლავ კონდახი ჩავცხე. გერმანელი არ წაიქცა. გლობას კი უ'შვა ხელი, მაგრამ, სამაგიეროდ მუშტი ისე მძლავრად მომარტყა მუცელში, რომ თოვლში ჩავემხე.

გლობამ დრო იხელთა, ოფიცერი წააქცია და ხელები გადაუგრიხა. ტკივილი დავძლიე, წამოვხტი და ვეცი. ორმა იგი სწრაფად მივაწვინეთ მიწაზე. ჰიტლერელმა დაყვირება სცადა, მაგრამ გლობამ მოასწრო პირზე ხელის დაფარება. გაცოფებულმა გერმანელმა თავი გადააქნია და გლობას ხელიდან დაუძვრა. გლობამ, იმის შიშით, რომ ტყვე განგაშს ატეხდა, ბებუთი იძრო, მძლავრი დარტყმა — და ჰიტლერელი მიწაზე დაეცა.

მოკლულის დატოვება არ შეიძლებოდა. უზარმაზარმა გლობამ მკვდარი ჰიტლერელი ზურგზე წამოიკიდა. და ჭისკენ გაემართა. მას შებორკილი „მოენით" უკან მიჰყვა ანდრეევი, მე კი, ავტომატმომარჯვებული, ამხანაგებს ვიცავდი. საძვრენამდე შეუმჩნეველად მივედით. ხშირმა თოვლმა სწრაფად დაფარა ჩვენი კვალი.

ჭაში ანდრეევმა ჯიბის ფარანი ჩართო და ტყვეს მიანათა. გერმანელის სახეზე შიში და დაბნეულობა იყო აღბეჭდილი. ანდრეევმა ტყვეს პირში ჩაჩრილი ალიკაპი ამოაცალა. მე გერმანულ ენაზე ავუხსენი ტყვეს რომ სიცოცხლეს იმ პირობით შევუნარჩუნებდით, თუ იგი მილებში განსაზღვრულ მანძილს უხმაუროდ გაივლიდა. ამ სიტყვებმა ტყვე საგრძნობლად დაამშვიდა.

ამასობაში გლობამ უკვე მოასწრო მოკლულის გაჩხრეკა. მისი დოკუმენტები გვატყობინებდა: „სს-ელთა მოტოდივიზიის ობერშტურმფიურერი", „აი, თურმე რატომ გვეწინააღმდეგებოდა ეს გაცოფებული ჯალათი," — გავიფიქრე მე.

რაკი „მოენე“ შევიპყარით, საჭირო იყო ჩვენებთან დაბრუნება.

ახლოეევი მილში შეძვრა, მას მივყევით მე და დანარჩენები, მოკლული ფაშისტის გვამი მოპირდაპირე მილში დავმალე.

შეპყრობილი გერმანელი გზაში ცუდად გახდა. მე აირწინაღი მოვიხსენი და ტყვეს მივაწოდე.

ძვირფასი „მოენეს“ სიცოცხლე უფრო ძვირი ღირდა მზეერავისათვის, ვიდრე საკუთარი.

აირწინაღის გარეშე სიარული ძნელი იყო. ჯგუფს ჩამოვრჩი. ბუნებრივია, გლობა სიბნელეში ვერ ხედავდა მის უკან რა ხდებოდა. ამხანაგები სულ უფრო და უფრო მშორდებოდნენ. ვცადე, დავწეოდი მათ. მაგრამ სული შემეხუთა და ნაბიჯი ისევ შევანელე. მინდოდა ნიშანი მიმეცა ფარნით, მაგრამ ისიც ვერ ავანთე. ყვირილი არ შეიძლებოდა, მტერს შეეძლო გაეგო. გაზებით გაჯერებული ჰაერი თვალებს მწვავდა და სუნთქვას მიძნელებდა. ძალაუნებურად ცრემლი მდიოდა, ყელი მეწვოდა, თავბრუ მეხვეოდა და გული მერეოდა, მაგრამ თავს ძალას ვატანდი, რომ მეარა. იმედი, რომ ჩემი ამხანაგები შეამჩნევდნენ ჩამორჩენას, არ მტოვებდა. ასეც მოხდა. როდესაც გლობამ შენიშნა, რომ უკან არ მივდევდი, დამიცადა და თავისი აირწინაღი მომცა. რიგრიგობით ვსარგებლობდით აირწინაღით, ასე მივაღწიეთ იმ გზასაყარს. სადაც კალგანოვის ჯგუფი გველოდა. მათაც კარგი ნადავლი ეგდოთ ხელთ — „მოენე“ ობერლეიტენანტი.

უნდა გვეჩქარა და მიწის ზევით განთიადამდე ამოვსულიყავით. დღის სინათლეზე ნეიტრალურ ზონაში გერმანელებს ჩვენი აღმოჩენა შეეძლოთ და ტყვიამფრქვეევებით დაგვცხრილავდნენ.

მიუხედავად ამისა, კალგანოვი მაინც აწყობდა მოკლე შესვენებებს. განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა უკანასკნელი რამდენიმე ასეული მეტრის გადალახვა. მთვრალებივით ვბარბაცებდით, ვბორძიკობდით და მიწაზე ვეცემოდით, მაინც მივიწევდით წინ. თვალები გვტკიოდა, საფეთქლები გვებერებოდა, გონება გვერეოდა. გვეჩვენებოდა, რომ კიდევ ნახევარი საათიც და... ვეღარ გავუძლებდით ტანჯვას.

მოულოდნელად კალგანოვმა გვაცნობა, გამოსასვლელ ჭამდე ასი მეტრი დარჩარ. სპორტული ენით რომ ვთქვათ, ჩვენ საფინალო ბილიკზე გამოვედით, მაგრამ როგორი იყო ეს ფინიში! — გა-

ნაწამებმა და ქანცგაწყვეტილებმა უკასასკნელი ძალა მოვიკრიბეთ და ისევ გავხოხდით.

ამხანაგებმა, რომლებიც ზევით გვიცდიდნენ, როგორც იქნა, ჭიდან ავეათოიეს.

მიწაზე დავეყარენით და გაყინული ჰაერი ხარბად ჩავისუნთქეთ. თოლია მიწოლილი გაოგნებული გერმანელი ობერლეიტენანტი თვალებს აქეთ-იქით აცეცებდა. ტყვე მაიორი უმოძრაოდ ეგდო ბიწაზე. მას თოვლით დაუზილეს ჯერ სახე, შემდეგ კეფა და გრძნობაზე მოიყვანეს, გერმანელმა წამოიწია, წამოჯდა, მშვიდად შეგვათვალიერა. მერე მზერა დამსხვრეულ ტანკზე გადაიტანა, მაგრამ, როცა მისი თვალები კანალიზაციის ღია საძვრენზე შეჩერდა, შეკრთა და აკანკალებული ხელით პირჯვარი გადაიწერა.

ღილის ხუთი საათი იყო. ჯერ ისევ ბნელოდა. მოწინავე პოზიციებამდე სწრაფად მივხოხდით და სამეთაურო პუნქტში „მოვნეესი" მივიყვანეთ. მათგან მიღებულმა ცნობებმა თავისი როლი შეასრულეს საბჭოთა სასასლის საბოლოო იერიშისათვის მომზადებაში.

მაორე დღეს მტრის დამსხვრეულ ტანკს საზღვაო ქვეითი ჯარის 83-ე ბრიგადის მეავტომატეთა ასეული მიუახლოვდა. ესენი იყვნენ შავ ზღვაზე და დუნაიზე ბრძოლებში ნაცადი ჯარისკაცები. კალგანოვმა მე და გლობა გაგვაგზავნა, რომ თვალყური გვედევნებინა მათი საკანალიზაციო მილებში ჩასვლისათვის. მედესანტეთა რაზმს მეგზურებად წინ მიუძღოდა ჩვენი ნაცნობი ორი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცი, რომლებიც წინა ღამით ჩვენთან ერთად იყვნენ მტრის ზურგში, მედესანტეები აირწინაღებს იკეთებდნენ და ერთიმეორის მიყოლებით ჩადიოდნენ საძვრენში. აი უკანასკნელიც მიეფარა თვალს. საძვრენის დასაცავად ოთხი მეზღვაური დარჩა. ინედი გექონდა, რომ ამჯერადაც რეიდი წარმატებით დამთავრდებოდა. მაგრამ საკმაოდ მალე საძვრენთან ხმაური გავიგეთ, ხუფი აეხადეთ და საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები უკან ამოვიდნენ.

ისინი აირწინაღებს იგლეჯდნენ და მძიმედ სუნთქავდნენ. ალმოჩნდა, რომ რაზმმა მხოლოდ პირველი ორასიოდე მეტრის გავლა შეძლო. ეტყობა, მიწისქვეშეთის საშინელ დახურულობაში ადამიანების ასეთი დიდი ჯგუფის მოძრაობა შეუძლებელი იყო.

მიწისქვეშა ოპერაციის წარმატებით ჩატარების შემდეგ 8 თებერვალს ჩვენთან, მარი-ლუიზას ქუჩაზე მოვიდა მე-2 რანგის კა-

პიტანი ა.ნ. შალნოვი. მწკრივის წინ მან გამოგვიცხადა, რომ მზვერავები, რომლებმაც განსაკუთრებით თავი გამოვიჩინეთ მიწისქვეშა რეიდის დროს წარდგენილები ვართ მთავრობის ჯილდოზე. მცირეოდენი დაყოვნების შემდეგ მან დაუმატა:

— თქვენ გესმით, რომ მთავრობის ჯილდოები დაუყოვნებლივ არ გაიცემა, მაგრამ ამ რეიდის მონაწილე ერთ-ერთი თქვენთაგანი შეგვიძლია ახლავე დავაჯილდოვოთ. გავიგეთ, რომ თქვენს შორის არის ყოფილი მოტოკლუბელი. უფროს წითელფლოტელ ჩხეიძეს ვაჯილდოვებთ ნაალაფარი გერმანული მოტოციკლით.

ძნელია სიტყვებით გადმოგცეთ, რა დიდი სიხარული განვიცადე. ჯერ კიდევ თბილისში, როდესაც მოტოსპორტში ვვარჯიშობდი, ვოცნებობდი საკუთარ მოტოციკლეტზე, მაგრამ იმ დროს მანქანები ცოტა იყო და საკმაოდ ძვირიც. ჩემი ოცნება აუხდენელი მეჩვენებოდა.

და უცებ ბუდაპეშტში გავხდი ახალი მოტოციკლის მფლობელი, იგი საბრძოლო დამსახურებისთვის მომცეს ჯილდოდ.

ჯიბიდან ხშირად ვიღებდი მოწმობას და არ ვიცი, მერამდენეჯერ ეკითხულობდი:

„მოწმობა ეძლევა მძღოლ ჩხეიძე ა. ა-ს 90757 სამხედრო ნაწილის მიერ იმაზე, რომ მასზე მიმაგრებულია მოტოციკლეტი № 34 (№ —74—03 52)

მძღოლის ხელმოწერა

ნაწილის მეთაური მე-2 რანგის კაპიტანი . . .“

მაშინ მეჩვენებოდა, რომ ამქვეყნად ყველაზე ბედნიერი ადამიანი ვარ. (ამჟამად ეს საბუთი ინახება სსრკ შეიარაღებულ ძალთა ცენტრალურ მუზეუმში.)

ბუდაპეშტისათვის გაშმაგებული ბრძოლები გრძელდებოდა. მაგრამ იგრძნობოდა, რომ ამ ბრძოლების დასასრული ახლოს იყო. თუმცა ფაშისტები შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდნენ, ჩვენი ნაწილები წინ მიიწევდნენ.

ჩვენი ოთხეული — გურა, ჟორჟევიჩი, გლობა და მე — კალგანოვმა თავისთან გამოგვიძახა. საკანალიზაციო მილებში ჩვენი რეიდის მერე მეთაურს დაჭრილი ხელი გაღიზიანებოდა, იგი ძლიერ გამხდარი და დაღლილი მომეჩვენა.

კალგანოვმა აგვიხსნა დავალება:

— რამდენიმე დღის შემდეგ ფაშისტთა ალყაშემორტყმული დაჯგუფება ბუდაში სრულიად განადგურდება. ისინი ეცდებიან ალყის გარღვევას, რათა შეუერთდნენ თავისიანებს, ბუდაპეშტიდან სულ რაღაც 40 კილომეტრით დაშორებულ ესტერგომის დაჯგუფებას. თქვენი ამოცანაა დღისით და ღამით ფხიზლად ადევნოთ თვალყური ფაშისტებს. თუ რომელიმე მონაკვეთზე შეამჩნევთ გერმანელთა ჯარების თავმოყრას, განსაზღვრეთ გასარღვევად დასახული დარტყმის მიმართულება და დაუყოვნებლივ მაცნობეთ.

ამოცანა ნათელი იყო. ავიღეთ ჩვენი ავტომატები, ხელყუმბარები, ზურგჩანთა სურსათის მარაგით და ქუჩაში გამოვედით. თოვდა. გადავეერით გაყინული დუნაი, განთავისუფლებული კუნძული მარგიტი და ავედით მარჯვენა ნაპირზე. აქედან ორმოციოდე მეტრის დაშორებით იყო ჩვენი სადგომი, — პატარა, ერთსართულიანი, ღარიბული სახლი. სახლის პატრონმა, ორმოცი წლის უნგრელმა, დეიდა ილონკამ გულკეთილად დაგვითმო თავისი ოთახი, თვითონ კი ბოსტანში მდებარე ქოხში გადავიდა. დეიდა ილონკა ფეიქარი იყო. ბუდაპეშტის ფაბრიკაში მუშაობდა. ძლიერ გულთბილად გვექცეოდა.

სახლში მხოლოდ ჩვენი მზვერავი პავლე ნეველოვი დაგვხვდა. პატარა მრგვალ მაგიდაზე ანთებული სანთელი იდგა. ფანჯარას სქელი შავი ფარდა ეფარა. ნეველოვმა გურას მოახსენა, რაც კი ბოლო ხანებში შეამჩნია ამ უბანში.

ჩვენმა უფროსმა გადაწყვიტა დაზვერვა ორ ჯგუფად გვეწარმოებინა.

ღამის 12 საათზე გავედით ქუჩაში. სახლში მხოლოდ პავლე ნეველოვი დარჩა. დეიდა ილონკას სახლიდან მოწინავე პოზიციამდე სულ 100 მეტრი იყო. გზად ორად გავიყავით: მე და ალექსი გურა სანაპიროსკენ წავედით, ჟორჟევიჩი და გლობა კი — ზემოთკენ, დასავლეთ მხარეს.

ნეიტრალურ ზოლში სახლები ცარიელი იყო; ხოლო ცეცხლის ხაზთან ყველა სახლში გერმანელი ჯარისკაცები და ოფიცრები იდგნენ. თითქმის სულ ხოხვით მივდიოდით. ხანდახან თუ გადავირბენდით მოკლე მანძილზე. ნეიტრალურ ზოლში ვირჩევდით მაღალ სახლს, რომელიც გერმანელების წინა ხაზთან ახლოს მდებარეობდა, ავდიოდით სახლის სახურავზე და იქიდან ვუთვალთვალებდით

მიდამოს. ზოგჯერ ხანგრძლივ ბრძოლებიდან ფაშისტების წინა პოზიციას, თუ რაიმე მნიშვნელოვანს შევამჩნევდით, უფრო ღომად შევდიოდით, ანუ, 100—150 მეტრით მტრის თავდაცვის ზოლში.

ასე შევისწავლეთ ფრონტის ხაზი ორი კილომეტრის მანძილზე და დილის 6 საათზე დავბრუნდით სადგომში. ვასილი გლობა და ლიუბიშ ჟორჟევიჩიც მოვიდნენ.

ღამის დაზვერვის შედეგ ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ სანაპირო რაიონში, დუნაის პარალელური ქუჩიდან ფაშისტები ცოუ დარტყმას აპირებდნენ საბჭოთა სარდლობის შეცდომაში შეყვანისა და ყურადღების დაფანტვის მიზნით. მთავარ დარტყმას კი ამზადებდნენ ოლას ფატორეტეს ქუჩის რაიონში, 180-ე მსროლელთა დივიზიის განლაგების ადგილას.

თათბირის შემდეგ ალექსი გურამ მოხსენიბის წერა დაიწყო. დეიდა ილონკამ ცხელი ჩაი მოგვიმზადა და ჩვენც სიამოვნებით შევექეცით. დაბეჭდილი პაკეტი გურამ პაველ ნეველოვს ჩააბარა, რათა მას კალგანოვისათვის გადაეცა.

დაზვერვის შემდეგ მე ყველაზე ფხიზლად ვგრძნობდი თავს და ჯგუფის უფროსმა დამავალა დღის განმავლობაში გამეგრძელებინა წინა პოზიციის თვალთვალი. ჩემი ამხანაგები ხანმოკლე დასვენებისათვის მოეწყვნენ. მე და პაველ ნეველოვი ერთად გამოვედით ქუჩაში.

გავედით სანაპიროზე. 9 თებერვალს ღამით დუნაიზე ყინული დაიძრა, თუმცა დილის ოთხ საათზე ისევ გაჩერდა. ყინული ლღვებოდა და მასზე გადასვლა საშიში იყო, მაგრამ პეშტში გადასასვლელი უმოკლესი გზა აქ, მარგიტის კუნძულზე გადიოდა. პონტონის გადასასვლელამდე ხუთი კილომეტრი იყო. ხელით შევამოწმეთ პაველ ნეველოვი, რომელიც უკვე ყინულზე ჩასვლას აპირებდა:

— სჯობს, მოხსენება ორი საათით გვიან მიიტანო, ვიდრე, საერთოდ ვერ მიაღწიო დანიშნულების ადგილს.

ნეველოვი დამეთანხმა. უკვე წასასვლელად მოემზადა, რომ ორი ახალგაზრდა ჯარისკაცი სანაპიროს მოადგა. ისინი გაბედულად ჩავიდნენ ყინულზე.

— ბიჭებო; წუხელ ყინული დაიძრა, არ გირჩევთ გადძოსვლას, — დავუყვირე მათ.

ერთ-ერთმა დაცინვით გამომძახა:

ბესც მეზღვაური ხარ, რაღა! ყინულზე სიარულის გეშინია.

ალაფერი მითქვამს. ორივენი ერთად წამოვიდნენ, მშვიდად და გაბედულად. მოპირდაპირე სანაპიროდან მარგიტის კუნძულამდე 120 მეტრი იყო. ჯარისკაცებმა დაუბრკოლებლად გაიარეს მანძილის დიდი ნაწილი. კუნძულამდე სულ რაღაც ოცდაათიოდე მეტრი იყო დარჩენილი, რომ ყინული დაიძრა. მე და ნეველროვი შევკრთით, ძლიერ შეგვაწუხა ჯარისკაცების ბედმა. სწრაფი მდინარე აბეზეოვდა ყინულს და ნამსხვრევებს ერთმანეთზე ახეთქებდა. ერთ-ერთმა ჯარისკაცმა თავი ვერ შეიკავა ყინულზე და მაშინვე ჩაიძირა. მეორე გაშმაგებული იბრძოდა, სწრაფად ხტებოდა ყინულიდან ყინულზე და თანდათან უახლოვდებოდა კუნძულს. „გადარჩებოდეს, ნეტავი", — ვფიქრობდი დაჟინებით, მაგრამ ყინული გადაბრუნდა, და ისიც წყალში ჩავარდა. ვეება ყინულმა გადაჰფარა ჯარისკაცი, იგი მდინარის ზედაპირზე აღარ გამოჩენილა.

გული შემეკუმშა. პავლე ნეველროვი გაფითრდა. სიტყვა არ უთქვამს. ისე გაეშურა პონტონის გადასასვლელისაკენ.

დახვერვის შემდეგ სადგომში დავბრუნდით, პავლე ნეველროვი ჯერ არ დაბრუნებულიყო.

— ორი დღე-ღამეა არ გიძინია, დაისვენე, ჩვენ კი ერთი საათის მერე წავალთ დასაზვერად. — მითხრა გურამ.

— რა დროს დასვენებაა, ასეთი დაძაბული ვითარების დროს, — შევეკამათე მე.

ერთი საათი დრო გვქონდა თავისუფალი. ვისხედით მაგიდის გარშემო და ვისვენებდით. გურამ, გლობამ და მე წამოვიწყეთ:

ჟილი უ ბაბუსი დვა ვესიოლიხ გუსია...

უდარდელად ვმღეროდით ამ სიმღერას. ლიუბიშ ჟორჟევიჩს ეცინებოდა, მაგრამ მონდომებით იმეორებდა სიმღერის სიტყვებს ჩვენთან ერთად.

ომის დამთავრების 15 წლის შემდეგ დუნაის ფლოტილიის მზვერავები და ჩვენთან ერთად ფლოტილიის სარდალი და შტაბის უფროსი მიგვიწვიეს მოსკოვს სახელმწიფო უნივერსიტეტში სტუდენტებთან და მასწავლებლებთან შეხვედრაზე. შეხვედრას ცენტრალური გაზეთების კორესპონდენტებიც ესწრებოდნენ. პირადად ჩემგან ინტერვიუს იღებდნენ გაზეთ „კომსომოლსკაია პრავდას" კორეს-

პონდენტები თამარა კუტუზოვა და საშა კრამინოვი. ბევრ სხვა შეკითხვებს შორის ესეც მკითხეს:

— რას მღეროდით დასვენების დროს თქვენ, მზვერავები?

მე ვუპასუხე, — „ჟილი უ ბაბუსი...“ და ა. შ.

კორესპონდენტებს გაეცინათ, — ჩვენ სერიოზულად გეკითხებით, — მითხრეს მათ.

— მართალს გეუბნებით, — ვუპასუხე გულწრფელად, მაგრამ მათ არ დამიჯერეს. ამას მხოლოდ ფრონტელები თუ გაგვიგებენ. მზვერავები გამუდმებით ცეცხლის ხაზზე ან მტრის ზურგში ვიმყოფებოდით, ჩვენი რაზმისთვის განსაკუთრებით მძიმე იყო ბუდაპეშტისათვის ბრძოლების პერიოდი, — ცოტა გვეძინა და გამუდმებით დაძაბულები ვიყავით. ხანმოკლე შესვენების დროს ვცდილობდით ცოტათი მაინც შეგვემსუბუქებინა შინაგანი დაძაბულობა, ამიტომაც ვმღეროდით მხიარულ საბავშვო სიმღერებს, ყველაზე უფრო ხშირად „ბებიას ჰყავდა ორი მხიარული ბატი...“

საღამოს 11 საათზე გავედით ღამის დაზვერვაზე. ქუჩაში ორ ჯგუფად გავიყავით. ამჯერად მე და ვასილი გლობა წავედით სანაპიროს მიმართულებით. ალექსი გურა და ლიუბიშ ჟორჟევიჩი კოლას ფატორეტეს ქუჩისაკენ გაემართნენ. მე და გლობა წინა პოზიციასთან მდებარე ექვსსართულიან სახლს მივუახლოვდით. ჭიშკართან გუშაგმა გვიცნო და მოგვესალმა. დაზგის ტყვიამფრქვევთან, ბარიკადის უკან ორი მეტყვიამფრქვევე გაწოლილიყო. ტყვიამფრქვევი საბრძოლველად ჰქონდათ გამზადებული. ქვემეხებთან არტილერისტები მორიგეობდნენ.

გადავახტით აგურის ბარიკადს, ნახევრად მოხრილებმა გადავირბინეთ გზაჯვარედინი, ნეიტრალურ ზონაში მდებარე სამსართულიან სახლთან გავწექით თოვლზე და გავხოხდით. მივუახლოვდით მტრის წინა პოზიციას. ქუჩის მარჯვენა კუთხეში, ბარიკადებთან დავინახეთ გერმანელ ჯარისკაცთა ასეული. ჯარისკაცებს თბილი მაზარები ეცვათ, ხელში ავტომატები ეჭირათ. იქვე გერმანელი ოფიცერი წინ და უკან დააბიჯებდა და რაღაც განკარგულებებს იძლეოდა. ქუჩის მარცხენა კუთხეში ბარიკადა სანახევროდ დაშლილი იყო. აქ საბრძოლველად გამზადებული ჯავშნოსანი იდგა. სიბნელეში გავარჩიეთ, რომ წინა პოზიციის მიმართულებით გერმანელ ჯარისკაცთა ჯგუფი მიიწევდა. გერმანელები, ეტყობა, შეტევაზე გად-

მოსვლას აპირებდნენ. გადავწყვიტეთ, ჩვენები დროზე გაგვეფრთხილებინა. უკან გავხოხდით, სამსართულიან სახლს შემოვუარეთ, წამოვხტით, გავიქეცით ჩვენი პოზიციისაკენ და ჩვენი არტილერისტები და მეტყვიამფრქვეები გავაფრთხილეთ.

ერთ ეზოში ჩვენი უნგრელი მეგობრები — ბუდას პოლკის მებრძოლები იდგნენ. ისინი უკვე საბრძოლველად იყვნენ მზად. უნგრელ მეგობრებს დუნაის პარალელური ქუჩა უნდა დაეცვათ.

უნგრელმა ჯარისკაცებმა თავიანთი მეთაურის, მაღალი, ლამაზი ოფიცრის წინამძღოლობით, ის იყო, ქუჩაში დაიწყეს გასვლა, რომ მტრის პირველი ნაღმები აფეთქდა. სამსართულიან სახლს ამოფარებული გერმანული ნაღმსატყორცნები ქუჩას ცეცხლს უშენდნენ. ჯარისკაცებმა სასწრაფოდ ბარიკადას შეაფარეს თავი; ავტომატები მოიმარჯვეს და მტრის ჯარისკაცების გამოჩენას დაელოდნენ.

მე და გლობამ გადავწყვიტეთ უნგრელ მეგობრებთან დავრჩენილიყავით და მათთან ერთად გვებრძოლა. ბარიკადის შუაგულში და ვიკავეთ ადგილი. სამსართულიანი სახლის უკან გამოჩნდა გერმანული ჯავშნოსანი მანქანა და მის უკან ავტომატმომარჯვებული ჯარისკაცები. ჩვენმა მეტყვიამფრქვევემ ცეცხლი დაუშინა ჯავშნოსანს. ჯავშნოსანმა ქვემეხიდან გაისროლა. ჭურვები ზუსტად ჩვენს ბარიკადასთან აფეთქდნენ. აგურები აქეთ-იქით მიმოიფანტა, ბარიკადა დაინგრა, დაზიანებული დაზგის ტყვიამფრქვევი გადაბრუნდა. ერთი მეტყვიამფრქვევე მოკვდა, მეორე კი მძიმედ დაიჭრა. ჩვენებმა ჯავშნოსანს რამდენიმე ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა ესროლეს და მწყობრიდან გამოიყვანეს, მაგრამ ამან გერმანელი ჯარისკაცები ვერ შეაჩერა. ისინი ხმამაღალი ყვირილით გადმოვიდნენ შეტევაზე. უნგრელებმა ავტომატების ერთდროული და ხანგრძლივი ჯერით უპასუხეს. ოცდაათამდე დაჭრილი და მოკლული გერმანელი დაეცა ქვაფენილზე. დანარჩენები ქვაფენილზე გაწვნენ და ისევ განაგრძეს ბრძოლა. ფაშისტები ხელყუმბარებს გვესროდნენ, მაგრამ მათ ჩვენც არ ვტოვებდით უპასუხოდ.

ბრძოლა გამძაფრდა. ჩვენს უკან ორი დიდი ქვემეხი იდგა, მაგრამ ასეთ ახლო მანძილზე სროლა არ შეეძლოთ. გერმანელები სულ ახალ-ახალ ძალებს აბამდნენ ბრძოლაში. უნგრელი ჯარისკაცები ბედგრად იცავდნენ თავს. დაჭრილი მეთაური ვაჟკაცურად ხელმ-

ძლვანელობდა ბრძოლას. ქუჩის გზაჯვარედინთან ბოლოს 23 მებრძოლიდა დავრჩით:

გერმანელებმა ახალი შეტევა გააჩაღეს. ამ დროს ჩვენი ქვეითი ჯარის ბატალიონის მეთაურმა — კაპიტანმა, რომელიც თავისი სამეთაურო პუნქტიდან თვალყურს ადევნებდა ბრძოლის მსვლელობას, მეავტომატეთა ასეული და ორი დაზგის ტყვიამფრქვევი მოგვაშველა. მდგომარეობა გათანაბრდა, ოღონდ მიუხედავად დიდი დანაკარგისა. გერმანელები შეუპოვრად განაგრძობდნენ შეტევას.

გერმანელთა მეორე ბატალიონი დუნაის სანაპირო ქუჩაზე უტევდა, მაგრამ აქაც მათ ღირსეული წინააღმდეგობა შეხვდათ.

მტერმა დიდი დანაკარგი განიცადა და დილის ექვსის ნახევარზე შეწყვიტა შეტევები სანაპირო რაიონში.

ჩვენს პოზიციასთან, ნეიტრალურ ზოლში ქუჩა მოფენილი იყო მტრის ჯარისკაცთა გვამებით. ბრძოლის დამთავრებიდან თხუთმეტი წუთის შემდეგ მოვიდნენ ჩვენი სანიტარული მანქანები. ახალგაზრდა მედდებს მე და გლობაც ვეხმარებოდით, ხელით გადაგვყავდა დაჭრილი საბჭოთა და უნგრელი მეომრები სანიტარულ მანქანებში.

დილის 7 საათზე დავბრუნდით ჩვენს სადგომში. ალექსი გურა და ეოოეევიჩი ჩვენზე ადრე დაბრუნებულიყვნენ და გველოდებოდნენ.

— კალგანოვი გიბარებთ სასწრაფოდ, — გვითხრა გურამ.

დიდ სადაზვერვო ოპერაციებში კალგანოვი ყოველთვის პირადად იღებდა მონაწილეობას. მე და გლობა ხშირად თან მივყავდით. მივხვდით, რომ საპასუხისმგებლო ოპერაცია გველოდებოდა, სწრაფად მოვემზადეთ პეშტში წასასვლელად. გურამ დალუქული პაკეტი სადაზვერვო პატაკით მეორე თანრიგის ზემდეგ ვასილი გლობას ჩააბარა.

დილის 11 საათზე უკვე მარი-ლუიზას ქუჩაზე, მეთაურის ოთახში ვიყავით. კალგანოვს ჩვენი დანახვა ძლიერ გაუხარდა.

— რამდენიმე საათით დაისვენეთ, ოთხ საათზე სამივე ჩემი მანქანით წავალთ ბუდაფოკში, მონაწილეობას მივიღებთ სამეფო სასახლის იერიშში. იქ მტრის შტაბის ძვირფასი საბუთები უნდა ვიგდოთ ხელთ, — გვითხრა კალგანოვმა.

საღამოს ხუთ საათზე საარტილერიო მომზადების შემდეგ დაიწყო ბუდას ციხესიმაგრის იერიში. ბუდას პოლკი და საზღვაო ქვე-

ითი ჯაოის 83-ე ბრიგადა ერთად უტევდნენ მთის კორტოსაე წამოჭიმულ თითქმის მიუდგომელ ციტადელს.

მოწინააღ პოზიციებზე ერთმანეთის გვერდით იდგნენ ბუდის პოლკის მეთაური პოლკოვნიკი ოსკარ ვარიჰაზი და საღვაო ქვეითი ჯაოის 305-ე ბატალიონის მეთაური მაიორი მარტინოვი. ისინი თვალყურს ადევნებდნენ იერიშის მსვლელობას და წარმართავდნენ მას.

იერიშზე წასულ საზღვაო ქვეითი ჯარის მეომრებს წინ მიუძღოდნენ მზვერავები: გრიგოლ ჯორბენაძე, დიმიტრი ვოლიარსკი, პეტრე მოროზოვი, დიმიტრი დოროფეევი და ბაქოელი ახუნდოვი. ძლიერ უტევდა ციხესიმაგრეს ოსკარ ვარიჰაზის ბუდას პოლკი. მას გზას უკაფავდა ალბერტ კოსეგის მოიერიშეთა რაზმი, რომელიც მახვილივით შეიჭრა მოწინააღმდეგის თავდაცვის ხაზში. ალბერტ კოსეგი პისტოლეტით ხელში თავის რაზმით უტევდა ვიწრო ქუჩას. კოსეგის მხარდამხარ მიიწევდნენ წინ ვიქტორ კალგანოვი და ვასილი გლობა. მე დიურკა ტოტთან და იანოშ სეკერშთან ერთად მივდიოდი იერიშზე.

ჩვენ უკან, ცოტა მოშორებით, შეტევაზე მოდიოდა მადიარების ასეული. მათ შორის იყო მაზარაში გამოწყობილი ოცი წლის გოგონა, თავზე სამხედრო ქუდი ეხურა. ეს გახლდათ დერესკაი შანდორნე. ავტომატმომარჯვებული დერესკაი გაბედულად უტევდა მტერს და მედგრად მიიწევდა წინ. ეს იყო დუნაის პოლკის ეოთადერთი მებრძოლი გოგონა.

კოსეგის რაზმმა ახალი კვარტალის იერიში წამოიწყო, მაგრამ აქ გზა გადაუღობა ტყვიამფრქვევით აღჭურვილმა მტრის ხანგრძლივი მოქმედების საცეცხლე წერტმა. ეს წერტი ფაშისტებს ქუჩის ბოლოს სახლის კუთხეში გაემართათ. ქუჩის ბოლოში მოეწყოთ აგრეთვე ერთი მეტრი სიმაღლის აგურის ბარიკადა, რომლის უკან მეავტომატეები ჩასაფრებულიყვნენ. ჰიტლერელებმა ხანგრძლივი მოქმედების საცეცხლე წერტიდან დაუშინეს ცეცხლი იერიშზე მიმავალ მადიარებს. რამდენიმე უნგრელი მეომარი უსულოდ დაეცა მიწაზე. ამ კრიტიკულ მომენტში მეტად მტკიცედ და გაბედულად მოქმედებდა იანოშ სეკერეში. ის ერთბაშად გაიჭრა წინ, მტრის ხანგრძლივი მოქმედების წერტს ტანკსაწინააღმდეგო ხელყუმბარა სტყორცნა და ააფეთქა იგი. ტყვიამფრქვევის ცეცხლი შეწყდა.

ბლობამ გერმანელთა ბარიკადს სტყორცნა ორი ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა. მათი აფეთქების ძალამ აგური აქეთ-იქით გაფანტა, დარჩა რამდენიმე მოკლული და დაჭრილი ფაშისტი.

ალბერტ კოსეგის მოიერიშეთა რაზმი გამალებით განაგრძობდა წინსვლას. იმისათვის, რომ შეეჩერებინა მადიარების მოიერიშე რაზმები, გერმანელმა ფაშისტებმა მათ ექვსლულიანი ნაღმსატყორცნებით დაუშინეს ცეცხლი. ნაღმები ერთიმეორის მიყოლებით, ახლოს ეცემოდნენ მოიერიშეთა გარშემო. დაჭრილი დიურკა ტოტი და იანოშ სეკერეში ჩემ მახლობლად დაეცნენ მიწაზე. მივირბინე მეგობრებთან, მაზარების საყელოებში ჩავავლე ხელი და ბრძოლის ველიდან გამოვათრიე. დიურკა ტოტს გაგლეჯილი ჰქონდა მუცელი. აღელვებულმა რამდენიმეჯერ ჩაეძახე: „დიურკა! დიურკა!..“ მაგრამ ის უკვე მკვდარი იყო. შემდეგ იანოში გავსინჯე. ნაღმის ნამსხვრევებით დაჭრილი იყო მკერდში, თავში, მარცხენა ხელში, სოლო გაგლეჯილი მარჯვენა ჩექმიდან სისხლი მოთქრიალებდა

მძიმედ დაჭრილი იანოში უგონოდ იყო. ჯიბიდან ბანდი ამოვიღე, თავი და ხელი შევუხვიე. მკვდარი დიურკა ტოტი უნგრელ მეომრებს გადავეცი, ხოლო დაჭრილი იანოში ფრთხილად ავიყვანე ხელში და სანიტარულ ავტომანქანასთან მივიყვანე. უნგრელი ოფიცერი ჩვენს მედიცინის მუშაკებს ჩავაბარე. იანოშ სეკარეში სხვა დანარჩენ დაჭრილ უნგრელ მებრძოლებთან ერთად სანიტარული მანქანებით საბჭოთა ჰოსპიტლებში გაგზავნეს.

ალბერტ კოსეგის მოიერიშე რაზმში დავბრუნდი. მადიარების რაზმს ციხესიმაგრისათვის თავი დაეარა. მეთაურს მხარდამხარ მიჰყვებოდნენ მისი რაზმის მეომრები: ბატბორი ბელა, აკაბელ გუილა, ლასლო ფერენცი, ვარგა გაბორი, ბურკა ენდე და სხვები. როგორც იქნა, სისხლისმღვრელი ბრძოლების შემდეგ ციხესიმაგრე დაეცა, ჩვენი მეომრები და ბუდას პოლკი მის ტერიტორიაზე შეიჭრნენ.

უნგრელ მოიერიშეთა გვერდით ვიბრძოდით ვიქტორ კალგანოვი, გლობა და მე. სამეფო სასახლესთან მძიმედ დაიჭრა ვიქტორ კალგანოვი.

იერიში მესამე დღესაც გაგრძელდა. ბუდას პოლკმა, დიდი დანაკარგების მიუხედავად, გააფთრებული, მძიმე ბრძოლები გააჩაღა სამეფო სასახლის ხელში ჩასაგდებად.

13 თებერვალს, დილით სრული სიჩუმე ჩამოვარდა. თითქმის სამთვიანი განუწყვეტელი ბრძოლების შემდეგ წარმოუდგენელი იყო სიმშვიდე. სარდაფებიდან ამოვიდნენ უნგრეთის დედაქალაქის მცხოვრებნი. მათ ჯერ კიდევ არა სჯეროდათ, რომ დამანგრეველი ბრძოლები დამთავრდა და ქალაქი განთავისუფლებულია. მადიარები დიდ მადლობას გვიძღვნიდნენ ჩვენ, საბჭოთა მეომარ-განმათავისუფლებლებს.

14 თებერვალს ბუდაში, გელერტის (ახლა თავისუფლების) მთასთან შეიკრიბა ბუდას პოლკი. მან იერიშის დროს მნიშვნელოვანი დანაკარგი განიცადა — დაიღუპა 600, დაიჭრა ათასზე მეტი მეომარი. მე ოფიცერ ალბერტ კოსეგის გვერდით ვიდექი. იგი ძლიერ განიცდიდა თავისი მეომრების დაღუპვას.

შემაღლებულზე ავიდა პოლკის მეთაური ოსკარ ვარიჰაზი. სიჩუმე ჩამოვარდა. გაისმა პოლკის მეთაურის ხმა:

— ძვირფასო მებრძოლო მეგობრებო! ჩვენი, ბუდას პოლკის ასობით მეომარი ბუდაპეშტის განთავისუფლებისათვის ბრძოლებში დაიღუპა, ათასზე მეტი დაიჭრა, თავდადებული ბრძოლებით პოლკმა ჩვენს ერს სირცხვილის ლაქა ჩამორეცხა და იგი დაფნის გვირგვინით დაამშვენა. ჩვენ, უნგრელი მეომრები, ვიბრძოდით საბჭოთა მეომრების მხარდამხარ. ერთად დაღვრილი სისხლი ამტკიცებს უნგრელი და საბჭოთა ხალხების მეგობრობას. ბევრმა საბჭოთა მეომარმა თავი შესწირა ბუდაპეშტის განთავისუფლებას, სამაგიეროდ, უნგრეთის დედაქალაქის მოსახლეობას მოუტანა მშვიდობა და თავისუფლება.

მალე ფლოტილიის შტაბის უფროსმა მზვერავებს დაგვავალა დაგვეზვერა ბუდაპეშტის ხუთივე დანგრეული ხიდი და ფლოტილიის ხომალდებისთვის გასასვლელი გვეპოვა.

მზვერავები ჯგუფებად დაგვყვეს. ჩვენ ოთხეულს, გლობას, ჟორჟევიჩს, გურას და მე, დაგვავალეს დაგვეთვალიერებინა ჯაჭვის ხიდი, რომელიც მარგიტის კუნძულზე გადიოდა ჩრდილოეთით. გრძელი ჯოხებით შეეიარაღდით და ნავით ვეძებდით დუნაიში წყალქვეშა დაბრკოლებებს ხიდის ახლომახლო. (ომის შემდეგ აქ ახალი ხიდი ააგეს). სამუშაო იოლი არ იყო. გვიან საღამომდე ცივ, ქარიან ამინდში მდინარეზე ვმუშაობდით, შემდეგ ვბრუნდებოდით დეიდა ილონკას სახლში და ვეყრებოდით დასაძინებლად. მხოლოდ მე ვერ ვიძინებდი.

სამიფო ციხესიმაგრის იერიშის დროს მსუბუქი კონტუზია მიღელე და უძილობა დამჩემდა. მზრუნველმა დეიდა ილონკამ მირჩია ნიმემართა პროფესორ მასონი ლასლოსათვის, რომელიც ჩვენს სახლთან ახლოს ცხოვრობდა. კეთილმა ქალმა თვითონ წამიყვანა პროფესორთან.

თბილი, მაგრამ მოღრუბლული დღე იყო. თოვლი დნებოდა, ყველგან გუბეები იდგა. დუნაი რუხი ფერისა იყო. მდინარის ტალღებს სხვადასხვა ძველმანის და ხის ნამსხვრევები მიჰქონდა. სანაპიროზე არტილერია აღარ იყო. ჩვენ აუჩქარებლად მივდიოდით და სიჩუმით ვტკბებოდით. გზად ახლახანს გადატანილი ბრძოლების ნაკვალევი გვხვდებოდა — ქუჩები ნაღმებით იყო დათხრილი, სახლები დანგრეული. დეიდა ილონკამ ნაღვლიანად თქვა:

— შავ პურსა და ჩაის ვიკმარებთ, ოღონდ ეს საშინელი ომი ნუ იქნება.

რომელიღაც ქუჩაზე შევუხვიეთ და მივედით ერთსართულიან პატარა სახლთან, სადაც პროფესორი მასონი ლასლო ცხოვრობდა. კარი პროფესორის ცოლმა გაგვიღო. მან გულთბილად შეგვიპატიჟა ოთახში, გვთხოვა ცოტა ხნით დაგვეცადა, რადგანაც პროფესორს მისაღებში დაჭრილი საბჭოთა ოფიცერი ჰყავდა. გრძელ სავარძელზე ჩამოვსხედით. აქვე ოფიცრის კიტელი იყო გადაკიდებული.

მალე კაბინეტიდან გამოვიდა მკერდშებანდული პოლკოვნიკი. მან კიტელი მხრებზე მოიგდო.

— ჩვენი პროფესორი ლასლო შესანიშნავი დასტაქარია — თქვა მან.

ორმოციოდე წლის პროფესორი ლასლო ჯერ დეიდა ილონკას ელაპარაკა, შემდეგ მე დამიწყო გამოკითხვა ავადმყოფობის შესახებ. უნგრული ცოტა უკვე მესმოდა, მაგრამ, ცხადია, ვერ ვლაპარაკობდი. გერმანულად ავუხსენი, კონტუზიის შემდეგ თავის ტკივილი და უძილობა დამჩემდა-მეთქი.

პროფესორმა ყურადღებით გამსინჯა, შემდეგ ნემსი გამიკეთა და აბები გადამაყლაპა. სამი დღე უნდა მევლო მასთან ნემსის გასაკეთებლად.

დიდი მონდომებით ვმკურნალობდი პროფესორთან და მალე სრულიად გამოვჯანმრთელდი.

ომის შემდეგ მოვნახე პროფესორი ლასლო და [illegible] მ-წერა მოწერა მაქვს. ის წინანდებურად ბუდაპეშტში ცხოვრობს. პოლ[illegible] ლინიკაში მუშაობს. ასაკის მიუხედავად, შეინარჩუნა შრომის [illegible]რი და ხალისი. კარგი მეხსიერება აქვს. ბუდაპეშტის განთავისუ[illegible]ლების დღეს ყოველთვის მიგზავნის მისალოც ბარათს.

უნგრეთში ბევრი მევობარი დაგვრჩა. მათ რიცხვშია პროფესორი ლასლოც.

მარტის პირველ რიცხვებში მზვერაელები ჯერ კიდევ ბუდაპეშტში ვიმყოფებოდით, გულმოდგინედ ვიკვლევდით მდინარის დანალმელ უბნებს. ვიპოვეთ ფარვატერი, რუკაზე აღვნიშნეთ ხომალდებისათვის საშიში ადგილები ბუდაპეშტის რაიონში.

ყოველ დილით სამსახურებრივი პაკეტით მივდიოდი ბუდალან უნგრეთის დედაქალაქის მარცხენა ნაპირზე, რასაკვირველია, მოტოციკლეტით. პაკეტს ქალაქის საზღვაო უფროსს შალნოვს ვაბარებდი. ყოველთვის პეშტში ჩამოსვლისას ჰოსპიტალში ვნახულობდი დაჭრილ კალგანოვს, რომელიც ძლიერ მძიმე მდგომარეობაში იყო.

განთავისუფლებული ბუდაპეშტიდან ფრონტზე წასვლის წინ გადავწყვიტე კიდევ ერთხელ მენახა საყვარელი მეთაური. 9 მარტს დილით გავიარე მარი კოშიჩთან გამოსამშვიდობებლად. მარიმ ძლიერ გაიხარა, როდესაც მოტოციკლეტით გამოვეცხადე. მან მითხრა, კალგანოვის სანახავად მეც წამოვალო.

ჰოსპიტალში მორიგე ექთანმა თეთრი ხალათები მოგვცა, მხრებზე წაპოვისხით და კიბით მეორე სართულზე ავედით. კალგანოვი პატარა პალატაში იწვა კუთხეში, ფანჯარასთან. თავი ბალიშზე ჰქონდა გადაგდებული, თბილი შალის საბანი ეფარა. მოტეხილი მარჯვენა ფეხი თაბაშირში ჰქონდა, მკერდი და დაჭრილი ხელი — ბანდებით შეხვეული. გამხდარიყო და ფერი დაეკარგა, თვალებიახუჭული იწვა, მაგრამ არ ეძინა. საწოლს რომ მივუახლოვდით, თვალები გაახილა, დაგვინახა და თვალებში სიხარული აუკიაფდა. თითქმის ჩურჩულით მოგვესალმა.

მარიმ პატარა მაგიდიდან მინის ჭილა აიღო, წყალი ჩაასხა, შიგ იების თაიგული ჩადო და კალგანოვს ახლოს მიუწია.

— ვიქტორ ანდრიას ძეე, მიიღეთ ყვავილები ჩემგან და ალიოშასაგან, — უთხრა მარიმ დამტვრეული რუსულით.

აბების შეკრულა ამოვიღე, რომელიც აქ წამოსვლის წინ პროფესორ ლასლოს გამოვართვი.

— ეს სიცხის დასაწევი აბებია უნგრელი პროფესორისაგან. მას ძალიან უნდა, რომ მდგომარეობა შეგიმსუბუქოთ.

კალგანოვმა მადლობა გადაგვიხადა. მეთაურმა დაწვრილებით გამომკითხა რაზმის ცხოვრების შესახებ. მას ჩვენთან ყოფნა ძლიერ უხაროდა, მაგრამ, ეტყობოდა, ლაპარაკი უჭირდა. ზედმეტად რომ არ დაქანცულიყო, ვუთხარი:

— ხვალ დილით ჩვენი რაზმი ფრონტზე მიდის ესტერგომის მისადგომებთან.

მალე გამოვემშვიდობეთ და წამოვედით.

ბუდაპეშტისათვის ხანგრძლივი ბრძოლების დროს ჩვენი მზვერავთა რაზმი მნიშვნელოვნად შემცირდა. ორმოცდაორი მზვერავიდან მწყობრში მხოლოდ ცხრამეტი დარჩა. ცხრამეტი მზვერავი უკვე რაზმი კი არა ჯგუფია. გვაღელვებდა, ვის გამოგზავნიდნენ კალგანოვის მაგივრად. საკითხი კარგად გადაწყდა. როგორც უკვე ვწერდი, ფლოტილიის შტაბის უფროსი პირადად ხელმძღვანელობდა დაზვერვას, კარგად იცნობდა მზვერავებს. დარჩენილი ჯგუფის მეთაურად სვერდლოვმა გადაწყვიტა ჩვენი კომსორგი — გამოცდილი მზვერავი, ოცდახუთი წლის ალექსი გურა დაენიშნა.

10 მარტს ჩვენი მზვერავთა ჯგუფი საბარგო მანქანით გაეშურა ბუდაპეშტიდან ფრონტისაკენ. ძალიან მენანებოდა ჩემი მოტოციკლეტის დატოვება, იგი ბუდაპეშტის საზღვაო უფროსის სამმართველოს გარაჟში დავტოვე.

ჩვენი ჯგუფის განკარგულებაში დარჩა მხოლოდ ერთი ნახევარგლისერი. ამ ნახევარგლისერით სამი მზვერავი — ვასილი გლობა, ლიუბიშ ჟორჟევიჩი და მე წავედით მდინარის აღმა მიმართულებით ქ. ესტერგომისაკენ.

ბუდაპეშტის ზემოთ მეორმოცე კილომეტრზე, დუნაის თვალწარმტაც ნაპირებზე აღმართულია ძველი უნგრული ქალაქი ესტერგომი. მარტის პირველ ნახევარში ესტერგომი ჯერ კიდევ გერმანელების ხელში იყო. იქ, ესტერგომის წინ გადიოდა ფრონტის ხაზი. ფაშისტები სასტიკ წინააღმდეგობას გვიწევდნენ. ისინი დაჟინებით ებღაუჭებოდნენ უნგრეთს და ავსტრიას. უნგრეთიდან გერმანელები იღებდნენ ძვირფას საწვავს. ხოლო ავსტრიაში თავმოყრი-

ლი იყო ფაშისტური გერმანიის საავიაციო ქარხნების უმეტესობა და სატანკო მრეწველობა. ცნობილი იყო ჰიტლერის ფრაზა, თითქოს იგი ბერლინს უფრო ადვილად დათმობდა ვიდრე ვენას.

დუნაის მარჯვენა ნაპირზე ესტერგომის მისადგომებთან თავდაცვა ეჭირა ორგზის წითელდროშოვან, სუვოროვის ორდენოსან 83-ე საზღვაო ქვეითი ჯარის ნოვოროსიისკის ბრიგადას. მოპირდაპირე ნაპირზე იმყოფებოდა მზვერავთა ჩვენი ჯგუფი და დუნაის ფლოტილიის სანაპირო თანხლები რაზმი. რაზმის ახალი მეთაური იყო მაიორი ი. დ. პასმუროვი, რომელმაც დაავადმყოფებული ი. ბ. იაბლონსკი შეცვალა. აქ, უნგრეთის მიწაზე ხანგრძლივი განშორების შემდეგ შევხვდი ჩემს ძველ საბრძოლო მეგობრებს სანაპირო თანხლების რაზმიდან — უფროს ლეიტენანტ ივანე კოჩკინს, კატია მიხაილოვას და ალექსი კარპოვს. ილოკის დესანტის გმირები ჯერ მოუშუშებელი ჭრილობებით გამოეწერნენ ჰოსპიტლიდან და თავის ნაწილში დაბრუნდნენ. ფრონტზე დაბრუნდა უფროსი ზემდეგი გრიგორი გრიგოროვიჩიც.

უნგრეთში შევხვდი აგრეთვე ძველ მეგობარ პავლე ივანეს ძე კირსანოვს, რომელიც ადრე საზღვაო ქვეითი ჯარის 369-ე ბატალიონში მსახურობდა. ახლა იგი უკვე საზღვაო ქვეითი ჯარის ასეულის მეთაური იყო. მისივე ასეულში მსახურობდა ჩვენი ძველი ნაცნობი ვერა ივასიუნინა.

სამხედრო ხომალდებზე და საზღვაო ქვეითი ჯარის ნაწილებში ხშირად ნახავდით დუნაის ფლოტილიის სარდალს საბჭოთა კავშირის გმირს გ. ნ. ხოლოსტიაკოვს, შტაბის უფროსს პირველი რანგის კაპიტანს ა. ვ. სვერდლოვს და პოლიტსამმართველოს უფროსს პირველი რანგის კაპიტან პანჩენკოს. ეტყობა, დიდი სამზადისი მიმდინარეობდა მომავალი შეტევისათვის.

მზვერავებს ყოველღამე დაზვერვაში გვაგზავნიდნენ. 15 მარტს გვიბრძანეს გადავსულიყავით დუნაის მარჯვენა ნაპირზე ესტერგომთან და დაგვეზვერა სანაპირო ესტერგომის დანგრეული რკინიგზის ხიდის ახლომახლო.

შუაღამისას ნახევარგლისერით გავეშურეთ დუნაის დინების ალმა მიმართულებით. დანიშნულ ადგილამდე მტრის ზურგში უნდა გაგვეარა 7 კილომეტრამდე მანძილი.

მე საჭესთან ვიჯექი. გვერდით ალექსი გურა მეჯდა, უკანა და-

საღამოზე კი — ავტომატებით შეიარაღებული ვასილი გლობა, ლიუბიმ ეორეველიჩი, გოიგოლი კოცარი. ნახევარგლისერი მდინარის შუაგულში მიცურავდა. ბნელი ღამე იყო. სიბნელე გვფარავდა, მაგრამ ამავე დროს დაკვირვებაში ხელს გვიშლიდა. გავიარეთ კუნძული, რომელიც დანგრეული ხიდიდან ხუთი კილომეტრით ქვევით მდებარეობდა. ეს დიდი რკინიგზის ხიდი მტერმა ააფეთქა, რათა გზა გადაეღობა საბჭოთა საშხედრო ხომალდებისათვის.

სიბნელეში გამოიკვეთა აფეთქებული ხიდის სილუეტი, უზარმაზარი ხარიხები ცისკენ ზეაღმართულიყო; მძიმე ფოლადის ფერმები მშვიდოდ ელაგა წყალში. ნახევარგლისერი დიდი სიფრთხილით მიმყავდა. გვერდს ვუვლიდი სახიფათო ადგილებს, წყალქვეშა წინააღმდეგობებს.

ხიდის შუაგულს მივადექი და მარჯვენა ნაპირისაკენ გადავუხვიე. სანაპირომდე ოცდაათიოდე მეტრის დაშორებით ხიდის ჩანგრეულ ფერმაზე გადავედით. ეს მანძილი უნდა გაგვეარა ჩაძირულ ფერმაზე. წელამდე წყალში. პირველი მე წავედი. დინება აქ სწრაფი იყო და ძლივს მივიწევდი წინ, ამხანაგები დაძაბულები მადევნებდნენ თვალს. როგორც კი ნაპირთან ხიდის გამოწეულ ნაწილზე ავედი, ნიშანი მივეცი და ისინი ერთმანეთის მიყოლებით ჩემთან გადმოვიდნენ.

შესანიშნავი სათვალთვალო პუნქტი იყო. აქედან მთელი სანაპირო მოჩანდა.

დანგრეულ ხიდთან არც სიმაგრეები იყო, არც ქვემეხები და ნაღმსატყორცნები, მაშასადამე, ფაშისტები დარწმუნებულები იყვნენ, რომ აქ საბჭოთა ხომალდები ვერ გაივლიდნენ.

მართლაცდა მტერმა მთელი თავისი ყურადღება ფრონტის მოწინავე პოზიციას მიაპყრო, სადაც მოელოდა საბჭოთა ჯარების მიერ ფრონტის ხაზის გარღვევის ცდას. სანაპიროს გასწვრივ მოწინავე პოზიციისაკენ მიდიოდა გერმანელების ქვეითი ჯარი, თვითმავალი ქვემეხები და საბარგო მანქანები.

დილის 4 საათამდე ვუთვალთვალებდით მოწინააღმდეგეს ხიდიდან, შემდეგ იმავე გზით გადავედით ნახევარგლისერზე და ჩვენებთან დავბრუნდით. ყველაფერი, რაც შევამჩნიეთ, სარდლობას მოვახსენეთ.

16 მარტს ჩვენმა შენაერთებმა გაარღვიეს მტრის თავდაცვის

ხაზი; თავი დაუარეს ესტერგომს ჩრდილო-დასავლეთის მხრიდან და ქალაქ ტატასთან გამოვიდნენ. ამის შედეგად გერმანელთა ჯარების დაჯგუფება ალყაში მოექცა და მხოლოდ ტატასკენ მიმავალი გზაჭეცილი დარჩა თავისუფალი. ამ გზით მტერს ალყის გარღვევის საშუალება ეძლეოდა. აქ მეზღვაურთა დახმარება იყო საჭირო.

ფლოტილიის შტაბმა შეიმუშავა გეგმა, რომლის თანახმადაც ჩვენი ხომალდები უნდა გაჩერილიყვნენ 20 კილომეტრით დუნაის დიაცების აღმა მიმართულებით და დესანტი გადაესხათ ქალაქ ტატას ზემოთ. სიძნელე კი ის გასლდათ, რომ ჩვენი ხომალდების გაავლას ესტერგომის დანგრეული ხიდი უშლიდა ხელს. დაგვავალეს ფლოტილიის ხომალდებისათვის გასასვლელი გვეპოვა.

... ბნელი ღამეა, მსუბუქი ნახევარგლისერი სწრაფად მიცურავს დუნაიზე. ამჯერად ნავზე სამნი ვართ: ვასილი გლობა, ლიუბიშ ჟოჟვიჩი და მე.

მივუახლოვდით თუ არა დანგრეულ ხიდს, დავალების შესრულებას შევუდექით. მარცხენა ნაპირიდან დავიწყეთ. წყლის სიღრმეს გრძელი დანაყოფებიანი ჯოხით ვზომავდით. ალაგ-ალაგ ყელთამდეც გვისდებოდა. გერმანელებს, ეტყობა, გაეთვალისწინებინათ, რომ ამ ადგილას ჩვენი ხომალდები შეეცდებოდნენ გასვლას და ძველი ხომალდებიც ჩაეძირათ ხიდის ფერმების ქვეშ. ყველაფერი გერმანული სიზუსტით იყო გაკეთებული.

ბოლოს, ხიდის მესამე და მეოთხე ხარიხის შორის მაინც აღმოვაჩინეთ ხომალდების გასასვლელი ადგილი. სანაპიროს ორიენტირები წიგნაკში ჩავინიშნეთ და ჩვენს ბაზაზე დავბრუნდით.

19 მარტს საღამოს 9 საათზე ათი ჯავშნოსანი კატარღა მედესანტეებით გაემართა ზემოთკენ. მათ მე-2 რანგის კაპიტანი პ. ი. დერჟავინი მეთაურობდა. მას ექვემდებარებოდნენ სადესანტოდ გაბოლოფილი საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები.

ფაშისტების ყურადღება რომ მიეპყრო, ჩვენმა ავიაციამ დაიწყო მათი მოწინავე პოზიციების დაბომბვა.

მზვერავები ისევე მოწინავე ჯავშნოსან კატარღაზე მიგვავლინეს. მესამე და მეოთხე ხარიხის პოვნა ძნელი არ იყო, სანაპირო ორიენტირები კი სიბნელის გამო ცუდად მოჩანდა. უბნის წიგნაკში გაკეთებული ჩანახატი ძლიერ დაგვეხმარა. მოგვიანებით გავიგეთ, რომ

ცხრა ჯავშნოსანი შეუფერხებლად გავიდა გასასვლელში, მხოლოდ ერთი წამოედო ხიდის ბჯენს, დაზიანდა და ჩაიძირა.

ჩვენ საკილვატერო მწკრივით მივიწევდით წინ. ვცდილობდით დროზე ადრე თავი არ გაგვეცა და მტერს არ აღმოვეჩინეთ. მაგრამ ათი ჯავშნოსანი კატარღა დიდი ხნის განმავლობაში შეუმჩნეველი ვერ დარჩება. ხიდის გავლის შემდეგ ფაშისტებმა აღმოგვაჩინეს და ცეცხლი დაგვიშინეს. ასეთი შესაძლებლობა ფლოტილიის სარდლობას გათვალისწინებული ჰქონდა. სანაპირო თანხლების არტილერიამ მტრის აღმოჩენილი ბატარეის კოორდინატები მიიღო თუ არა, საპასუხო ცეცხლი გახსნა.

აი, გავცდით ქალაქ ტატას. მიზანს ვუახლოვდებოდით. სადესანტო გემების რაზმის მეთაურის კაპიტან-ლეიტენანტ ბუტვინის ბრძანებით ჯავშნიანი კატარღები ერთდროულად შემოტრიალდნენ და მიადგნენ მარჯვენა ნაპირს. მზვერავები დიმიტრი პროკოპენკო, ალექსანდრე იზვეკოვი, იბრაგიმ ჰასანოვი და გივი პაიჭაძე ავტომატებით ხელში წინ გაიჭრნენ, რათა მდგომარეობა გამოერკვიათ.

დაიწყო დესანტის გადასხმა. მეთაური ხომალდის გემებზე ვიდექი და დავინახე, რომ რამდენიმე წუთში მედესანტეები გადავიდნენ ნაპირზე და გადაიტანეს იარაღი და საბრძოლო მასალა.

დავალების შესრულების შემდეგ ჩვენი კატარღები უკან გაბრუნდნენ. ვიცოდით, რომ უკან დაბრუნებისას მტერი შეეცდებოდა ჩვენს განადგურებას. ასეც მოხდა. ესტერგომის ხიდს რომ მივუახლოვდით, ფაშისტებმა ცეცხლი დაგვიშინეს. მათ უკვე მოესწროთ არტილერიის მიტანა დანგრეულ ხიდთან. მაგრამ ღამის სიბნელე ამჯერადაც დაგვეხმარა. ჩვენმა კატარღებმა საპასუხო ცეცხლის სროლით უხიფათოდ გაიარეს გასასვლელი და დაბრუნდნენ ბაზაზე.

ამასობაში მედესანტეები გაბედულად მოქმედებდნენ. ერთი დარტყმით მათ სამკილომეტრიანი სიგანის პლაცდარმი ჩაიგდეს ხელში, სწრაფად გათხარეს სანგრები. პ. კირსანოვის ასეულმა ყველაზე მნიშვნელოვანი პუნქტი — გზატკეცილი და რკინიგზა — დაიკავა. მტრის ესტერგომის დაჯგუფება მარწუხში მოექცა.

დაიწყო მოწინააღმდეგის გააფთრებული შეტევები. შეუპოვრად იცავდა თავის პოზიციებს ლეიტენანტ მიხეილ აშიკის ოცეული. მოგვიანებით გავიგეთ, რომ ამ ბრძოლაში თავი ისახელა ჩვენმა

მზვერავმა ალექსანდრე იზვეკოვმაც, რომელიც ოცამდე ფაშისტი გაანადგურა.

მეორე დღეს მტერმა შეტევა გააძლიერა, ცდილობდა, რადაც არ უნდა დაჯდომოდა, გაერღვია წრე, ალყიდან გამოსულიყო. მოპირდაპირე მარცხენა ნაპირს მოადგა თვითმავალი ქვემეხები. ნალმსატყორცნი ბატარეის მეთაური ლეიტენანტი პოდლუცკი ბრძოლაში კი დაიჭრა, მაგრამ განაგრძობდა თავისი ბატარეის მეთაურობას, ცეცხლი თვითმავალ ქვემეხებზე გადაიტანა.

მარჯვენა ნაპირზე ფაშისტებმა ბრძოლაში ტანკები შემოიყვანეს და ცდილობდნენ ჩვენს სანგრებს მიახლოებოდნენ და გაანადგურებინათ ერთი მუჭა მამაცი მედესანტეები. მაგრამ ჩვენი მეომრები ხელყუმბარებით და ტანკსაწინააღმდეგო თოფების ზუსტი ცეცხლით აზიანებდნენ მტრის მანქანებს.

ერთმა მანქანამ მაინც შეძლო ჩვენს პოზიციებთან მოსვლა. მაშინ ხელყუმბარით ხელში მისკენ გახოხდა დაჭრილი მთავარი ზემდეგი პროკოპენკო. ტანკიდან მას სროლა აუტეხეს. პროკოპენკომ ძალა მოიკრიბა და ტანკსაწინააღმდეგო ყუმბარა ისროლა. როდესაც ასეულის მეთაური მიცოცდა მასთან, პროკოპენკო უკვე მკვდარი იყო, მაგრამ მტრის ტანკიც იწვოდა. სატანკო შეტევა ჩახშობილი იყო.

მედესანტეებმა ამ ბრძოლაში გასაოცარი შეუპოვრობა და სიმამაცე გამოიჩინეს. კირსანოვის რაზმში ამ დესანტის დროს იმყოფებოდა სამი სამედიცინო და: ვერა ივასიშინა, კატია სტეფანიდი და კლავა აფანასიევა. ბრძოლის დროს დიღუპა კლავა აფანასიევა. სარდლობამ სამივე ქალი წითელი ვარსკვლავის ორდენით დააჯილდოვა.

ოთხი დღის განმავლობაში ეჭირათ ეს მნიშვნელოვანი პლაცდარმი ჩვენს მედესანტეებს. ამ ხნის განმავლობაში მათ გაანადგურეს 700 ჰიტლერელი და 10-მდე მტრის ტანკი. მათ ხელი შეუწყეს ჩვენი შემტევი ჯარების მოქმედებას, რომლებმაც 25 მარტს გაათავისუფლეს ქალაქები ესტერგომი, ტატ და გაანადგურეს ალყაში მოქცეული მტრის ესტერგომის დაჯგუფება.

ქალაქ ტატას მახლობლად დუნაისპირა სოფელ ნუერგიესუიფალუში დარგულია ესტერგომის დესანტის გმირების ხეივანი. ყოველ ხეს ამ ხეივანში თავისი დაფა აქვს წარწერებით. დაფაზე

წარია: საბჭოთა კავშირის გმირი პავლე დერჟავინი, საბჭოთა კავშირის გმირი უფროსი ლეიტენანტი კონსტანტინე ვორობიოვი, საბჭოთა კავშირის გმირი ლეიტენანტი მიხეილ აშიკი, ლეიტენანტი პავლე კირსანოვი, ლეიტენანტი ნიკოლოზ გრიგოროვი, ლეიტენანტი ნიკოლოზ პოდილუტკი, უფროსი ლეიტენანტი სემიონ კლოპოვსკი, სამედიცინო და ვერა ივასიშინა და სხვა.

ამ ხეივანში ჩვენი მზვერავების ვასილი გლობას, ალექსი გურას, გრიგორი კოცარის, ალექსანდრე ოზვეკოვის ხეებიცაა დარგული. ძლიერ ვამაყობ, რომ აქ ჩემი ხეც იზოდება. საბჭოთა მებრძოლების ხეივანს უნგრელი პიონერები უვლიან.

საბრძოლო დიდების სასკოლო მუზეუმში ნორჩმა უნგრელმა მეგობრებმა დიდი ადგილი დაუთმეს ესტერგომის დესანტს. აქ არის თავმოყრილი ფოტოსურათები, წერილები, ბრძოლის მონაწილეთა მოგონებები, რასაც სათუთად აგროვებდნენ უნგრელი კომკავშირელები მასწავლებელ მარი სეკერეშის ხელმძღვანელობით.

რამდენიმე წლის წინ უნგრეთის განთავისუფლების 30 წლისთავთან დაკავშირებით დანუში ახალგაზრდა უნგრელ მეომართა დელეგაცია ჩამოვიდა. დელეგაციის ხელმძღვანელმა ოტო რიტერმა გადმომცა უნგრელი ამხანაგების გულთბილი წერილი და საიუბილეო მედალი — „სამახსოვროდ დუნაის ფლოტილიის მეზღვაურებს“.

წერილი და მედალი გადავეცი წითელდროშოვანი შავი ზღვის ფლოტის მუზეუმს.

თავი 6

დესანტი იმპერიის ხიდზე

აპრილის დასაწყისში შეტევაზე გადასულ ჩვენს ნაწილებთან ერთად სლოვაკიის დედაქალაქ — ბრატისლავას გახთავისუფლებაში დუნაის სამხედრო ფლოტილიაც იღებდა მონაწილეობას. ქალაქში პირველნი ჩვენი ჯავშნოსანი კატარღები შეიჭრნენ. მეთაურ კატარღაზე, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი ბორის ბალევი მეთაურობდა, იმყოფებოდა ჩემი იუგოსლავიელი მეგობარი ლოცმანი ბუდიმირ პეტროვიჩი.

ბრატისლავა სუფთა, კეთილმოწყობილი და მყუდრო ქალაქია. მის გარეუბნებში ბევრი ხეხილის ბაღი და ხეივნებია გაშენებული.

სლოვაკიის მაცხოვრებლებმა ძლიერ გულთბილად მიგვიღეს. ეს ნამდვილად ძმური შეხვედრა იყო.

მოსალამოვდა. დუნაის უბეულში ნავსადგომთან იდგნენ ჩვენი ჯავშნოსანი კატარღები. იმათთან იყო მიკედლებული ჩვენი პატარა ნახევარგლისერიც. სამივე — ვასილი გლობა, ლიუბიშ ეორეევიჩი და მე იქ ვიყავით. მე ძრაგას ვათვალიერებდი, ჩემი ამხანაგები კი ბენზინის ავზს ავსებდნენ.

ნახევარგლისერთან შიკრიკმა მოირბინა შტაბიდან და ბარათი გადასცა გლობას.

— შტაბში გვეძახიან. მოემზადეთ, წავიდეთ, — გვითხრა გლობამ.

საჩქაროდ შტაბში მივიდით.

აქ მე სასიხარულო შეხვედრა მელოდა. შტაბის შესასვლელთან იდგა ფლოტის უფროსი ლეიტენანტი, მაღალი, მხარბეჭიანი ვაჟაცი. მკერდს ორდენი უმშვენებდა. უცებ ვიცანი. ეს გახლდათ ჩემი სკოლელი სიმონ გაჩეჩილაძე. თბილისის რკინიგზის მეორე სკოლაში სიმონი ყველა სპორტული შეჯიბრების ორგანიზატორი იყო. ომის დროს იგი ფლოტის ოფიცერი გახდა და შავ ზღვაში ბრძოლების დროს დიდად გამოიჩინა თავი; მასზე ბევრს წერდნენ შავი ზღვის ფლოტის გაზეთები: სმენაზე დავდექი და გაჩეჩილაძეს მივმართე:

— ამხანაგო უფროსო ლეიტენანტო! ნება მიბოძეთ, მოგმართოთ! — სიმონმა ყურადღებით ამათვალიერ-ჩამათვალიერა, მიცნო და თვალები გაუბწყინდა:

— ბიჭო ჩხეიძე, ჩვენო მოტომსრბოლელო, საიდან მოხვდი აქ? — ქართულად მომაძახა მან და გადამეხვია.

— აქ ვმსახურობ ფლაგმანის მზვერავთა რაზმში, — ვუპასუხე მე.

უფროს ლეიტენანტ სიმონ გაჩეჩილაძეს გავაცანი ჩემი საბრძოლო მეგობრები გლობა და ეორეევიჩი.

საფრონტო გზებზე იშვიათად თუ შეხვდებით სკოლის ამხანაგებს. ძალიან მინდოდა სიმონთან საუბარი, მაგრამ მეთაურმა გამოგვიძახა. იძულებული ვიყავი, სასწრაფოდ გამოვმშვიდობებოდი.

დუნაის სამხედრო ფლოტილიის შტაბის უფროსს გამოვეცხადეთ. პირველი რანგის კაპიტან სვერდლოვის გვერდით მაგიდას უსხდნენ უფროსი ოფიცრები — სამდინარო ხომალდების მეორე ბრიგადის მეთაური, მეორე რანგის კაპიტანი არქავკინი და სანაპირო თანხლების რაზმის ახალი მეთაური მაიორი იაკობ პასმუროვი. სვერდლოვი გულთბილად შეგვხვდა და სკამზე მიგვითითა, დასხედითო. შტაბის უფროსმა გვითხრა:

— ბრატისლავას ზემოთ, ავსტრიის ტერიტორიაზე უნდა დაზვეროთ დუნაის ორივე ნაპირი. გამოარკვიეთ გერმანელთა ნაწილების განლაგების ადგილები და დააზუსტეთ, მოწინააღმდეგეს აქვს თუ არა დუნაის ნაპირების გასწვრივ მოწყობილი ხანგრძლივი მოქმედების თავდაცვის სისტემა. აგრეთვე გაიგეთ, იმ რაიონში დუნაიზე არის თუ არა ნაღმები.

სვერდლოვმა წარმატება გვისურვა და გამოგვისტუმრა.

დუნაის უბედან ნახევარგლისერი გავიდა. ჩვენ წინ აღიმართა დუნაიში ჩაწოლილი აფეთქებული ხიდის ფერმები. ფრთხილად გავაძვრინე ნახევარგლისერი აფეთქებული ხიდის ნანგრევებს შუა და სიჩქარეს ვუმატე.

მალე უკან მოვიტოვეთ ღამის წყვიადში ჩაფლული ბრატისლავა.

რამდენიმე კილომეტრიც და უკვე ავსტრიის ტერიტორიაზე ვიმყოფებით. აქ დუნაის ორასი მეტრი სიგანე აქვს, წყალი თხელია და მთის მდინარესავით ჩქარი. დუნაი ავსტრიაში ძლიერ ჩამოჰგავს ჩვენს მტკვარს, ფერიც ისეთივე აქვს. მარცხენა ნაპირის განსწვრივ ნახევარგლისერი ნელა მიცურავდა დუნაის ზემო დინებისაკენ და მტრის პოზიციებს უახლოვდებოდა. კიჩოსთან ვასილი გლობა და ლიუბიშ ჟორჟევიჩი იდგნენ.

მარცხენა ნაპირზე ხშირი ტყე გადაჭიმულიყო. სიბნელეს შეჩვეული თვალით ყველაფერს გარკვევით ვხედავდით, ყურადღებით ვათვალიერებდით ნაპირს, მაგრამ. მაღალი ხეების და ბუჩქების გარდა ვერაფერი აღმოვაჩინეთ.

გლობამ მიბრძანა, კატარღა გამეჩერებინა.

ნახევარგლისერი პირდაპირ ნაპირს მივაყენე.

გლობა და ჟორჟევიჩი მაღალი ბალახით დაფარულ ნაპირზე გადავიდნენ, ტყეში შევიდნენ და თვალთაგან დამეკარგნენ. მოთმინებით ველოდი ამხანაგებს. სიჩუმეს არაფერი არ არღვევდა. ასე,

თხუთმეტი წუთის შემდეგ ტყიდან გლობა გამოვიდა, მას უკან ჟორ-ჟევიჩი მოჰყვებოდა.

— ნახეთ რამე? — ვკითხე მე მათ.

— ტყეში გერმანელები არ არიან, მათი ნაკვალევიც კი არა ჩანს. საინტერესოა, სად იწყება ფრონტის ხაზი? — უკმაყოფილო ხმით თქვა გლობამ.

ჯგუფის უფროსი და ჟორჟევიჩი ნახევარგლისერზე გადმოხტ-ნენ. მოტორი ჩავრთე. ისევ ფრთხილად გავცურეთ დუნაის ზემო დინებისაკენ.

წინ პატარა სახლი გამოჩნდა, გადავწყვიტეთ, ნაპირზე გადავსუ-ლიყავით, იქნებ რაიმე გაგვეგო სახლის ბინადართაგან.

ნახევარგლისერი სახლის პირდაპირ მიადგა ნაპირს. ძრავა გა-მოვრთე. ნაპირიდან თხუთმეტი მეტრის მოშორებით მაღალი ღო-ბით შემორაგვული პატარა ხის სახლი იდგა.

სახლში ბნელოდა.

— შეიძლება ამ სახლში გერმანელი ჯარისკაცები დგანან? — იკითხა გამოცდილმა ჟორჟევიჩმა.

— მართალი ხარ, ფრთხილად უნდა ვიყოთ, — დაეთანხმა გლობა.

სამივე მსვერავი, ნაპირზე გადავედით ავტომატმომარჯვებული კატარღის ახლოს გავჩერდი. გლობა და ჟორჟევიჩი სახლისაკენ გა-ემართნენ. გლობა ღობესთან შეჩერდა და ავტომატის ლულა სახ-ლისაკენ მიმართა. ჟორჟევიჩმა ჭიშკარი გააღო და ეზოში გაბედუ-ლად შევიდა. სახლის მარცხნივ ჭა იყო, მარჯვნივ კი ფარდული, რომლის ახლოს დიდი ნაგაზი ება. უცხო კაცი რომ დაინახა, ძაღლ-მა ყეფა ატეხა. ჟორჟევიჩმა ყეფას ყურადღება არ მიაქცია, სახლის კარს მიადგა და ფრთხილად დააკაკუნა. მალე ფანჯრის იქით ნავთის ლამპა აკიაფდა.

კარი გაიღო. ზღურბლზე დაახლოებით ორმოცი წლის მაღალ-მაღალი ავსტრიელი იდგა. ტყავის ქურთუკი, ტყავის შარვალი და რეზინის ჩექმები ეცვა. ავსტრიელი მეთევზე შეშინდა, როცა სამ-ხედრო ფორმაში გამოწყობილი, ავტომატით შეიარაღებული კაცი დაინახა.

ჟორჟევიჩმა დაამშვიდა და გერმანულად უთხრა:

— ნუ გეშინია, საბჭოთა არმიის მეომრები ვართ, შენთან ჩვენს მეთაურს სურს ლაპარაკი.

გლობამ სწრაფად გამოარკვია, სად გადიოდა მოწინავე ხაზი. აღმოჩნდა, რომ ჩვენ ავსტრიის ცნობილ ნაკრძალში ვიმყოფებოდით. მეთევზემ ყველაფერი გვიამბო, რაც კი იცოდა გერმანელთა ჯარების განლაგების შესახებ.

— ნაღმები თუ არის დუნაის ამ უბნებში? — იკითხა გლობამ.

— აქ, დუნაიზე, ნაღმები არ არის, — მტკიცედ უპასუხა ავსტრიელმა მეთევზემ, — მაგრამ ორი დღის წინათ გერმანელმა ჯარისკაცებმა ნაკრძალის გასწვრივ დუნაიში ქვებით დატვირთული რამდენიმე კარჭაპი ჩაძირეს.

ეს უკანასკნელი ცნობა ჩვენთვის ყველაზე საინტერესო იყო. ფლოტილიის გემებს ეს გზა უნდა გაეარათ, აქ კი დაბრკოლებები იყო. აი, მეთევზე რომ დაგვთანხმდეს მეგზურობაზე!..

— ჩვენი თხოვნაა, გვიჩვენოთ დუნაიში ის ადგილები, სადაც გერმანელებმა კარჭაპები ჩაძირეს.

ავსტრიელი უყოყმანოდ დაგვეთანხმა.

სახლიდან ხანშიშესული სქელი ქალი გამოვიდა და შეშფოთებული ჭიშკარს მოადგა.

ფრანცმა — ასე ერქვა ჩვენს ახალ ავსტრიელ მეგობარს — ალერსიანად უთხრა ცოლს:

— კლარა, ნუ ღელავ, მალე დავბრუნდები.

ოთხივე თავისუფლად მოვთავსდით ნახევარგლისერზე.

ამუშავდა მოტორი. ფრანცი კატარღის მარჯვენა მხარეს იჯდა ჩემ გვერდით. მე გერმანულად მივმართე:

— საიდან დავიწყოთ ძიება?

— ქვემოთ უნდა დავეშვათ, — მიპასუხა ფრანცმა.

ნახევარგლისერი მოვაბრუნე და ნელი სვლით ნაპირიდან ახლოს ტყის გასწვრივ წავიყვანე, ფრანცი დაძაბულად იყურებოდა წინ. დროდადრო ხან ნაპირს მისჩერებოდა, ხან დუნაის, აი, უკვე იმ ხიდს მივუახლოვდით, საიდანაც ნაკრძალი იწყებოდა. ფრანცმა ხელი ასწია და თქვა:

— შეაჩერეთ!

კატარღა გავაჩერე. ფრანცმა ხელით გვაჩვენა, სად იყო ჩაძირული კარჭაპი. ეს ადგილი ნაპირიდან ექვსი მეტრით თუ იქნებოდა დაცილებული და ამან ძლიერ გაგვაკვირვა, მაგრამ ფრანცმა აგვიხსნა:

— დუნაის მარჯვენა ნაპირთან წყალი მეტად თხელია და მხოლოდ მარცხენა ნაპირთან ოცდაათი მეტრის სიგანეზეა გამოსადეგი სანაოსნოდ. იმისათვის, რომ გზა გადაუღობონ საბჭოთა ხომალდებს, აი, სწორედ აქ ჩაძირეს კარჭაპები ფაშისტებმა.

გლობამ და ჟორჟევიჩმა გრძელი ჯოხებით მოსინჯეს წყალქვეშა კარჭაპი. მდინარება მათ ხელს უშლიდა მუშაობაში, მაგრამ ამხანაგები ენერგიულად და ზუსტად მოქმედებდნენ. ოთხი მეტრი სიგანისა და ოცი მეტრი სიგრძის კარჭაპი მდინარის ფსკერზე გაწოლილიყო. ფარვარტერით მიმავალი ხომალდი აქ აუცილებლად შეეჯახებოდა ამ წყალქვეშა ზღუდეს.

ჩვენ გავზომეთ წყლის სიღრმე კარჭაპის მარჯვნივ და მარცხნივ და აღმოვაჩინეთ ადგილი, სადაც თავისუფლად გაივლიდნენ დუნაის ფლოტილიის ხომალდები. ეს ადგილი დავიმახსოვრეთ.

ნახევარგლისერი ზემოთ წამოვიყვანეთ, მაგრამ ასი მეტრიც არ გექონდა გავლილი, ფრანცმა კვლავ შეგვაჩერა, აქაც წყალქვეშ ჩაძირული კარჭაპი აღმოვაჩინეთ. გარეშემო დავათვალიერეთ. ასე, ერთი კილომეტრის მანძილზე აღმოვაჩინეთ და გულმოდგინედ დავათვალიერეთ რვა ჩაძირული კარჭაპი, რომელთა ახლოს მოვნახეთ გასასვლელები ჩვენი ხომალდებისათვის.

პირველი უმნიშვნელოვანესი ამოცანა შესრულებული იყო. ახლა დუნაის მარჯვენა ნაპირზე შევუდექით მდგომარეობის გამორკვევას.

ჩვენი კატარღა მეტად ფრთხილად და ნელა მიუახლოვდა მარჯვენა ნაპირს. როგორც ფრანცმა გაგვაფრთხილა, დუნაის მარჯვენა ნაპირთან წყალი მეტად თხელი აღმოჩნდა. მიუხედავად ამისა, ნახევარგლისერმ პირდაპირ მიადგა ნაპირს.

მარჯვენა ნაპირთან გაშლილ ღია მინდორზე სიბნელეში ადამიანების ჯგუფი შევამჩნიეთ. გარკვევით გავიგონეთ რუსული ლაპარაკი.

— აქ ჩვენები მოსულან უკვე, — თქვა ვასილი გლობამ.

ვასილი ნაპირზე გადავიდა, მაგრამ რამდენიმე ნაბიჯის გადადგმა ვერ მოასწრო, რომ გუშაგის მრისხანე შეძახილი გაისმა:

— სდექ! ვინ მოდის?

გლობა შეჩერდა და მშვიდად უპასუხა:

— თქვენები ვართ, მეზღვაურები!

გლობას საბჭოთა არმიის სამი ჯარისკაცი მიუახლოვდა. მალე მათ შორის მეგობრული საუბარი გაჩაღდა. ჯარისკაცებმა გვითხრეს:

— გუშინ საღამოს დუნაის მარჯვენა სანაპირო ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს. მაგრამ აქედან ზემოთ ერთ კილომეტრზე გერმანელები არიან.

მზვერავთა ჯგუფის მეთაური კმაყოფილი დარჩა, ნახევარგლისერი მარცხენა ნაპირისაკენ დაბრუნდა და ნელა გაცურა წინ, მტრის პოზიციებისაკენ.

თანდათან ვუახლოვდებოდით ფაშისტების თავდაცვის მოწინავე ხაზს. ფრანცმა მხარზე გამკრა ხელი, მივხვდი, მანიშნა, მტერი ახლოაო. ერთი წუთის შემდეგ მარცხენა ნაპირზე გერმანელი ჯარისკაცები დავინახეთ, რომლებიც თავდაცვით ნაგებობებს აშენებდნენ.

ჩვენთვის ნათელი გახდა, რომ გერმანელებმა გადაწყვიტეს საბჭოთა ჯარების შეტევითი ოპერაციები დუნაის მარცხენა ნაპირზე შეეჩერებინათ.

ნახევარგლისერი მტრის თავდაცვის სიღრმეში შევიდა, მაგრამ გერმანელებმა შეგვამჩნიეს და ცეცხლი დაგვიშინეს. თვალის დახამხამებაში შემოვაბრუნე ნახევარგლისერი და საავარიო სისწრაფე ჩავრთე. კატარღა დიდი სისწრაფით გაიჭრა მდინარეზე, უკანიდან მტრის ტყვიები მოგვდევდნენ. ნაპირზე დაყენებულმა მტრის ტყვიამფრქვევმა ცეცხლი დაგვიშინა. ტყვიები ყურებთან გვიზუზუნებდა. აი, გამოჩნდა მოსახვევი და ნახევარგლისერი მტრის თვალს მიეფარა.

შევატყვე, რომ ჩემ გვერდით მჯდომი ფრანცი ცუდად გრძნობდა თავს. გავიფიქრე ჩვენმა ფრანცმა პირველი საბრძოლო ნათლობა მიიღო-მეთქი.

სვლა შევანელე. ნახევარგლისერი სახლის მახლობლად ნაპირს მივაყენე და ფრანცი გადმოვსვი. გულითადი მადლობა გადავუხადეთ ჩვენს ავსტრიელ მეგობარს დაუზარელი დახმარებისათვის და გულთბილად გამოვემშვიდობეთ. ნახევარგლისერი ქვემოთ დაეშვა.

აი, გამოჩნდა დუნაის მარცხენა ნაპირზე განლაგებული ბრატისლავა. ნახევარგლისერი აფეთქებული ხიდის ქვეშ გაძვრა და დუნაის უბეში შევიდა.

დილის ოთხი საათი იყო.

უკვე შტაბში ვარ. შტაბის უფროსის კაბინეტში შევედით. სვერდლოვმა ძლიერ გაიხარა, როცა დაგვინახა.

მზვერავთა ჯგუფის მეთაურმა, მეორე თანრიგის ზემდეგმ› ვასილ გლობამ შტაბის უფროსს დაზვერვის შედეგების შესახებ უპატაკა.

5 აპრილს მედესანტეებით დატვირთული საბჭოთა საბრძოლო ხომალდები ბრატისლავის ნავმისადგომებიდან მოიხსნენ და დუნაის ზემო დინებისაკენ გაემართნენ.

დაიწყო ბრძოლები ავსტრიის განთავისუფლებისათვის.

1945 წლის 6 აპრილს სანაპირო თანხლების რაზმი მაიორ ი. პასმურნოვის მეთაურობით განლაგდა დუნაის მარჯვენა ნაპირზე და აქტიურად ჩაება ვენისათვის ბრძოლებში. რამდენიმე დღის შემდეგ საბჭოთა ჯარები დუნაის მარჯვენა ნაპირზე გამოვიდნენ და დედაქალაქის ჩრდილო-დასავლეთი ნაწილი დაიკავეს.

მახსოვს, გაზაფხულის თბილი დღე იყო. დუნაის სანაპიროდან დურბინდით ვათვალიერებდი ხიდებს — ვენისას და იმპერიისას. დანგრეული ვენის ხიდის მძიმე ფერმები წყალში ეყარა. მათზე ხმაურით მიჩხრიალებდა მდინარე. ჰიტლერელმა გენერლებმა ვენა წინააღმდეგობის მძლავრ კვანძად გადააქციეს. ქალაქის ქუჩები გადაკეტილი იყო მრავალრიცხოვანი ბარიკადებით. შენობებში საცეცხლე წერტები იყო მოწყობილი. ვენა უკანასკნელი ბასტიონი იყო გერმანიის სამხრეთი რაიონების მისადგომებთან.

ვენის ხუთი ხიდიდან ოთხი აფეთქებული იყო და მხოლოდ ერთი — იმპერიის ხიდი არ იყო ჯერ აფეთქებული. გერმანელ ფაშისტთა სარდლობა ყველაფერს აკეთებდა, რათა შეენარჩუნებინა ავსტრიის დედაქალაქის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ნაწილი. საბჭოთა ჯარების ძლიერი შემოტევის შესაჩერებლად გადაწყვეტილი იყო იმპერიის ხიდის აფეთქებაც, მას შემდეგ, რაც გერმანელთა ჯარები მთლიანად გადავიდოდნენ მარჯვენა ნაპირზე. ჩვენი ჯარების ცდა, ხელში ჩაეგდოთ ხიდი, მარცხით დამთავრდა.

საომარი ვითარების სწორად შეფასების შემდეგ სამდინარო ხომალდების ბრიგადის მეთაურმა, მეორე რანგის კაპიტანმა პ. არქევკინმა გაბედული გეგმა წამოაყენა: ერთდროულად გადაესხათ დე-

სანტი მდინარის ორივე ნაპირზე. ხილთ ეგდოთ ხიდი და ჩვენი ნაწილების ბოსკლამდე შეუპოსტეტეტეტ ...

საოდლობამ ეს გეგმა მოიწონა

1945 წლის 11 აპრილს გალიციადისას საბჭოთა არმიამ დაიკავა ვენის ჩრდილოეთი ვაგზალი. დილით, როცა გეომანელებმა დუნაისაკენ დაიხიეს და ბრძოლებიც უფრო გაძნელდა, დუნაის ფლოტილიის სარდლობამ დესანტის გადასასხმელად და იმპერიის ხიდის ხელში ჩასაგდებად იწყო მზადება.

მედესანტეები საარტილეროო ცეცხლით უნდა დაეცვა ჩვენს ნაპირო თანსლების რაზმს, ჯავშნოსან კატარღებს და აგრეთვე არმიის არტილერიას.

შეიქმნა მედესანტეთა რაზმი და დაცვის რაზმი უფროს ლეიტენანტ ს. ი. კლოპოვსკის მეთაურობით. მასში ხუთი ჯავშნოსანი კატარღა შეეიდა. ხოლო არტილერიული მხარდაჭერის რაზმი რვა ნაღმსატყორცნი კატარღისაგან შედგებოდა. ამ რაზმის მეთაური იყო უფროსი ლეიტენანტი გ. ი. ბობკოვი. სადესანტოდ გაოკეტეს მე-80 გვარდიული მსროლელთა დივიზიის გაძლიერებული ასეული, რომელსაც უფროსი ლეიტენანტი პილოსიანი მეთაურობდა.

ჩვენი ჯავშნოსანი კატარღები იმ ადგილის მასლობლად იდგნენ, სადაც ჩემი სამორიგეო და მტერზე სათვალთვალო პუნქტი იყო. კარგად ვხედავდი ჩვენს მეავტომატეთა ჩასხდომას. ასზე მეტი კაცი იქნებოდა, თან 45-მილიმეტრიანი ქვემეხი და ოთხი სადაზგო ტყვიამფრქვევი მოიტანეს. ორ კატარღაზე მოთავსდნენ.

ზუსტად 11 საათზე ხუთი ჯავშნოსანი კატარღა მოსცილდა მარჯვენა ნაპირს და იმპერიის ხიდისკენ გაემართა. კატარღებმა მწვიდობიანად გაიარეს დანგრეული ვენის ხიდი და მოწინააღმდეგის განლაგებაში მოხვდნენ.

ქალაქის ცენტრში დღისით-მზისით საბჭოთა საბრძოლო ხომალდების გამოჩენა მოულოდნელი იყო და ამან გერმანელებში დიდი არევ-დარევა შეიტანა.

მტრის დაბნეულობით ისარგებლა კატარღების მეთაურმა ს. კლოპოვსკიმ და ძლიერი ცეცხლი დაუშინა მდინარის ორივე მხარეს განლაგებულ მტრის ბატარეებს. მოწინააღმდეგემ მძლავრი ცეცხლით უპასუხა. განსაკუთრებით ზუსტი იყო ელევატორზე დადგმული მტრის ბატარეის ჭურვების აფეთქება.

ჰაერში ჩვენი მოიერიშე [illegible] ია [illegible]ლა. [illegible] [illegible]ძლავრი დარტყმა აგემა მტერს. კატაოლეები ბოროლით მიიწევდნენ ხინ, უახლოვდებოდნენ იმპერიის ხიდს. სანამ ჩვენი სამი ჯავშნოსანი კატარღა მანევრირებდა და ანადგურებდა მტრის საცეცხლე წერტილებს სანაპიროზე, დანარჩენი ორი კატარღა მედესანტეებით მათ გამოეყო. ჯავშნოსანი კატარღა უფროს ლეიტენანტ ა. პ. სინიავსკის მეთაურობით მარცხენა ნაპირისკენ გაემართა, მეორე კი უფროს ლეიტენანტ ა. პ. ტრეტიაჩენკოს მეთაურობით — მარჯვენა ნაპირისაკენ.

უფროსი ლეიტენანტი კლოპოვსკი შესანიშნავად წარმართავდა ბრძოლას. ახლაც ნაკლები მსხვერპლის გაღების მიზნით დესანტის გადასხმის ადგილზე საფარად კვამლის ფარდა გაუშვა. საბჭოთა მეომრები ხიდზე აიჭრნენ, გერმანელთა დაცვა მოსპეს და გადაჭრის ზონრები, რომლებიც ასაფეთქებლად გამზადებულ ნაღმებთან იყო შეერთებული.

იმპერიის ხიდი აფეთქებას გადარჩა და ჩვენს ხელში აღმოჩნდა. ჩვენი ჯავშნოსნების უკან დაბრუნება უფრო ძნელი აღმოჩნდა, ვიდრე წინ გაჭრა. გერმანელებმა დუნაის ორივე ნაპირზე ტანკები და თვითმავალი ქვემეხი წამოსწიეს წინ და საბჭოთა ხომალდებს ძლიერი ცეცხლი დაუშინეს. ერთი ჯავშნოსანი კატარღა ჭურვებისაგან ძლიერ დაზიანდა. ზოგზე ხანძრის ალი ავარდა, დაიჭრნენ მებრძოლებიც. მათ შორის იუგოსლავიელი ლოცმანი ბუდემირ პეტროვიჩი, რომელიც მეთაურ ხომალდზე იმყოფებოდა. ჩვენი ხომალდები საპასუხო ცეცხლს არ წყვეტდნენ, ბოლოს სროლის ზონიდან გამოვიდნენ და ჩვენი ჯარების განლაგებაში დაბრუნდნენ.

ამავე, როგორც კი ჩვენმა მედესანტეებმა ხელთ იგდეს იმპერიის ხიდი, ფაშისტებმა დაიწყეს გააფთრებული შეტევები. ხიდის დაკარგვის გამო ფაშისტთა მარჯვენა სანაპიროს დაჯგუფება მოწყვეტილი აღმოჩნდა. ხიდის დაცვას ხელმძღვანელობდა მამაცი მეთაური უფროსი ლეიტენანტი პილოსიანი.

საბჭოთა ჯარების სარდლობამ ყველა ღონისძიება იხმარა, რომ ფაშისტებს ვენა ბუდაპეშტივით არ დაენგრიათ. ამ მხრივ საბჭოთა მეომრებმა საზრიანობა და ბრძოლის დიდი ხელოვნება გამოამჟღავნეს. ისინი ათავისუფლებდნენ ქალაქის კვარტალებს და მოქმედი

მანევრირებით ვენის ღირსშესანიშნაობანი ნგრევას გადაარჩინეს. ფაშისტური ჯარები განსაკუთრებული თავგამოდებით ებღაუჭებოდნენ დუნაის სანაპირო რაიონებს და არავითარ მსხვერპლს არ ერიდებოდნენ იმპერიის ხიდის დასაბრუნებლად.

12 აპრილის ღამით და 13 აპრილის განთიადისას გერმანელები განუწყვეტლივ უტევდნენ ჩვენებს ხიდის ორივე მხრიდან. საბჭოთა მედესანტე გვარდიელები ძალთა დიდი დაძაბვით იგერიებდნენ ფაშისტების გააფთრებულ შემოტევებს. ჩვენი არტილერია ძლიერ ცეცხლს უშენდა ჰიტლერელებს და თავგამოდებით იფარავდა ხიდზე გადასხმულ საბჭოთა დესანტს. მიუხედავად ამისა, ჩვენი მედესანტეების მდგომარეობა მაინც მძიმე იყო.

13 აპრილს, დილის ექვს საათზე, მეზღვაურთა შემტევი რაზმი დუნაის სამხედრო ფლოტილიის შტაბის უფროსის, პირველი რანგის კაპიტნის სვერდლოვის ბრძანებით არტილერიის ცეცხლის საფარქვეშ იერიშზე გადავიდა და ვენის პირველი ხიდის რაიონში გერმანელთა თავდაცვის ხაზი გაარღვია. მეზღვაურებს წამოეშველნენ მე-80 გვარდიული დივიზიის ნაწილები. ისინი სანაპიროზე სწრაფად მიიწევდნენ წინ. ჩვენც ამხანაგების დასახმარებლად მთელი ძალებით მივიწევდით ხიდისაკენ. სახლების სახურავებზე ჩასაფრებული ფაშისტები შაშხანებიდან და ტყვიამფრქვევებიდან განუწყვეტლივ გვიშენდნენ ცეცხლს. ხშირად გზას გვიღობავდა გერმანელთა დამსხვრეული ქვემეხები და რკინა-ბეტონის ხანგრძლივი მოქმედების საცეცხლე წერტილების ნანგრევები, მაგრამ მაინც წინ მივიწევდით.

ჩემთან ერთად იბრძოდნენ უფროსი ლეიტენანტი კოჩკინი და ჩემი მეგობარი მზვერავები: ქუთაისელი შოთა მეავანაძე, ვასილი გლობა, გიორგი ვერეტენნიკოვი, ალექსი გურა, ანატოლი სემიონოვი, სერბი ლიუბიშ ჟორჟევიჩი და კატია მიხაილოვა. მე და კატია არაერთხელ გაგვგზავნეს მეკავშირე მზვერავებად მედესანტეებთან. ეს ლენინგრადელი გოგონა მუდამ გვანცვიფრებდა სიმამაცით და საზრიანობით.

ფაშისტები ტყვიებს ყოველი მხრიდან გვიშენდნენ და ჩვენი რიგებიც თანდათან თხელდებოდა. მე ავტომატის ცეცხლით ვიფარავდი კატიას. აი, უკვე საბჭოთა მეომრები ხიდის მისადგომებთან

ვართ. სწორედ ამ დროს ჩვენმა თვითმავალმა ქვემეხებმა ფაშისტებს ცეცხლი დაუშინა.

ვაშა! პოლუნდრა მოვიდა! — დაიღრიალა ვიღაც ზორბა ჯარისკაცმა და ჩვენ შესაგებებლად გამოვარდა. მტრის მეავტომატეები სწრაფად გარბოდნენ, ისინი ახლა მხოლოდ ერთს ფიქრობდნენ — სიცოცხლე გადაერჩინათ.

უნდა ითქვას, რომ ჩვენს მედესანტეებს მართლაც დროზე მივუსწარით. გვარდიელებს უკვე ტყვია-წამალი ელოდათ, მათ შეთხელებულ რიგებში ბევრი დაჭრილი იყო.

მახსოვს აღგზნებული, გაწამებული სახეები, დაწითლებული თვალები. ტყვიებისაგან დათხრილ ასფალტზე მიმობნეული ვახნები. გვარდიელები გაკვირვებული შესცქეროდნენ კატია მიხაილოვას — ამ პატარა გამხდარ გოგონას, რომელიც მეზღვაურებთან ერთად გააფთრებული იბრძოდა ხიდისთვის.

მალე მაშველი ძალები — ჩვენი ტანკები და გვარდიული ქვეითი ნაწილები გამოჩნდნენ. მათ შეუფერხებლად გადალახეს იმპერიის ხიდი და შეტევა დუნაის მარცხენა სანაპიროზე განავითარეს.

1945 წლის 13 აპრილს, დღისით, ავსტრიის დედაქალაქი ვენა განთავისუფლებულ იქნა.

მეორე დღეს დუნაის ფლოტილიის მზვერავები გაგვიშვეს განთავისუფლებული ქალაქის დასათვალიერებლად.

ავსტრიის დედაქალაქში კულტურის ბევრი ძვირფასი ძეგლია, განსაკუთრებით მომეწონა წმინდა სტეფანეს ტაძარი. ავსტრიელები მუსიკალური ხალხია. სახლების ღია ფანჯრებიდან ისმოდა აკორდეონის და ვიოლინოს ხმები.

გავეცანით ვენის სხვა „ღირსშესანიშნაობებსაც". დედაქალაქის მახლობლად დიდი საკონცენტრაციო ბანაკი იყო. იმ დროს დასახელება მაუდჰაუზენი ჯერ არაფერს გვეუბნებოდა ჩვენ. მაგრამ ავსტრიელებმა გვიამბეს რამდენი საბჭოთა სამხედრო ტყვე დაიღუპა აქ. განსაკუთრებით შეგვაძრწუნა იმ ამბავმა, რომ 1945 წლის თებერვალში ფაშისტებმა ყინვაში საცვლების ამარა ტყვეთა ჯგუფი გამოიყვანეს და სახანძრო მილებით წყალი მიუშვეს. ამ სამხედრო ტყვეთა შორის იყო გენერალ-ლეიტენანტი კარბიშევი.

ვენის განთავისუფლების შემდეგ 1945 წლის 16 აპრილს სარდლობის ბრძანებით მე და უფროსი ზემდეგი გრიგორი გრიგოროო-

ვიჩი ბუდაპეშტში დაგვაბრუნეს. ომი დასასრულს უახლოვდებოდა. ახლა მხვერავებხე მეტად ფლოტილიას დუნაიზე ხომალდების გასაყვანად გამოცდილი ლოცმანები სჭირდებოდა. სწრაფმავალი კატაოლა გადმოგვცეს, გრიგორი კატარღის მეთაური გახდა, მე კი — მესაპე, კიდევ ორი ახალგაზრდა მეზღვაური მოგვცეს მოტორისტად.

იმავე დღეს მივიღეთ პირველი საბრძოლო დავალება — საბრძოლო ხომალდების და ჯარით დატვირთული სამხედრო ტრანსპორტის რაზმი უნდა გაგვეყვანა ბუდაპეშტის დანგრეულ ხიდებს შორის, ხოლო შემდეგ დანაღმულ ველზე ქალაქ ბრატისლავამდე.

ნაცნობი უბანი იყო და ეს დავალება ჩვენთვის სირთულეს არ წარმოადგენდა.

ასე გადაება დღე დღეს.

ერთხელ, ჩვეულებრივი რეისის შემდეგ ჩვენი კატარღა ბუდაპეშტში ბრუნდებოდა. უნგრეთის მარჯვენა სანაპიროს გასწვრივ ნივდიოდით. შემოგვხვდნენ ჩვენი ტრალერები პირველი დივისიონიდან, რომელსაც კაპიტან-ლეიტენანტი ი. გრიცენკო მეთაურობდა. ერთ-ერთი მათგანის „მაიკანის“ შემადგენლობა ინტერნაციონალური იყო — მასზე რუმინელი და საბჭოთა მეზღვაურები მსახურობდნენ. ტრალერს საბჭოთა ოფიცერი მეთაურობდა.

„მაიკანი“ მარჯვენა დანაღმულ ნაპირთან ნელა მიიწევდა, წინ ტრალერები დაეყენებინათ. ჩვენ სწრაფად ჩავუქროლეთ მას. მალე ხომალდი მოსახვევს იქით გაუჩინარდა. უცებ, უკან ძლიერი აფეთქების ხმა გავიგეთ. გრიგოროვიჩმა მიბრძანა:

— უკან დაბრუნდი!

მალე მძლავრად დაქანებული ხომალდიც გამოჩნდა. ცხვირის ნაწილი აფეთქების შედეგად მოგლეჯილი ჰქონდა. იგი სწრაფად იძირებოდა. როდესაც მივუახლოვდით, გემბანი უკვე წყალქვეშ იყო. მხოლოდ სამი მეზღვაურის გადარჩენა მოვასწარით. სამივე მძიმედ დაჭრილი, უგონოდ იყო. მეზღვაურები პეშტის საბჭოთა ჰოსპიტალში ჩავიყვანეთ.

აი, ასე, ყოველდღე ჩვენს კატარღას გაჰყავდა ხომალდები დუნაიზე, სანამ არ მოხდა ის საბედისწერო აფეთქება, რომელმაც მთელი ჩემი ცხოვრება გადააბრუნა.

თავი 7

რაზმი „ძიება“

მძიმე მდგომარეობაში ჩამიყვანეს ქალაქ ბრატისლავაში. საბჭოთა ჰოსპიტლის მთავარმა ქირურგმა რამდენიმე რთული ოპერაცია გამიკეთა პატარა პალატაში მომათავსეს. ორი დღე-ღამის განმავლობაში სიკვდილის პირას ვიყავი, უგონოდ ვიწექი. ბოლოს სპორტსმენის ნაწრთობმა და ახალგაზრდა ორგანიზმმა გაიმარჯვა. და გონს მოვედი.

„ნეტავი, სადა ვარ?“ — გავიფიქრე. ვგრძნობდი, რომ თავიდან ფეხებამდე შებანდული ვიყავი. მტკიოდა დაზიანებული ხერხემალი, გვერდზე გადაბრუნების თავი არა მქონდა. ძალიან მაწუხებდა ჭრილობები.

ყოველ დილით საკაცით მივყავდით საოპერაციოში. კერავდნენ და კემსავდნენ ჩემს სხეულს, მიცვლიდნენ სახვევებს, არტაშანებს და ისევ მაბრუნებდნენ პალატაში.

ვიღაც გამუდმებით თან დამყვებოდა. მზრუნველ ხელებს სათუთად გადმოვყავდი საოპერაციო მაგიდიდან, ისინი ფრთხილად მაწვენდნენ საკაცეზე, უხმაუროდ მიმაგორებდნენ პალატაში. მისწორებდნენ ბალიშს, ფრთხილად მასხამდნენ პირში ჩაის და კომპოტს. ვიღაც ხშირად იხრებოდა ჩემს სასთუმალთან, ტუჩებით ეხებოდა ჩემს ყურს და რაღაცას მეუბნებოდა, ვგრძნობდი ყურთან ჰაერის ნაკადს, მაგრამ არაფერი არ მესმოდა. გინდაც გამეგო, მაინც ვერ ვუპასუხებდი, რადგანაც ყელში მიღებული ჭრილობის გამო მხოლოდ ვხროტინებდი, ლაპარაკი არ შემეძლო.

ვგრძნობდი ქალის თმისა და გახამებული ხალათის სურნელს. მაგრამ ვინ იყო ჩემი მზრუნველი მომვლელი, კიდევ დიდხანს ვერ გავიგე. დღე დღეს მიჰყვებოდა. ცოცხალი ვიყავი და ამით ძლიერ ვაოცებდი და ვახარებდი ჩემს ექიმებს.

მოგვიანებით გავიგე, რომ სიცოცხლეს უნდა ეუმადლოდე არა მარტო ჩვენი ქირურგების უნარს და ცოდნას, არამედ ექთან ტოსია მიხაილოვას განუწყვეტელ ზრუნვას და ყურადღებას. ბევრი სისხლი მქონდა დაკარგული და ტოსიამ რამდენიმეჯერ გაიღო თავისი სისხლი ჩემთვის.

ჩემი საბრძოლო მეგობრები ყოველდღე მოდიოდნენ ჩემ სანახავად.

ორი კვირის შემდეგ მარჯვენა ყურმი სმენა აღმიდგა, ხოლო ექიმებმა ყელი ისე განმიკურნეს, რომ ლაპარაკი შევძელი. ერთი თვის შემდეგ წარმატებით გამიკეთეს მარცხენა თვალის ოპერაცია და მხედველობაც აღმიდგინეს 40 პროცენტით. ეს საკმარისი იყო, რომ დღისით თავისუფლად მევლო და ნათლად დამენახა გარემო.

თვალის ოპერაციის შემდეგ პალატაში გადმომიყვანეს და ისევ ჩემს საწოლზე, ფანჯარასთან დამაწვინეს. ჩემთვის კარგად ნაცნობმა ხელებმა ფრთხილად შემხსნეს სახვევი მარცხენა თვალზე. პირველად ტოსია მიხაილოვა დავინახე. იგი ჩემს საწოლთან, სკამზე იყო ჩამომჯდარი. მე ცნობისმოყვარეობით ვათვალიერებდი თეთრხალათიან ქალიშვილს, რომელმაც სიცოცხლე შემინარჩუნა. ტოსია ასე, ოცდაორი წლის სანდომიანი, ქერათმიანი გოგონა იყო, უკვე მთელი თვე ვიცნობდი ტოსიას, დღეს კი პირველად ვხედავდი. გამომეტყველება ტოსიას ისეთი ჰქონდა, როგორსაც წარმოვიდგენდი ხოლმე ჩემი უსინათლობის დროს, სახის ნაკვთები კი სრულიად უცნობი იყო ჩემთვის.

ტოსიამ შეამჩნია ჩემი მზერა და შემეკითხა:

— ალიოშა, მიცანი?

— რასაკვირველია.

მან ფანჯრის რაფაზე და მაგიდაზე მდგარ ყვავილებით სავსე ლარნაკებზე და ქილებზე მანიშნა:

— ხედავ, რამდენი ყვავილია? შენმა მეგობარმა მეზღვაურებმა მოიტანეს.

— ტოსია, შეიძლება თაიგული გაჩუქო?

გოგონამ გაიღიმა.

— საღამოს მორიგეობას რომ დავამთავრებ, შემოგიღლი და მაშინ, — მიპასუხა მან.

ზაფხულის მზიანი დღე იყო. ღია ფანჯრებში თბილი, სუფთა ჰაერი შემოდიოდა. ვტკბებოდი დღის სინათლით. ძალიან სასიამოვნო იყო სინათლის შეგრძნება, ადამიანების დანახვა და მოსმენა. გაურკვეველი სიხარული დამეუფლა. იმასაც კი ვფიქრობდი, მალე გამოვჯანმრთელდები და დუნაის ფლოტილიაში დავბრუნდები-მეთქი. რა ვიცოდი, რა მდგომარეობაში ვიყავი.

ტოსიამ ჩემი პალატის მეზობლები გამაცნო. ორნი იყვნენ: ჩემგან მარცხნივ იწვა ახალგაზრდა მფრინავი — სერჟანტი გიოოგი დურაკოვი, კარებთან მძიმედ დაჭრილი ციმბირელი არტილერისტი იწვა. მას ხერხემალი ჰქონდა დაზიანებული.

ტოსია პალატაში მიმოდიოდა და მალულად თვალს მადევნებდა. ვგრძნობდი, რომ მას რაღაცის შიში ჰქონდა; მაგრამ რისი, ვერ მივმხვდარიყავი. თბილოდა და მხოლოდ ზეწარი მეფარა. ტოსია ცოტა ხნით გავიდა. მე კი მაშინვე მოვინდომე ჩემი სხეულის დათვალიერება. მაგრამ როგორ მომეხერხებინა ეს, როცა გადაბრუნება არ შემეძლო.

თავის წამოწევა ვცადე, მაგრამ თავბრუ დამეხვა, დაწოლილმა განვაგრძე გამოკვლევა: ოდნავ ავწიე მარჯვენა ფეხი, თითები ავამოძრავე, მუხლში მოვხარე. მარჯვენა ფეხი კარგად მეხრებოდა, მხოლოდ ჭრილობები მტკიოდა. გავისინჯე მეორე ფეხიც. ისიც მთლიანად შეხვეული მქონდა და უფრო ძლიერ მაწუხებდა.

„ჭრილობები რომ მტკივა, არაფერია, მთავარია, ფეხები მთელი მაქვს, — ვმსჯელობდი ჩემთვის, — მაგრამ ხელები რატომ არ მემორჩილება?“

ძლივძლივობით ავწიე მარჯვენა ხელი, შეშფოთებულმა დავინახე, რომ იდაყვამდე ხელი არა მქონდა, ამ მოულოდნელმა უბედურებამ გამაოგნა.

„საშინელებაა... ვაითუ მარცხენაც არა მაქვს?“ — გავიფიქრე შეწუხებულმა, — არა, ეს შეუძლებელია!“ — თავი დავიმშვიდე.

აღელვებულმა სწრაფად ავწიე მარცხენა ხელიც და ორიოდ წუთი მეხდაცემულივით ვიწექი. ვერ მომენელებინა უდიდესი უბედურება, რომელიც თავს დამატყდა. „იქნებ მომეჩვენა, რომ ხელები არა მაქვს“, გავიფიქრე იმედით და დიდი გაჭირვებით ისევ ავწიე მარჯვენა ხელი, ნათლად გავარჩიე მოკვეთილი ხელის ტაკვი. ეჭვი აღარ მქონდა.

„უხელო ხეიბარი ვარ!“ — მწარედ გავიფიქრე და თვალთაგან ცრემლი წამსკდა.

პალატაში შემობრუნებულმა ტოსიამ ყველაფერი დაინახა, მაგრამ არ მოვიდა ჩემთან. რისთვისაც ძლიერ მადლიერი დავრჩი ბიჭისი. ჩემი ცხოვრების ამ ყველაზე მძიმე წუთებში მარტო ყოფნა მერჩია...

ცრემლმა სახეზე ბანდები სულ დამისველა. ეს გულიდან აღმოხეთქილი, სისხლნაოევი ცოცხლი იყო. უხმოდ ვქვითინებდი, სხეული მიკანკალებდა. მწარე ცრემლებით ვეთხოვებოდი ჩემს ხელებს, თავისუფლებას, ახალგაზრდობას.

ჩამეძინა. როდესაც გამომეღვიძა, უკვე საღამო იყო. მაგიდაზე ვახშამი იდგა. ჩემ გვერდით ნამტირალევი ტოსია იჯდა. უხერხულობა ვიგრძენი, რომ ჩემი უბედურებით ეს სიმპათიური გოგონა შევაშფოთე. ტოსიამ ჩუმად მკითხა:

— ალიოშა, იქნებ ცხელი ჩაი დალიო?

რაიმეს ჭამა ან დალევა იმ მდგომარეობაში ჩემთვის მძიმე სასჯელი იყო, მაგრამ ტოსიას წყენინების მომერიდა.

— კარგი, — დავეთანხმე გულგრილად.

ტოსიამ თლილი ჭიქით ცხელი ჩაი ფრთხილად დამალევინა. ვახშმის შემდეგ იგი ისევ ჩემს საწოლთან დაჯდა, საუბარი გამიბა სულ გარეშე თემაზე — იგონებდა ლენინგრადში, საშუალო სკოლაში გატარებულ სწავლის წლებს. ვუსმენდი მას და ვერ შევამჩნიე, როგორ ჩამეძინა.

დილით რომ გავიღვიძე, პალატაში მზის სხივები თამაშობდნენ. ჩემს მეზობლებს უკვე გაეღვიძათ. პალატა მოვათვალიერე, ტოსია აღ იყო. ჩემი პალატის მეზობელი, მაღალ-მაღალი მფრინავი წინ და უკან დააბიჯებდა. მან შეამჩნია, რომ ვიღაცას ვეძებდი, მოძიახლოვდა და მხიარულად მითხრა:

— გაიღვიძე, მეზღვაურო? ტოსიას ეძებ? მოვა, მალე მოვა შენი ტოსია.

რამდენიმე წუთის შემდეგ პალატაში მართლაც შემოვიდა ტოსია. საუზმე მოიტანა. ამჯერად ჭამაზე უარი არ მითქვამს, ყველაფერი შევჭამე, რაც მოიტანეს, და ტოსიას ქება დავიმსახურე. თავი მშვიდად მეჭირა. მაგრამ გულში ძლიერ დამწუხრებული ვიყავი. მე მგონი, ტოსიამ შეამჩნია ეს, საუზმის შემდეგ გვერდით მომიჯდა და თითქოს შემთხვევით მითხრა:

— ოდესაში, ცნობილი თვალის ექიმი, აკადემიკოსი ფილატოკი ცხოვრობს. იგი დაგიბრუნებს მხედველობას მარცხენა თვალში. ამას წინათ, — განაგრძობდა ტოსია, — სამედიცინო ჟურნალში წავიკითხე, რომ მოსკოვის პროთეზირების სამეცნიერო ინსტიტუტში გამოიგონეს ხელების აქტიური პროთეზები. გაგიკეთებენ ასეთ

პროთეზებს და თავისუფლად შეძლებ წერო და იმუშაო, დამოუკიდებლად ჩაიცვა და ჭამო.

ტოსიას მფრინავიც კვერს უკრავდა, მანაც თქვა, მეც გამიგია ასეთი პროთეზების არსებობაო.

მაშინ დავუჯერე ამ ოცნებას და გულზე მომეშვა. ადამიანი, უმძიმეს მდგომარეობაშიც კი, ყოველგვარ იმედს ებღაუჭება.

გავიდა ზაფხულის თვეები. წარმატებით მმკურნალობდნენ ბრატისლავას სამხედრო ჰოსპიტალში. ძლიერ შევეჩვიე ექთან ტოსია მიხაილოვას და ჩემი პალატის ამხანაგებს. სამწუხაროდ, იძულებული ვიყავი მათ დავშორებოდი.

1945 წლის აგვისტოს შუა რიცხვებში ჩეხოსლოვაკიიდან დაიწყეს საბჭოთა ჰოსპიტლების გადმოყვანა ჩვენს ქვეყანაში. პირველ რიგში მძიმედ დაჭრილები გადმოჰყავდათ. ჩვენი პალატიდან მხოლოდ მე მომამზადეს საბჭოთა კავშირში ევაკუაციისათვის. გულთბილად გამოვემშვიდობე ჩემს მეზობლებს. საკაცით გამიყვანეს ქუჩაში.

მზიანი დარი იდგა. ჰოსპიტლის შემდეგ უჩვეულო იყო ქუჩაში ყოფნა. სანიტარულ მანქანაში შემიყვანეს, თან მომყვებოდა ტოსია მიხაილოვა და სანიტარი. რკინიგზის სადგურის პირველ ლიანდაგზე უკვე ჩამომდგარი იყო სანიტარული მატარებელი. ვაგონში ფანჯარასთან, მეორე თაროზე მომათავსეს.

— მალე დემობილიზაციაში გამიშვებენ და შინ დავბრუნდები დედასთან. როდესაც განიკურნები, მესტუმრე ლენინგრადში, თუ ვერ შეძლებ, წერილი მომწერე, ძლიერ მაინტერესებს შენი ბედი. ლენინგრადში გრიბოედოვის ქუჩაზე ვცხოვრობ. მისამართი ქაღალდზე დაგწერე და შენი საზღვაო ბუშლატის გულის ჯიბეში დევს, — მითხრა ტოსიამ, მეგობრულად გადამეხვია და გადამკოცნა, თვალები ცრემლებით აევსო. წასვლისას სანიტარული ვაგონის ექთანს სთხოვა, განსაკუთრებული ყურადღება მოექცია ჩემთვის.

ტოსია წავიდა. თავი ობლად ვიგრძენი. მატარებელი დაიძრა. ვაგონში ხმაური იყო. დაჭრილები ხმამაღლა ლაპარაკობდნენ და ცინოდნენ.

ფანჯრიდან ვათვალიერებდი უკან მოტოვებულ მინდვრებს, ტყეებს და მთებს.

— სად მივდივართ? — ვკითხე მედდას გამთენიის ხანს.

— პატარა რუმინულ საზღვრისპირა ქალაქში, სადაც გამანაწილებელი ჰოსპიტალია. იქ ორი დღით გავჩერდებით და მერე სხვა მატარებლით წავალთ საბჭოთა კავშირში, — მიპასუხა მან.

— ახლა სად ვართ?

— უნგრეთის რკინიგზით მივემართებით, — ამიხსნა მან, — მალე ბუდაპეშტში ვიქნებით, სადაც რამდენიმე საათს გავჩერდებით.

ამ ამბავმა ამაღელვა. დილის ათ საათზე მატარებელი ბუდაპეშტის დასავლეთ ვაგზალზე გაჩერდა.

ამ ქალაქს კარგად ვიცნობდი. ჩემთვის ძვირფასი იყო მისი ყოველი ქუჩა, ყოველი სახლი. ფანჯრიდან ვუყურებდი სადგურის ბაქანს და ვღელავდი. აქედან სულ ახლოს ცხოვრობს მარი! ექთანს დავუძახე.

— თქვენთან დიდი სათხოვარი მაქვს, — მივმართე მას. — ძლიერ მინდა გამოვემშვიდობო ჩემს საბრძოლო მეგობარს, უნგრელ ქალიშვილს მარი კოშიჩს. იგი ამ სადგურის ახლოს ცხოვრობს, სულ თხუთმეტი წუთის სავალია აქედან. თუ შეიძლება, გააგზავნეთ მასთან სანიტარი ტანია, მისამართს მოგცემთ.

ექთანმა თხოვნა შემისრულა. ერთი საათის შემდეგ სანიტარი მარტო დაბრუნდა, მარი შინ არ დახვედროდა.

— დედამისს დავუბარე და როდესაც მარი დაბრუნდება, აუცილებლად გამოგზავნის სადგურზე, — დამამშვიდა ტანიამ.

მოუთმენლად ველოდი მარის გამოჩენას. ხშირად ვიხედებოდი ფანჯარაში. მარი არ ჩანდა. ცხელი დღე იდგა. ვაგონი მზისგან ძლიერ ჩაიხუთა. ჩემი დასუსტებული ორგანიზმისთვის ასეთი სიცხის გადატანა ძნელი იყო. მეძინებოდა, მაგრამ ვცდილობდი არ დამეძინა. ძლივს მივატანე საღამოს ექვს საათამდე, მეტი ვერ გავძელი და მკვდარივით ჩამეძინა.

როდესაც გავიღვიძე, მატარებელი უკვე მიდიოდა. ფანჯრიდან სასიამოვნო ნიავი უბერავდა. საღამოს რვა საათი იყო. ჩემ გვერდით იდგა დაფიქრებული ექთანი, მაშინვე ეკითხე:

— რომელ საათზე გავიდა მატარებელი ბუდაპეშტის ვაგზლიდან?

— საღამოს შვიდ საათზე — მიპასუხა მედდამ.

— მაშ, მარი არ მოვიდა, — ვთქვი გულდაწყვეტილმა.

მედდამ ნაღვლიანად მითხრა:

— მატარებლის გასვლას ნახევარი საათი აკლდა, რომ მოირბინა, მაგრამ ვერაფრით ვერ გაგაღვიძეთ. რომ დაგინახა ასეთ მდგომარეობაში, მარი ძლიერ აღელდა, ტიროდა და გეხვეოდა, მატარებელი უკვე დაძრული იყო, როდესაც ბაქანზე გადახტა. სახსოვრად კი მედალიონი დაგიტოვა.

— რა მედალიონი? — გავიკვირვე მე.

— ოქროს მედალიონი, შიგნით მარის ფოტოსურათია. ეს მედალიონი ძეწკვით თვითონ შეგაბა კისერზე.

მედდამ ჩემი მკერდიდან აიღო მედალიონი და გახსნა. ფოტოსურათიდან მარი მიღიმოდა. სურათზე იგი უფრო ახალგაზრდა ჩახდა, ვიდრე ცხოვრებაში. მედდას მედალიონის მოხსნა და ჩემოდანში შენახვა უნდოდა, მაგრამ მე არ დავეთანხმე, მეკეთოს-მეთქი, ვუთხარი.

მედდის მონაყოლმა ძლიერ ამაღელვა: თერთმეტ საათზე ყველანი დაწვნენ დასაძინებლად. ვაგონში სიჩუმე იყო, ოდნავ ბჟუტავდა მწვანე ნათურები. მე მარიზე ვფიქრობდი. მახსენდებოდა ჩვენი პირველი შეხვედრა ბუდაპეშტში 1944 წლის დეკემბრის ბოლოს, ჩვენი გულადი რეიდები გერმანელთა ჯარების განლაგებაში და ბოლო შეხვედრა 1945 წლის მარტში. მაშინ ჩვენ ერთად ვინახულეთ ჰოსპიტალში კალგანოვი. შემდეგ მოტოციკლეტით ვსეირნობდით პეშტის ქუჩებში, ვიყავით ზოოპარკში. პირდაპირ მოტოციკლეტით შევიჭერით ზოოპარკის ტერიტორიაზე. ზოოპარკში არავინ იყო. არ იყვნენ მნახველები, რადგანაც სანახავი არც არაფერი დარჩენილიყო, ლითონის ღობით შემოღობილ მოედანზე დიდი, ბებერი სპილოს გარდა.

მე და მარი ღობეს მივუახლოვდით.

— ხედავ, ამ ზოოპარკში ყველა მხეცი და ფრინველი ადაძიანებმა შეჭამეს, სპილო კი გადარჩა, იმიტომ რომ იგი ძლიერია.

მარის გაეცინა და ამიხსნა:

— არა, ეს სპილო ძალიან ბებერია და უბრალოდ არავინ არ ისურვა მაგისი ხორცის ჭამა.

სპილომ ღობეში გამოჰყო თავისი უზარმაზარი ხორთუმი და ყნოსავდა ჩემს საზღვაო ბუშლატს. ძნელი მისახვედრი არ იყო, შიოდა. ხელში ქაღალდის პარკი მეჭირა, რომელშიც ორი ფუბოუშა და ექვსი მოხარშული კვერცხი იდო. საუზმე მარისათვის და ჩემ-

ლიის მჭონდა გამზადებული. ამოვიღე პარკიდან ერთი ფუნთუშა და სპილოს გავუწოდე. მან ხორთუმით ჩამომართვა იგი და პირში გადაუძახა, მერე ხორთუმი ისევ გამომიწოდა. წამით შევყოყმანდი. მეორე ფუნთუშაც ამოვიღე და სპილოს მივეცი. მან ისიც სწრაფად გადაყლაპა. მაგრამ აბა, რა იყო მშიერი სპილოსთვის ორი პატარა ფუნთუშა. ჩვენ რომ არ ვისაუზმოთ, არ მოვკვდებით, ეს კი ბალიან მშიერიაო, სიცილით მითხრა მარიმ.

სპილომ მთელი ჩვენი საუზმე გაანადგურა და თითქოს მადლობის ნიშნად თავი დაგვიქნია. მარიმ ამაზე ბევრი იცინა და ძალიან გაოხიარულებულები წამოვედით ბუდაპეშტის ზოოპარკიდან.

ყველაფერი ეს სულ ახლახანს მოხდა, მარტში...

მონოტონურად ხმაურობდა მატარებლის ბორბლები. მე მიხაროდა. რომ მარის ვახსოვდი, ჩემ სანახავად მოვიდა და შედალიოსიც მაჩუქა.

გვიან ღამით ძლიერმა ტკივილმა გამომაღვიძა. მომეჩვენა, თითქოს ვიღაც დანით ყელს მჭრიდა. ვაგონში ყველას ეძინა, ჩემს თაროსთან ვიღაც ქალი იდგა და კისრიდან მედალიონს მაგლეჯდა.

ღამის ნათურის შუქზე გავარჩიე და ვიცანი ჩვენი ხანშიშესული სანიტარის პარანკას ყვრიმალებამოჩრილი, ფართე სახე, თვალები ველურად უელავდა. პარანკა საიდანღაც დასავლეთ უკრაინიდან იყო და ეშელონში შემთხვევით მოხვდა. პირქუში და სიტყვაძვირი ჩანდა. დაჭრილების მოვლა კი შეეძლო.

პარანკა ცდილობდა მედალიონის შეხსნას და ძეწკვს თავისკენ ექაჩებოდა. უნებურად დავიკვნესე. პარანკამ შეშინებულმა აქეთიქით მიმოიხედა, დარწმუნდა რომ ყველას ეძინა და მედალიონი მძლავრად მოქაჩა. თვალთ დამიბნელდა და გონება დავკარგე.

გამთენიისას მოვედი გონს. მედალიონი მკერდზე აღარ მეკეთა. მეწყინა, სულ ახლახანს მზვერავი ვიყავი, უმიშრად ვებრძოდი მტერს, ახლა კი ისეთი უმწეო გავხდი რომ ბებერმა დედაკაცმა გამძარცვა და ვერაფერი ვიღონე.

დილით, დაჭრილების შეძოვლისას მედდამ შეამჩნია რომ მედალიონი არ მჭონდა. მან იფიქრა, რომ ძეწკვი შემთხვევით გაიხსნა და ლოგინში ჩამივარდა. ფრთხილად წამომიწია თავი, დასისხლიანებული ბალიში და კისერზე ჭრილობა რომ დაინახა, ყველაფერს მიხვდა.

— ვინ მოაგლიჯა მედალიონი? — ჰკითხა აღშფოთებულმა მედდამ ორივე სანიტარს.

ალალმართალმა ტანიამ და თავხედმა პარანკამ ერთნაირი გაოცებით გაშალეს ხელები.

— ალიოშა, ვინ მოგაძრო მედალიონი?

მე ყველაფერი კარგად მახსოვდა, მაგრამ პარანკას ღამით შეეძლო ბალიშით მოეგუდე, წინააღმდეგობას ვერ გავუწევდი. შემეშინდა და ამიტომ ვთქვი, არ ვიცი-მეთქი.

ალბათ ეს სულმდაბლობა იყო. დამნაშავე უნდა გამომეაშკარავებინა, მაგრამ მაშინ ეს ვერ შევძელი.

დილით რუმინულ სასაზღვრო ჰოსპიტალში ჩავედით. ორი დღის შემდეგ ისევ გადაგვიყვანეს სანიტარულ მატარებელზე და გაგვამგზავრეს კიევში.

კიევის სამხედრო ჰოსპიტალში ვმკურნალობდი ორი კვირის განმავლობაში. იმდენად მოვმჯობინდი, ფეხზე დგომა და დამოუკიდებლად სიარული შემეძლო. ვითხოვე, ოდესის სამხედრო-საზღვაო ჰოსპიტალში გადამიყვანეთ-მეთქი. მომცეს მიმართვა.

ოდესის სამხედრო საზღვაო ჰოსპიტალი მდებარეობდა შევჩენკოს სახელობის ქალაქის ცენტრალური პარკის ბოლოს. ჰოსპიტლის მორიგე ექიმმა და რეგისტრატორმა ქალმა მეორე სართულზე, მეათე პალატაში გამგზავნეს. პალატაში ავედი, ხალათი სკამზე ჩამოვაგდე, ლოგინში შევწექი და ნამგზავრს მაშინვე ჩამეძინა.

დილით პალატა მოვათვალიერე. ჩემი საწოლი ფანჯარასთან იდგა. მოპირდაპირე კუთხეში დაჭრილი ფრონტელი იწვა. მას მარჯვენა ფეხი ჰქონდა მოჭრილი მუხლს ზემოთ. მის სახეს ვერ ვხედავდი. მალე ჩემი მეზობელი ადგა, მხრებზე პირსახოცი მოიგდო და უავარჯნებზე დაყრდნობილი კარისკენ გაემართა. თვალი გავაყოლე. მისი სხეული და მიხრა-მოხრა მეცნო.

პალატაში ალარავის ეძინა. ავადმყოფები ერთმანეთში საუბრობდნენ. მალე უფეხო ფრონტელმა უავარჯნების კაკუნით კარი შემოაღო. შეეხედე და მოულოდნელობისაგან შევხტი — ვანია ბოიჩაკი იყო. მაშ იგი არ მომკვდარა ბაჩკოს პალანკოს ლაზარეთში. „ვანია, ძვირფასო, რომ იცოდე, როგორ მიხარია, რომ ცოცხალი გადარჩი!" — ვფიქრობდი მე.

უავარჯნებზე დაყრდნობილი ვანია ბოიჩაკი თავის კუთხისკენ

გაემართა. ძლიერ ავღელდი. საინტერესოა, იცის ვანიამ რაიმე ჩემ შესახებ? ალბათ არა... როგორ მივიდე მასთან, როგორ გამოვეცნაურო... ეს შეხვედრა ჩვენთვის ორივესთვის ძლიერ მძიმე იქნება. მაგრამ, ადრე თუ გვიან ხომ უნდა გამოველაპარაკო, სჯობს ახლავე მეთქი, — გადავწყვიტე ბოლოს.

საწოლიდან წამოვხტი, მივედი ბოიჩაკთან და საწოლის კიდეზე ჩამოვუჯექი. ვანიამ გაკვირვებით შემომხედა.

— გამარჯობა, ვანია, — ვუთხარი ყრუ ხმით.

ვანიამ შემათვალიერა, მაგრამ ვერ მიცნო, რადგან სახე მთლად შებანდული მქონდა. ძლიერ ვცდილობდი თავის შეკავებას, მაგრამ ვერ შევძელი, თვალთაგან ცრემლი წამომივიდა. ვანია ბოიჩაკი შეწუხდა. იგი მიხვდა, რომ მისი ახლობელი ვიყავი, მაგრამ ვერ მიმხვდარიყო — ვინ.

— ვანია, ეს მე ვარ, შენი მეგობარი, ალიოშა ჩხეიძე, — გავბედე თქმა.

ბოიჩაკი გაფითრდა, დიდი სიყვარულით გადამეხვია, შემდეგ მზეია ჩემს მოგლეჯილ ხელებზე გადმოიტანა, ორიოდ წუთი გაქვავებულივით იჯდა და მოხდა ის, რასაც არაფრით არ ველოდი: ბოიჩაკი საწოლზე დაემხო, თავი ბალიშში ჩარგო და ხმამაღლა აქვითინდა. დიდხანს ქვითინებდა. შემდეგ წამოიწია. საწოლზე წამოჯდა. მთლად განადგურებული ჩანდა ჩემი დიდი უბედურებით. დაბნეულად შემომხედა და არ იცოდა, რა ეთქვა.

ნასაუზმევს მე და ვანია ეზოში გავედით. ორივეს ჰოსპიტლის თბილი ხალათები გვეცვა. ჰოსპიტლის ბაღის ბოლომდე მივედით. იქ ღობეში პატარა გასაძვრომით პარკში გავედით. იქიდან ზღვამდე ორიოდე ნაბიჯი იყო გასასვლელი. უქარო, თბილი და მზიანი დღე იდგა. ზღვაზე ტალღა არ იძროდა. ნაპირზე დიდი ქვა ამოვირჩიეთ და ჩამოვსხედით.

ერთი წლის წინ აქ, ოდესის სანაპიროსთან მე და ვანია ბოიჩაკი სხვა მებრძოლებთან ერთად ვვარჯიშობდით ნიჩბოსნობაში, ვემზადებოდით დნესტრის დესანტისათვის. დუნაი ჩვენთვის ჯერ უცნობი იყო. მაგრამ აი განვლო ერთმა წელმა. უკან მოვიტოვეთ დიდი საბრძოლო გზა და ისევ ნაცნობი ზღვის პირას ვისხედით ხეიბრები.

მე დაწვრილებით ეუამბე ვანიას ილოკის დესანტის შემდგომი ამბების შესახებ, როგორ ვიბრძოდით ჩრდილო-დასავლეთ იუგო-

სლავიის, ავსტრიის გათავისუფლებისთვის. ვანია ყურადღებით მისმენდა, მეკითხებოდა ჩვენი მეგობრების შესახებ. თავის მხრივ ბანაც მომითხრო ბაჩკო პალანკას ლაზარეთში მომხდარ ტრაგედიაზე: ერთიმეორის მიყოლებით იღუპებოდნენ ილოკის დესანტის მძიმედ დაჭრილი მონაწილეები. საბჭოთა და იუგოსლავიელი ექიმების დიდი მონდომების მიუხედავად მხოლოდ ხუთი გადარჩა.

ვანიას ბევრი ჰოსპიტალი მოეარა და მხოლოდ ერთი კვირის წინ მოხვედრილიყო ოდესაში.

— ხედავ, ალიოშა, მე და შენ დიდხანს გადავდიოდით ჰოსპიტლიდან ჰოსპიტალში და ბოლოს ერთად მოვხვდით, ერთ პალატაში, ესე იგი, ისევ შეხვედრა და ერთად ყოფნა გვეწერა.

იმ დღეს დიდხანს ვისხედით ზღვის პირას და ახლო წარსულს ვიგონებდით.

მეორე დღეს პალატაში განყოფილების უფროსი ექთანი კლავა ტიმოშენკო შემოვიდა, მაღალი, ტანადი, ოცდაათიოდე წლის ქალი. მისი ძმა მე-3 რანგის კაპიტანი ტიმოშენკო ომის დროს შავ ზღვაზე მეთაურობდა საზღვაო მონადირეთა დივიზიონს, ხოლო შემდეგ იუგოსლავიის დედაქალაქ ბელგრადის საზღვაო უფროსის თანამდებობა ეჭირა.

მომეწონა უფროსი ექთნის ჭკვიანი, მოღიმარი სახე.

ის ჩემს საწოლზე ჩამოჯდა, გამეცნო, გულთბილად გამომკითხა ყველაფერი. ბოლოს მითხრა:

— ხვალ გამოვიძახებთ საპროთეზო ქარხნის დირექტორს, შემდეგ ჩვენი თვალის ექიმი გაგსინჯავს. ახლა კი საოპერაციოში წავიდეთ, მთავარ ქირურგ პოდპოლკოვნიკ ბელინსკისთან.

საოპერაციო ჩვენი პალატის გვერდით იყო. იქ მუშაობდნენ ახალგაზრდა ექთნები ჟენია ლუპანკო და კლავა გორდიენკო. ენამახვილი მხიარული გოგონები იყვნენ, ნამდვილი ოდესელები. საოპერაციოში ქირურგი ბელინსკი დამხვდა, — მაღალი, 50 წლის მამაკაცი. გვერდით მომისვა, მამაშვილურად გამომელაპარაკა, თავისი ხელით მომხსნა სახვევები და არტაშანები. იგი ყურადღებით სწავლობდა თითოეულ ჭრილობას ჩემს სხეულზე, დიდხანს აქნევდა თავს — ღმერთო ჩემო, როგორ გადარჩი ცოცხალი ასეთი მძიმე ჭრილობების შემდეგო.

აქამდე უდიდესი მადლიერების გრძნობით ვიგონებ პოდპოლ-

კოვნიკ ბელინსკის. შესანიშნავ ქირურგს, რომელიც ცხრა თვის განმავლობაში მონდომებით მმკურნალობდა. სწორედ მან დამიბრუნა შრომის უნარი, ენერგია და ხალისი.

საზღვაო ჰოსპიტალში საპროთეზო ქარხნის წარმომადგენელთან ერთად მოვიდა ქარხნის დირექტორიც, ხანშიშესული, დემობილიზირებული. მას ჯერაც სამხედრო ფორმა ეცვა. კეთილი კაცი ჩანდა. ზომა ამიღეს. ვერ მოვითმინე და შევეხვეწე:

— გეთაყვა. გამიკეთეთ აქტიური პროთეზები, რომლებიც მოსკოვის სამეცნიერო-საკვლევ ინსტიტუტში გამოიგონეს.

დირექტორმა გაიღიმა და ამიხსნა:

— ხელის აქტიური პროთეზი ჯერ მხოლოდ ქაღალდზე არსებობს, ჟურნალებში. საპროთეზო ქარხანაში კი ამჟამად მხოლოდ უბრალო პროთეზებს აკეთებენ, სილამაზისთვის.

მე კი ისე მჯეროდა მეცნიერების სასწაულმოქმედებისა.

პროთეზები მალე დამიმზადეს. მართლაც, ლამაზი იყო, მაგრამ უსარგებლო.

მთელი იმედი ისევ მხედველობის აღდგენაზე გადავიტანე. მოიაზარ ექიმად ჩვენს ჰოსპიტალში მუშაობდა ანა გრიგორის ასული ხოროშინა. ეს იყო ორმოცდახუთი წლის ძლიერ კეთილი და ჭკვიანი ქალი. ომამდე ოდესის თვალის სნეულებათა ინსტიტუტში მუშაობდა. სამედიცინო სამსახურის მაიორი ხოროშინა ომის დაწყებიდანვე ფრონტზე წავიდა. შავი ზღვის ფლოტში მსახურობდა. ბევრი დაჭრილი მეზღვაური გადაარჩინა უსინათლობისაგან. დიდი მონდომებით შეუდგა იგი ჩემი ერთადერთი თვალის მკურნალობასაც.

გაცნობის პირველივე დღეებიდან ჩემსა და ანა გრიგორის ასულს შორის დამყარდა ძლიერ გულთბილი ურთიერთდამოკიდებულება. იგი ძალ-ღონეს არ იშურებდა, რათა გაეუმჯობესებინა ჩემთვის მხედველობა, მაგრამ უშედეგოდ.

გადიოდა დღეები. ოდესაში გამოვიზამთრე. ვანია ბოიჩაკი და მე სულ ერთად ვიყავით. იგი მიკითხავდა წიგნებს, ჟურნალებს, გაზეთებს. ერთად ვსეირნობდით ჰოსპიტლის ბაღში.

ანა გრიგორის ასულმა აკადემიკოს ფილატოვთან კონსულტაციაზეც წამიყვანა, მაგრამ ამანაც არაფერი მოგვცა, გაზაფხულიდან თანდათან უფრო ცუდად ვხედავდი. ცნობილი თვალის პროფესორი

კალფი მმკურნალობდა. მან დაადგინა, რომ თვალის სიღრმეში პატარა ლითონის ნამსხვრევი მქონდა ჩარჩენილი. ოპერაციის გაკეთება კი არ შეიძლებოდა, რადგანაც ჯერ თვალის მკურნალობა და მომაგრება იყო საჭირო.

მთელი აპრილი ძლიერ დაძაბულ მდგომარეობაში გავატარე, დღითიდღე მხედველობა მიუარესდებოდა. ცოტა ხნის წინათ ჩემი ფანჯრიდან კარგად ვხედავდი ჰოსპიტლის ბაღს და წაბლის ხეების ხეივანს მის ბოლოში. დიდხანს ვაჩერებდი მზერას თეთრი იასამნის აყვავებულ ბუჩქზე ჩემი ფანჯრის ქვეშ.

მერე ხეივანი და ბაღი თანდათან გაუჩინარდა ჩემი ხედვიდან, ძლივს ვარჩევდი იასამნის ბუჩქს. ამ ხნის განმავლობაში სულ ვფიქრობდი შეწუხებული: „ნუთუ ისევ დავბრმავდები და ექიმები ვერაფერს მიშველიან?“

დადგა ჩემთვის შავი დღე — 25 აპრილი. გავიღვიძე, მაგრამ ვერაფერი დავინახე. მეგონა, ღამეა-მეთქი, მაგრამ გავიგონე, რომ პალატაში დადიან და ლაპარაკობენ.

მხრებზე ხალათი მოვისხი და წამოვჯექი, ეცდილობდი მშვიდად ვყოფილიყავი. ჩემთან ექთანი მოვიდა.

— გამარჯობა, ალიოშა. რატომ ხარ ასე მოწყენილი?

— ვერაფერს ვხედავ, — ვუპასუხე.

პალატაში ყველა გაჩუმდა.

გამოიძახეს პროფესორი. პროფესორმა კალფმა ყურადღებით გამსინჯა. მერე დიდხანს მესაუბრა.

— შვილო, ნუ გეშინია. ჯერ თვალზე სინათლის პროექცია გაქვს, ისე რომ მხედველობის დაბრუნების იმედს ნუ დაკარგავ. სჯობს, ახლა თბილისში, მშობლებთან დაბრუნდე. სახლში კარგად დაისვენებ და თვალიც მოგიმაგრდება. მერე ისევ ჩამოხვალ ოდესაში. მე გაგიკეთებ ოპერაციას. ყველაფერი რიგზე იქნება, — დამამშვიდა მან.

დიდად მადლიერი ვიყავი პროფესორი კალფისა, მაგრამ გულში აღარ მჯეროდა, რომ როდესმე დავინახავდი. გამახსენდა ტოსია მიხაილოვას სიტყვები:

„ოდესაში თვალის ცნობილი მკურნალი ფილატოვი აღგიდგენს მხედველობას, მოსკოვში კი ხელის აქტიური პროთეზი გამოიგოხეს“. ჩემი ცხოვრების ამ მძიმე პერიოდში ძალიან მინდოდა წერი-

ლი მიმეწერა ტოსია მიხაილოვასთვის, ჩემ საყვარელ მეთაურ ვიქ-ტორ კალგანოვისთვის და სკოლის მეგობარ თენგიზ გელაშვილი-სათვის. მაგრამ, სამწუხაროდ, არ შემეძლო ამის გაკეთება, რადგა-ნაც ტოსიას მისამართი დამეკარგა, სად იმყოფებოდა ვიქტორ კალ-განოვი, ზუსტად არ ვიცოდი, ხოლო თენგიზ გელაშვილის სამხედ-რო ნაწილის მისამართი არა მქონდა.

ჩემს მეგობარს ვანია ბოიჩაკს კარგად ესმოდა ჩემი მდგომარე-ობა და ცდილობდა გავემხნევებინე.

მაისის ბოლოს ჰოსპიტლიდან გამოვეწერე და გრიგორი გრი-გოროვიჩის თანხლებით დაებრუნდი მშობლიურ თბილისში, ჩემს ოჯახში. მშობლებმა ჩემი ხეიბრობა თითქოს არ შეიმჩნიეს, მხნედ შემხვდნენ. მზრუნველობითა და სიყვარულით გამათბეს.

თბილისში ორი ერთგული მეურვე აღმომჩნდა, პიონერები გრიშა ავალიანი და ედიკა ოგანეზოვი, რომლებიც ჩვენს ეზოში ცხოვრობდნენ. ისინი ფეხბურთის დიდი გულშემატკივრები იყვნენ, არც ერთ თამაშს არ ტოვებდნენ. მე რადიოგადაცემას ვუსმენდი. ისინი კი მერე დაწვრილებით მიამბობდნენ, რაც ხდებოდა. მარტო ფეხბურთი როდი მაინტერესებდა, მაინტერესებდა ჩვენი ქვეყნის მთელი ცხოვრება.

მალე თბილისში დემობილიზებული თენგიზ გელაშვილიც დაბრუნდა. იგი შევიდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჟურნალისტიკის ფაკულტეტზე.

ყოველდღე, ლექციების შემდეგ თენგიზი მოდიოდა ჩემთან. მი-კითხავდა წიგნებს, მიამბობდა სტუდენტური ცხოვრების შესახებ.

თენგიზი დაჟინებით მირჩევდა დამეწერა წიგნი დუნაიზე გან-მათავისუფლებელ ლაშქრობათა შესახებ. მე ჩემს მეგობარს აღუ-ხსენი, ჯერ საჭიროა მოიძებნოს საბრძოლო მეგობრები — დუნა-ელები, ხოლო შემდეგ ხელი მოვკიდო წიგნის წერას. ძებნას ძალთა დიდი დაძაბვა და დრო სჭირდება, მაგრამ ასეთ წიგნს აუცილებ-ლად დავწერ-მეთქი. თენგიზმა მოიწონა ჩემი გადაწყვეტილება.

1948 წელს მოსკოვს გავემგზავრე იმ იმედით, რომ მხედველო-ბას აღმიდგენდნენ. ცნობილმა მოსკოველმა თვალის მკურნალმა, პროფესორმა ჩენცოვმა კონსულტაციის შემდეგ გადაწყვეტა ოპერაციამდე ჩაეტარებინა ჩემთვის თვალის ხანგრძლივი ამბულატო-რიული მკურნალობა და მირჩია ჰოსპიტალში დაწოლა. მარტო მირ-

ჩი. მოსკოვის ოლქის დაბა დანკის სამკურნალო ინტერნატში დარჩენა.

ქალაქ სერპუხოვიდან 12 კილომეტრის დაშორებით, ტყეში, ლამაზი ტბის ნაპირას გაშლილა დაბა დანკი. სამკურნალო ინტერნატი მოთავსებულია რამდენიმე შენობაში. აქ იმყოფებოდნენ დიდი სამამულო ომის ინვალიდები, რომლებსაც ესაჭიროებოდათ ხანგრძლივი მკურნალობა. დილით ისინი პროცედურებზე დადიოდნენ, იღებდნენ წამლებს, სადილის შემდეგ ისვენებდნენ, სეირნობდნენ, საღამოთი კი კლუბში მიდიოდნენ კინოფილმის საყურებლად.

ყველაფერი ეს ცუდი არ იყო, მაგრამ მე საქმე მწყუროდა, დიდი, საინტერესო, მთლიანად რომ გამიტაცებდა. ხშირად ეუბრუნდებოდი ჩემს ოცნებას: დამეწერა წიგნი ჩემსა და ჩემი ამხანაგების — დუნაელ მზვერავების შესახებ. მესმოდა, რომ საქმეს დაუყოვნებლივ უნდა შევდგომოდი, სანამ ყველაფერი მახსოვდა და ცოცხლები იყვნენ იმ ამბების მონაწილენი.

მარტო მთელ ჩვენს ქვეყანაში გაფანტულ დუნაელებს მე ვერ მოვძებნიდი. მჭირდებოდა პიონერების და კომკავშირელების აქტიური დახმარება. ამიტომ ადგილობრივ სკოლას უნდა დავკავშირებოდი.

მაღელვებდა, როგორ შეხვდებოდნენ დანკის საშუალო სკოლის მოსწავლეები და მასწავლებლები ჩემს თხოვნას. გადავწყვიტე წინასწარ გამერკვია მდგომარეობა.

ჩვენს კორპუსში სანიტრად მუშაობდა 35 წლის ტონია ბიახოვა, თავმდაბალი, შრომისმოყვარე ქალი. ქმარი სამამულო ომში დაღუპვოდა. მარტო ზრდიდა ქალიშვილს. ჩემი თხოვნით ტონიამ ჩემთან მოიყვანა თავისი 11 წლის გოგონა ვალია, დანკის საშუალო სკოლის მე-4 კლასის მოსწავლე. ტონიამ გოგონა გამაცნო, ჩემ გვერდით დასვა, თვითონ კი სამუშაოდ წავიდა:

დიდხანს ველაპარაკებოდი ვალიას, დაწვრილებით გამოვკითხე სასკოლო საქმეების შესახებ, მაინტერესებდა მისი სულიერი სამყარო. ძლიერ მომეწონა ცოცხალი, ჭკვიანი გოგონა. ვალიას ავუხსენი, რომ მინდა დავწერო წიგნი — მოგონება დიდ სამამულო ომზე, ამისათვის კი საჭიროა გმირთა მოძებნა.

— ძია ალიოშა, ყოველდღე ვივლი თქვენთან და ყველაფერს გავაკეთებ, რაც კი საჭირო იქნება.

— ვალია, ეს ყველაფერი ძალიან კარგია, მაგრამ მარტო ჩვენ ვეღარ მოვერევით აბსოლუტურ საქმეს. აქ საჭიროა პიონერთა მთელი რაზმის დახმარება, ხვალ მოეთათბირე შენი კლასის პიონერებს და უფროს პიონერთა ხელმძღვანელს.

მეორე დღეს, საღამოს პალატაში აქოშინებული ვალია შემოვარდა.

— ძია ალიოშა, ჩვენი სკოლა შეფობას იღებს თქვენზე, — მომახარა მან.

პიონერი ვალია ბიახოვა იყო პირველი მათ შორის, ვინც მომეხმარა საფრონტო მეგობრების მოძებნაში.

ბავშვებთან შეხვედრამდე ვფიქრობდი, როგორ წარმემართა „ძიების“ რაზმის მუშაობა. გადავწყვიტე, რომ რაზმთან ერთად უნდა ჩაეოგვეყალიბებინა ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბიც.

გამარჯვების დღე ახლოვდებოდა. 9 მაისს დილით ჩემს პალატაში მოვიდნენ საღღესასწაულოდ გამოწყობილი გოგონები: ვალია ბიახოვა, ნინა ტროიცკაია, რაია კულეშოვა და ვალია სოკოლოვა. ყვავილები მომიტანეს და დღესასწაული მომილოცეს. ამ ოთხი გოგონას თანხლებით მივედი დანკის საშუალო სკოლაში, სადაც ძალიან კარგი შეხვედრა მომიწყვეს მოსწავლეებმა და მასწავლებლებმა.

ასე დაიწყო ჩვენი ერთობლივი მუშაობა, დაიწყო საბრძოლო ამხანაგების ხანგრძლივი და რთული ძიება, რასაც მოჰყვა ჩემი წიგნი.

ჩემი მუშაობის პირველივე დღეებიდან მხურვალედ დამეხმარა მხარი ქ. სერპუხოვის კომკავშირის საქალაქო კომიტეტმა. ძლიერ მოიწონა ჩემი წამოწყება სამკურნალო ინტერნატის პარტიული ორგანიზაციის მდივანმა ნიკოლოზ ალექსანდრეს ძე დერეკავინმა, თავად დიდი სამამულო ომის აქტიურმა მონაწილემ, დემობილიზირებულმა ოფიცერმა.

მალე გადამიყვანეს პატარა, ორადგილიან პალატაში, სადაც შეიძლებოდა წყნარად მუშაობა. ყოველდღიურად ჩემთან მოდიოდა ოთხი მოსწავლე გოგონა. მათ ალერსით მზვერავებს ვეძახდით. მაგიდას შემოვუსხდებოდით ხოლმე და ვმუშაობდით 3–4 საათის განმავლობაში. ვაგზავნიდით წერილებს ქვეყნის სხვადასხვა მხარეს, ვეკითხებოდით სამისამართო მაგიდებს და მილიციას, წარმოებათა

კადრების განყოფილებებს და სასოფლო საბჭოებს, სამხედრო კომისარიატებს, მმაჩის ბიუროებსაც, როდესაც ვეძებდით ქალიშვილებს — ომის გმირებს, რომლებიც გათხოვდნენ და გვარი გამოიცვალეს.

ძიება უფრო რთული გამოდგა, ვიდრე მეგონა. დუნაის განმანთავისუფლებელი ლაშქრობის ბევრმა გმირმა ომის შემდეგ საცხოვრებელი ადგილი გამოიცვალა. სამისამართო მაგიდები მოითხოვდნენ სრულ ცნობებს იმათ შესახებ, ვისაც ვეძებდით. აბა, საიდან უნდა მიგვეღო ეს ცნობები? უფრო რთული აღმოჩნდა ძიება საზღვარგარეთ, დუნაისპირა ქვეყნებში. ჩემი წერილები მიდიოდა ძლიერ დიდხანს, ზოგიერთზე პასუხს საერთოდ არ ვღებულობდი.

პირველ დაბრკოლებას გული არ გაუტეხია ჩვენთვის. მე და ჩემი წითელი კვალმაძიებლები გაორკეცებული ენერგიით განვაგრძობდით ძიებას. წელიწად-ნახევრის დაუღალავი მუშაობის შედეგი არც თუ ისე სახარბიელო იყო, მაგრამ ჩვენ მუშაობაში სასარგებლო ჩვევები და გამოცდილება მივიღეთ.

მე და ჩემ ნორჩ მზვერავებს მიგვაჩნდა, რომ პირველ ყოვლისა უნდა გვეპოვა ჩემი რაზმის მეთაური ვიქტორ კალგანოვი, რომელიც აუცილებლად დაგვეხმარებოდა. მაგრამ კალგანოვის შესახებ ვერაფერი გავიგეთ გარდა იმისა, რომ ცოცხალია და ფლოტში მსახურობს.

გადავწყვიტე წავსულიყავი მოსკოვში, სსრკ სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამინისტროში. იმედი მქონდა, რომ იქ მომცემდნენ დუნაის ფლოტილიის მზვერავთა რაზმის ყოფილი მეთაურის ვიქტორ კალგანოვის მისამართს. მეგზურად გამომყვა დანკის საშუალო სკოლის კომკავშირელი გოგონა საშა ავილოვა.

უკვე ზამთარი იყო. დანკიდან მოსკოვში ჩასვლა იმ დროს არც ისე იოლი იყო: თორმეტი კილომეტრი სერპუხოვამდე ფეხით უნდა გვეარა, სერპუხოვიდან რკინიგზის სადგურამდეც სამი კილომეტრი.

მოსკოვში არავის ვიცნობდით, ამიტომ საქმეს რომ მოვრჩებოდით, მაშინვე უკან უნდა გამოებრუნებულიყავით. საკმაოდ რთული ლაშქრობა გველოდა.

მართლაც, ღამით მოგვიხდა სიარული, მსუბუქად, არასაზამთ-

როდ ჩაცმულებს, მუხლებამდე თოვლში. მხოლოდ დილის ექვსი საათისათვის მივაღწიეთ სერპუხოვის რკინიგზის სადგურამდე.

სსრკ სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამინისტროში საშვის ბიუროს მორიგე ოფიცერმა მოგვცა კადრების განყოფილების ტელეფონის ნომერი. საშამ ნომერი აკრიფა. კადრების განყოფილების თანამშრომელს ავუხსენი ჩვენი საქმე, მაგრამ ერთობ გულგრილად გვიპასუხა: „ჩვენ ასეთ ცნობებს ტელეფონით არ ვიძლევით“.

საშვი არ გამოგვიწერეს და გაწბილებულები დავბრუნდით სერპუხოვში.

1950 წლის ზაფხულს ჩემს პალატაში დააწვინეს თვრამეტი წლის ესპანელი კომკავშირელი კარლო ასინა. ესპანეთში სამოქალაქო ომის დროს ფაშისტური ავიაციის თავდასხმისას პატარა კარლოს ბომბმა მუხლის ქვემოთ ფეხი მოაგლიჯა და ხელი დაუზიანა. სხვა ესპანელ ბავშვებთან ერთად კარლო ევაკუირებული იყო საბჭოთა კავშირში. ისინი კალუგის ოლქში ცხოვრობდნენ ინტერნატში. სკოლა რომ დაამთავრა, კარლო ძველმა ჭრილობებმა შეაწუხა და ასე მოხვდა ჩვენთან სამკურნლო ინტერნატში.

ძლიერ გულღია და ცოცხალი კარლო სწრაფად დაგვიმეგობრდა მე და ჩემს წითელ კვალმაძიებლებს. იგი აქტიურად გვეხმარებოდა მუშაობაში. ორი წლის შემდეგ კარლო გამოჯანმრთელდა და გაეწერა ინტერნატიდან. იგი მოსკოვში დასახლდა, ცოლად შეირთო რუსი ქალიშვილი მაშა ოსიპოვა.

მათი ბინა პრეობრაჟენსკის მოედანზე ჩვენი ძიების შტაბის ფილიალი გახდა.

უკვე ათი წელი გრძელდებოდა ჩვენი ძიება. ჩემი მეთაურის ვიქტორ კალგანოვის კვალს კი ვერაფრით მივაგენით. ვიღაცამ მირჩია მიმემართა სამხედრო-საზღვაო ფლოტის კადრების კარტოტეკისათვის. ამჯერად ბედმა გამიღიმა. იქაური თანამშრომელი კირეევა გულისხმიერად მოეკიდა ჩემს თხოვნას და მომიძებნა კალგანოვის მისამართი. იგი მსახურობდა ბალტიის ფლოტში და ლენინგრადში ცხოვრობდა.

მალე ჩემი წერილის პასუხად მივიღე კალგანოვის ვრცელი წერილი, ხოლო სამი დღის შემდეგ თავად კალგანოვი გვეწვია.

საღამოთი, როდესაც ჩვეულებრივ ჩემს პატარა მზვერავებთან ერთად რაღაც მორიგ წერილს ვწერდი, ჩემი პალატის კარი ფარ-

თოდ გაიღო და ვიღაც შემოვიდა, ბავშვები გაჩუმდნენ. იგი მომიახლოვდა, გადამეხვია და გადამკოცნა. ვერ მივხვდი, ვინ იყო, სანამ ნაცნობი ხმა გავიგონე:

— გამარჯობა, ალიოშა!

ჩემი საყვარელი მეთაური ხმით ვიცანი. იგი გვერდით მომიჯდა და მხრებზე ხელი მომხვია.

მაშინვე გამახსენდა ჩვენი უკანასკნელი შეხვედრა ბუდაპეშტში. მაშინ იგი იყო მძიმედ დაჭრილი და მე და მარიმ ვინახულეთ. ახლა როლები შეიცვალა.

კალგანოვი გულთბილად ესაუბრებოდა ჩემს მოსწავლეებს, შეაქო ისინი საშეფო დახმარებისთვის და გაწეული დიდი სამუშაოსთვის. ვიქტორ ანდრიას ძეს ძლიერ აინტერესებდა ჩემი თვალის მდგომარეობა. საიმედო არაფერი მქონდა. პროფესორი ჩენცოვი გაოდაიცვალა. ოპერაცია უკვე დაგვიანებული იყო. შემდგომში კალგანოვმა ბევრი რამ გააკეთა, რომ დამხმარებოდა თვალის მკურნალობაში, მაგრამ უშედეგოდ. იგი რამდენიმეჯერ კიდევ ჩამოვიდა ჩემ სანახავად, მწერდა გულთბილ წერილებს.

დიდი დრო დავხარჯე კატია მიხაილოვას — დუნაის ბრძოლების გმირის ძებნაში. ომის შემდეგ კატია დემობილიზაციით დაბრუნდა ჯარიდან და მიაშურა მშობლიურ ლენინგრადს, სადაც სამედიცინო ინსტიტუტი დაამთავრა. თექვსმეტ წელიწადს ვეძებდი კატიას მიხაილოვას გვარით და, ბოლოს, დიომინას გვარით ვიპოვე მოსკოვის ოლქის ქალაქ ელექტრო-სტალში, იგი იქ მუშაობს ბავშვების ექიმად. მიიღო თუ არა ჩემი წერილი, კატია მეორე დღესვე მოვიდა ჩემთან ჰოსპიტალში. ძნელია სიტყვებით გადმოგცეთ, როგორი სასიხარულო იყო ჩემთვის ეს შეხვედრა მებრძოლ მეგობარ ქალთან.

ექიმი დიომინა მარტო კარგი სპეციალისტი კი არ არის, მას ერგო დიდი პატივი ყოფილიყო პარტიის XXV ყრილობის დელეგატი.

სამკურნალო ინტერნატში ბევრმა დუნაელმა მინახულა. აქ იყვნენ პავლე კირსანოვი, ივანე კოჩკინი, იგორ ზოლოტოვი, გრიგორი გოიგოროვიჩი, სემიონ კლოპოვსკი, ალექსი გუერა, ვასილი გლობა, გრიგორი კოცარი, ბენედიქტე ანდრეევი, ანატოლი სემიონოვი, შოთა მჟავანაძე, ალექსანდრე იზვეკოვი, გალია ლიუბიმოვა და სხვა ვეტერანი-დუნაელები.

ჩვენ განვაგრძობდით ძიებას. დანკის საშუალო სკოლის მსგავ-

სად სერპუხოვის რაიონის სხვა სკოლებშიც შეიქმნა ძიების რაზმები და საბრძოლო დიდების მუზეუმები. სერპუხოვის რაიონის წითელი კვალმაძიებლების ინიციატივა გავრცელდა მოსკოვის ოლქის სხვა სკოლებზეც. რასაკვირველია, ამას ძლიერ უწყობდა ხელს პოესა. რადიო და ტელევიზია. ჩვენი ძიების მასალებს გულმოდგინედ ვაძუშავებდით. ნარკვევებს ამ მასალების მიხედვით ვაქვეყნებდი სერპუხოვის გაზეთ „კომუნისტში", საოლქო გაზეთ „ლენინსკოე ზნამიაში" და „მოსკოვსკი კომსომოლეცში".

დუნაელებზე ნარკვევები დაიბეჭდა ცენტრალურ ჟურნალ-გაზეთებშიც. ჩვენ მიგვიწვიეს ცენტრალურ ტელევიზიაში. გადაცემაში მონაწილეობა მიიღეს დუნაის ფლოტილიის ყოფილმა სარდალმა ვიცე-ადმირალმა გ. ნ. ხოლოსტიაკოვმა, შტაბის უფროსმა ა. ვ. სეერდლოვმა, მზვერავთა რაზმის მეთაურმა ვ. ა. კალგანოვმა.

ვმონაწილეობდით რადიოგადაცემებშიც. მოსწავლე რადიომსმენელთა განსაკუთრებით დიდი გამოხმაურება გამოიწვია ჩვენმა ნაამბობმა საერთაშორისო მეგობრობის კლუბისა და რაზმი „ძიების" მუშაობის შესახებ. ჩვენ ძლივს ვასწრებდით პასუხის გაცემას მოსწავლეთა ურიცხვ წერილებზე. ბევრი მეგობარი შევიძინეთ. სიამოვნებით ვუგზავნიდით ჩვენს მასალებს და ვუხიარებდით გამოცდილებას საბჭოთა კავშირის სხვადასხვა ქალაქებისა და სოფლების მოსწავლეებს.

არაერთხელ მიგვიწვიეს შეხვედრებზე მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტში და დედაქალაქის სხვა უმაღლეს სასწავლებლებში, ქარხნებსა და მშენებლობებზე. გულთბილი შეხვედრა გაუმართეს დუნაელებს ლენინგრადში. ხოლო ქ. ელექტროსტალში მათ საპატივცემულოდ ქალაქის პარკში დარგეს დიდი ხეივანი. ჩამოდიოდნენ ჩვენთან არა მარტო საბჭოთა, არამედ ძმურ სოციალისტური ქვეყნების კორესპონდენტებიც. მათაც აინტერესებდათ დუნაიზე გამართული ბრძოლების ამბები. ბულგარეთში, იუგოსლავიასა და უნგრეთში გამოქვეყნდა ნარკვევების სერია საბჭოთა მეზღვაურების საბრძოლო საქმეების შესახებ. დაძაბულ და საინტერესო მუშაობაში გადიოდა წლები.

ხანგრძლივი დროის განმავლობაში შეუსვენებელმა მუშაობამ, დიდმა ფიზიკურმა და გონებრივმა დაძაბულობამ უკვალოდ აო ჩამიარა. ჯანმრთელობა თანდათან შეძერყა. მოულოდნელად სოუ-

ლიად დაეყრუვდი. ეს მოხდა 1961 წლის 11 ნოემბერს. ამ საშინელ დღეს ჩემმა ნორჩმა მეგობრებმა მარტო არ დამტოვეს. მათ პირდაპირ სკოლიდან მოირბინეს ჩემთან, რიგრიგობით რაღაცას ჩამყვიროდნენ ყურში, მაგრამ არაფერი მესმოდა. გოგონებმა სწრაფად მოისაზრეს, ისინი შუბლზე თითით მაწერდნენ ასოებს. მე გავარჩიე სიტყვები: „ნუ ღელავთ, ხვალ მოსკოვში წაგიყვანენ. იქ სწრაფად აღგიდგენენ სმენას“.

სამწუხაროდ, სმენა ვერ აღმიდგინეს. მაინც მადლიერი ვიყავი მოსკოვის კლინიკის სამედიცინო პერსონალისა დიდი ყურადღებისათვის და სასმენი აპარატისთვის, რომლის საშუალებითაც მე ისევ მესმოდა.

ჩემი ახალი მდგომარეობა ძლიერ მძიმე იყო. ადრე მესმოდა ადამიანთა ლაპარაკი, რადიოთი ვისმენდი კონცერტებს, სპორტულ გადაცემებს და უკანასკნელ ცნობებს. ყველაფერი ეს უზარმაზარ სიხარულს მანიჭებდა. ახლა კი ამის საშუალებაც აღარ მქონდა. მაგრამ ჩემ გარშემო მოსწავლეები იყვნენ და მე, როგორც მათ აღმზრდელს ახალგაზრდებისათვის თავდაჭერისა და სიმშვიდის მაგალითი უნდა მეჩვენებინა. იძულებული ვიყავი გადამელახა კიდევ ერთი ძნელი ზღუდე. მტკიცედ გადავწყვიტე. გამეგრძელებინა ჩემი აღმზრდელობითი და პუბლიცისტური მუშაობა, დამესრულებინა დუნაის განმათავისუფლებელი ლაშქრობის შესახებ მასალის წაგროვება და დამეწერა მოგონებების წიგნი „მზვერავის ჩანაწერები“.

ჩვენ შევძელით აღგვედგინა უნგრეთის გასათავისუფლებლად მიმდინარე ბრძოლების ამბები. უნგრეთის რადიომ გადასცა ჩემი მასალები იმ ქარცეცხლიანი დღეების შესახებ. ამის შემდეგ ჩვენს სკოლაში უნგრეთიდან წერილების დიდი ნაკადი წამოვიდა.

ტრადიციად დამკვიდრდა — ყოველ წელს მაისში იუგოსლავიელი ხალხის ეროვნულ დღესასწაულისათვის რადიოგადაცემის მომზადება. ჩვენთან ჩამოდიოდნენ კორესპონდენტები და მაგნიტოფონის ფირზე იწერდნენ დანკის სკოლის პიონერთა და მოსწავლეთა გამოსვლებს.

წითელმა კვალმაძიებლებმა მოძებნეს დუნაიზე ბრძოლის 200-ზე მეტი მონაწილე. 1967 წლის 24 ივლისს მოსკოვში, იზმაილოვის პარკში მოეწყო დუნაელების ყველაზე დიდი შეხვედრა. აქ ორასამდე დუნაის ფლოტილიის გმირმა მოიყარა თავი. ესენი იყვნენ

სამხედრო ხომალდების მეზღვაურები და ოფიცრები, მზვერავები, საზღვაო ქვეითი ჯარისკაცები, არტილერისტები საზღვაო ბატარეებიდან. შეხვედრას დაესწრო დედაქალაქის ათასამდე ახალგაზრდა. ძნელია სიტყვებით გადმოგცეთ, რაოდენ ნასიამოვნები ვიყავით ომის ვეტერანები ასეთი შეხვედრით.

ომის ვეტერანთა საბჭოთა კომიტეტმა დანკის საშუალო სკოლის რაზმი „ძიება" დააჯილდოვა საპატიო ალმით, ხოლო მე — პირველი ხარისხის სიგელით ახალგაზრდებს შორის ხანგრძლივი სამხედრო-პატრიოტული მუშაობისათვის.

ჩემმა წითელმა კვალმაძიებლებმა სოციალისტური ქვეყნების მოსწავლეებთან ერთად ჩაატარეს რამდენიმე საინტერესო ძიება. უნგრეთის პიონერულ გაზეთ „პაიტაშში" დაბეჭდეს ჩემი ნარკვევი „ბუდას პოლკი". იქვე მე მივმართავდი უნგრელ პიონერებს თხოვნით, დაგეხმარებოდნენ საბრძოლო მეგობრების მოძებნაში ბუდას მოხალისეთა პოლკიდან. ჩემს თხოვნას გამოეხმაურა უამრავი უნგრელი მოსწავლე. წერილებში ისინი მადლობას უხდიდნენ საბჭოთა ჯარისკაც-განმათავისუფლებლებს დახმარებისათვის, მათი ქვეყნის განთავისუფლებისათვის და აღმითქვამდნენ დახმარებას. მოსწავლეებმა თავიანთი სიტყვა შეასრულეს.

რაზმი „ძიების" შტაბის უფროსი ნატაშა კალინინა ძლივს ასწრებდა უნგრეთიდან მოსული წერილების გაცნობას.

უნგრელი პიონერების პირველსავე მოხსენებაში იყო ჩვენთვის ძლიერ საინტერესო ფაქტები: „ბუდას პოლკის მეთაურს, ოსკარ ვარიჰაზის ომის შემდეგ მიენიჭა გენერალ-მაიორის წოდება. 1949 წლიდან გენერალი ვარიჰაზი მეთაურობდა უნგრეთის ნაციონალური არმიის პირველ დივიზიას. ამ დივიზიამ ნიჭიერი გენერლის ხელმძღვანელობით აითვისა თანამედროვე იარაღი, რომელიც საბჭოთა კავშირისაგან მიიღო. ოსკარ ვარიჰაზიმ ბევრი რამ გააკეთა უნგრეთის სახალხო არმიის განსამტკიცებლად. იგი გარდაიცვალა მძიმე ავადმყოფობის შემდეგ 52 წლის ასაკში".

უნგრელმა პიონერებმა მაცნობეს ოსკარ ვარიჰაზის მეუღლის და ვაჟიშვილის მისამართი. მალე მე მივიღე გულთბილი წერილი გენერლის ოჯახის წევრებისაგან და ოსკარ ვარჰაზის ფოტოსურათი. როდესაც გოგონები მიკითხავდნენ ამ წერილს, მახსენდებოდა უნგრელი სარდალი, საბჭოთა ხალხის ნამდვილი მეგობარი.

უნგრეთიდან მოსულ მეორე წერილში ეწერა: „მოიერიშეთა რაზმის მეთაური ალბერტ კოსეგი ომის შემდეგ დემობილიზირებულ იქნა. ამჟამად იგი მუშაობს ბუდაპეშტში, ქარხანაში საგეგმო განყოფილების უფროსად“.

მალე თვით ალბერტმა გამომიგზავნა მეგობრული წერილი, სადაც მომითხრობდა ომის შემდგომ ცხოვრებაზე, იხსენებდა სამეფო სასახლის შტურმს, როცა ერთმანეთის გვერდით, მხარდამხარ ვიბრძოდით. იგი მე და ჩემს კვალმაძიებლებს ბუდაპეშტში გვეპატიჟებოდა.

ნატაშა კალინინამ მომიტანა ახალი პატაკი უნგრეთიდან. პატაკით მაცნობებდნენ: „თქვენი ახლო მეგობარი, ბუდას პოლკის სერჟანტი იანოშ სეკერეში ცოცხალია, მალე მისგან წერილს მიიღებთ“.

მართლაც, ორი დღის შემდეგ მივიღე იანოშის გულისამაჩუყებელი წერილი. იგი მწერდა თავის ომის შემდგომ ცხოვრებაზე, იმაზე, რომ დიდხანს მკურნალობდა ბუდაპეშტის საბჭოთა ჰოსპიტალში, შემდეგ დაამთავრა ბუდაპეშტის ფიზკულტურის ინსტიტუტი და ფიზკულტურას ასწავლის გიმნაზიაში.

იანოში მაცნობებდა, რომ ყოველ 13 თებერვალს, ბუდაპეშტის განთავისუფლების დღეს, ბუდას პოლკის ყველა მებრძოლი იკრიბება ჰელერტის მთაზე და გვირგვინებით ამკობს ბუდაპეშტისათვის ბრძოლებში დაღუპულ საბჭოთა და უნგრელ მეომართა საფლავებს.

„ბუდას პოლკის მებრძოლები ძლიერ განვიცდით, რომ შენ ასეთი მძიმე ბედი გერგო. ჩვენს მეხსიერებაში შენ მუდამ 18 წლის მამაცი მზვერავი ხარ.“ — მწერდა იანოში. წერილში მას თავის ბაღში მოკრეფილი იები ჩაედო. უნგრელმა პიონერებმა მოძებნეს აგოეთვე ბუდას პოლკის ერთადერთი მებრძოლი ქალიშვილი დერესკალ შანდორნე, რომელიც ცხოვრობს და მუშაობს ბუდაპეშტში. თავად დერესკალისაგან მივიღეთ წერილი, სადაც იგი იტყობინებოდა, რომ სსრკ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა ბუდაპეშტის განთავისუფლებისას საბრძოლო დამსახურებისათვის იგი დააჯილდოვა წითელი ვარსკვლავის ორდენით.

ინდა აღინიშნოს, რომ ძიების დროს განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს უნგრელმა წითელმა კვალმაძიებლებმა: ევა ფოლდმ,

ზოლტან არმანმა, ბანფი იშტვანმა, კომკავშირელების ჯგუფმა მასწავლებლის მარია სეგერეშის ხელმძღვანელობით.

ძლიერ ეფექტური იყო ჩვენი ძიება ბულგარეთშიც. მე მივმართე უკვე ნაცად ხერხს — ბულგარულ პიონერულ გაზეთში გამოვაქვეყნე ჩემი ნარკვევი და მიმართვა ბულგარელი პიონერებისადმი. ამ მიმართვას ბულგარელმა მოსწავლეებმა დაუყოვნებლივ უპასუხეს. ბულგარელმა წითელმა კვალმაძიებლებმა ქ. ნიკოპოლის ქრისტო ბოტევის სახ. საშ. სკოლიდან მასწავლებლის პავლინა მილკოვას ხელმძღვანელობით აქტიური მუშაობა გააჩაღეს. პირველად ნიკოპოლის გარნიზონის რევოლუციური პოლკის მეთაური დემიან ბერნიაკოვი იპოვეს. ომის შემდეგ იგი კიდევ დიდხანს მსახურობდა ბულგარეთის სახალხო არმიაში; ამჟამად ივანე მუშაობს სოფიის საოპერო თეატრის დირექტორის მოადგილედ. იგი ავტორია ბულგარეთში გამოსული პოპულარული წიგნისა. ივანე დენევიც დემობილიზაციის შემდეგ დასახლდა სოფიაში. მუშაობს სამეცნიერო-კვლევით ინსტიტუტში. ნიკოპოლის სახალხო მილიციის უფროსი ნიკოლოზ კოცაროვი ომის შემდეგ გადასახლდა ქალაქ პლევენში, სადაც დიდი ხნის განმავლობაში მუშაობდა საოლქო აღმასრულებელ კომიტეტში. ამჟამად იგი პენსიაზეა.

ოფიცერი გიორგი ტარაკანოვი, რომელმაც თავის დროზე მოგვცა ძვირფასი ცნობები დუნაის დანაღმული ველების განლაგებაზე და მისი მეგობარი ვასილ ნიკოლოვი — სამხედრო საბუქსირო კატარღის მეთაური, ქ. ნიკოპოლში ცხოვრობენ.

დიდხანს ვერ ვიპოვეთ ბულგარელი კომუნისტი ბორის ვოინოვი. რომელმაც ომის დროს გადაარჩინა და თავისთან შეიფარა 4 საბჭოთა ტყვე. და მხოლოდ 1977 წელს, ბულგარეთის გაზეთ „ოტჩესტვანნი ფრონტში" ჩემი ნარკვევის გამოქვეყნების შემდეგ, მივიღე გულთბილი წერილი ბორის ვოინოვისაგან. იგი მწერდა: „ომის შემდეგ ქ. რუშჩუკიდან გადავედი სოფიაში, დავამთავრე პარტიული აკადემია, გავხდი პარტიული მუშაკი". მალე იგი პირადად მეწვია ინტერნატში.

მადლობის გრძნობით უნდა აღვნიშნო აგრეთვე იუგოსლავიელი პიონერების დიდი დახმარება. მათ მაცნობეს, რომ ჩემი ერთი მეგობარი ლიუბიშ ჟორჟევიჩი ომში მიღებული მძიმე ჭრილობების გართულების შედეგად გარდაიცვალა ჰოსპიტალში. მივიღე გულ-

თბილი წერილი ვლადიმერ და ლიუბინკა ჟორჟევიჩებისაგან. ამ წერილით გავიგე, რომ ლიუბიშ ჟორჟევიჩი თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ტკბილად იგონებდა ალექსი ჩხეიძეს და „წვეერას“ რაზმის სხვა მზვერავებს. თვითონ ვლადიმერი დიდხანს მუშაობდა დუნაიზე ლოცმანად და დიდი ხანი არაა, რაც გავიდა პენსიაზე. წერილი მომწერა აგრეთვე ბუდემირ პეტროვიჩმაც. წერილის ბოლოს სიამაყით მაცნობებდა, რომ მისი ქალიშვილი ცნობილი კინოვარსკვლავი გახდა.

ომის შემდეგ, ილოკის დესანტის ოცდაათ წლისთავთან დაკავშირებით მივიღე წერილი-მიწვევა ხორვატიის სახალხო რესპუბლიკის მთავრობისაგან. მიწვევდნენ ილოკის განთავისუფლების ოცდაათი წლისთავის დღესასწაულის საპატიო სტუმრად. კარგად მესმოდა, რომ გულითადი მოწვევის ეს პატივი ეკუთვნოდა წითელდროშოვანი დუნაის ფლოტილიის ყველა მეზღვაურს.

ამ მიწვევამდე ერთი წლით ადრე, 1973 წლის გაზაფხულზე მივიღე ძლიერ ვრცელი მეგობრული წერილი იუგოსლავიური საბავშვო ჟურნალის „პიონერსკაია ზაგრადკას“ რედაქტორის მიკოლა სეგედისაგან. მიკოლა სეგედი მწერდა, რომ ომის შემდეგ ილოკის გმირთა ნეშტი ნოვი სადიდან საბჭოთა მეომრების ილოკის ძმათა სასაფლაოზე გადაასვენეს. ილოკის გმირთა საფლავს სათუთად უვლის დიდი თუ პატარა. დესანტის გმირთა გვარები შეტანილია ილოკის ოქროს წიგნში.

თვით მიკოლა სეგედი მონაწილეობას იღებდა ამ ქალაქის განთავისუფლებაში, მძიმედ დაიჭრა იქ. როდესაც გაიგო ვიტალი ზაპსელსკის დაღუპვის ამბავი, ძლიერ გულთბილი წერილი გაუგზავნა ვიტალის დედას, მარია ივანეს ასულს, ვოროშილოვგრადში, ანუგეშებდა მას.

მალე მარია ივანეს ასულმა წერილი მომწერა და მთხოვა მადლობა გადამეცა იუგოსლავიელ მეგობრისთვის. „მე ვამაყობ, რომ ჩემი შვილი სამშობლოს იცავდა და სიცოცხლე შესწირა იუგოსლავიელი ხალხის თავისუფლებას“, — მწერდა იგი. — მივიღე კიდევ ერთი წერილი იუგოსლავიელი პიონერებისაგან. ისინი მწერდნენ: „ბედნიერები ვართ, რომ მშვიდობიან დროში ვცხოვრობთ. ჯარსოდის არ დაკარგულა რა ფასად დაუჯდათ საბჭოთა მებრძოლებს იუგოსლავიელი ხალხის თავისუფლება. ჩვენ სასკოლო მეზეუმში

ილოკის დესანტის გმირების დიდი სურათებია გამოფენილი, ალბომში კი მათი ბიოგრაფები გვიწერია. გამუდმებით ვუვლით გმირთა საფლავს“.

წერილთან ერთად ილოკიდან მოვიდა ფოტოსურათი. ამ ქალაქის პიონერები ყვავილებით ამკობენ გმირთა საფლავს.

სასიხარულოა იცოდე, რომ დაღუპულ მეომართა გმირობა არ დავიწყებიათ მოძმე იუგოსლავიაში, რომ იუგოსლავიელი ახალგაზრდობა იზრდება ძმური მეგობრობის ტრადიციებზე.

ახლა კი სწორედ დროა გაცნობოთ ამ წიგნის გმირების ბედის შესახებ. ცხოვრებამ ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მიმოფანტა ყოფილი მზვერავები. ყველაზე ახლოს ალექსი ჩხეიძესთან ცხოვრობს კატია მიხაილოვა. ეკატერინე ილარიონის ასული დიომინა ცხოვრობს და მუშაობს მოსკოვში.

მე-2 თანრიგის ზემდეგი ვასილი გლობა ბრიგადირია დნეპროპეტროვსკის ერთ-ერთ ქარხანაში. გრიგორი კოცარი მუშაობს კრივოი როგში მაღაროში, ალექსი გურამ დაამთავრა აკადემია, პარტიული მუშაკია, ცხოვრობს და შრომობს ბერდიანსკში. მე მგონი, დუნაიდან ყველაზე მეტად არის დაშორებული ბენედიქტე ანდრეევი. იგი ციმბირელია, ცხოვრობს ქ. კურგანში. მზვერავთა რაზმის მეთაური ვიქტორ ანდრიას ძე კალგანოვი ბოლო წლებში ბალტიკაზე მსახურობდა. თადარიგში გასვლის შემდეგ საცხოვრებლად გადავიდა სევასტოპოლში. არც ისე დიდი ხანია, რაც იგი გარდაიცვალა. ცოცხალი აღარ არის ვანია ბოიჩაკიც. იგი ჟურნალისტი იყო, მუშაობდა უკრაინაში. ივანე კოჩკინმა ომის შემდეგ დაამთავრა პედაგოგიური ინსტიტუტი. ახლა იგი მასწავლებელია ქალაქ კოპეისკში.

გადის წლები, დუნაელების და იმ ადამიანთა ძიება, რომლებიც ომში გაიცნო მზვერავმა, გრძელდება.

როდესაც ხელნაწერზე მუშაობა უკვე დამთავრებული იყო, დანკიდან გამომიგზავნეს ბულგარული გაზეთი „დუნაისკი ფარ“— ბულგარული სამდინარო ნაოსნობის ბელადვითი ორგანო ბულგარელი ამხანაგები გამოეხმაურნენ ა. ჩხეიძის მოწოდებას და აცნობეს მას მიჩმან ნიკოლა დავიდოვის ბედი. ეს ის ნიკოლა დავიდოვია, რომელმაც საბჭოთა მზვერავებს გადასცა დუნაის დანაღმული ადგილების რუკა. სამწუხაროდ იგი ცოცხალი აღარ არის.

ნიკოლა დავიდოვი ომის დასასრულს გარდაიცვალა ჭრილობებისაგან.

1978 წელს დანკის საშუალო სკოლამ იზეიმა რაზმის „ძიების“ და ინტერნაციონალური მეგობრობის კლუბის ოცდაათი წლის იუბილე, ცენტრალურმა რადიომ მოაწყო სპეციალური გადაცემა მიძღვნილი ამ რაზმის საიუბილეო თარიღისადმი.

9 მაისს დანკის საშ. სკოლის დარბაზში თავი მოიყარა უამრავმა სტუმარმა: კომკავშირის საქალაქო კომიტეტის მუშაკებმა, მოსკოვის მესაზღვრეთა უმაღლეს მეთაურთა სასწავლებლის კურსანტებმა, ქ. სერპუხოვის ომისა და შრომის ვეტერანებმა და, რასაკვირველია, — მოსწავლეებმა. პირველი რიგები დაიკავეს სკოლის პირველმა კვალმაძიებლებმა, მათ, ვინც დაიწყო ძიება, ახლა კი გახდნენ მასწავლებლები და კოლმეურნეები, მუშები და სტუდენტები.

საზეიმო სხდომა სკოლის დირექტორმა ვიქტორ ივანეს ძე კოროლიოვმა გახსნა. მოჰქონდათ უამრავი მისალოცი დეპეშა. მე კი პრეზიდიუმში ვიჯექი და ვიგონებდი, როგორ დავიწყეთ მუშაობა 30 წლის წინ, რა სიძნელეები გადავლახეთ და რას მივაღწიეთ.

გადის წლები. ომის ვეტერანთა რიგები თანდათან თხელდება. მაგრამ არ იშლება სისხლით შედუღებული მეგობრობა. ამას მოწმობს უამრავი წერილი მოსული დანკში ძმური ქვეყნებიდან. დაე, ამ პატარა წიგნმაც, ხანგრძლივი ძიების ნაყოფმა, წიგნმა დუნაელ მზვერავებზე და მათ საბრძოლო ძმადნაფიცებზე ბულგარეთიდან, უნგრეთიდან, იუგოსლავიიდან, კიდევ უფრო განამტკიცოს პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, მოუთხროს ახალგაზრდობას მათი მამების და პაპების გმირობაზე, იმ სამამულო ომზე, რომელმაც ამდენი სიცოცხლე შეიწირა.

აუცილებელი ბიოლოგიტყვაობა

მკითხველს, რასაკვირველია, დაებადება კითხვა — მაინც როგორ მიმღინარეობდა ამ ხელნაწერზე მუშაობა?

თვით ალექსი ჩხეიძე ასე მოგვითხრობს ამის შესახებ:

„რამდენიმე წლის ძიებისა და მასალის მოგროვების შემდეგ ჩამოყალიბდა მომავალი წიგნის ზოგადი იდეა. იმ დროს ჩემი პატარა თანაშემწეები შესცვალა მეორეკლასელმა ლენა იანუშკინამ.

მასთან ერთად დავამუშავე ხელნაწერის ზუსტი გეგმა, მან დაიწყო ჩემი კარნახით პირველი თავის ჩაწერა. ყველაფერი რიგზე იყო, მაგრამ მოულოდნელად ჩვენს ინტერნატში კარანტინი გამოაცხადეს... გარეშე პირს არავის შეელო ჩემთან პალატაში შემოსვლა. გული დამწყდა სამუშაოს შეფერხების გამო. მაგრამ ლენამ გამოსავალი იპოვა. ერთხელ ღია სარკმელში ვიღაცამ ხის პატარა ტოტი შემოაგდო. ტოტი მხარზე შემეხო და მივხედე, რომ ფანჯარასთან ვიღაც დგას. სასმენი აპარატი ყურზე მოვირგე და ფანჯარა გავაღე.

— საღამო მშვიდობისა, ალექსი ალექსანდრეს ძეო! — გავიგონე ლენას ხმა,— მე სამუშაოდ მოვედი. — და იგი მოხერხებულად მოკალათდა ფანჯრის რაფაზე.

ეული ამიჩუყდა. ყოველდღე ორი საათის განმავლობაში ვმუშაობდით ხელნაწერზე. დადგა შემოდგომა. აცივდა, შემდეგ მოთოვა კიდეც. ლენა მაინც ყოველ საღამოს მოდიოდა. სამუშაო წინ მიიწევდა. თუმცა კარანტინი ძლიერ გაგრძელდა. ლენა გაცივდა და ავად გახდა. როდესაც გამოჯანმრთელდა, ისევ მოვიდა ჩემთან სამუშაოდ. ასე გრძელდებოდა ოთხი თვე; სანამ ინტერნატში კარანტინი არ მოხსნეს. მაშინ მე-10 კლასში სწავლობდა. სკოლა დაამთავრა, მაგრამ სამუშაოდ დანში დარჩა. ორი წლის განმავლობაში იგი იწერდა ჩემს მოგონებებს. შემდეგ ლენამ ინსტიტუტში განაგრძო სწავლა, სამუშაო ნატაშა კალინინამ გააგრძელა. იგი შორიდან დადიოდა ინტერნატში. ესტაფეტა მან გალია რიაზანცევას გადასცა. გალიას ყველაზე უფრო გაუკირდა—ამ დროისათვის ზე მკვეთრად დამიქვეითდა ყურთასმენა. შეკითხვა რომ გაეგო, გალია ორჯერ იმეორებდა ხოლმე ყოველ სიტყვას. სწორედ გალიამ დაასრულა მოგონებების ჩაწერა. სულ მათ დაწერეს 5 წელი მოვუნდით“.

ალექსი ჩხეიძის თანაშემწეები მარტო დანში როდი ცხოვრობენ. ლენინ-

გრადელი მოსწავლე ინა ივანოვი რამდენიმე წლის განმავლობაში გულმოდგინედ ათვალიერებდა სამხედრო-საზღვაო ბიბლიოთეკაში გაზეთებს „დუნაეცს“ და „ჩერნომორეცს“, ამოწმებდა ბრძოლების თარიღს, ადგილების დასახელებას; დუნაელ გმირთა სახელებს და მამის სახელებს.

...ალექსი ჩხეიძეს ასობით დამხმარე ჰყავს, მაგრამ ისიც ეხმარება სხვებს.

დანაში ხშირად მოსდის წერილები დუნაელ მზვერავს. ამას წინათ „კვალმაძიებლებმა დაითვალეს: წერილები მოდის 400 დასახელების ქალაქიდან, დაბიდან და სოფლიდან. აი, რას მოგვითხრობს თავის წერილში სამხედრო მფრინავი უფროსი ლეიტენანტი ალექსანდრე კოტვიცკი: „მე რეაქტიულ მოიერიშე თვითმფრინავზე დავფრინავ. ამას წინათ რთულ სიტუაციაში მოვხვდი, მოვახერხე თვითმფრინავის დასმა. ჰოსპიტალში მძიმე მდგომარეობაში მიმიყვანეს. ავადმყოფობა გამიხანგრძლივდა. ძლიერ განვიცდიდი; მეგონა, ფრენას ვეღარ შევძლებდი. გამახსენდა, რომ არსებობს ასეთი ადამიანი — ალექსი ჩხეიძე. ამან ძალა შემმატა. ყველა სიძნელე გადავიტანე და ახლა ისევ დავფრინავ სამხედრო თვითმფრინავით“.

აი, კიდევ ერთი ნაწყვეტი წერილიდან, რომელიც ალექსი ჩხეიძემ მიიღო. ამჯერად წერს ომის ვეტერანი საბჭოთა კავშირის გმირი მიხეილ ვლადიმერის ძე აშიკი. იგი ერთი იმათგანია, ვისაც თავის წიგნში იგონებს ჩხეიძე: „გაოცებული ვარ შენი შეუპოვრობით, მოთმინებით და შენი თანამებრძოლების შრომისმოყვარეობით. შენი წიგნი არა მარტო ომში ჩადენილ გმირობებზე მოგვითხრობს, მისი ყოველი სტრიქონი მოწმობს შენს გმირობას, ჩადენილს მშვიდობიან დროშიც. ის, რაც შენ გააკეთე ამ წიგნის შექმნით, გაუტოლდება ადამიანის სულის ყველაზე მაღალ ნამოქმედარს...“

და კიდევ: „სწორი იქნებოდა, შენ რომ გაგებედა წიგნის დაწერა შენს ომისშემდგომ ცხოვრებაზე, იმ შესანიშნავ ადამიანებზე, რომლებიც შენ გვერდით არიან. მერწმუნე; ცხოვრების ეს მხარე იმ ფრონტელებისა, რომლებიც შინს მსგავს მდგომარეობაში აღმოჩნდნენ, თითქმის უცნობია ხალხისათვის. აქ ისეთი ლიტერატურული ყამირია, ისეთი დიდი რაოდენობა უცნობი ფაქტებისა, ისეთი ხასიათები და ბედ-იღბალი, რომელთა აღწერა შეუძლია მხოლოდ მას, ვინც ეს განიცადა. სწორად წერენ: არიან ადამიანები, რომლებისთვისაც ომი არ დამთავრებულა. შენ ისევ მის ჭარცეცხლში იმყოფები, შენ ჯერ კიდევ შეუპოვრად იბრძვი... შენი პატივისმცემელი და შენით აღტაცებული მიხეილ აშიკი“.

ამ ბოლო წლებში სულ უფრო და უფრო ბევრი ადამიანი იგებს დუნაელი მზვერავების ომის შემდგომი გმირობის შესახებ. საკმარისი იყო „ნედელაში“ ალექსი ჩხეიძის შესახებ ნარკვევის „როგორც პავა კორჩაგინია...“ გამოქვეყნება და პოეტმა ი. სვეტლიჩნიმ დაწერა ლექსი „წითელი კვალმაძიებლები“, ხოლო კომპოზიტორმა ლ. ნაგორნაიამ შეთხზა მუსიკა სიმღერისათვის ამ ლექსის ტექსტზე. შექმნილია სცენარი დოკუმენტური ფილმისათვის „რით ფასდება გმირობა“, რომელიც მოგვითხრობს დუნაელ მზვერავებზე. ბულგარეთში მზადდება ძეორე დოკუმენტური ფილმი საბჭოთა და ბულგარელ მებრძოლთა ძმობაზე. მის ცენტრშია — ალექსი ჩხეიძის ბედი.

დასჭირდა დუნაელ მზვერავს დანკიდან თბილისში ჩასვლა — მოიძებნა ქალი, რომელმაც სამსახურში შვებულება აიღო იმისათვის, რომ ხეიბარი თბილისში ჩაეცილებინა.

ამას წინათ ფრონტზე სიმამაცისა და გმირობისათვის, მრავალწლიანი და ნაყოფიერი შრომისათვის ახალგაზრდობის სამხედრო-პატრიოტული აღზრდის საქმეში ა. ა. ჩხეიძე შეტანილ იქნა საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის საპატიო წიგნში.

... დანკის სამკურნალო ინტერნატში ჩემი ყოფნის დრო იწურებოდა მოსკოვში უნდა დავბრუნებულიყავი. მე ბოლო შეკითხვა დავუსვი დუნაელ მზვერავს:

— აი, წიგნის წერა დაამთავრეთ, რის გაკეთებას აპირებთ მომავალში?

ა. ჩხეიძე თითქოს ელოდა ამ შეკითხვას, მაშინვე, არც კი დაფიქრებულა, ისე მიპასუხა:

— განვაგრძობ ამხანაგების ძებნას, ფაქტების დაზუსტებას, მოვამზადებ წიგნის მეორე გამოცემას.

დიახ, დუნაელ მზვერავს არ აკლია მიზანდასახულობა და სიმტკიცე.

გამომშვიდობებისას ხელი მოვუპირე ფრონტელი ქირურგის მიერ გაკეთებულ მის თითებს. ისინი რბილი იყო და ძალზე შეუფერებელი ამ ადამიანის ხასიათისათვის.

ალბათ ამ წიგნის ბევრი მკითხველი მოისურვებს გაუზიაროს ავტორს თავისი აზრები, გადაუხადოს მადლობა ამ შეუპოვარ ადამიანს. მისი ნებართვით სიამოვნებით გაცნობებთ მის მისამართს:

მოსკოვის ოლქი, ქ. სერპუხოვო, საფოსტო განყოფილება დანკი, სამკურნალო ინტერნატი, პირველი კორპუსი, ალექსი ალექსანდრეს ძე ჩხეიძეს.

მისწერეთ, მას ძლიერ გაახარებს თქვენი წერილები.

პირველი რანგის კაპიტანი ი. ჩერნოვი

შ ი ნ ა ა რ ს ი

სამასი საფრონტო დღე, შემდეგ კი მთელი სიცოცხლე—ი. ჩერნოვი 3
თავი 1 — „ბედნიერებას გისურვებთ, შვილებო!" 9
თავი 2 — საბრძოლო ნათლობა 26
თავი 3 — ბულგარეთის მიწაზე . . . 58
თავი 4 — ჩვენ გველოდება იუგოსლავიის მიწა . 86
თავი 5 — ბრძოლები ბუდაპეშტისათვის . . . 113
თავი 6 — დესანტი იმპერიის ხიდზე . . . 148
თავი 7 — რაზმი „ძიება" . . . 161
აუცილებელი ბოლოსიტყვაობა — ი. ჩერნოვი . 188